კვირის პალიტრა

მზე

21(154) 22/V.-28/V.2003. ფასი 60 თ.

69

1168
2003

...ამისტოლა ქმარი – სხვაობა 29 ფელი

...დედისტოლა ცოლი – სხვაობა 22 ფელი

ქართველი პილოტი უცხოვლანეტელებს გადაეყარა

...ენერლის სახლის ...ალბატონების სურნელი

თერთმეტი და და ნმინდანის მადლით მოვლენილი ქმა

სანო:

„მე ახლა ისე ვიღლები ხოლმე, როგორც მაშინ, როცა სტუდენტობის დროს, მამაჩემს ყანის თოხნაში ვეხმარებოდი...“

გვ. 54

ქვირის პალიტრა
ეზო
№21 (154)
22 - 28 მაისი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ყოფნა, არყოფნა, არჩევნები აი, ეს არის“ (ჰამლეტი – დანიის მაქორიტარი დეპუტატი) 3
ერთი კითხვა 4
თემა
მამისტოლა ქმარი – სხვაობა 29 წელი, დედისტოლა ცოლი – სხვაობა 22 წელი 6
გემოვნება
ლამაზი ქალებით გარშემორტყმული ავთანდილ იოსელიანი საშინაო საქმეებში არ ერევა 9
კრიმინალი
● „მოკლული შვილის ლოგინი დედას ახლაც გაუსწორებელი აქვს...“ 12
● გოგონა გაუპატიურებისგან ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა იხსნა 14
ქალი საჭესთან
გაბედული მძღოლი ნინო ახობაძე არც ხიფათს ეპუება და არც ღვინოს უფრთხის... 16
მამები და შვილები
გიო თავისებურად აკონტროლებს ზუკას, ზუკა კი მისგან გაკვეთილებს იბარებს... 18
გამოხმაურება
მოძალადე პატიმარს გაუპატიურებული გოგონასთვის დახმარების გაწევა სურს 22
ნამდვილი ამბავი
უიღბლო ქორა და „ოთხი გია“ ანუ კაცს თუ ბედი თან არ დაჰყვა... 24
ტესტი
ერთგული მკითხველი 25
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 26
შეუცნობელი
ქართველ პილოტს 20 წლის წინ, უფოსთან ერთად უფრენია... 26
თეთრი ლაქები
„უარი ეთქვას პატიებაზე სიკვდილით მსჯავრდებულ იუზა კობახიძეს“ 30
ქალის ფსიქოლოგია
● ადამიანებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები 32
● რამდენად კარგად ფლობთ საკუთარ თავს 33

მამისტოლა ქმარი – სხვაობა 29 წელი დედისტოლა ცოლი – სხვაობა 22 წელი

ერთ ოჯახს ვესტუმრეთ – ოჯახს, რომლის შესახებაც მეზობლებმა მხოლოდ ის იციან, რომ ცოლი ქმარზე 22 წლით უფროსია. კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან და ქალ-ვაჟი ჰყავთ. ქალბატონმა ლიამ ინტერვიუზე ჯერ სასტიკი უარი გვითხრა... მაგრამ მერე...

6

გიო თავისებურად აკონტროლებს ზუკას, ზუკა კი მისგან გაკვეთილებს იბარებს...

არ მეუბნება, მაგრამ ვიცი, ვინც უყვარდა, მშვენიერი გოგოა. თვალებს რომ გააპარებს ხოლმე, მეც გავაპარებ და ვხვდები, რომ რაღაცაშია საქმე... ისე ჩემი და ზუკას გემოვნება ქალებში ემთხვევა.

18

„ქუჩური ჩხუბი ატყდა... მეც დანას ვწვდი და მოვიქნიე...“

თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე, ახალგაზრდებს შორის საქმის გარჩევა საშინელი მკვლელობით დასრულდა. ირაკლი ყაჭეიშვილს სხეულში დანა ხუთჯერ ჩაარტყეს და იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. დედამისს – ნინო ჯანელიძეს იმ დღეს, მეორე შვილი მოუკლეს.

12

თერთმეტი და და წმიდა იოსების ხსენების დღეს მოვლენილი პატარა სოსო...



37 წლის დაუოჯახებელი გახლდით. მე და გულიკომ მეგობრის წყალობით გავიცანით ერთმანეთი. რატომ არ მოგყავს ცოლიო? – მკითხა ჩემმა მეგობარმა. – ისეთ ქალს ვეძებ, 5-6 შვილს მაინც რომ გამიჩენს-მეთქი. – მე მინდა ბევრი შვილიო, – წამოსცდა უცებ გულიკოს.

35

ტაძარი

რა დანიშნულება აქვს სალოცავ კუთხეს? 34

ოჯახი

თერთმეტი და და წმინდა იოსების ხსენების დღეს მოვლენილი პატარა სოსო... 35

ფესტივალის კულუარები 38

ფავორიტები

ამარ სტადემაირი – კრიმინალების ოჯახიდან გამოსული ვარსკვლავი 40

რომანი

რუსუდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

ვარსკვლავი

„კეიტი ჰოლმსმა თავად არც კი უწყის, თუ რაოდენ მშვენიერია“ 46

ვიზაჟისტი

ვის როგორი წარბები უხდება 48

ავტო 50

პირადი ცხოვრება 51

სპორტული მოზაიკა 52

საფეხბურთო მინდვრებზე 53

შოუმენი

ხონელი სანო 50%-ით „გერმანელი“ დარჩა 54

ფანები

შეხვედრა „სეიშენის“ ბიჭებთან 56

ჯანმრთელობა

- გრძნობათა ორგანოები 57
- ცოტა რამ ალერგიის შესახებ 57
- თქვენი პატარა 58
- რეკორდები 59

იუმორი 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (26 მაისი – 1 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

ხართ თუ არა კომუნიკაბელური? 63

კალეიდოსკოპი 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

გაბედული მძღოლი ნინო ახობაძე არც ხიფათს ეპუება და არც ღვინოს შეჩთხის...

მუხათგვერდში ბებიაჩემის საფლავზე მივდიოდი მეგობართან ერთად. ერთი „რეზკი“ მოსახვევი იყო და უცებ მანქანას წინა ბორბალი არ მოსძვრა?! ზამთარი იყო, ჩემს ძმას დავურეკე და ვუთხარი: მგონი, ვიღუპებით-მეთქი.

16

ქართველ ჰილოტს უფოსთან ერთად შეჩენია...



ხან შემხვედრი თვითმფრინავისაკენ „გარბოდა“, ხან ისევ ჩვენ გვიახლოვდებოდა. ზოგჯერ, გვერდით მოგვყვებოდა, შემდეგ ზემოთ აიტყორცნებოდა. ისეთივე სისწრაფით ქვემოთ დაეშვებოდა. მისი ქცევა „კატათაგვობანას“ თამაშს მოგაგონებდათ...

26

„კეიტი ჰოლმსმა თავად არც კი უწყის, თუ რაოდენ მშვენიერია“



ჩემთვის უსიამოვნოა, როცა 19-20 წლის ახალგაზრდა გოგონები და ბიჭები ექსტაზში ვარდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ ეკრანზე მომკრეს თვალი. მინდა ვთქვა, რომ მე სრულიად ნორმალური, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ.

46

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი



ამ სიტყვების შემდეგ, დეამ საძინებლის კარი ენერგიულად გამოაღო, მაგრამ ზღურბლზევე შედგა: სასტუმრო ოთახში, დეასგან ზურგშექცევით, ცარიელ სუფრას ვიღაც თავჩაღუნული მამაკაცი ეჯდა. ხმაურზე მან მოიხედა და დეამ მამამისი – სულხან ავალიანი ძლივსღა იცნო...

42

„ყოფნა, არყოფნა, არჩევნები არ, ეს არის"

(ჰამლეტი – დანიის მაჟორიტარი დეპუტატი)



აღარ შემიძლია ამდენი წერა პოლიტიკურ თემებზე, მაგრამ ვინ მასვენებს? გაივსო „პროვოკატორის" საფოსტო ყუთი და ვებსაიტი პოლიტიკოსთა ხვეწნა-მუდარითა და ცრემლებით გაჟღენთილი წერილებით. მადლობების მიღებას ვეღარ ავუდივარ წინა ნომერში გაჩუქებული საარჩევნო სიმღერების გამო და ახლა პოემითაც მთხოვენ დახმარებას.

რამ გაგაზარმაცათ, ხალხო? შედით ბიბლიოთეკაში და თვითონ გადახედეთ ქართველი პოეტების შედევრებს! თუ გეშინიათ, რომ მათ სტროფებში ჩადებული სიბრძნე და კეთილშობილება გონებას გაგიხსნით, სინდისს გაგიღვიძებთ და არჩევნებში მონაწილეობის ჟინს დაგაკარგვინებთ?.. იმიტომ ხართ ჩემს იმედზე, ხომ? კეთილი, ბატონო...

მაგრამ გააჩნია – საკუთარი თავისა და პარტიის სარეკლამო ლექსები გინდათ თუ კონკურენტების ანტისარეკლამო კაფიები. მეტოქეთა დასამცირებლად ქართული გამოცანები უფრო გამოგადგებათ და ამით დავიწყებ. მაგალითად:

„ბიდის, ბოდის, იქვე დგას". რა არის? – საქართველოს ხელისუფლება; „აცანცარა-ბაცანცარა, ბიუჯეტი სულ გაცალა" – ფინანსთა სამინისტრო; „აქეთ ფიცარი, იქით ფიცარი, სახე ვიცვალე, ვეღარ მიცანი" – „მოქკავშირი"; „ანათითი, ბანათითი, ვის ვუჩვენოთ შუა თითი?" – ცენტრალური საარჩევნო კომისია და ა.შ. კიდევ ბევრი ისეთი რამის დაწერა შემიძლია, რომ კითხვით ვერ გაძღებით, მაგრამ დროა, სერიოზულ პოეზიაზე გადავიდეთ. პოეზიამ ნაგვის ურნებზე გაამართლა და საარჩევნო ბუკლეტებზე მინაწერი ნაკვესები არ გაამართლებს?!

დავიწყოთ „ნაციონალური მოძრაობით", რომელსაც წინა არჩევნებში მივეცი ხმა. მაგათ ლიდერს ლაპარაკი და „რეჩები" კი არ ეშლება, მაგრამ მაინც დამარხვას უპირებს ხელისუფლებას მომავალ არჩევნებზე და მრიცხველიც კი აქვს ჩართული ედუარდ შევარდნაძის საპრეზიდენტო დღეების დასათვლელად. ჰოდა, მის წარმატებას დიდად შეუწყობდა ხელს, პრეზიდენტის „გამცილებელი" ოდის, თავის პროგრამაში ჩასმა:

„აწი აღარ გაგაჩერებ შინ,
აწი ოჯახს ვერ დაარქმევ დილეგს".

რა თქმა უნდა, ვერც „გაერთიანებულ დემოკრატებს" მოვაკლებ ყურადღებას – ვინ იცის, რამდენჯერ მიმიცია ხმა მათთვის?!. მათთვის ზედგამოჭრილი იქნება ეს სტრიქონები: „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის, დასაღვრელის ალბათ მაცნეა..."

ახლა, ბატონი შალვა გავახაროთ. მით უმეტეს, რომ მისი ერთგული ამომრჩეველი ვარ!.. მაქვს ერთი პოეტური ფრაზა, თუმცა ბატონი შალვას რიტორიკულ „სეტყვას" ლექსი არც სჭირდება, ის თვითონაა პოეზია და რითმაც მის ბაგეთაგან თითქოს თავისით იბადება... და მაინც:

„დედას რად უნდა თორმეტი შვილი?
ერთი ჰყავდეს და ნათელაშვილი..."

რაც შეეხება „ახალ მემარჯვენეებსა" და „მრეწველებს", საქმიანი ხალხია და სიტყვების ნაკლებად სჯერათ. ამომრჩევლებსაც სულ იმას უჩიჩინებენ – მერამდენედ უნდა მოტყუვდეთ ცარიელი დაპირებებითო?!. ამიტომ ერთი ლამაზი ლექსი შევარჩიე მათთვის. მაინც კბილი აქვთ დასობილი „მოქკავშირზე" და მათ საწინააღმდეგოდ გამოადგებათ:

„წყაროზე ჩაგიყვანს და
არ დაგალევინებსო,
მწყურვალს დაგტოვებს,
ჩაჰყვები ვინცო..."

ნუ ღელავთ, ბატონებო! ტკბილი ლუკმასავით ბოლოსთვის შემოგინახეთ. თქვენ სახელისუფლებო ბლოკი ბრძანდებით და ისე გაქვთ დაზეპირებული ამ წლების მანძილზე ტკბილი დაპირებები, რომ შპარგალკაც არ გჭირდებათ. რაც თავი მახსოვს, ყველა საარჩევნო ბიულეტენში თქვენს ნომერს ვარტყამ წრეს. ჰოდა, რადგან ისევ გნებავთ, მორიგი ძილისპირული ჩაუტაროთ მოსახლეობას, ერთ ლექსს მეც შემოგაშველებთ:

„ქარი გიმღერის ნანასა, ზღაპარს გიამბობს ჭადარი..."

აი, ასე ჩემო კარგებო, ამ ლექსების წყალობით ყველანი გაიმარჯვებთ არჩევნებში და ხელისუფლებასაც ისევ თქვენ დააკომპლექტებთ. ამიტომ, „იმედიც" მაქვს, რომ მომავალი პარლამენტიც ისეთივე „იდილიური" იქნება, როგორიც ახლანდელია და ყველას გიძღვნით ამ ლექსს, ვინც გიორგობისთვის საარჩევნოდ ემზადებით:

„გიორგობისთვეში „ნუნუა" წვიმს ჩვენში,
გინდ შესულხართ პარლამენტში,
გინდ შესულხართ მერიაში,
გინდ შესულხართ მთავრობაში,
გინდა – ჯოჯოხეთში"...

პროვოკატორი

პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნის ახალი საბაბი

— კიდევ ერთხელ გაიჟღერა იდეამ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დასმის შესახებ. ამჯერად, ინიციატორი თქვენ ბრძანდებით. რა არის ამის მიზეზი?

გოჩა პაიჭაძე, *პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე:*

— ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც თვითონ პრეზიდენტი არღვევს კანონს. მხედველობაში მაქვს მის მიერ გამოცემული განკარგულება, რომელიც გეოლოგიის დეპარტამენტიდან გამოსახლებული დევნილების ამ შენობაში დაბრუნებას ითვალისწინებს. რა ხდება? სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მათი გამოსახლების შესახებ, სააღმსრულებლო დეპარტამენტმა კი, როგორც იქნა, ერთი სასამართლო გადაწყვეტილება აღასრულა. მაგრამ რად გინდა? მეორე დღეს, პრეზიდენტმა დევნილებს ბოდიში მოუხადა და უკანვე შეასახლა. პრეზიდენტის ეს განკარგულება უფლებამოსილების გადამეტება და კონსტიტუციის დარღვევაა. არ ვიცი, რამდენად მიაქცევენ ამას ყურადღებას პოლიტიკური პარტიები, მაგრამ ვფიქრობ, შევარდნაძის ეს განკარგულება იძლევა იმპიჩმენტის მოთხოვნის საფუძველს. ამ საკითხზე ოპოზიციური ფრაქციები მოვითათბირებთ და მერე ხელმოწერების შეგროვებას დავიწყებთ. ვნახოთ, ჯერ სათანადო რეაგირებას ველოდები იუსტიციის სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოსგან. თუ ისინი თავიანთ პოზიციას არ გამოხატავენ, კომიტეტის ორმა წევრმა უკვე მომმართა წინადადებით, ეს საკითხი კომიტეტის

სხდომაზე განვიხილოთ. ერთი კვირის განმავლობაში თუ რეაგირება არ იქნება, მაშინ ჩვენ ავტეხთ განგაშს. ასეთი პრეცედენტის შემდეგ, რა გარანტია გვაქვს, რომ სასამართლოს მომავალ გადაწყვეტილებებში სახელმწიფო მინისტრი ან გენერალური პროკურორი არ ჩაერევა?! ■

„ფრიდინსკის ეს განცხადება პოლიტიკურ ხასიათს ატარებს...“

— რა კომენტარს გაუკეთებთ რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის მოადგილის, სერგეი ფრიდინსკის განცხადებას იმის შესახებ, თითქოს პანკისის ხეობაში ამჟამად, 700-მდე ბოევიკი იმყოფება?

შალვა ლონდარიძე, *საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის პრესმდივანი:*

— ფრიდინსკის ეს განცხადება პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და ვფიქრობ, იმით არის განპირობებული, რომ რამდენიმე დღის წინ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სამი ჩეჩენი პატიმრის რუსეთში ექსტრადირებაზე უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო. ვალერი ჩხეიძე და მისი რუსი კოლეგა ვლადიმირ პრონიჩევი აქტიურად თანამშრომლობენ და შეტყობინება ჩეჩნების მიერ საქართველო-რუსეთის საზღვრის გადაკვეთის შესახებ ჩვენთან აუცილებლად შემოვიდოდა. საზღვრის ხსენებულ მონაკვეთზე დაცვა გაძლიერებულია. მარტო რუსეთის მხრიდან 3000-მდე მესაზღვრეა. მონიტორინგს ახორციელებენ ეუთოს მისიის წარმომადგენლებიც, რითიც საზღვრის დარღვევის შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი. ■

„ყველა ტყეში გახიზნული, პარტიზანი არ არის...“

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ სახელმწიფო მინისტრი და ასლან აბაშიძე რუსეთიდან იარაღის შემოტანასა და სამეგრელოში არეულობის ინსპირირებას აპირებენ. ამბობენ იმასაც, რომ პარტიზანების გარკვეული ნაწილი უკვე გაიხიზნა აფხაზეთის ტყეებში. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ამის თაობაზე?

თამაზ ნადარეიშვილი, *აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე:*

— პარტიზანული დაჯგუფებების ხელმძღვანელები ამ ინფორმაციას უარყოფენ და ამბობენ, რომ ტყეში შეიძლება, ვიღაც იყოს გახიზნული, მაგრამ ისინი პარტიზანები არ არიან. მათი თქმით, პარტიზანთა ჯგუფები ადგილზეა. არ არის გამორიცხული, ტყეში გახიზნული იყოს პარტიზანთა ის ნაწილი, რომელიც ერთი წლის წინ, სამეგრელოს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ არის განაწყენებული. ჯორბენაძისა და აბაშიძის ალიანსი კი, სამეგრელოში არეულობის ინსპირირების მიზნით, სიმართლე რომ გითხრათ, ალოგიკურად მეჩვენება. ჯორბენაძე საკუთარ თავს ხომ არ მოუწყობს დესტაბილიზაციას? როგორც იცით, სახელმწიფო მინისტრი სახელისუფლებო ბლოკს ხელმძღვანელობს და ეს მითქმა-მოთქმაც ალბათ ამ ბლოკის დაშლას ისახავს მიზნად... ■

„პრესასაც უნდა მივცეთ თავისუფლება!“

— როგორ ფიქრობთ, დააკმაყოფილებს თუ არა ხელისუფლება მოთხოვნას, გადასახადებისგან მასმედიის გათავისუფლების შესახებ და რამდენად აძლევს ეს ხელს?

ელენე თევდორაძე, *პარლამენტარი:*

— თუ გვინდა, რომ პრესა თავისუფალი იყოს, მასმედია აუცილებლად უნდა გავათავისუფლოთ გადასახადებისგან. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემი ფრაქცია ამ გადაწყვეტილების მომხრე იყოს. მთავარია, ფინანსთა სამინისტრო და საგადასახადო ამ გადაწყვეტილების სისწორეში დავარწმუნოთ. ჩემი აზრით, ხელისუფლება ამის დიდი მოსურნე არ არის, რადგან ინიციატივა მისი მხრიდან არ მოდის. პირველ რიგში, აქ წმინდა ეკონომიკური დაინტერესებაა: ჩვენი ბიუჯეტისთვის ხომ ნებისმიერი თეთრი მნიშვნელოვანია. იმედი არა მაქვს, რომ არჩევნამდე მოხდება გადასახადებისგან მასმედიის გათავისუფლება, მაგრამ ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ. თუ საქართველოში სიტყვის თავისუფლებაა, მაშინ პრესასაც უნდა მივცეთ თავისუფლება! ■

„ღამის მზერა“ ინგა გრიგოლიასთან ერთად“...

— ხანგრძლივი ტაიმ-აუტის შემდეგ, სულ ცოტა ხანში, ისევ გიხილავთ ტელეეკრანზე. რა შინაარსის გადაცემას წაიყვანთ და კიდევ — ახალ ტელეკომპანიაში წამყვანის ამპლუაში შეცვლილი იმიჯით ხომ არ მოგვევლინებით?

ინგა გრიგოლია, *ჟურნალისტი:*

— უსაქმურობამ მართლაც ძალიან დამღალა. ტელეკომპანია „მზე“, როგორც იქნა, 27 მაისს გავა ეთერში. მართალია, მე მომზადებული მქონდა ჩემი პროექტი, მაგრამ გადაცემა, რომელსაც ჰქვია „ღამის მზერა“ ინგა გრიგოლიასთან ერთად“, კვლავ ძველი ფორმატისა იქნება — ეი. იმ ფორმატისა, რომელიც „ღამის მოამბეს“ ჰქონდა. გადაცემა გავა ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, ისევ 11 საათზე და მასში ისევ დღის მთავარი თემა იქნება გაშუქებული. 11 საათი იმიტომ ავირჩიეთ, რომ კონკურენცია გავუწიოთ ყველა იმ გადაცემას, რომელიც სწორედ ამ დროს გადის ეთერში. „პირველ არხზე“ მუშაობის დროს,

საკმაოდ მყარი რეიტინგი მქონდა და იმედი მაქვს, ჩემი მაყურებელი კვლავ მეყოლება! რაც შეეხება იმიჯის შეცვლას — იმავე იმიჯით წარვდგები, რადგან განაზება და გაპრანჭვა ნამდვილად არ შემიძლია, როგორიც ვარ საერთოდ, ეკრანზეც ისეთი ვარ — მოძრავი და ემოციური. სხვათა შორის, „ბი-ბი-სის“ პროდიუსერებმა ნახეს ჩემი ძველი გადაცემები და განაცხადეს, რომ იმავე იმიჯით უნდა წარვმდგარიყავი, რაც აქამდე მქონდა... ასე რომ, მიყურეთ და შემაფასეთ!..

■

„ხელისუფლებიდან მილოშევიჩის ჩამოცილების მეთოდების გასაზიარებლად ბელგრადში ჟვანია, სააკაშვილი და გამყრელიძე იყვნენ“

— ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირების მიზეზი მოძრაობა „კმარა“ გახდა. ხელისუფლება შეშინებულია, რომ ამ პროგრამის საშუალებით და ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით, ოპოზიცია მას დაამხობს. გავრცელდა ხმები, თითქოს თქვენ ბრძანდებოდით ბელგრადში და მილოშევიჩის ხელისუფლებიდან ჩამოცილების მშვიდობიან მეთოდებს გაეცანით. გამოდის, რომ ხელისუფლების შიში უსაფუძვლო არ არის?

გიორგი ბარამიძე, *პარლამენტარი:*

— არ მესმის, რატომ ატყდა ასეთი აჟიოტაჟი „კმარას“ გარშემო. ეს არის მსოფლიო პროექტი, რომელსაც დასავლეთი აფინანსებს და მხარს უჭერს. ამაში ჩამულნი არიან ამერიკის შესაბამისი ინსტიტუტებიც. ხელისუფლებიდან მილოშევიჩის ჩამოცილების მეთოდებისა და მექანიზმების გასაზიარებლად, ბელგრადში ზურაბ ჟვანია, მიხეილ სააკაშვილი და დავით გამყრელიძე იყვნენ ჩასულები. ამაში ახალი და სათაკილო ანდა დასამალი არაფერია! კანონისა და კონსტიტუციის ჩარჩოებში, მშვიდობიანი მეთოდებით ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ხელისუფლება ქვეყნის მმართველობას ჩამოვაშოროთ!.. თუ ხელისუფლება კვლავ გააგრძელებს თავისი ბინძური მეთოდების გამოყენებას და არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების საშუალებას არ მოგვცემს, მასობრივ მანიფესტაციებს მოვაწყობთ. არანაირ ძალისმიერ მეთოდებზე არ არის საუბარი და თუ ხელისუფლება უკანონო ქმედებებს არ დაუშვებს, მაშინ მანიფესტაციებიც აღარ იქნება საჭირო!..

■

„პოლიტიკიდან წასვლას ვაპირებ“

— რამ გადაგაწყვეტინათ, რომ „აღორძინებას“ გამიჯვნოდით და ახლო მომავალში, პოლიტიკას საერთოდ ჩამოშორებოდით? და კიდევ — გამოხვედით ინიციატივით, რომ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან ერთად, შეისწავლით გაუფასურებული ანაბრების საკითხს და თვენახევარში სრულ სურათს წარმოადგენთ. რა შეგიძლიათ გვითხრათ ყოველივე ამის შესახებ?

ნოდარ ჯავახიშვილი, *პარლამენტის წევრი:*

— სამწუხაროდ, ვერც პარლამენტმა და ვერც „აღორძინებამ“ ჩემი პოტენციალი ვერ გამოიყენა. თუ კიდევ არ შემეცვალა აზრი, პოლიტიკიდან წასვლას ვაპირებ. ვრცელდება ხმები, თითქოს მომავალ არჩევნებში სიღნაღის რაიონში ვიყრი კენჭს მაჟორიტარ დეპუტატად. ესეც ტყუილია, სიღნაღში ისეთი ხალხი აპირებს არჩევნებში ჩაბმას და იმდენი ფული აქვთ, რომ პარლამენტს კი არა, მთელ ქიზიყს იყიდიან. რაც შეეხება ანაბრებს — საქართველოში არ მეგულება ოჯახი, რომელსაც ეს პრობლემა არ შეხებოდა. 4 მილიონ ადამიანს გაუუფასურდა ანაბარი. პირველ რიგში, დასადგენია, რა რაოდენობის ანაბრები გაუფასურდა საქართველოში 1992-94 წლებში. ზოგჯერ ისეთ ციფრებს ასახელებენ, რომელიც რეალობას არ შეეფერება. არარეალურია ისიც, თითქოს ანაბრების ჯამური თანხა 47 მილიარდ დოლარს შეადგენს და ისიც, რომ ეს ანაბრები მხოლოდ 500 მილიონი დოლარია. ასევე არარეალურია პოლიტიკურ ძალთა დაპირებები, რომ მოსახლეობას მის კუთვნილ ფულს დაუბრუნებენ. ეს მათი წინასაარჩევნო ტრიუკია. ანაბრების დაბრუნებას დიდი დრო სჭირდება და ძირითადად, სახელმწიფოს შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. სასაცილოა, რომ მოსახლეობა ანაბრების დაბრუნებას იმავე ხელისუფლებისგან ელის, რომელმაც მას ფული წაართვა. მტკივნეული თემაა ამ თანხების ინდექსაციაც. 1992 წლისთვის, 30.000 მანეთი მქონდა ბანკში. ამ თანხით მაშინ ყველაზე ძვირად ღირებულ მანქანას ვიყიდდი, ახლა კი, იმ ინდექსაციით, როგორითაც შევარდნაძე გვპირებს ფულის დაბრუნებას, მანქანის აკუმულატორიც კი აღარ მომივა... ანაბრების გაუფასურებაში ძირითადი დამნაშავე ეროვნული ბანკია და ამაში გარკვეული წილი ფინანსთა სამინისტროსაც მიუძღვის...

■

ცოლ-ქმარი, რომელთა შორისაც დიდი ასაკობრივი სხვაობაა, ყოველთვის საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა. ყველას აინტერესებს, როგორ მოხდა მათი შეუღლება, აქვს თუ არა ასაკის გამო ცოლ-ქმარს კომპლექსი. როგორ შეხვდნენ მათ გადაწყვეტილებას შეუღლების შესახებ მშობლები და ა.შ.

მამისტოლა ქმარი – სხვაობა 29 წელი
დედისტოლა ცოლი – სხვაობა 22 წელი

ნანა ქიბიმაური

საკუთარ ქმარზე მანამდე ვზრუნავდი, სანამ დაიბადებოდა: სახელიც მე დავარქვი, გავზარდე და მერე ცოლად გავყევი!

თავდაპირველად, ერთ ოჯახს ვესტუმრეთ – ოჯახს, რომლის შესახებაც მეზობლებმა მხოლოდ ის იციან, რომ ცოლი ქმარზე 22 წლით უფროსია. კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან და ორი შვილი – როგორც მათ გვითხრეს, ენით აუწერელი სილამაზის ქალ-ვაჟი ჰყავთ. ქალბატონმა ლიამ ინტერვიუზე ჯერ სასტიკი უარი გვითხრა: ჩემთვის დღესაც ძალიან მძიმეა ამ თემაზე საუბარი, ეს არის ჩემი, როგორც ქალისა და როგორც დედის ტრაგედია; არ ვიცი მეზობლებმა რა გითხრეს, მაგრამ ვგრძნობ, კარგს არაფერს იტყოდნენ და ნუ დაიჯერებთ – მე არ ვარ ჯადოქარიო... მაგრამ მერე, ღობის გაღმა-გამოღმა დაწყებული დიალოგი მის ბინაში გაგრძელდა და ინტერვიუც შედგა.

– მითხარით, რა გითხრეს? მარტო თვითონ არ გაუჩენია, თორემ შვილივით გამოზარდა, ბოლოს კი, ლოგინში ჩაუწვაო, ჯადოს უკეთებსო... მითხარით – ხომ ასე იყო? ნუ გერიდებათ, გული აღარ მეტკინება: უკვე იმდენჯერ მეტკინა, რომ ტკივილის განცდის უნარი დამეკარგა...

— არა, ქალბატონო ლია, ცუდი არაფერი მოგვისმენია. მე მგონია, თქვენ გაქვთ კომპლექსი და ამის გამოა, რომ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევით...

– ჩემს გათხოვებამდე ვერავინ დასწამებდა ჩვენს ოჯახს კარჩაკეტილობას. მამა ადრე გარდამეცვალა. მე, დედა და ჩემი უმცროსი და ნახალოვკაში, საკმაოდ დიდ სახლში ვცხოვრობდით, რომლის ეზოს კარიც სულ ღია იყო. 3-4 ოთახს ვაქირავებდით და მდგმურებიდან მიღებული შემოსავალი სამ ადამიანს თავისუფლად გვყოფნიდა. ერთ დღეს, ჩვენთან ფეხმძიმე გოგო მოვიდა: ოთახს ხომ ვერ მომაქირავებთო? მარტო იყო, აღმართზე ამოსვლით დაღლილი, სულს ძლივს ითქვამდა, თან ისეთი ნაღვლიანი იყო... ყველა ოთახი გაქირავებული გვქონდა, მაგრამ ისე შეგვეცოდა, ჩვენთვის განკუთვნილი ერთი ოთახი დავუთმეთ და თან მისი ამბით დავინტერესდით. რატომ გამოგიშვა ქმარმა ფეხმძიმე ქალი მარტო-მეთქი? – ვკითხე. – სტუდენტი ვარ, ბიჭმა, რომლისგანაც ფეხმძიმედ ვარ, მიმატოვა, მისი მშობლები ჩვენი ქორწინების წინააღმდეგნი არიანო, – ტირილით მითხრა. – ბავშვი რომ დაიბადება, საღამოს დასწრებულზე გადავიტან საბუთებს ან აკადემიურს ავიღებ და მერე ცხოვრება მიჩვენებს, როგორ მოვიქცეო. ძალიან კარგი ადამიანი იყო. საოცრად შევიყვარეთ ერთმანეთი. ბიჭი რომ დაიბადა, ვუთხარი: მაინც შინ ვზივარ, არაფერს ვაკეთებ, ბავშვის გაზრდაში მე მოგეხმარები, სწავლს ნუ შეწყვეტ-მეთქი. მოკლედ, არც საღამოზე გადავატანინე საბუთები და არც აკადემიური ავაღებინე.

— ეი. დიდი ამაგი გაქვთ საკუთარ ქმარზე?

– გეცინებათ, არა? მართლაც, მასზე მანამდე ვზრუნავდი, სანამ დაიბადებოდა. სახელიც მე დავარქვი, გავზარდე და მერე ცოლად გავყევი... ფეხი რომ აიდგა, უამრავი ფოტო გადავუღეთ. რა ბედნიერი ვიყავი! ვაჭმევდი, ვუცვლიდი, ვუვლიდი. სანამ დედამისი ლექციებიდან არ დაბრუნდებოდა, გვერდიდან არ ვიცილებდი. გელა 2 წლის იყო, მისი მშობლები რომ შერიგდნენ. მამამისიც ჩვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად. 10 წელი ჩემს სახლში შეუსრულდა. შემდეგ ისინი რაიონში გადავიდნენ საცხოვრებლად და კიდევ ორი შვილი გააჩინეს. მართალია, ისე ხშირად ვეღარ ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ კონტაქტი არ გაგვიწყვეტია. გელა სკოლის დამთავრების შემდეგ, უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. თბილისს არ იცნობდა. გამოცდებზეც მე დავყვებოდი. სტუდენტობის პერიოდში, მისმა მშობლებმა ისევ ჩემთან არჩიეს მისი დატოვება. აი, ამ პერიოდში შეგვიყვარდა ერთმანეთი.

— კი, მაგრამ ყველაზე მთავარს, ყველაზე მოკლედ გვიამბობთ...

– კონკრეტულად ამ პერიოდზე მეტი არაფერი მკითხოთ. მაინც ვერაფერს გეტყვით – ნამდვილად არ ვიცი, როდის შევხედე მას, როგორც მამაკაცს, ან მან როდის შემომხედა პირველად, როგორც ქალს...

— თქვენ მანამდე გათხოვილი არ ყოფილხართ?

– არა. გელა იყო ჩემთვის პირველი მამაკაცი, მე კი, მისთვის პირველი ქალი. უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, რაიონში არ დაბრუნდა. ალბათ მისი ახლობლების ყურამდეც მიაღწია ჩვენი ურთიერთობის ამბავმა. მშობლების გარდა, მისი თითქმის ყველა ნათესავი ჩამოვიდა და მას რაიონში დაბრუნება მოსთხოვა. გელამ მათ პირდაპირ გამოუცხადა: ეს ქალი ჩემი ცოლია და აქედან არსად წამოვალო. როცა დედამისს უთხრეს მისი სიტყვები, გაოცებულს უთქვამს: ჩემი შვილისაგან თვითონ უნდა მოვისმინო ეს სიტყვები – ისე ამას ვერასოდეს დავიჯერებო, – და ერთი კვირის შემდეგ, თბილისში წამოვიდა. მარტო წამოსულა, რადგან არავინ გამოჰყვა. აღარავის უნდოდა თურმე, კიდევ ერთხელ ჩვენი ნახვა... ჩვენი სახლი აღმართზე დგას, წინ აივანი აქვს, რომელიც გზას გადაჰყურებს. ამ აივანზე ვიდექით, გელას ხელი ჰქონდა ჩემთვის მოხვეული. დავინახე, რომ გზაზე ქალი მოდიოდა და ჩვენკენ იყურებოდა. მერე, უცებ წაიქცა. ხალხი რომ შემოეხვია, უკვე მკვდარი იყო. გული გაუსკდა და ადგილზევე გარდაიცვალა... გელა დედის დაკრძალვაზე არ მიუშვეს. ძმებმა შემოუთვალეს: დედა შენ მოგვიკალი და არ გაბედო ჩამოსვლა, თორემ სოფელი ჩაგქოლავსო. ამის შემდეგ, არანაირი კონტაქტი გელას თავის სანათესავოსთან აღარ ჰქონია. ძმისშვილებსაც კი არ იცნობს... ამ ამბავმა შემზარა. გელას დედა ჩემზე ორი წლით უმცროსი იყო, ძალიან უბედური ვიყავი. ვათვალიერებდი ჩვენს ერ-

თად გადაღებულ ფოტოებს, რომელსაც ორივე გელასთან ერთად ვიღებდით და ცხარე ცრემლით ვტიროდი. ორი დღე არც გელა ამდგარა საწოლიდან. ხმას არ ვიღებდით, მაგრამ ვგრძნობდით – ორ უბედურ და მარტოსულ ადამიანს ერთმანეთის მეტი არავინ გვყავდა. გავიარეთ ზღვარზე, როდესაც ან უნდა შეგვზიზღებოდა ერთმანეთი, ან უფრო მეტად შეგვყვარებოდა. ისევ სიყვარულმა გაიმარჯვა. ჩვენ ისევ ერთად ვიყავით და გვეჩვენებოდა, რომ ჩვენს წინააღმდეგ იყო მთელი მსოფლიო.

— ნუთუ, ახლაც გაქვთ ასეთი განცდა?! რატომ გაურბიხართ ადამიანებს? ბოლოს და ბოლოს, ყველანაირ მდგომარეობას და გარემოს ეგუება ადამიანი...

– უკვე 72 წლის ვარ და ვფიქრობდი – შევეგუე-მეთქი, მაგრამ რამდენიმე დღის წინ, ინკასატორი იყო ჩვენთან მოსული, ქვითრები გამოწერა და გადმომცა. მეორედ რომ მოვიდა, უკვე გელა დახვდა შინ და მესმის მათი საუბარი: „გაეჭვებთ რამე? კი, ბატონო, დედათქვენს დავუტოვე ქვითრები და ხელახლა გადავსინჯოთ“. გულში ისევე ჩამწყდა რაღაც, როგორც წლების წინ, როდესაც მითხრეს, როგორ უსაყვედურა მშობელთა კრებაზე მისულ გელას რუსულის მასწავლებელმა: „თქვენს შვილებს დედათქვენი უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე თქვენი მეუღლე“. ყველას, საკუთარი ქმრის დედა და საკუთარი შვილების ბებია ვეგონე... არის რაღაც პერიოდი, როდესაც ქალსა და კაცს შორის ასაკობრივი სხვაობა არ არის შესამჩნევი. ჩვენს შემთხვევაში, ეს პერიოდიც არ ყოფილა. ფიზიკურად მე ჩემს ასაკთან შედარებით უფრო ხნოვანს ვგავდი, გელა კი, პირიქით – უფრო ახალგაზრდას, ამიტომ თითქმის არასოდეს გამოვჩენილვართ ხალხში ერთად.

— მეუღლის ღალატის არ გეშინოდათ?

– მას ჩემთვის არასოდეს უღალატია. ის ახლაც ძალიან სიმპათიური მამაკაცია. მეზობლის ქორწილში იყო 5-6 წლის წინ და პატარძლის მაყრებიდან ერთ-ერთ ქალბატონს დაუდგამს მისთვის თვალი. ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა, ნახევრად ქართველი და ნახევრად უკრაინელი. თანაც გაიგო თურმე, რომ მის მოწონებულ მამაკაცს თავისზე 22 წლით უფროსი ცოლი ევჯდა შინ და ალბათ იმედიც მიეცა. ერთი წელი იწვალა თურმე. მერე დამირეკა და მითხრა: როგორ არ ვეცადე, რა ხერხს არ მივმართე, ბოლოს ვიფიქრე: ალბათ, მე არ მოვწონვარ-მეთქი, – და სხვადასხვა დროს, 4 ულამაზესი ქალი მივუგზავნე. მაგრამ არავის არაფერი გამოუვიდა; აწი არაფერი მინდა – მარტო ის მითხარი, რა ჯადო გაუკეთე ამისთანაო?

— რა უპასუხეთ?

– ჯადო რა არის, ქალბატონო?! – დიდი სიყვარული ჯადოზე ასჯერ ძლიერია და ასეთ სიყვარულს გისურვებთ-მეთქი. მაგრამ მხოლოდ სიყვარულშიც, თუნდაც დიდში, არ ყოფილა ბედნიერება. მართლაც ლამაზი შვილები გვყავს. მოცეკვავეები არიან. ვაჟიშვილი უცხოეთშია გადახვეწილი, გოგო კი სულიერად დამიავადდა: შეყვარებული ჰყავდა; დასანიშნად რომ მოვიდნენ, სასიძომ პირველად მაშინ გვნახა მე და ჩემი მეუღლე. არაფერი უთქვამს – გატრიალდა და წავიდა. იმ საღამოს, ჩემმა გოგონამ ორჯერ დაირტყა მუცელში დანა. არავის ეგონა, თუ გადარჩებოდა. გადარჩა, მაგრამ შიზოფრენია და სუიციდისადმი მიდრეკილება დროდადრო ისევ ახსენებს თავს. ამის დამალვას აზრი არა აქვს. გული მომიკვდა, როდესაც ერთ-ერთი მეზობლის ნაჭორავებმა ჩემამდე მოაღწია: ლიას ცოდვა – ჯადოთი რომ ჰყავს ქმარი შეკრული – შვილზე გადავიდაო.

— რატომ ახსენებენ ასე ხშირად ჯადოს?

– იმის გარდა, რომ ასაკით უფროსი ვიყავი, არასოდეს ვყოფილვარ ლამაზი. არც ახალგაზრდობაში. და თუ ეს კაცი სიბერემდე შევინარჩუნე, ალბათ იმიტომ, რომ არასოდეს მიცდია, რაიმე ხერხით მისი შენარჩუნება.

— ვაჟიშვილი რატომღა გადაიხვეწა?

– უცხოეთში წამოიწყო საქმე. ახლახან დაურეკა დას: ცოტაც მადროვე, ჩემთან წამოგიყვან, მოგარჩენ და ისევ ერთად ვიცეკვებთ, ისეთივე ჯანმრთელები და ლამაზები ვიქნებით, როგორებიც ანსამბლში ვიყავითო. „ქართულს“ და „აჭარულს“ ცეკვავდნენ, მათ ცქერას მართლაც არაფერი ჯობდა... შვილებმაც ვერ გაგვიგეს ბოლომდე. სულ გვეხვეწებოდნენ – კონცერტზე ერთად არ მოხვიდეთო. არც შინ მოუყვანიათ ოდესმე მეგობარი. ვიცი, ისინი გაარღვევენ წრეს და მიიღებენ ცხოვრებისგან იმდენს, რამდენიც ეკუთვნით. მე და ჩემი ქმარი კი, ისევ მარტონი დავრჩებით. მარტონი მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ. მერე კი... რა ბედნიერებაა, რომ პირველი მე უნდა მოვკვდე!..



მზეოს უხარია სიცოცხლე, მე ჯი ძველ წლებს მივტირი

საბედნიეროდ, წყვილებს შორის ასაკობრივი სხვაობა ყოველთვის არ არის დეპრესიის საფუძველი. უამრავი მაგალითია, რომელიც ცხადყოფს: სოლიდური ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ცოლ-ქმარი ახერხებს იყოს არა მარტო შეყვარებული, არამედ ბედნიერიც.

ვახუშტი კოტეტიშვილს და მზექალა გოგოჭურს თუ დავუჯერებთ, საამისოდ ერთი რამ არის საჭირო: წყვილმა გულთან ახლოს არ უნდა მიიტანოს საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მათ ერთად ყოფნის ბედნიერების დაგემოვნებაში შეუშლის ხელს.

მზექალა გოგოჭური:

– მე და ვახუშტი გაცნობიდან 2 თვეში დავქორწინდით. ხალხის აზრი ორად გაიყო: ჩვენმა „გულშემატკივრებმა“ უფრო განიცადეს ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა, ვიდრე ჩვენ. ვახუშტი მაშინაც აბსოლუტურად შეესაბამებოდა ჩემს გემოვნებას და ახლაც ასეა. ერთი ეს არის, რომ სულ ბავშვის მდგომარეობაში ვარ და ალბათ ამას ვერც ვერასოდეს დავაღწევ თავს. მამაჩემს ჰქონდა კომპლექსი – ყველა ჩემს ნაცნობს ხაზგასმით ეუბნებოდა, რომ ვახუშტი 58 წლის იყო, მე კი – 29-ის. თვითონ ვახუშტი ამას იუმორით უყურებდა: „მათემატიკა კარგად არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი – რადგან მეორე ნახევარია, ასკითაც ნახევარი უნდა იყოს“. იყვნენ ისეთებიც, ვისაც მიაჩნდა, რომ მე არ შევეფერებოდი ისეთ ცნობილ, პოპულარულ და მაღალი რეგალიების მქონე კაცს, როგორიც ვახუშტი კოტეტიშვილია. ასეთმა ხმებმა, სიმართლე გითხრათ, თავიდან დამაკომპლექსა. ერთხელ – ახ-

მზეოს უხარია სიცოცხლე, იმიტომ, რომ ბავშვია. ღმერთს ვთხოვ, სულ ასეთ განწყობაზე ამყოფოს! მე კი, ძველ წლებს მივტირი...

ალი გათხოვილი ვიყავი – როდესაც ასაკი მკითხეს, ვთქვი: 36-ის ვარ-მეთქი. მას შემდეგ, რაც ვახუშტი გავიცანი, ყოველთვის მინდოდა, უფრო დიდი ვყოფილიყავი, უფრო დარბაისელი ქალის გარეგნობა მქონოდა. წლებს რომ ვიმატებდი, ჩემმა მულმა გაიგო და ვახუშტისთან „ჩამიშვა“. მან ბევრი იცინა: „მე ის მიხარია, ასეთი ახალგაზრდა ცოლი რომ მყავს და რატომ იმატებ წლებს? მითქმა-მოთქმას ყურადღებას რად აქცევ?“ იმის მიუხედავად, რომ ჩვენ შორის დიდი სხვაობაა, აბსოლუტურად ერთნაირი გემოვნება გვაქვს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელოვნებაზეა ლაპარაკი. რაც შეეხება ჩაცმულობას, არასოდეს არაფერი აუკრძალავს ჩემთვის. მე კი მაქვს პატარა შენიშვნები: ვახუშტის ძალიან უყვარს სპორტული სტილი, ჯინსი. სულ ვეხვეწები, კლასიკური პიჯაკი ჩაიცვას, მაგრამ... თუმცა, არა, მასაც აქვს ხოლმე შენიშვნები. ეს ძირითადად ჩემს მაკიაჟს ეხება: ურჩევნია, არანაირი მაკიაჟი არ გავიკეთო. თუმცა, მისი პოზიცია რჩევის ფარგლებს არასოდეს სცილდება და კატეგორიულობით არ გამოირჩევა. ხასიათი, ვახუშტისთან შედარებით, უფრო მხიარული მაქვს.

ვახუშტი კოტეტიშვილი:

– მზეოს უხარია სიცოცხლე, იმიტომ, რომ ბავშვია. ღმერთს ვთხოვ, სულ ასეთ განწყობაზე ამყოფოს! მე კი, ძველ წლებს მივტირი. ნეტავ, შეიძლებოდეს უკან დაბრუნდეს დრო. ყოველ წელს ხომ, ჩემთვის სიბერე მოაქვს...

მზექალა:

– ეს კაცი ძალიან მიყვარს. არც არასოდეს მინანია, რომ მისი ცოლი ვარ და ყველას ვურჩევ, მხოლოდ საკუთარ გრძნობას მიენდოს, თუ მართლა ეძებს ბედნიერებას. ის, რასაც თქვენ წყვილებს შორის კონტრასტს უწოდებთ, წარმავალია: სილამაზეც ქრება, წონაც შენს ხელთაა... რაც შეეხება ასაკს – გვინდა თუ არა, ყველანი ვბერდებით... არასოდეს შეარჩიოთ სიყვარულის ობიექტი გარეგნობის მიხედვით. პიროვნება უნდა იყო და თუ მართლა გიყვარს, შენთვის მეათეხარისხოვანი იქნება, რას იტყვის ხალხი. უსუსურია ის წყვილი, რომელსაც ამგვარი კომპლექსი შეაწუხებს და თან ისე, რომ ფსიქოლოგის დახმარება დასჭირდება.

ვახუშტი:

– ყველას აინტერესებს, როგორ წარ-

ეს კაცი ძალიან მიყვარს. არც არასოდეს მინანია, რომ მისი ცოლი ვარ და ყველას ვურჩევ, მხოლოდ საკუთარ გრძნობას მიენდოს, თუ მართლა ეძებს ბედნიერებას

ვუდგინე შვილებს პირველად, მათი თანატოლი დედინაცვალი. ეს არც ისე ძნელი იყო, იმიტომ, რომ მე და ჩემი შვილები ერთმანეთის პირად ცხოვრებაში უტაქტოდ არასოდეს ჩავრეულვართ. გუგამ მზეო პირველად მაშინ ნახა, სახლში რომ მოვიყვანე. იმ დღეს, გუგა შინ გვიან ნასვამი დაბრუნდა. მზეო თბილად შეხვდა. გაცნობის შემდეგ, ჯერ სუფრა გაუწყო, მერე ლოგინი გაუშალა. გუგა რომ დაწვა, მზეომ ჩაი მიართვა. გუგას ოთახში რომ შევიხედე, გაღიმებულმა ხელით მანიშნა – ახლოს მოდიო. მივუახლოვდი და ხმადაბლა მითხრა: მამა, ახლა მივხვდი, რომ კაცს „დედა“ მასზე 2 წლით უმცროსი უნდა ჰყავდესო. ასეა – შეგნებულ ოჯახში ყველაფრის მოგვარება შეიძლება ისე, რომ კაცს თავისი გადაწყვეტილების გამო დაბრკოლება არ შეექმნას.

ია ახვლედიანი, *ფსიქოლოგი:*

ბოლო დროს, განსაკუთრებით გახშირდა ასაკით ბევრად განსხვავებულ წყვილს შორის ქორწინება. ეს აიხსნება როგორც ფსიქოლოგიური ფაქტორებით, ასევე სოციალური ფონით. ფსიქოლოგიაში აღიარებული ფაქტია: ის ბიჭი, რომელსაც თავისზე ბევრად უფროსი ქალი უყვარდება, ქალში ეძებს დედას, გოგონა კი, საყვარელ მამაკაცში მამას ეძებს. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ თუ გოგონას მამის სითბო აკლია (მამა გარდაცვლილია, მშობლები ერთად არ ცხოვრობენ ან ცხოვრობენ, მაგრამ მამა არ არის ისეთი, როგორითაც გოგონა იამაყებდა), მაშინ ის

ქვეცნობიერად მამის დეფიციტის შევსებას ცდილობს და ხშირად, იხიბლება ისეთი მამაკაცით, რომელიც ასაკით მამად უფრო ეკუთვნის. ასეთი ფაქტები უფრო ხშირია და მამაკაცების უმრავლესობა ასე მსჯელობს: რა არის მამაკაცისათვის უკეთესი, ვიდრე ახალგაზრდა და ლამაზი ცოლი?!. საზოგადოება უფრო მკაცრია იმ შემთხვევაში, თუ ქალია უფროსი და თანაც – ბევრად. რატომღაც ჰგონიათ, რომ ასეთ დროს, ქალმა იაქტიურა და ბიჭი საწოლში შეიტყუა (თუმცა, ზოგჯერ, არც ეს ვარიანტია გამორიცხული)... თავისებური ახსნა აქვს იმასაც, რომ თუ გოგონა, მასზე ბევრად უფროს მამაკაცს მიჰყვება ცოლად, ამ ამბავს უფრო მტკივნეულად მამები განიცდიან. და პირიქით – თუ ვაჟს უყვარს უფროსი ქალი, ეს დედისთვის უფროა ტრაგედია, ვიდრე მამისთვის. ალბათ გაგიკვირდებათ, მაგრამ ჩვენი საზოგადოება იმდენად აგრესიული არ არის ასაკით განსხვავებული წყვილების მიმართ, როგორც ვთქვათ, იმ წყვილის მიმართ, რომელიც იმით გამოირჩევა, რომ ცოლი ქმარზე ბევრად მაღალია. თუ გამხდარ მამაკაცს ბუთხუზა ცოლი ჰყავს – ეს კეთილ ღიმილს უფრო იწვევს, ვიდრე აგრესიას. მაღალი ცოლის ჩრდილში მდგომი კაცი კი, აზიური მენტალიტეტისთვის უფრო მიუღებელი ყოფილა. ასე რომ, ისინი, ვისაც ცოლი ზემოდან დაჰყურებს, უფრო უხერხულად გრძნობენ საზოგადოებაში თავს, ვიდრე ასაკით განსხვავებული წყვილი.

ის ადამიანები, ვინც მოსალოდნელი, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის მიუხედავად, მაინც იღებენ გადაწყვეტილებას, თავისი ბედი ერთმანეთს დაუკავშირონ, მკვეთრად გამოხატული პიროვნებების ტანდემია და მათი ურთიერთობა ხშირ შემთხვევაში, უფრო მყარია. მოგეხსენებათ, წინააღმდეგობები, აკრძალვები, არამკითხეთა რჩევები და სხვა ამგვარი, პროტესტის გრძნობას იწვევს: მე პიროვნება ვარ და ვიქნები იმ ადამიანის გვერდით, ვინც მსურს. სიყვარულს დამატებული ეს პრინციპი უკვე მყარი ოჯახის საფუძველია. ასაკით განსხვავებულ წყვილებს ვურჩევდი – შეძლონ, იმ გარემოს, სადაც მათზე საუბრობენ, უფრო მარტივად და მშვიდად შეხედონ. საღამოს კი, მათი სიყვარულის შესახებ გავრცელებული ათასგვარი ჭორი თუ ჭუჭრუტანიდან მომზირალი მეზობლის გამონათქვამი, ერთმანეთს სიცილით გაუზიარონ და ერთად მივიდნენ დასკვნამდე: რომ არა ჭორიკნები, რომლებიც ასე გვახალისებენ, რა მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება!..

■

პირველი სიტყვა, რომელიც სოფომ თქვა – „ბაბუ“ იყო

საქართველოს სახელმწიფო დაზვერვის სამსახურის უფროსი ავთანდილ იოსელიანი ე.წ. „გენერლების სახლის“ პირველ სართულზე მდებარე, კეთილმოწყობილ ბინაში ცხოვრობს. კარის გაღებისთანავე იგრძნობა იქ მცხოვრებთა დახვეწილი გემოვნება. ოროთახიანი ბინა მეორე სართულს კიბით უკავშირდება. კიბის მოაჯირი რკინისაა, რაც ჩუქურთმიანი ხის ავეჯით შექმნილ გარემოს თანამედროვე სტილს ანიჭებს. ავეჯი მასიური ხისაა, ერთი შეხედვით ანტიკვარულს ჰგავს, სინამდვილეში — ახალია. ის თბილისელ ხის ხელოსანს დაუმზადებია. ბინაში ანტიკვარული ნივთების „დეფიციტია“, რადგან დიასახლისი, ქალბატონი მარინა იოსელიანი სიძველეების მოყვარული არ არის, ანტიკვარიატის შინ შემოტანის წინააღმდეგია და ამბობს: სხვისი ნახმარი ნივთები სახლში არ უნდა გქონდესო.

ამ სახლში სახელმწიფო დაზვერვის შეფი, მისი მეუღლე და ქალიშვილები — ნინო და სოფო ცხოვრობენ. შუათანა — ეკა გათხოვილია. მისი მეუღლეა ვატო სოფრომაძე. სასიძოს სტრეოტიპი იოსელიანებს წინასწარ არ შეუმუშავებიათ. მათ მხოლოდ ერთი მოთხოვნა აქვთ: მომავალი სიძე ნარკომანი არ უნდა იყოს...

ლამაზი ქალებით გარშემორტყმული ავთანდილ იოსელიანი სახლში საქმეებში არ ერევა

ლელა ჭანკოტაძე

პირველი სართულიდან ხის კიბე სარდაფში ჩადის, რომელიც სახლის ყველაზე მყუდრო ადგილია და სადაც ნინო თავის მეგობრებს ღებულობს ხოლმე. პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, მთელი კედლის გაყოლებით დამაგრებული ულამაზესი აკვარიუმია.

ნინო:

— პარიზში იყო სპეციალური მაღაზიები, სადაც ხშირად დავდიოდი თევზების დასათვალიერებლად. მერე სურვილი გამიჩნდა, აკვარიუმი შემეძინა. ასე ვიყიდე წითელქუდა თევზები. თბილისში რომ დავბრუნდი, რა თქმა უნდა, მომინდა აკვარიუმი. ასე მოხვდა ჩვენს ოჯახში „აკვას“ სამყარო. ამაზონიის დაბლობის თევზებია, ორი პირანიაა, თითოც ლოქო და გველთევზა. კვირაში ერთხელ, ჩვენთან, მოდის კომპანიის წარმომადგენელი, რომელიც წყალს ცვლის. გვინდა კუც გვყავდეს, მაგრამ მეშინია მტაცებელმა თევზებმა არ შეჭამონ: რაც აკვარიუმში ლოკოკინები იყვნენ, მთლიანად შეჭამეს.

— ალბათ, ეს ოთახი აზიურ სტილშია გადაწყვეტილი, არა?

— ეს სარდაფი იმ სტილში მოვაწყვე, როგორშიც ჩემი პარიზული ბინა იყო მოწყობილი. კედელთან მდგარ ხის კარადაში, რაც კი ფაიფურის სათამაშოებია, ყველა საჩუქარია. ეს პატარა ანგელოზი ბავშვობაში დედაჩემმა მაჩუქა და ძალიან მიყვარს. კომპაქტდისკები ჩემი ჩამოტანილია. უმეტესობა, მერაია ქერის დისკებია: ჩემს დას — სოფოს, მერაია ძალიან უყვარს. უამრავი სანთელი, რომელსაც აქ ხედავთ, ჩინურია. სასიამოვნო სურნელს აყენებს — ზოგი ყავისას, ზოგი — ვანილისას. ამ სანთლებს ხშირად ვანთებ. ჯადოსნური სამყარო იქმნება ხოლმე. განსაკუთრებით, ზამთარშია აქაურობა ლამაზი. ბუხარს რომ დავანთებთ და ყველანი ერთად ვიკრიბებით, ნამდვილი დღესასწაულია. ბუხრის თავზე სამურაის ხმლები რომ დევს, მამაჩემს ჩამოუტანეს ამერიკიდან. სამურაი ყოველთვის ბუხარს დარაჯობს და ხაზს უსვამს იმას, რომ ოთახი აღმოსავლურ სტილშია გადაწყვეტილი. რაც შეეხება ფორტეპიანოს, მასზე დედაჩემი უკრავს ხოლმე. კლასიკური მუსიკა ძალიან უყვარს და ხშირადაც გვანებივრებს მშვენიერი ჰანგებით. ბარი ყველასათვის საყვარელი ადგილია. ბარში გვაქვს აზიური ჩილი. ესეც მამაჩემს აჩუქეს. არაბები შიგ ყრიან ნახშირს და აალებენ, ხოლო ზემოთ, სათავსში იყრება დაჭყლეტილი ხილი. იგივე სიგარეტია, ოღონდ, ჯანმრთელობისთვის მავნე არ არის. თანაც, საოცრად სურნელოვანია, როცა ჩილის ბოლოს პირში ჩაიდებ და ეწევი. მე მყავს ეგვიპტელი მეგობრები, მათგან ვისწავლე ჩილის დაყენება. დამიჯერეთ, ძალიან სასიამოვნოა და მრავალფეროვნებისთვის მშვენიერი მიგნებაა.

— ბარში უამრავი სასმელია. ეს ალბათ ბატონი ავთოს დამსახურებაა, ხომ?

— მამაჩემის საყვარელი სასმელი ღვინოა. ღვინოების კოლექციაც მას ეკუთვნის. ქალებს უფრო ლიქიორები გვიყვარს. მეცხრე კლასში ვიყავი პირველად, ალკოჰოლური სასმელი რომ გავსინჯე. ჩემი საყვარელი სასმელია მარტი-

ნი „ბიანკო“. როცა ოჯახის ყველა წევრი ერთად ვართ, ძირითადად წითელ ღვინოს ვსვამთ, იშვიათად — შამპანურს.

ოჯახში ჰარმონიას ქალბატონი მარინა ქმნის. მას სიახლეები უყვარს. ნებისმიერ სიახლეს მიესალმება. გოგონებთან ის დაქალივითაა. ცდილობს, შვილებს საქმე აარიდოს. ამიტომ საოჯახო საქმეებს ძირითადად, თვითონ აგვარებს, რადგან მიაჩნია — გოგონები რომ გათხოვდებიან, საოჯახო საქმეები მაშინაც ეყოფათ. ამიტომ სამზარეულოში ძირითადად თავად ტრიალებს. ქალბატონმა მარინამ ძალიან მთხოვა: ჩვენს თუთიყუშებზე ბევრს ნუ დაწერთო, — მაგრამ ამ ორმა საოცარმა ფრინველმა ისე მომხიბლა, რომ კალამი თავისით გამექცა...

აფრიკული თუთიყუშები კაკო და ჟაკო სახლის პირველ სართულზე ბინადრობენ. კაკო განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობს, როგორც კი ბატონი ავთო შინ შედგამს ფეხს, მაშინვე წამოიძახებს: „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!..“ სხვათა შორის, ჩვენც ასე შეგვეგება და ყურადღება რომ არ მივაქციეთ, აყვირდა: მაჭამეთო!.. იოსელიანებთან ცხოვრობს პუდელი ჯანიკო, რომელიც ნინომ პარიზში იყიდა. ორი წლის განმავლობაში, ნინოს ყველგან დაჰყავდა, სადაც კი მიდიოდა, მერე კი, მშობლების მოთხოვნით, თბილისში დატოვა. იქიდან მოყოლებული, ფრანგი ჯანიკო ქალბატონ მარინას განსაკუთრებით შეეჩვია. ოჯახის დიასახლისი ბანს ჯანიკოსაც და თუთიყუშებსაც. ჯანიკო ორ თვეში ერთხელ სილამაზის სალონში მიჰყავთ გასაკრეჭად.

მე მყავს ეგვიპტელი მეგობრები, მათგან ვისწავლე ჩილის დაყენება

ოჯახის დიასახლისს განსაკუთრებით უყვარს ყვავილები. სახლის მეორე სართულზე ყვავილებისთვის ცალკე ოთახია გამოყოფილი. უზარმაზარი პალმები და უცნაური იები საოცარი სილამაზით გამოირჩევა. ახმეა, რომელსაც უწინ ფილადელფოსს ეძახდნენ, ქალბატონი მარინას საყვარელი ყვავილია. დიასახლისს განსაკუთრებით იტაცებს ყვავილების გამრავლება. მეორე სართულზეა საჩუქრების კოლექციაც, რომელიც ბატონი ავთოსთვის მიურთმევიათ.

ამ ორმა საოცარმა ფრინველმა ისე მომხიბლა, რომ კალამი თავისით გამექცა...

მარინა იოსელიანი:

— ეს საჩუქრები სხვადასხვა ქვეყნიდან აქვს ჩამოტანილი. თითოეული ძალზედ ორიგინალური და ლამაზია. ისეთი მშვენიერი საჩუქრები აქვს, რომ ჩვენ, მისი ოჯახის წევრები მხოლოდ ოდეკოლონსღა ვჩუქნით ხოლმე. ყველა ხმალი, რომელიც კედელზეა ჩამოკიდებული, ასევე ნაჩუქარია.

— როგორი გემოვნება აქვთ, დედის თვალით, ნინოს, ეკას და სოფოს?

— ნინო ძალიან ავანგარდული ტიპია. სოფო და ეკა უფრო კლასიკურ სტილს ამჯობინებენ. ნინო მათგან მკვეთრად განსხვავდება. ბავშვობაშიც ასეთი იყო, ძალიან ცელქი, ჯიუტი და თავნება. 24-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა და ყველა მასწავლებელი ჭკუიდან ჰყავდა გადაყვანილი. ერთხელ, თმაშეღებილიც კი წავიდა სკოლაში, მერე ამერიკაში რომ წავიდა, იქ კერძო სკოლაში სწავლობდა, სადაც განსაკუთრებული რეჟიმი იყო, ზამთარ-ზაფხულ ჩექმით დადიოდა და რა თქმა უნდა, უშლიდნენ. თავის გასამართლებლად დირექტორს უთხრა: ჩემს მშობლებს იმის საშუალება არა აქვთ, რომ ფეხსაცმელი მიყიდონო...

— როცა ოჯახის წევრები ვერ თანხმდებით, ვის გემოვნებას ენდობით? ვინ იმარჯვებს?

— სიახლეები უმეტესად ნინოს შემოაქვს. მე ძალიან მსიამოვნებს და მივესალმები ამას. ხანდახან ჩაცმულობაში ვერ ვეთანხმები, ავთო აბსოლუტურად არ ერევა ჩვენს საქმეებში; ქალებს მთლიანად გადმოგვაბარა, სად რა უნდა დავდგათ და სახლი როგორ უნდა მოვაწყოთ.

— მისი კაბინეტის მოწყობაში თუ ჩაერევით?

— მე საერთოდ არა ვარ მასთან სამსახურში ნამყოფი. აზრზე არა ვარ, როგორი კაბინეტი აქვს. ვიცი, რომ ყვავილები არა აქვს, რადგან მეხვეწება: გამატანეო, — მე კი უარს ვეუბნები: იქ ვერავინ მოუვლის და გახმება-მეთქი.

— შვილებისგან მორთმეული პირველი საჩუქარი თუ გახსოვთ?

— პატარები რომ იყვნენ, მისალოც ბარათებს მიძღვნიდნენ ხოლმე. ყველა მათგანი შენახული მაქვს. ნინო ზღაპრებს წერდა და შემდეგ ასურათებდა. ეს ნახატებიც ჩემთან ინახება.

— მეუღლემ პირველად რა

მოგიძღვნათ?

— ავთომ დაბადების დღეზე ორი პატარა შანდალი მაჩუქა. დღემდე შენახული მაქვს. ხატებთან მიდევს.

— ბატონ ავთოს თუ ეხერხება ისეთი საჩუქრის შერჩევა, რომელიც მოგეწონებათ?

ნინო:

— სხვათა შორის, საჩუქრებს კარგად არჩევს. განსაკუთრებით სამკაულების ყიდვა ეხერხება, ასევე — ტანსაცმლისაც.

— ოჯახში ვინ ქმნის ყველაზე მეტ პირობლემას? ვინ არის ყველაზე მოუწესრიგებელი?

მარინა:

— სოფო. ის უმცროსია და ცხადია, გათამამებულია. სოფო 19 წლისაა. სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტია.

— თქვენს შვილსაც და შვილიშვილსაც სოფო ჰქვიათ. რატომ?

მარინა:

— ეკას უყვარს ეს სახელი და ამიტომ თავის შვილსაც სოფო დაარქვა.

ნინო:

— სოფო ჯერ წლინახევრისაა. მან ჩვენს ოჯახში განსაკუთრებული სიხარული შემოიტანა. მამას ძალიან უყვარს. პირველი სიტყვა, რომელიც სოფომ თქვა — „ბაბუ“ იყო. როცა სოფო მოჰყავთ, ჩვენს სახლში დიდი აურზაურია ხოლმე.

— ნინო, შენი დები თუ გეკითხებიან: რა ჩაიცვან, ესა თუ ის ტანსაცმელი უხდებათ თუ არა და ა.შ.?

— კი. განსაკუთრებით ხშირად მეკითხებოდნენ რჩევას, როცა საფრანგეთში ვცხოვრობდი. ზოგჯერ მაბარებდნენ ტანსაცმელს და ჩამომქონდა. ჩემთვის მთავარია, რომ ადამიანებს ეცვათ ის, რაც უხდებათ და თანაც ცოტათი განსხვავებული. თბილისში საზოგადოების მცირე ნაწილი იცვამს გემოვნებიანად. უმეტესობას ერთნაირად აცვია. ზოგჯერ, კაფეში შემიმჩნევია ოთხი-ხუთი გოგო, რომლებსაც ისე აცვიათ, რომ ერთმანეთისგან ვერ გაარჩევ. პარიზი მოდის ქალაქია. იქ ერთი ხელწერა ჩაცმულობაში არ შეინიშნება. ფაქტია, რომ იქ მოდის მაღალი კულტურაა. ახლა მივდივარ კანში, სადაც ძალიან გემოვნებით ჩაცმულ ადამიანებთან მომიწევს შეხვედრა.

უზარმაზარი პალმები და უცნაური იები საოცარი სილამაზით გამოირჩევა

— კანში რატომ მიდიხარ?

— ახლახან თბილისში Fashion TV-ის გენერალური დირექტორი ფრანსუა ტილე იყო ჩამოსული. მან დამპატიჟა „ნოგა-ჰილტონში“ (კანი), სადაც ეწყობა Fashion party. იქ ჩასულები იქნებიან ვარსკვლავები და მოეწყობა ულამაზესი სანახაობა. დანიშნული მაქვს შეხვედრები FTV-ის წარმომადგენლებთან. ახალი კლიპი FTV-ზე გავა 19 მაისს 20.30 სთ-ზე და ივნისამდე შეგეძლებათ მისი ნახვა. წინა კლიპს განათება აკლდა, ეს კლიპი, რომელიც აფრიკულ ჩვენებაზე გადავიღეთ, გაცილებით უკეთესია.

— კანში რას ჩაიცვამ? ტანსაცმელს იქ იყიდი თუ აქედან მიგაქვს?

— თამუნა ინგოროყვასთან შევიძინე კრემისფერი კაბა, რომელსაც იმავე ქსოვილის ვარდისფერი მოსასხამი აქვს. მე თამუნას გემოვნებას ვენდობი და მის ტანსაცმელში თავს კომფორტულად ვგრძნობ. მიყვარს სხვადასხვა სტილისა და ფერის ჯინსის შარვლები — კომფორტულია და მოდური. ასევე ძალიან მიყვარს საღამოს კაბები, მაგრამ თბილისში იშვიათად ვიცვამ. შარშან, კანში რომ ვიყავი ფესტივალზე, ქუჩაში ქალები საღამოს კაბებით დადიოდნენ, მამაკაცები კი, ფრაკებში იყვნენ გამოწყობილნი, საოცარი სანახაობა იყო.

ჯანიკო ორ თვეში ერთხელ სილამაზის სალონში მიჰყავთ გასაკრეჭად

— ვარცხნილობას ხშირად იცვლი. ბოლოს რომ გნახე, მოკლე თმა გქონდა, ასე უცბად როგორ გაიზარდე?

— პარიზში გავიკეთე თმის დაგრძელება. მოკლე თმაზე მაქვს დამაგრებული ბუნებრივი გრძელი თმა, რაც ძალიან ლამაზია.

— რა დაგიჯდა თმის დაგრძელება?

— მე ნახევარ თავზე გავიკეთე და 200 დოლარი გადავიხადე. სანამ თმა ზრდის პროცესშია და ფორმა აქვს დაკარგული, დაგრძელების წყალობით ლამაზი ვარცხნილობა მექნება.

იოსელიანების სახლიდან თუთიყუშ კაკოს ომახიანი შეძახილი გამოგვყვა: „კამპანიას გაუმარჯოს!“ — გაჰყვიროდა და ოჯახში გამეფებულ მყუდრო გარემოს სიხალისით ავსებდა... ■

„ქუჩური ჩხუბი აჯყდა... მეც დანას ვნვდი და მოვიქნიე...“

„მოკლული შვილის ლოგინი დედას ახლაც გაუსწორებელი აქვს...“

სამი წლის წინ, თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე, 18-19 წლის ახალგაზრდებს შორის მომხდარი ჩხუბი და საქმის გარჩევა საშინელი მკვლელობით დასრულდა. ერთ-ერთ ახალგაზრდას — ირაკლი ყაჭეიშვილს სხეულში დანა ხუთჯერ ჩაარტყეს და იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. დედამისს — ნინო ჯანელიძეს იმ დღეს, მეორე შვილი მოუკლეს: მისი უფროსი ვაჟიშვილი ამ შემთხვევამდე რამდენიმე წლით ადრე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა...

მკვლელობიდან მესამე დღეს, საბურთალოს ქუჩაზე მცხოვრები, 19 წლის ლევან აბულაშვილი პოლიციის განყოფილებაში ბრალის აღიარებით გამოცხადდა და განაცხადა, რომ ირაკლი დანით თავად დაჭრა. მიუხედავად ამისა, მომხდარი ფაქტის განხილვა სამართალდამცავებს ჯერაც არ დაუსრულებიათ. 20 მაისს, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ სწორედ აბულაშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი მოისმინა. მართალია, შემთხვევიდან ორ დღეში, აბულაშვილმა მკვლელობა აღიარა, მაგრამ დღეს აცხადებს, რომ დანაშაულის ჩადენის განზრახვა არ ჰქონია და უფრო მეტიც, ასეთი განზრახვით თავად ყაჭეიშვილი და მისი მეგობრები დაესხნენ მას თავს, ის კი დანას მოგერიების მიზნით იქნევდა.

ამ გახმაურებული მკვლელობის შესახებ, ჟურნალ „გზაში“ წელიწად-ნახევრის წინ ვწერდით, მაშინ, როცა აღნიშნული დანაშაულის განხილვა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ დაიწყო. მას შემდეგ, როგორც აღმოჩნდა, საქმეში ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებებიც. ზემოთ აღნიშნულმა სასამართლომ აბულაშვილი დამნაშავედ ცნო და მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენის მიხედვით, დადგინდა, რომ მკვლელობა რამდენიმე დღით ადრე მომხდარი ჩხუბის შემდეგ გამართულმა საქმის გარჩევამ გამოიწვია.

2000 წლის ივნისის შუა რიცხვებში, ტყუპმა ძმამ — ლევან და შალვა აბულაშვილებმა ოთხ ამხანაგთან ერთად ვინმე გიორგი არველაძე სცემეს. ამ ჩხუბის შესახებ არველაძემ თავის მეგობრებს — ლაშა დადიანსა და ლუკა ბერაიას უამბო. მესამე დღეს კი, ყველანი ერთად აბულაშვილების სახლთან მივიდნენ და ისინი საქმის გასარჩევად გამოიხმეს. ლევანსა და შალვას ეზოში მშობლებიც ჩაჰყვნენ, ახალგაზრდებს ყვირილი აუტეხეს და დადიანი და ბერაიაც იძულებულები გახდნენ, იქიდან წასულიყვნენ. ამ მომენტში ლევან აბულაშვილის მამამ — მიხეილ აბულაშვილმა საფანტის პისტოლეტიდან რამდენჯერმე გაისროლა კიდეც.

მომხდარის შესახებ არველაძის კიდევ ორმა მეგობარმა — დავით გუდაძემ და ირაკლი ყაჭეიშვილმა შეიტყო. 2000 წლის 27 ივნისს, დაახლოებით საღამოს 9-ის ნახევრისთვის, ისინი ერთმანეთს საბურთალოს ქუჩის №44-თან შეხვდნენ. მოპირდაპირე ქუჩაზე გადასვლისას, ირაკლი შემთხვევით ლევან აბულაშვილს შეეჩეხა; მას გამოელაპარაკა და უსაყვედურა კიდეც არველაძის ცემის გამო. მათი შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა, ამ დროს, აბულაშვილმა ჯიბიდან დანა ამოიღო და ყაჭეიშვილს გულმკერდის არეში ხუთჯერ ჩაარტყა.

ეს მოშორებით მდგარმა დავით გუდაძემაც დაინახა, მაშინვე მივარდა ყაჭეიშვილს დასახმარებლად, მაგრამ აბულაშვილმა დანა მასაც მოუქნია, მერე კი სკვერისკენ გაიქცა. გუდაძე და შემთხვევის ადგილას მისული, ყაჭეიშვილის კიდევ რამდენიმე მეგობარი აბულაშვილს დაედევნნენ, რაც ხელში მოხვდათ, ესროლეს კიდეც, მაგრამ სხეულის მსუბუქი დაზიანების მიუხედავად, მან მიმალვა მაინც მოახერხა.

აბულაშვილი ორი დღე სიღნაღში იმალებოდა, შემდეგ კი, იმავე რაიონის პოლიციაში საკუთარი ნებით გამოცხადდა.

განაჩენში მოყვანილ ამ ფაქტებს მსჯავრდებული და მისი ადვოკატი არ ადასტურებენ. მათ საჩივრით საოლქო სასამართლოს მიმართეს, განაჩენის გაუქმება და აბულაშვილის გამართლება მოითხოვეს.

საჩივარში ლევან აბულაშვილმა მიუთითა, რომ წინასწარი გამოძიების დროს, მისი უფლებები ირღვეოდა. მისი ადვოკატის თქმით კი, გამოძიებაზე დაზარალებულის მხარე ახდენდა ზეგავლენას. იგი იმასაც ირწმუნება, რომ აწ გარდაცვლილი და მისი მეგობრები, ე.წ. შავ სამყაროსთან იყვნენ დაახლოებულები და ცდილობდნენ, მათი ტრადიციებით ეცხოვრათ. დაზარალებული მხარე ამას კატეგორიულად უარყოფს.

საოლქო სასამართლოს წინაშე ლევან აბულაშვილმა თავი დამნაშავედ არ ცნო, მის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენება კი იმით ახსნა, რომ იურიდიულ საკითხებში ვერ ერკვეოდა, არ იცოდა, რომ აუცილებელი მოგერიების ფაქტის მითითება იყო საჭირო და ამიტომ ბევრი რამ შეცდომით დაწერა. მსჯავრდებულის ასეთი განმარტება, ისევე, როგორც მომხდართან დაკავშირებით მიცემული მისი ბოლო ჩვენება, საოლქო სასამართლომ არ გაიზიარა. აბულაშვილი განზრახ მკვლელობაში, სააპელაციო პალატამაც ცნო დამნაშავედ.

ლევან აბულაშვილი:

„2000 წლის ზაფხულში, მე, ჩემი ძმა და მეგობრები ძაღლს ვასეირნებდით, როცა გაუგებრობის გამო ორმა სპორტსმენმა ბიჭმა გვცემა... ამის შემდეგ, მასწავლებელთან ვიყავი და როცა შინ დავბრუნდი, ეზოში ხალხი დამხვდა თავმოყრილი. მათ შორის იყვნენ ირაკლი ყაჭეიშვილი, დავით გუდაძე, ლუკა ბერაია, ბომბორა და სხვები... ერთ-ერთი მათი მეგობარი — ენუქიძე მოვიდა და მითხრა: არველაძემ

თქვა – აქ ჩემი ძმაკაცები გაილახნენ, ჩემი სახელი უხსენებიათ, მაგრამ მაინც სცემეს, მაინტერესებს ვინ სცემაო? – უთხრეს: ტყუპმაო. – მაშინ არველაძემ იარაღი ამოიღო და თქვა: ერთხელ და სამუდამოდ ტყუპი ძმა მოვიტაცოთ და გავლახოთო. – უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, არველაძის ნახვა და მასთან დალაპარაკება გადავწყვიტეთ... სახლში არ დაგვხვდა... მოგვიანებით, გიორგი არველაძის მამამ მამაჩემს უთხრა: „ჩემს ბავშვს ვერ ვაჩერებ და შენი შვილები დროებით გაიყვანე ქალაქიდანო...“

აბულაშვილის თქმით, ამის შემდეგ, ყაჭეიშვილმა და მისმა მეგობრებმა, დაახლოებით შვიდმა თუ რვა ბიჭმა მას ავტომანქანით სახლთან მიაკითხეს და მოტაცება დაუპირეს.

„...დედაჩემმა დაინახა, წივილ-კივილი ატეხა, მეზობლებიც გამოვიდნენ. ხმაურზე არველაძე და მისი მეგობრები ისევ ავტომანქანაში ჩასხდნენ, იარაღიდან გაისროლეს კიდეც და წავიდნენ...“ – აღნიშნავს აბულაშვილი.

მორიგი უსიამოვნებისა და კონფლიქტის ასაცილებლად, მშობლებმა ტყუპი, როგორც თავად ირწმუნებიან, ერთი კვირით კახეთში გააგზავნეს.

ლევან აბულაშვილი:

„უნივერსიტეტში გამოცდები მქონდა ჩასაბარებელი (აბულაშვილი ეკონომიკის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი გახლდათ. – ავტ.) და თბილისში უნდა დავბრუნებულიყავი... 27 ივნისს, აივნიდან გადავიხედე და კორპუსის წინ გუდაძე და ყაჭეიშვილი დავინახე. ორივეს თვალები გავუსწორე, მათგან უკმაყოფილება ვერ ვიგრძენი და ჩავთვალე, რომ ჩვენ შორის კონფლიქტი დამთავრებული იყო. იმავე საღამოს, გასტრონომში სიგარეტი ვიყიდე. კართან ყაჭეიშვილი, გუდაძე და მათი მეგობრები შევნიშნე. ერთ-ერთს – ლომჯარიას, ხელში სკამის ფეხი ეჭირა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ჩასაფრებულები იყვნენ. გასტრონომიდან გამოვედი და ვკითხე მათ: მეძებთ-მეთქი? – ამ დროს, გუდაძემ ხელი მკლავში გამიყარა და ხუთსართულიანი კორპუსისკენ, ჩიხთან გამიყვანა... შემდეგ შემოტრიალდა, შემაგინა და ხელი გამარტყა. მე კედელს შევეჯახე, მერე კი ვიღაცამ ჯოხი ჩამარტყა; ყველანი შემომეხვივნენ, მცემდნენ და მაგინებდნენ. ქუჩური ჩხუბი ატყდა. მე ხელები სახეზე ავიფარე, ვცდილობდი, თავი დამეცვა. ვიგრძენი, რომ თავი გამიჩეხეს და სისხლი წამომივიდა. ვიღაცამ დანა დამისვა... მე ტროტუარზე დავეცი მოკუნტული, ისინი კი ჩემს ცემას განაგრძობდნენ. ამ დროს, ქვის ფილასთან დაგდებული დანა შევნიშნე, მას მარცხენა ხელით მივწვდი, ავიღე და წამოდგომა მოვახერხე. დანას როგორ ვიქნევდი, არ მახსოვს. ისიც კი არ შემიძლია ზუსტად ვთქვა, ვიქნევდი დანას თუ უბრალოდ, ხელში მეჭირა... გადავწყვიტე, თავისთვის მეშველა და სახლისკენ გავიქეცი... მამაჩემმა არჩია, მე და ჩემი ძმა იქაურობისთვის მოვეშორებინეთ. ცოტა ხანში, მანქანაში ჩავსხედით და კახეთისკენ წავედით“.

აბულაშვილის ადვოკატმა – თამაზ დონჯაშვილმა საოლქო სასამართლოს ცნობა წარუდგინა, რომლის მიხედვითაც, მისი დაცვის ქვეშ მყოფი, ადრე ფსიქიატრთან კონსულტაციებზე დადიოდა. ამ მოტივით, ადვოკატმა აბულაშვილზე ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა მოითხოვა. ექსპერტიზა ჩატარდა, დასკვნის მიხედვით კი, აბულაშვილს ე.წ. რეაქტიული ფსიქოზი ჰქონდა. ადვოკატის მიერ წარდგენილ ცნობას დაზარალებულის მხარე ეჭვქვეშ აყენებს.

ზაზა ხატიაშვილი, დაზარალებულის ადვოკატი:

„კარგად ვიცი, მსგავსი ცნობები საქართველოში როგორ კეთდება, მაგრამ მტკიცებულების უქონლობის გამო, ამ ფაქტზე ყურადღებას არ ვამახვილებთ. მთავარი მაინც ექსპერტიზის დასკვნაა, რომელიც აბულაშვილის რეაქტიულ ფსიქოზს ადასტურებს. მაგრამ ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში, ის სრულიად ჯანმრთელი იყო და კარგად შეეძლო საკუთარი ქმედებების გაკონტროლება“.

თამაზ დონჯაშვილი:

„საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ აბულაშვილმა განზრახ მკვლელობა ჩაიდინა. ყველა მტკიცებულება, რაც კი საქმეში დევს, ხელოვნურადაა შექმნილი. ამაზე მეტყველებს მოწმე გუდაძის ჩვენება, რომელიც აბულაშვილს ადებს ხელს: დანა მას ეჭირა და დავინახე, რომ ყაჭეიშვილს ჩაარტყაო. გუდაძე თავდაპირველ ჩვენებებში წერდა: არაფერი დამინახავს, არაფერი გამიგონიაო, – თუმცა ბოლოს, დაზარალებულის მიერ შექმნილ ვერსიაში ისიც ჩაერთო. სხვათა შორის, ამ სცენარის დაწერაში გუდაძის დედას – მაია დათუნაშვილსაც მიუძღვის წვლილი. ის საკმაოდ გავლენიანი პიროვნებაა, რამაც გამომძიებელზე გავლენა მოახდინა. ეს უკანასკნელი დაზარალებულის ზეგავლენის ქვეშ მთლიანად მოექცა. სხვათა შორის, ფაქტია, რომ გამომძიებელს მიცვალებულის პატრონთან გარკვეული სიახლოვე ყოველთვის აქვს, ხშირად აკითხავს მას, ბევრ რამეში ანგარიშს უწევს და ა.შ. საბოლოოდ, მოწმეებზეც მოახდინეს ზეწოლა. შემთხვევის ის თვითმხილველები კი, რომლებმაც რეალურად იცოდნენ, იმ დღეს რა მოხდა და არც ტყუილის თქმას იკადრებდნენ, გამოძიებამ საერთოდ არ დაჰკითხა“.

ადვოკატ დონჯაშვილის ეს არგუმენტები საოლქო სასამართლომ არ გაიზიარა. რა გადაწყვეტილებას მიიღებს უზენაესი სასამართლო, მომავალ კვირას შევიტყობთ. 23 მაისს, საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ აბულაშვილსაც მოუსმენენ, რის შემდეგაც, პალატა გადაწყვეტილებას მიიღებს და საბოლოო განჩინებას გამოაცხადებს.

ზაზა ხატიაშვილი:

„სასამართლოს არა აქვს უფლება, საქმეში თუნდაც ერთი დეტალი გაურკვეველი დატოვოს და მომხდარი დანაშაული რეალურად არ შეაფასოს, რადგან საქმე ახალგაზრდა ბიჭისთვის სიცოცხლის მოსპობას ეხება. წარმოიდგინეთ გაუბედურებული დედის მდგომარეობა, რომელსაც მეორე შვილიც მუხანათურად მოუკლეს. ირაკლის გაუსწორებელი ლოგინი ქალბატონ ნინოს დღესაც ხელუხლებლად აქვს. იმ საწოლს ახლაც ისეთივე უყურებს, როგორიც მისმა შვილმა სახლიდან გასვლისას უკანასკნელად დატოვა“. ■

გოგონა გაუპატიურებისგან ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა იხსნა

პროკურატურის ინფორმაციით, ის საშიში „ბანდის“ წევრი გახლდათ

განსასჯელები: დავით ხუბაშვილი, მიხეილ აზალაძე, და ზაქარია გიუნაშვილი

23 წლის დავით ხუბაშვილს, 22 წლის მიხეილ აზალაძესა და 22 წლის ზაქარია გიუნაშვილს ამ კვირაში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის გაასამართლებენ. სასამართლო პროცესი უზენაეს სასამართლოში წარიმართება. სამივე განსასჯელს ბრალი შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფების ორგანიზებაში, მკვლელობების მცდელობაში, არაერთგზის ჩადენილ ყაჩაღურ თავდასხმებსა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-ტარებასა და შენახვაში ედება. მათგან, განსაკუთრებით მძიმე ბრალდებით სასამართლოს წინაშე მიხეილ აზალაძე წარდგება. პროკურატურის ინფორმაციით, ყაჩაღობისას მან ერთი განზრახ მკვლელობა ჩაიდინა, ახალგაზრდა გოგონა კი გააუპატიურა.

წინასწარი გამოძიებისას ბრალდებულებმა მხოლოდ ნაწილობრივ ცნეს თავი დანშავედ. აზალაძე გამომძიებლის წინაშე ირწმუნებოდა, რომ გოგონა არ გაუუპატიურებია. „თავად შემომთავაზა სქესობრივი კავშირის დამყარება და მეც უარი არ ვთქვი,“ – ასე ახსნა მან მომხდარი ფაქტი. თუმცა, პროკურატურამ ბრალდებულის ეს სიტყვები არ გაიზიარა, საქმის მასალების მიხედვით კი, დანაშაულის დღეს, აზალაძის მსხვერპლი სხვა გოგონაც უნდა გამხდარიყო. ეს უკანასკნელი გაუპატიურებას რაღაც სასწაულებრივად გადაურჩა. როგორც გაირკვა, გოგონა ერთ-ერთი ბოროტმოქმედის ნაცნობი აღმოჩნდა, რომელმაც მას გაქცევაში შეუწყო ხელი.

ბრალდების თანახმად, 2001 წლის ოქტომბერში თანასოფლელებმა მიხეილ აზალაძემ, დავით ხუბაშვილმა და ზაქარია გიუნაშვილმა ორგანიზებული, დანაშაულებრივი ბანდა ჩამოაყალიბეს. საამისოდ, ცეცხლსასროლი იარაღი შეიძინეს, მათ შორის „აკაესის“ ავტომატი და ხმოვანაირიანი პისტოლეტი. ხუბაშვილმა გადაჭრილი სანადირო თოფიც დაამზადა. მოიმარაგეს ნიღბები და ავტომანქანების მფლობელი მოქალაქეების დაყაჩაღება გადაწყვიტეს. შესაფერისი ადგილი მათ გორის რაიონის სოფელ ტყვიავისა და ქერეს გზაზე შეარჩიეს.

2001 წლის 27 ოქტომბერს, საღამოს 8 საათისთვის, აღნიშნულ საავტომობილო გზაზე გაჩერდნენ და სასურველ ობიექტს ჩაუსაფრდნენ. დაახლოებით ნახევარ საათში ტყვიავიდან მომავალი თეთრი „ვაზ 2106“ გამოჩნდა. მას მძღოლი, ვინმე – ივანე გიკაშვილი მართავდა. ბოროტმოქმედებმა გიკაშვილს, მანქანის გაჩერების მიზნით, იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. ავტომანქანა მაშინვე შეჩერდა. აღმოჩნდა, რომ მასში გიკაშვილის გარდა ორი ქალბატონი იჯდა – მეუღლე და დედა.

თავდამსხმელებმა მანქანაც მიისაკუთრეს და შიგ მსხდომთ ფული და ძვირფასი სამკაულებიც წაართვეს.

დაახლოებით ერთ კვირაში, ბანდის წევრებმა მორიგი ყაჩაღური თავდასხმა ჩაიდინეს, ამას კიდევ რამდენიმე დანაშაული მოჰყვა. ბოროტმოქმედები, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, მანქანების მძღოლებს მოკვლით ემუქრებოდნენ. ორმა დაზარალებულმა თავს გაქცევით უშველა, ერთი კი თავდამსხმელთა ტყვიას შეეწირა.

2002 წლის 8 მარტს აზალაძემ, ხუბაშვილმა და გიუნაშვილმა სოფელ ქერეში მცხოვრები შოთა ელიკაშვილის დაყაჩაღება განიზრახეს. წინა დღეებში შეუტყვიათ, რომ ელიკაშვილმა ბინა გაყიდა, ამიტომაც იფიქრეს, შინ სოლიდური თანხა ექნებაო. როლები წინასწარ გაინაწილეს, სახეზე ნიღბები აიფარეს, ცეცხლსასროლი იარაღიც მოიმარჯვეს და ელიკაშვილის სახლისკენ გასწიეს. ისინი სახლის სხვადასხვა მხარეს ჩასაფრდნენ და ხელსაყრელ მომენტს დაელოდნენ. თუმცა, სწორედ ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა გაუთვალისწინებელი დანაშაული ჩაიდინა.

საქმის მასალების მიხედვით, მიხეილ აზალაძემ სოფლის გზაზე მომავალი ორი გოგონა შენიშნა. მან, ისე, რომ ხუბაშვილმა და გიუნაშვილმა არაფერი იცოდნენ, გოგონების დაყაჩაღება და მათი გაუპატიურება განიზრახა.

დაყაჩაღების განზრახვა სისრულეში მოიყვანა კიდეც. ორივეს წაართვა სამკაულები, რის შემდეგაც ერთი, იარაღის მუქარის შედეგად, მოშორებით, ხევის პირას გაიყვანა, მეორე კი – გიუნაშვილთან დატოვა. აზალაძემ გოგონა გააუპატიურა, ხოლო როცა მეორეს გასაყვანად გიუნაშვილთან მიბრუნდა, ის გაქცეული დახვდა. აღმოჩნდა, რომ გიუნაშვილმა გოგონა იცნო, შეებრალა და გაუშვა. ამ უკანასკნელმა კი მომხდარის შესახებ მთელ სოფელს შეატყობინა.

სოფლის თითქმის მთელი მოსახლეობა შემთხვევის ადგილისკენ დაიძრა, ხმაურზე გიუნაშვილი და აზალაძე მაშინვე გაიქცნენ, ხუბაშვილმა კი მიმალვა ვეღარ მოასწრო და იგი სოფლელებმა დააკავეს. მეორე დღეს პოლიციამ აზალაძეცა და გიუნაშვილიც აიყვანა.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე მოსამართლე ლოტბერტ კუპატაძემ უნდა განიხილოს. დაადასტურებენ თუ არა წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებს განსასჯელები, რამდენიმე დღეში შევიტყობთ. აღსანიშნავია, რომ არც ერთი მათგანი ადრე ნასამართლევი არ ყოფილა.

■

„მწვანე ჩაის დიეტა“ – ნულარ იტყვით უარს დელიკატესებზე!

„ცოდვაა, თუ ადამიანი იმდენად ლამაზად არ გამოიყურება, რამდენადაც შეუძლია“ - ჯერ კიდევ XVIს.-ში თქვა სერვანტესმა. რა გვიშლის ხელს რომ ვიყოთ ლამაზები? დროის დეფიციტი? უსახსრობა? არა, უფრო ხშირად სურვილის არქონა და კიდევ მცდარი შეხედულებები.

ჭარბი წონა თანამედროვე სამყაროში უდიდეს პრობლემას წარმოადგენს. რა არის ამის მიზეზი – ჰორმონალური დარღვევა, ორგანიზმის მიდრეკილება, კალორიული საკვები თუ სხვა რამ?

ჭარბი წონის მიზეზს ენდოკრინული დაავადებები საკმაოდ იშვიათად წარმოადგენს. უფრო ხშირად, მისი გამომწვევია - საკვების მომატებული კალორიულობა და ორგანიზმის გარკვეული მიდრეკილება. სწორედ ეს განსაზღვრავს თქვენს კვებით ჩვევებს, შიმშილის გრძნობის დონეს, მოძრაობის აქტივობას, მეტაბოლიზმის ინტენსივობას.

მედიკოსებმა გამოთვალეს, რომ მოცემულ ეტაპზე ჩვენს პლანეტაზე მილიარდზე მეტი სიმსუქნით შეწუხებული ადამიანია. თანაც, ეს იმ ქვეყნებსაც ეხება, რომელშიც მოსახლეობის არც ისე მცირე ნაწილი შიმშილობს. ყველაზე „მძიმეწონიანი“ ერი ამერიკელები არიან რომელთა 27% სიმსუქნით არის შეწუხებული, ხოლო – 60% ჭარბწონიანობით.

ასეთი ციფრებით შეძრწუნებული ამერიკელი ექიმები და მეცნიერები გამუდმებით ამ პრობლემის შემსუბუქების საშუალების ძიებაში არიან.

ვიტამინ-ცენტრი „**ჯეოვიტი**“ და ამერიკული კომპანია „**შიფ**“-ი – მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და რესპექტაბელური კომპანია, - რომელიც ნატურალურ ბიოაქტიურ პრეპარატებს აწარმოებს, მაღალხარისხიან პრეპარატ „**მწვანე ჩაის დიეტა**“-ს გთავაზობთ. იგი **არ შეიცავს ეფედრინს**. პრეპარატი წონის მართვის საშუალებას იძლევა ცხიმებისა და კალორიების წვის ინტენსივობის ზრდის ხარჯზე, ამასთან არ იწვევს მოთენთილობასა და დეპრესიულ განწყობას.

„**მწვანე ჩაის დიეტა**“ - მწვანე ჩაის ექსტრაქტს წარმოადგენს და მასში თავმოყრილია აქტიური ინგრედიენტების იდეალური კომბინაცია – ეპიგალოკატეხინის გალატი (EGCG) და კოფეინი, რომელიც ამერიკის ფარამკოპეას სტანდარტებს შეესაბამება.

„**მწვანე ჩაის დიეტა**“: დახვეწს თქვენს გარეგნობას, მოუმატებს ენერგიას თქვენს სხეულს და მიგიყვანთ ორგანიზმის სრულ გაჯანსაღებამდე, რადგან მწვანე ჩაის ექსტრაქტი ასევე ცნობილია თავისი ანტიკანცეროგენული თვისებებით (ეფექტურია ქალებში სარძევე ჯირკვლის კიბოს და მამაკაცებში პროსტატის კიბოს დროს).

„**მწვანე ჩაის დიეტა**“ თქვენს ორგანიზმს კალორიების სწორ წვას ასწავლის, რითაც საკუთარ თავს იდეალური წონით უზრუნველყობთ და მას ხანგრძლივი დროის მანძილზე შეინარჩუნებთ.

დარეკეთ კომპანია „ჯეოვიტში“, სადაც ჩვენი ექიმი-დიეტოლოგი საჭირო რჩევებს მოგცემთ და სწორი არჩევანის გაკეთებაში დაგეხმარებათ.

®

ჩვენ მზად ვართ თქვენი ცხოვრების ხარისხი გავაუმჯობესოთ!

ჯეოვიტი
GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41(ვაკის პარკის პირდაპირ), ვიტამინ-ცენტრი, კომპანია „ჯეოვიტი“, ტელ/ფაქსი: 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

ზაბეღული მძღოლი ნინო ახობაძე

არც ხიფათს შეშინდა და არც ღვინოს შფრთხის...

„ფორტეს“ ერთ-ერთმა წევრმა ნინო ახობაძემ სულ რამდენიმე თვეა, რაც ახალი მანქანა — „ბე-ემ-ვე“ შეიძინა. მანამდე, პატარა, ორკარიანი „ფორდი“ ჰყავდა, რომელიც ძმამ გერმანიიდან საჩუქრად ჩამოუყვანა. „ბე-ემ-ვეც“ ძმის გემოვნებითა და რჩევით იყიდა, „ფორდი“ კი რძალს გადაულოცა. მანქანის მართვა სამიოდე წლის წინ, მამამისის „ჟიგული 05“-ზე ისწავლა. ეს ნინოს დიდი ხნის ოცნება ყოფილა, მაგრამ ოჯახის წევრები თურმე კარგა ხანს ეწინააღმდეგებოდნენ მის სურვილს. მომღერალს მაინც თავისი გაუტანია და მამამისი იმაზეც კი დაუთანხმებია, რომ მისი მასწავლებელი გამხდარიყო. თუ რა იყო ამ წინააღმდეგობის მიზეზი, თავად ნინო გვიამბობს.

ნინო ჯავახიშვილი

— რამდენიმე წლის წინ, ავარიაში მოვყევი. საჭესთან ჩემი მეგობარი იჯდა, მე — გვერდით ვეჯექი. „ლაგუნა ვერესთან“ მოძრაობის წესები დაარღვია — ცუდად ჩაუხვია და „ბე-ემ-ვემ“ დაგვარტყა, თანაც — ჩემი მხრიდან. მაგრად დავშავდი, ხელიც მომტყდა, მაგრამ საბედნიეროდ, ყველანი გადავრჩით. იმის შემდეგ შიში დამჩემდა. მამაჩემი, როგორც კი მოუმატებდა სიჩქარეს, ისტერიკა მემართებოდა. ამ ავარიის გამო იყო, ოჯახის წევრები რომ მეწინააღმდეგებოდნენ. ჩემი ძმა მეუბნებოდა, საჭესთან არავითარ შემთხვევაში არ დაჯდებიო. მამაჩემი კი, მაინც დავიყოლიე. ჩუმად მივდიოდით ხოლმე „უჩენიებზე“. მასწავლებელიც მყავდა, მაგრამ მაინც არ მენდობოდნენ და პირველ ხანებში, მამას მაყოლებდნენ ხოლმე თვალყურის სადევნებლად. ბოლოს მივხვდი — მარტო თუ არ მივუჯდებოდი საჭეს, მართვას ვერასდროს ვისწავლიდი. ჰოდა, მამაჩემის მანქანით გავიპარე სახლიდან. მაშინ დავრწმუნდი, რომ მანქანის მართვა დამოუკიდებლადაც შემეძლო.

— სხვა დროს თუ მოხვედრილხარ ავარიულ სიტუაციაში?

— საერთოდ, ზედმეტი სისწრაფე არ მიყვარს. მეგობრები დამცინიან: ეგ როდის მოაღწევს აქამდე? — მანქანით კი არა, ნავით მოდის — 60 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით არ დადისო. ქალაქში სწრაფად სიარული არ არის მართებული, ისეთი რაღაცები ხდება, რომ ... რისკი კი მაინცდამაინც არ მიყვარს. ერთხელ, სახლიდან გამოვედი მანქანით. ჩვენს კორპუსთან გზაჯვარედინია, მაგრამ შუქნიშანი არ მუშაობდა და ამის გამო, ბევრი ავარია ხდებოდა ხოლმე. გადავჭერი თუ არა გზაჯვარედინი, მეორე მხრიდან მომავალი სატვირთო მანქანა დამეჯახა; ისეთი ძალით დამარტყა, რომ მანქანა შემობზრიალდა და საპირისპირო მიმართულებით გაჩერდა. მე იქ ამბავი დავატრიალე... ვერც კი წარმოიდგენ: გადმოვხტი მანქანიდან და ვეცი მძღოლს — ვინ ხარ? აბა, ახლავე მომეცი „პრავა“, აბა, ჩამაწერინე ტელეფონის ნომერი, იცოდე, მანქანას გაგაკეთებინებ-მეთქი, და ა.შ. — ჩემი ბრალი ნამდვილად არ იყო და შემიკეთა კიდეც მანქანა...

— ოდესმე შენ გამო თუ მომხდარა შეჯახება?

— საერთოდ, ძალიან ვფრთხილობ. ერთხელ, როცა ჯერ კიდევ ვსწავლობდი მანქანის მართვას, მშობლებთან ერთად აეროპორტიდან მოვდიოდი. რატომღაც დავიბენი და ისე დავძარი მანქანა, რომ თურმე მესამე სიჩქარეში მქონია დატოვებული. მანქანამ ძიგძიგი დაიწყო. ერთ ტაქსის „ჩავუხტი“ წინ. გადმოხტა მძღოლი და ყვირილი და გინება დამიწყო: შენი ასე და ისე და იმისიც, ვინც შენ „პრავა“ მოგცაო“... დედაჩემი და მამაჩემი სიცილით იხოცებოდნენ. მე გავგიჟდი: კი, მაგრამ რა გაცინებთ? ჩვენ გვაგინებენ-მეთქი... მამაჩემმა მიპასუხა: ღირსი ხარ და იმიტომო... ახლა უკვე აღარავის ვუშლი ნერვებს.

— და პოლიციელებიც არ გაჩერებენ?

— იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა პოლიციელებმა გამაჩერეს: ლაპარაკში გართულს, ზოგჯერ არ ვაკვირდები და წითელ შუქზე გავივლი ხოლმე. მაგრამ ჩემი პროფესია მშველის ყოველთვის...

— მომღერლობა როგორ გშველის? ხომ არ წაუმღერებ ხოლმე პოლიციელებს?..

— არა, არა, წაღიღინება საჭირო არ არის. ეტყობა, რაღაც დამახასიათებელი გარეგნობა მაქვს და ყოველთვის მცნობენ. ზურა *(მანჯავიძე — ავტ.)* გიჟდება: ზაზა ორაშვილმა ისე „დამამახინჯა“ (კლიპში) ულვაშით, რომ პოლიციელები ვეღარ მცნობენ, ამიტომ ის ულვაში სულ თან უნდა ვატაროო... ისე, პოლიციელ

ქალებთან უფრო ძნელია გულთბილი ურთიერთობის დამყარება – ისინი უფრო მკაცრები არიან. ერთხელ, ქალმა გამაჩერა, მაგრამ მაშინვე მიცნო და ლმობიერად მომექცა: ახლა წადი, მაგრამ იცოდე, მეორედ აღარ დაარღვიოო... მას შემდეგ, იმ ადგილას რომ გავივლი, მართლაც ძალიან ვფრთხილობ ხოლმე...

— როცა ვერ გცნობენ, წარუდგენ ხოლმე მათ საკუთარ თავს?

– არა, არასდროს ვეუბნები: ნინო ახობაძე ვარ და გამიშვით-მეთქი. ამის თქმა, ცოტა არ იყოს, მეუხერხულება... პრინციპში, წესიერი მძღოლი ვარ და პოლიციელებს ნერვებს არ ვუშლი. გზას ვუთმობ ყველას, ვისაც გასწრება უნდა, საფრთხეს არავის ვუქმნი და ძალიან ვთხოვ ყველას – ნურც თვითონ მომიშლიან ნერვებს!.. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მამაკაცივით ვმართავ მანქანას. პროფესიონალი ვარ. ახლა, შენიშვნებს არათუ აღარ ვიღებ, არამედ იქით ვაძლევ ხოლმე მამაჩემს. მამა გიჟდება ამაზე: რა „ნაგლი" ხარ – მე გასწავლე და აქეთ მაძლევ შენიშვნასო?!.

— მანქანასთან დაკავშირებული კურიოზი გაიხსენე...

– მუხათგვერდში ბებიაჩემის საფლავზე მივდიოდი მეგობართან ერთად. ერთი „რეზკი" მოსახვევი იყო და უცებ მანქანას წინა ბორბალი არ მოსძვრა?! ზამთარი იყო და არავინ გვიჩერებდა დასახმარებლად. ბოლოს, ჩემს ძმას დავურეკე და ვუთხარი: მგონი, ვიღუპებით და გვიშველე-მეთქი. ყველაფერი შენ როგორ უნდა დაგემართოს – თავგადასავლების დედოფალი ხარო! – „შემაქო". მერე რაღაც დიდი მანქანა მოიყვანა და იმით წავათრიეთ ჩემი „ფორდი". ხელოსანმა მითხრა: შენი ბედი, რომ აღმართზე ადიოდი, თორემ დაღმართით რომ გემოძრავა, პირდაპირ ხევში გადაეშვებოდიო.

— ალბათ მანქანით მოგზაურობა გიყვარს, არა?

– კი, ბათუმშიც წავსულვარ საკუთარი მანქანით, თიანეთშიც... ბათუმში კონცერტზე წავედით და თან დათო გომართელიც წავიყვანეთ. „ფორდი" ხომ პატარა მანქანაა და დათო მთელი გზა მებუზღუნებოდა: ეს რა მანქანაა – ვერ გაიმართები კაცი, მაგ „გაზს" მაინც მიაწექი, რატომ მიხოხავო?!. ერთხელ მე და ჩემმა ბიძაშვილმა თიანეთში დასასვენებლად წასვლა გადავწყვიტეთ. ავიჩემე: გინდა თუ არა, ჩემი მანქანით უნდა წავიდე-მეთქი. ძმამ გამაფრთხილა: ძალიან ცუდი გზებია და იცოდე, მანქანას გზაზე დატოვებო, მაგრამ არ დავუჯერე. დავტვირთეთ მანქანა ჩვენი ბარგი-ბარხანით და წავედით. თურმე მთელი 30 კმ აღმართია და თან ქვები კი არა – ლოდები ყრია! ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებს, დასახლება არ არის, რომ ვინმე მოგვეშველოს... მოკლედ, იხტიბარი არ გავიტეხე და მთელი ერთი კილომეტრი როგორღაც გავიარე... მანქანას ბოლი რომ აუვიდა, მაშინ კი მივხვდი, რომ ჩემი საქმე ძალიან ცუდად იყო. უკან დავბრუნდით და მერე თიანეთში ტაქსით გავემგზავრეთ...

— მანქანის მოწყობილობის თუ გესმის რაიმე?

– რა ვიცი. საჭის დატრიალებისას ვგრძნობ, რომ საბურავი დაეშვა, ვხვდები, ჰაერი როდისაა დასამატებელი საბურავში. იმასაც თვითონ მივხვდი, რომ მანქანას „სცეპლენიე" ჰქონდა გაფუჭებული: ფეხს რომ ვაჭერდი, პედალი მირტყამდა და ხელოსანთან წავიყვანე – რაღაც სჭირს და უშველეთ-მეთქი. აღმოჩნდა, რომ რაღაც კბილანები ჰქონდა ჩატეხილი და ამის გამო, სიჩქარეების გადართვა გაჭირდა.

— მანქანის მოვლა გიყვარს?

– არა, ძალიან მეზარება. მამაჩემს ვთხოვ ხოლმე და თითქმის ყოველთვის მას მიჰყავს მანქანა ავტოსამრეცხაოში. ერთადერთხელ გავრეცხე მანქანა საკუთარი ხელით. „ფორდი" რომ ჩამომიყვანა ჩემმა ძმამ გერმანიიდან, ისე გამიხარდა, რომ ჩავედი ეზოში და ლამის მთელი დღე ვხეხე და ვწმინდე.

— მანქანას თუ ანდობ ხოლმე ვინმეს?

– არავითარ შემთხვევაში! ვერავის ვათხოვებ მანქანას – რა იცი, რა ხდება?! თანაც, სხვა რომ ჯდება საჭესთან, დისკომფორტს ვგრძნობ ხოლმე...

— ოდესმე, ნასვამი დამჯდარხარ საჭესთან?

– მთვრალი არა, მაგრამ ნასვამი კი... ყოფილა ასეთი შემთხვევა... ხშირად მიწევს სტუმრად ყოფნა და სუფრასთან ისე ხომ არ ივჯდები, ერთი-ორი ჭიქა მაინც არ დალიო?! მიყვარს მეგობრებთან ერთად დალევა და მოლხენა, მაგრამ ისე არ ვსვამ, საკუთარ თავზე კონტროლი რომ დავკარგო... მამაკაცები, როდესაც ნასვამები არიან, უფრო თამამები ხდებიან, ქალები კი, პირიქით – უფრო ფრთხილები... არ უნდა ვამბობდე, მაგრამ რა ვქნა – ვერ მოვიშალე დალევა *(იცინის)*!.. სამი ჭიქა მაინც ხომ უნდა დალიო, კარგ ხასიათზე რომ მოხვიდე და კარგად მოილხინო...

■

ვიო თავისებურად ვეთანხმოლებს ზუკას, ზუკა კი ვილაც ვასკეთილებს იპარებს...

ფართო საზოგადოება გიო ხუციშვილს იცნობს, როგორც მომღერალს. მის მიერ შესრულებული სიმღერები — „ჩემო ცისფერთვალებავ“, „ლოთიანი“, პირველი აჟღერებისთანავე შეიყვარა მსმენელმა. ის კი არ იცის ბევრმა, თუ რა პროფესიას დაეუფლა გიო თავდაპირველად. ის 16 წლის იყო, როცა სკოლა დაამთავრა და თეატრალურ ინსტიტუტში, კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე ჩააბარა. პროფესიით კინოდოკუმენტალისტმა, რამდენიმე ფილმიც გადაიღო. მერე, დრო შეიცვალა, ყველაფერი აირია და გიოსაც პროფესიის შეცვლა მოუხდა. მან ეკონომიკური განათლება მიიღო და ამჟამად ძალიან სერიოზულ და საპასუხისმგებლო პოსტზე მუშაობს — ფინანსთა სამინისტროს „რეგიონალური საბაჟო-აღმოსავლეთის“ უფროსის მოადგილეა და დრო თითქმის აღარაფრისთვის რჩება. თუმცა, როცა ამის საშუალება ეძლევა, მიდის ხოლმე კინოსტუდიაში და იმედი აქვს, რომ ოდესმე დიდ ფილმს გადაიღებს, რომელშიც ავტობიოგრაფიულ ელემენტებსაც შეიტანს.

ნათია თენიეშვილი

გიო ხუციშვილი დაიბადა ბლეხანოვზე, გაიზარდა სბურთალოზე, სწავლობდა ვაკეში და რუსთაველზე, მუშაობს ორთაჭალასა და ლილოში და როგორც თვითონ ამბობს — თბილისი მისი სახლია. ამჟამად ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე ცხოვრობს, მეუღლის ბებიის დატოვებულ სახლში, რომელიც ორი წლის წინ მაიამ და გიომ საკუთარი გემოვნებით გაარემონტეს და მოაწყვეს. ჰყავს სამი შვილი: 20 წლის ნოდარიკო, 17 წლის ელენე და უკვე ცნობილი და ყველასათვის საყვარელი, ნორჩი მომღერალი — ზუკა. ხშირად გიოს უკვე ზუკას მამასაც კი უწოდებენ, რაც ძალიან უხარია. თვითონ სულ უფრო იშვიათად იცლის ხოლმე სიმღერისთვის: „ვმღერი მხოლოდ მაშინ, როცა მინდა და დრო მაქვს“, — ამბობს გიო. აი, ზუკა კი, სერიოზული მომღერალია და უამრავი გეგმა აქვს. სულ ახლახან, ერთი რუსული სიმღერის რემიქსი ჩაწერა, ახლაც, ახალ სიმღერაზე მუშაობს და ელოდება თემო რცხილაძეს, რომელმაც კიდევ ერთი სიმღერა უნდა დაუწეროს. ზუკა ძალიან პატარა იყო, როცა გიო აფხაზეთის ომში წავიდა და წელიწად-ნახევარი იბრძოდა. როგორც თვითონ თქვა, არ უყვარს ამ თემაზე საუბარი, მაგრამ რამდენიმე ეპიზოდი მაინც გაიხსენა.

— მეგობრები ვიყავით წასულები. ახლა, როცა ვიკრიბებით, სერიოზულად ამ ომზე არ ვლაპარაკობთ. თუ ვიხსენებთ, ვცდილობთ, იუმორში გავატაროთ ხოლმე იმდროინდელი მოგონებები... როცა წავედი, ზუკა ძალიან პატარა იყო. მისი ზეწარი მქონდა წაღებული და მთელი ომის განმავლობაში ყელზე მეკეთა, არ მომიხსნია. ერთხელ, ოჩამჩირესთან ახლოს ერთ დამწვარ სახლში შევედით. ყველაფერი განადგურებული იყო. მარტო როიალი იდგა. ჩემი მეგობარი უკრავდა და მე ვმღეროდი. იქვე, 200 მეტრში აფხაზები იყვნენ განლაგებულნი. ალბათ გაგიჟდნენ კიდეც — რა ამღერებთო?!. ვინც იქ იყო, ყველა ვაჟკაცურად იბრძოდა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის. ყველამ იცის, რომ იქ მარტო აფხაზები კი არა, მთელი „საბჭოთა კავშირის ნაკრები“ იბრძოდა. ამხელა ძალას ვერ გაუმკლავდები. ალბათ, რაღაც პოლიტიკაც იყო, მაგრამ ეგ მე არ მაინტერესებს. ჩვენ მართლა გულით ვიბრძოდით. ბევრი დაიღუპა კიდეც. მარიკა თხელიძის მამა ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. ის, სამწუხაროდ, ვეღარ დაბრუნდა. მერე ჩამოვასვენეთ ბაბუშერიდან. იქვე, აეროპორტში იყო დაკრძალული და ტყვეთა გაცვლა რომ მოხდა, მაშინ გადმოვასვენეთ... ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, მაგრამ იმის გახსენება ახლაც მიჭირს. გოგა ხაინდრავას ფილმის — „ოცნებების სასაფლაოს“ ჩვენებაზე რომ მივედი, ცოტა ხანი ვუყურე და ვეღარ გავუძელი, დარბაზიდან გამოვედი: გოგა რეალურად, იქ იღებდა ამ ფილმს, სადაც ჩვენ ვიყავით და გამიჭირდა ამის ყურება. ჩემი სიმღერებიდან გამომდინარე, ყველას ჰგონია, რომ ვსვამ, მაგრამ 1993 წლიდან არ დამილევია. ჭიქას აღარც ვეკარები იმიტომ, რომ თუ დავლიე, მერე რაღაცები მახსენდება, ცუდად მოქმედებს და არ მინდა.

— ღმერთმა არ ქნას და საჭირო რომ გახდეს, ზუკას თუ გაუშვებთ ომში?

— მაგაზე ბევრი მიფიქრია და არ ვიცი. ძალიან რთული საკითხია... ჩვენთან ერთად ლევან პირველიც წამოვიდა. მაშინ არ იყო დეპუტატი. ჩვეულებრივი პისტოლეტით იყო წამოსული. იქ პისტოლეტი რას გიშველის?!. გინდ გქონია, გინდ არა. სამ დღეში ჩამოაკითხა მამამისმა. ყველას გვეგონა წაიყვანდა — იმან კიდევ, ავტომატი ჩამოუტანა. პისტოლეტი რას გეყოფა — აჰა, ავტომატიო! მერე სულ ვშაყირობთ ხოლმე: ლევანს გაუხარდა, მამამისმა რომ ჩამოაკითხა, ალბათ იფიქრა — წამიყვანს და მოვრჩები ამ ჯოჯოხეთს, იმან კი ავტომატი ჩამოუტანა-თქო...

— გიო, თქვენ ეპიზოდურ, მაგრამ ძალიან დასამახსოვრებელ როლს ასრულებთ გიორგი შენგელაიას ფილმში — „სიყვარული ყველას უნდა“. როგორ მოხვდით იქ?

— კინოსარეჟისოროზე ვსწავლობდი. რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, რეზო ესაძე და რა ვიცი — თუ ვინმე მეტრი იყო, ყველა ჩვენ გვასწავლიდა. მაშინ დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორი, ჭაბუა ამირეჯიბი იყო და მასთან ვმუშაობდი. წარმოიდგინეთ, ჩემ გვერდით რეზო თაბუკაშვილი თავის ფილმებს ამონტაჟებდა!.. რამდენიმე ფილმი გადავიღე, დიპლომი გავაკეთე ჩემი სკოლის დამლაგებელზე. უკრაინელი ქალი იყო და

სკოლაში ცხოვრობდა. არდადეგები მისთვის უბედურება იყო: ყველანი მივდიოდით და ის მარტო რჩებოდა... ეს ფილმი კიევშიც იყო წარდგენილი ფესტივალზე. რაც შეეხება სურათს — „სიყვარული ყველას უნდა" — მე და ნიკუშა შენგელაია უახლოესი მეგობრები ვიყავით... როცა ბატონი გიორგი ამ ფილმს იღებდა, მე მასთან პრაქტიკაზე ვიყავი და გადამიღო. „ხარება და გოგიაშიც" ერთ-ერთ ყაჩაღს ვთამაშობ, მეფაიტონეს. უბრალოდ, იქ წვერი მაქვს და ვერ მცნობენ. ძალიან ბედნიერი ვარ იმ წლებით.

ამ დროს ზუკაც შემოგვიერთდა და ვკითხე: შენ თუ მოგწონს მამა ამ ფილმებში-მეთქი?

— კი, ზოგი მაქვს ნანახი და ძალიან მომწონს. მართალია, მთავარ როლს არ ასრულებს, მაგრამ მაინც მომწონს.

— სიმღერა — „ჩემო ცისფერთვალებავ" ძალიან პოპულარული გახდა, ერთი პერიოდი, ნამდვილ ჰიტად იქცა. თუ ელოდით, რომ ასე მოხდებოდა?

გიო:

— მე და ნატო *(კომპოზიტორი ნატო გელაშვილი. — ავტ.)* არ ველოდით, ასეთი ამბავი თუ იქნებოდა, მაგრამ ის კი ვიცოდით, რომ ძალიან მოეწონებოდა მსმენელს. გულიდან ამოსული, კარგი სიმღერაა. ნებისმიერ დროს იმღერებს ადამიანი. ხაშურში, რესტორანში ზურნადუდუკზე მოვისმინე „ჩემო ცისფერთვალებავ" — კინაღამ გავგიჟდი. როცა ეს სიმღერა გამოვიდა, იმ ზაფხულს, ბათუმში ვისვენებდი. დილის ექვს საათზე გაივლიდა მანქანა და ბოლო ხმაზე ჰქონდა აწეული ეს სიმღერა. უკვე ვყვიროდი: გამორთეთ-მეთქი! ყველგან „ჩემო ცისფერთვალებავ" ისმოდა. მოეწონა ხალხს იმიტომ, რომ ყურს ლამაზად ხვდება. სიმღერის მოსმენისას, ტექსტიც და მუსიკაც უნდა დაგამახსოვრდეს. მე არ ვფიქრობ, რომ ის, რასაც დღეს ვუსმენთ და ვუყურებთ, ქართული ესტრადაა. დღეს, ვისაც კი ამის ოდნავი შესაძლებლობა ეძლევა, ყველა მღერის. 100 ფესტივალია და ყველა მომღერალი ვარსკვლავია. რაც ხდება, ეს უკვე სირცხვილია, მაგრამ ამაზე ნერვები არ უნდა აიშალო. როგორი არეულობაც ქვეყანაშია, ესტრადაც ასევეა არეული, მაგრამ მოვა დრო და ყველაფერი დალაგდება. თუმცა, საშიშია — ბავშვებს არ გაუფუჭდეთ გემოვნება. ამიტომ უნდა ეცადოს ოჯახი, რომ ნორმალური მუსიკა ასმენინოს ბავშვს.

— თქვენ ურჩევთ ხოლმე ზუკას, რა უნდა მოისმინოს?

— არასდროს მირჩევია, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ კარგი მუსიკა მოსწონთ მასაც და ჩემს უფროს შვილებსაც. დრო ძალიან ცოტა მაქვს, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობ, შვილებთან გავატარო. მიმყავს ხოლმე ზუკა ჩემს მეგობრებთან. ჩვენი სიმღერაც მოუსმენია და ქეიფიც უნახავს. მოკლედ, ტრადიციებზე იზრდება. გემოვნება ალბათ გენეტიკურადაც უნდა იდოს ადამიანში. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რაღაცების ახსნა და სწავლება.

— ერთად ბევრ დროს ატარებთ?

— ზუკა 9 საათზე სკოლაშია, მე — სამსახურში ვარ. რომ მოვდივარ, ამას სძინავს და ვერ ვხვდებით ერთმანეთს. ჩემთან ურთიერთობა მართლა ძალიან აკლია, მაგრამ სულ ვაკონტროლებ მაინც, ჩემებურად...

— ცელქი არ არის?

— არის, მაგრამ ჩვენს დროს, სულ ეზოში რომ ვიყავით და ფეხბურთს ვთამაშობდით, ამას მაგისთვის არ სცალია. სულ დაკავებულია: ინგლისური, მათემატიკა, ქართული, აუზი, კონცერტი, ჩაწერა და ა.შ. ძალიან ბევრს შრომობს და მართლა ვუფასებ, იმიტომ, რომ არ წუწუნებს.

— ზუკა, ასეთი დაკავებული რომ ხარ, სკოლაში მასწავლებლებთან პრობლემები არ გიჩნდება?

გიო:

— მასწავლებლებს მოსწონთ ზუკას სიმღერა და ბევრ რამეს აპატიებენ.

ზუკა:

— მითმობენ ხოლმე, ყველა არა, მაგრამ მაინც. ახლა მათემატიკაში ტესტირება მაქვს და ძალიან მეშინია. არ მიყვარს მათემატიკა.

— შეყვარებული არ გყავს?

— მყავდა, მაგრამ ახლა აღარ მყავს.

— გიო, თქვენ გეუბნებათ ხოლმე ზუკა, როცა შეყვარებულია?

— არ მეუბნება, მაგრამ ვიცი, ვინც უყვარდა, მშვენიერი გოგოა. თვალებს რომ გააპარებს ხოლმე, მეც გავაპარებ და ვხვდები, რომ რაღაცაშია საქმე... ისე ჩემი და ზუკას გემოვნება ქალებში ემთხვევა.

— საყვარელი ნივთები თუ გაქვთ?

— ბავშვობიდან მიყვარს დანები და სულ ვაგროვებ. ყველაზე საყვარელი ნივთი კი, როიალია. ყველაფერი აქ, ამ როიალთან კეთდება და იქმნება. თანაც, ის ბაბუა-ჩემის ბაბუის ნაქონია. 1937 წელს დააპატიმრეს და მისგან ეს როიალი და ერთი დიდი სურათი დარჩა. ის სურათი ახლა დედაჩემთან არის. ამ როიალზე ჩემი და უკრავდა. მთელი ბავშვობა გაწამებული ვიყავი — 7-8 საათი მეცადინეობდა ხოლმე და ვეღარ ვიტანდი, მაგრამ გამოადგა და ახლა, ამერიკაში ერთ-ერთ დიდ საბალეტო სკოლაში მუშაობს.

— თქვენ რამდენად ხშირად ჯდებით როიალთან?

— როცა მცალია, ვუკრავ, მაგრამ ძირითადად, მაია უკრავს ხოლმე. საერთოდ, მე და ზუკა ვლაპარაკობთ, მაგრამ ყველაფერს მაია აკეთებს: სიმღერაა ეს, რეპეტიცია თუ ჩაწერა და ა.შ.

— ესე იგი, გაგიმართლათ არჩევანში...

— მუსიკა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და იმ ქალთან, რომელსაც მუსიკა არ ესმის, რაღაც ნიუანსს ვერ გაიგებს და ა.შ. ცხოვრება ჩემთვის წარმოუდგენელია. ჩემთვის ბედნიერებაა, რომ მაიას ასე

ბებიაჩემს ბავშვობა გავახსენეთ — ხან მამაჩემი აბარებდა ტესტებს, ხან მე...

ისე ჩემი და ზუკას გემოვნება ქალებში ემთხვევა

კარგად ესმის მუსიკა. ალბათ ამანაც განაპირობა ჩვენი ერთად ყოფნა. მე რომ გავიცანი, მაია მღეროდა. ასეთ დროს ლაპარაკი და სიყვარულის ახსნა აღარ გჭირდება – სიმღერა ამბობს ყველაფერს. 13 წელია, ერთად ვცხოვრობთ. ყველანაირ ქარცეცხლში გამოუვლია, ჩემს გადამკიდეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დავწყნარდი...

— დანები მიყვარსო, — თქვით. თუ გამოგიყენებიათ ოდესმე ჩხუბის დროს?

– ახალგაზრდობაში, ქუჩაში კი ვიდექი, მაგრამ დანას არ ვხმარობდი. მაშინდელი ქუჩა სხვანაირი იყო. ერთი გასროლაც რომ მომხდარიყო, ყველამ იცოდა. არ ჰქონდა ამას ასეთი მასობრივი ხასიათი. ჩხუბი კი, იცოცხლე, ყოველდღე ხდებოდა. თუ რუსთაველზე კინოში გოგონებთან ერთად წავიდოდით, ფილმის მერე, აუცილებლად უნდა გვეჩხუბა. მაგრამ მერე ვრიგდებოდით, ვმაკაცდებოდით და ვმეგობრობდით. საბურთალოს ქუჩაზე გავიზარდე, სულ იპოდრომზე ვიყავით ბიჭები. შაბათ-კვირას დღი იმართებოდა ხოლმე. დავდიოდით და ტოტალიზატორშიც ვთამაშობდით. ახლა რომ გაგიჟდა ხალხი ამაზე, მაშინ ეს მხოლოდ იპოდრომზე ხდებოდა. ძალიან კარგი დრო იყო. ახლა აღარ არის ისეთი დრო და სულ ვუყვები ხოლმე ზუკას იმ პერიოდის შესახებ.

— ზუკა, შენ თუ გიჩხუბია ქუჩაში?

– სკოლაში მიჩხუბია. თუ რამე ისეთი მოხდება, მაშინ მთელი კლასი ვიკრიბებით და ვჩხუბობთ ხოლმე. ისე, სხვა დროს არ მიჩხუბია.

გიო:

– ხშირად დავდივართ ხოლმე ვაკეში, ახალგახსნილ ტაძარში. მისი მოძღვარი ჩემი ბავშვობის მეგობარია. ისიც გენიალურად მღეროდა. თუმცა ბავშვობიდანვე სხვანაირი, გამორჩეული იყო. ბევრ რამეს მასწავლის, ძალიან დიდ როლს თამაშობს ჩემს ცხოვრებაში. ადვილია ჩემთვის მასთან ურთიერთობა და აღსარების თქმა იმიტომ, რომ ბავშვობიდან ვიცნობ და ვიცი, როგორი ადამიანია.

ზუკა:

– მარხვისას, მე ვუჭამდი ხოლმე სამარხვო საჭმელებს და მეჩხუბებოდა – ჩვეულებრივი საჭმელი ჭამე, მაგას ნუ ჭამო.

გიო:

– კი, ასე იყო. საღამოს მოვიტანდი საჭმელს და დილით აღარ იყო – ზუკა ჭამდა. ვცდილობ, რასაც მოძღვარი მეუბნება, ის გავაკეთო, მაგრამ ყოველთვის არ გამომდის. ამას წინათ, არ მაზიარა და ორი კვირის მერე დამიბარა. ეგ არის ჩვენი ძმაკაცობა-მეთქი?! – ვუთხარი. – ამ საქმეში ძმაკაცობა არ ვიციო, – მიპასუხა.

— ცოტა ხნის წინ, საბაჟო სამსახურებში გამოცდები იყო დანიშნული. მეცადინეობდით?

– ძალიან ვნერვიულობდი. ასე დიდი ხანია არ მიმეცადინია. ზუკა, უნდა გენახათ, რა დღეში იყო. ეჭირა წიგნი და მეუბნებოდა: სწორია – არ არის სწორი... ღამის 4 საათამდე ვმეცადინეობდი. ბოლოს, გამოცდები რომ გადაიდო, ძალიან მეწყინა, იმიტომ, რომ საფუძვლიანად ვიყავი მომზადებული. 50 კითხვიდან 35 იყო გამსვლელი. 48-ს ვპასუხობდი და ნერვები მეშლებოდა იმ ორის გამო...

ზუკა:

– ბებიაჩემს ბავშვობა გავახსენეთ – ხან მამაჩემი აბარებდა ტესტებს, ხან მე.

— საჩუქრების მირთმევა თუ გიყვართ?

გიო:

– კი, მეც ძალიან მიყვარს და ზუკასაც. მას თავისი შემოსავალი აქვს კონცერტებიდან. როცა ფული აქვს, მიდის და ყველასთვის საჩუქრებს ყიდულობს ან სახინკლეში დაჰყავს ახლობლები. ამას წინათ, ძალიან კარგი – „არმანის“ ოდეკოლონი მაჩუქა. დედამისსაც ჩუქნის ხოლმე რაღაცებს.

— ზუკა, საჩუქრებს შენ თვითონ არჩევ?

– კი, მე თვითონ ვარჩევ. ბებოსთვის ბეჭდის ჩუქება მინდოდა. მერე გადავიფიქრე და საყურე ვაჩუქე. ძალიან დიდი ხანი ვეძებდი კლიფსებს, ბოლოს, როგორც იქნა, ვიშოვე და მივუტანე. ძალიან ბევრი ფული არა მაქვს, მაგრამ როცა მაქვს, მიყვარს საჩუქრების მირთმევა.

— გიო, როგორც გავიგე, ზუკა სასწავლებლად საზღვარგარეთ გინდათ გააგზავნოთ. ეს უკვე გადაწყვეტილია თუ ჯერ მხოლოდ იდეის დონეზეა?

– ეს ჯერ იდეის დონეზეა. ზუკა „არტ-იმედის“ წევრია, ალბათ ისინიც დაგვეხმარებიან. ჯერ ვფიქრობთ და ვარჩევთ სასწავლებელს. ამერიკაში არის კარგი სკოლები, მაგრამ ამერიკა ძალიან შორს არის – გაგვიჭირდება წასვლა-წამოსვლა. ახლა ვეძებთ და ვფიქრობთ, იტალიაშიც არის და ინგლისშიც კარგი სკოლები. ვნახოთ, რა იქნება. ჯერ არ ვიცით.

საუბრის ბოლოს, გიოს ვკითხე: დოკუმენტალისტიც ხართ, ეკონომისტიც, მსახიობიც, მომღერალიც, ომშიც გიბრძოლიათ და ბოლოს და ბოლოს, უფრო მეტად ვინ არის გიო ხუციშვილი-მეთქი?

„მე ერთი თბილისელი ბიჭი ვარ. დავიბადე და გავიზარდე ამ ქალაქში და ბოლომდე აქ ვაპირებ ყოფნას. ისე მიყვარს ჩემი ქვეყანა და თბილისი, რომ ალმური ამდის. ჩემი ქვეყნისთვის რაიმე კარგის გაკეთებას სიმღერით შევძლებ, საქმით თუ ომით – რაც შემიძლია, იმას გავაკეთებ იმიტომ, რომ მართლა ძალიან მიყვარს...“ – *მიპასუხა მან.*

■

ბაბუაჩემის ბაბუის ნაქონია. 1937 წელს დააპატიმრეს და მისგან ეს როიალი და ერთი დიდი სურათი დარჩა

რა არის გლუკოზამინი?

გლუკოზამინი არის ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო აპრობირებული საშუალება, რომელიც გამოიყენება სახსრების ტკივილისა და ანთების დროს. იგი განაპირობებს ხრტილების რეგენერაციას.

რითი განსხვავდება გლუკოზამინი სხვა ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებისგან?

ნებისმიერი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება სიმპტომურად ხსნის ტკივილს, ხოლო გლუკოზამინი ახდენს ტკივილის გამომწვევ მიზეზებზე ზემოქმედებას. ტკივილის შემცირება და კლინიკური გაუმჯობესება განპირობებულია აღდგენითი პროცესებით სახსრებსა და ხრტილებში.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

რა არის MSM?

MSM – მეთილსულფანილ მეთანი არის ბუნებრივი ორგანული ნაერთი, რომელიც გვხვდება ყველა ცოცხალ ორგანიზმში და აქვს მაღალი ბიოლოგიური აქტივობა. მას აქვს კარგი და სწრაფი ეფექტი ანთების, სახსრების დაავადებებისა და ტრავმისას.

რა უპირატესობა აქვს გლუკოზამინს სხვა მსგავსი პრეპარატებისგან განსხვავებით?

გლუკოზამინი არ აღიზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, ვინაიდან მასში შედის ისეთი მცენარეული ბოჭკოები, რომლებიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვედრისთანავე აბის გარშემო ქმნიან ჟელესებრ პროტექტორს.

რატომ ანიჭებენ უპირატესობას ჰიპერტონიული დაავადებისას გლუკოზამინს?

ვინაიდან ამ პრეპარატის შემადგენლობაში არის კალიუმის ქლორიდი და არა ნატრიუმის ქლორიდი, მისი დანიშვნა თამამად შეიძლება ჰიპერტონიკებისათვის, როგორც ცნობილია, ნატრიუმის იონი იწვევს ორგანიზმში სითხის შეკავებას, რაც არ არის რეკომენდებული ჰიპერტონიული დაავადებებისას.

როგორ მივიღოთ გლუკოზამინი MSM-ით?

რეკომენდებულია 2-2 კაფსულის მიღება დღეში 2-ჯერ. მოქმედების ეფექტი ძლიერდება ხანგრძლივი მიღებისას, ამიტომ რეკომენდებულია მიღება არა უმცირეს 8 კვირისა.

სად შევიძინოთ გლუკოზამინი MSM-ით?

ასევე შეგიძლიათ შეიძინოთ „ინოლტრა", „ბოუნ სპორტი ოსტივინით"

„ნუტრიმენტ ჰაუსი", მის: დ.აღმაშენებლის 150, ტელ: 95-65-03; 96-06-67, სამუშაო საათები: ყოველ დღე 10.30 – 18.00, კვირას 10.30 – 14.00, www.shopge.com

მაღალხარისხიანი ნაგურალური პრეპარატები

ლაინუს-პოლინგის სუპერ „მულტი-ვიტამინი"

- ანეიტრალებს არასრულფასოვანი კვების ნეგატიურ მოვლენებს;
- ასტიმულირებს ჰემოგლობინის გამომუშავებას;
- აძლიერებს იმუნიტეტს და ხელს უწყობს ორგანიზმიდან წიდების გამოდევნას;
- იცავს სტრესებისაგან;
- აძლიერებს ორგანიზმის შრომისუნარიანობასა და ტონუსს;
- აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, თმისა და ფრჩხილების ზრდას;
- განაპირობებს ძვლებისა და კბილების სიჯანსაღეს;

და რაც მთავარია

განაპირობებს ორგანიზმის დღეღამური მოთხოვნილების შევსებას ვიტამინებზე, მინერალებსა და სხვა საჭირო ნივთიერებებზე.

3 აბი შეიცავს

ვიტამინები

ვიტამინი A	6,000 ME
ვიტამინი C	64 mg
ვიტამინი D	600 ME
ვიტამინი K	20 mcg
ვიტამინი B_1	20 mg
ვიტამინი B_2	20 mg
ვიტამინი B_6	12 mg
ვიტამინი B_{12}	100 mg
ვიტამინი B_5	30 mg
ნიაცინამიდი	25 mg
ბიოტინი	60 mg
ფოლიუმის მჟავა	800 mg

მინერალები

კალიუმი	120 mg
რკინა	8 mg
იოდი	300 mg
მაგნიუმი	50 mg
თუთია	15 mg
სელენიუმი	40 mcg
მაგნიუმი	3 mg
ქრომი	14 mcg

მცენარეული ენერგაიზერები

ჟენ-შენის ფესვი	175 mg
ექინაცეა	20 mg
გუარანა	200 mg

სიცოცხლის გამახანგრძლივებელი კომპლექსი

(გინობილობა, ნიორის ექსტრაქტი, ჰავაური პურპურა, ვაშლის, ფორთოხლის, ბროკოლის, სტაფილოს გამონაწველი)	60 mg



მოქალაქე პატიმარს გაუპატიურებული გოგონასთვის დახმარების გაწევა სურს

(„გზა“, №19, „ბედოვლათი მამის, უბედური დედისა და დაკარგული შვილების ამბავი“)

ჩვენს პუბლიკაციებს ხშირად ეხმაურებიან მკითხველები, მაგრამ იშვიათად თუ მომხდარა, რომ ნებაყოფლობით რესპონდენტს საკუთარ დანაშაულში ემხილებინოს თავი. რუბრიკით — „ტრაგედია“ — ორი კვირის წინ გამოქვეყნებული, ახალგაზრდა ქალის ინტერვიუს პასუხად — რომელშიც ის ჰყვებოდა, თუ როგორ გააუპატიურა მასთან შინ შემოვარდნილი 3 ყაჩაღიდან ერთ-ერთმა და ამით, მისი მცირეწლოვანი ძმაც, ნერვიული შოკის შედეგად სამუდამოდ დასნეულდა, — რედაქციაში ჟურნალისტის სახელზე, ბეჭდური ასოებით დაწერილი, ასეთი წერილი მოვიდა (სტილი დაცულია):

მარი ხაფარიძე

„მარი, გამარჯობა. არ ვიცი, რა გითხრათ. კარგათ მოვიფიქრე, საჭიროა თუ არა მოგწერო. მე ის ბიჭი ვარ, რომელმაც ცუდად იცხოვრა. ნატო მახსოვს. მისი ამბავი მე მაწევს. მართლა კარგი გოგონაა. ცოლათ მოვიყვანდი, მაგრამ მაგ ამბის 2 თვის მერე ციხეში მოვხვდი და 6 წელი მომცეს. ახლა სროკზე ვარ და ორი წელი დამრჩა. ეგ ამბავი გაუხსნელია. რომ გაიგონ დამიმატებენ. ასე იმიტო ვწერ, რომ ვერ მომაგნონ ვინა ვარ, თორე არც გრამატიკა მეშლება და არც წერა. ამ დღეებში მოვახერხებ დაკავშირებას ვინმეს საშუალებით. ყველაფერს მოგწერ ან მე თავად მოგიყვები. ნატო უნდა გადავარჩინოთ. იმედი მაქ არ გამწირავ. ვინაობას არ გიმხელ. მეშინია. ჯერ გავიგებ, ვინ ხარ მერე დაგიკავშირდები. ნატოს გულისთვის არ გამწირო. დროებით გემშვიდობები.“

ამ წერილის მოსვლიდან რამდენიმე დღეში, ავტორის და დავიკავშირდა. სწორედ მისი მეშვეობით მოხერხდა წინამდებარე ინტერვიუს ჩაწერა.

— ნატოს ოჯახი გლდანში ცხოვრობდა. საკმაოდ შეძლებული ოჯახი იყო. მისი მეგობრის ძმამ გვითხრა: ერთი გოგო ისე მევასება, ჭკუას ვკარგავო. მე და ბიჭებს გვაჩვენა სურათები, საიდანაც მართლაც მშვენიერი გოგონა იმზირებოდა, მაგრამ ჩემი ყურადღება ბინის მოწყობილობამ უფრო მიიპყრო. ეტყობოდა, რომ საკმაოდ მდიდრები იყვნენ. ამ ბიჭს ყველაფერი დაწვრილებით გამოვკითხე: მისამართი, ვინ იყვნენ ოჯახში, რამდენი წლისანი იყვნენ და ა.შ. ჩემს მეგობრებთან ერთად გეგმა შევიმუშავე — როგორ შეიძლებოდა ამ ბინის „გატანა“. ერთი თვის განმავლობაში, ყოველდღე ვუთვალთვალებდით მათ, ზეპირად ვიცოდით, ვინ როდის მიდიოდა და როდის მოდიოდა. თვალთვალის დროს, რასაკვირველია, ნატოც მინახავს, ეზოში გავლილი თუ სადარბაზოში შესული. მართლა ძალიან ლამაზია. როდესაც მას თვალს მოვკრავდი, ტანში ჟრუანტელი მივლიდა, სურვილით ვივსებოდი და რას არ მივცემდი, ჩემი რომ გამხდარიყო.

— მერე, დაყაჩაღების მაგივრად, მასთან დაახლოება რატომ არ სცადე?

— იცით, რა, საქმე ცოტა სხვაგვარად იყო: ჩვენს ძმაკაცს ფული სჭირდებოდა. ამ საქმეზე უარს ვერ ვიტყოდით. მე კი ჩემს გრძნობებს მეგობრებთან არ ვამხელდი...

— ნუთუ, ერთი ნახვით შეგიყვარდა?!.

— არა, არა, კი არ შემიყვარდა, — მსურდა, მისი დაუფლების ჟინი მკლავდა. ჩემს მეგობრებსაც მოსწონდათ. ერთმა ისიც თქვა: ამ საქმეზე თუ ჩავვარდით, ალბათ ორი მუხლით გაგვასამართლებენ — ყაჩაღობა-გაუპატიურებისთვისო... სწორედ ამიტომ, როცა უკვე ბინაში შევედით, ინიციატივა მე ავიღე ხელში, რომ მათ არ მოენდომებინათ პირველობა მის დასაუფლებლად.

— ძმაკაცს თუ ფულის გასაჭირი ჰქონდა და ამ საქმეზე ამიტომ წახვედით, ოქროულობა რატომ აღარ წამოიღეთ? რამდენადაც ვიცი, ნატომ ძვირფასეულობა თავისი ხელით გამოგიტანათ...

— დიახ, მაგრამ, სანამ მე ნატოთი ვიყავი დაკავებული, ერთ-ერთი ჩვენგანი ფულს ეძებდა და 1.700 დოლარი იპოვა კიდეც. ოქროულობა კი, სულ 150-200 დოლარის „პენსია“ იქნებოდა, თანაც ნატომ წივილ-კივილი ატეხა, შევშინდით, თავზე პოლიცია არ დაგვდგომოდა (ხომ შეიძლებოდა, მეზობელს გამოეძახებინა), ვიჩქარეთ და ოქროულობა აღარც გაგვხსენებია.

— ხომ დაიბარე: დავბრუნდები და ამ გოგოს ცოლად მოვიყვანო?

— კი, მაგრამ ეს ისე, ჰაერზე წამოსროლილი სიტყვები იყო. იმისთვის ვთქვი, რომ ჩემს მეგობრებსაც არ მოენდომებინათ მისი გაუპატიურება...

— შეგეცოდა?

— არა, უბრალოდ, სატრაბახოდ მექნებოდა, რომ მარტო მე მოვახერხე ეს — ეგ იყო და ეგ... იქიდან წამოვედით. ვერ ვიტყვი, რომ აღარ გამხსენებია ეს გოგონა, მასზე გაფიქრებაც კი უსაზღვრო ვნებითა და სურვილით მავსებდა, მაგრამ ვფიქრობდი: დრო გავიდეს და შემდეგ, აუცილებლად, ვითომ შემთხვევით, გავიცნობ და თავს შევაყვარებ, რომ ჩემი გახდეს-მეთქი. დრო კი იმისთვის მჭირდებოდა, რომ არ ვეცნესახეზე ნიღბები კი გვქონდა, წამოცმული, მაგრამ რა იცი — იქნებ ხმით, ან აღნაგობით მაინც მიმხვდარიყო, თუ ვინ ვიყავი...

— რამდენადაც ვიცი, სასჯელს ამ დანაშულის გამო არ იხდი...

— სასჯელს შედარებით მსუბუქი დანაშაულისთვის ვიხდი. ყაჩაღობაა, მაგრამ სასტიკი არა. ორი წელი დამრჩა გათავისუფლებამდე, მაგრამ შეიძლება, პირობით ვადამდე გათავისუფლების შანსიც მომეცეს და უფრო ადრეც გამოვიდე ციხიდან...

— პირველი სასჯელია?

— კი და ღმერთმა ქნას — უკანასკნელიც...

— წერილში მწერდი — ნატოს გადარჩენა მსურსო!

— აქ, ციხეში, ხომ იცით — საქმე არა გვაქვს. ჟურნალ-გაზეთების კითხვით ვიქცევთ ხოლმე თავს. „გზა“ მიყვარს, საინტერესო ამბებს წერთ ხოლმე. ჰოდა, როცა ნატოს ინტერვიუ წავიკითხე, მივხვდი, ეს ის ამბავი იყო, სადაც მთავარი „გმირი“ მე ვიყავი. ამ გოგონას თუ ასეთი მძიმე წარსული ჰქონდა, არ ვიცოდი. ცოდვით ავივსე, რომ წავიკითხე. სხვებსაც წავაკითხე, მაგრამ ჩემ შესახებ ნამდვილად ვერ ვეტყოდი, რადგან ზოგი „ჩამშვებია“, ბევრი — „ბოზი“ და მათთან ასეთი ამბების მოყოლა არ ღირს. ძალიან ვინერვიულე იმის გამო, რომ ნატომ ასეთი ცხოვრება აირჩია. შესაძლოა ჩემი ბრალიც იყოს, შესაძლოა არც არაფერ შუაში ვარ და მაინც ასე ეცხოვრა, მაგრამ მართლა გულით მინდა, გვერდით დავუდგე და საშუალება მივცე, სწორ გზას დაუბრუნდეს...

— რას სთავაზობ?

— დაანებოს თავი ამ საქმეს *(შეგახსენებთ — ნატო ე.წ. „გოგონა გამოძახებითაა“ — ავტ.)* მე მყავს მეგობრები „სვაბოდაზე“, რომლებიც მას ყოველთვიურად გარკვეულ თანხას მიუტანენ — შესაძლოა, იმდენს ვერა, რამდენსაც თვითონ აკეთებს, მაგრამ საარსებოდ ნამდვილად ეყოფა მას და მის ინვალიდ ძმას. თუ მას სისხლში არა აქვს გამჯდარი ასეთი ცხოვრების წესი, პრინციპში, უნდა დამთანხმდეს.

— იქნებ, სწორედ შენგან არ მიიღოს არანაირი დახმარება?..

— არ ვიცი, მაგრამ გულით რომ მოვინანიო, არც მაშინ?!.

— ამ კითხვაზე მხოლოდ ნატოს შეუძლია გაგცეს პასუხი...

გამოხმაურებისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჟურნალისტს ტელ: 8(77) 45-68-61

■

უიღბლო ჟორა და „ითხი გია" ანუ ყაცს თუ ბედი თან არ დაჰყვა...

ავთო მარგველაშვილი

ჩემს გაჩენაში ღმერთი არ ურევიაო — სწორედ ჟორიკო გიორგაძეს თუ შეეძლო ეთქვა. ღმერთი კი არა, გინეკოლოგიც კი არ ჩარეულა მის გაჩენაში. დედამისმა ვენახის ბოლოზე იმშობიარა, ბავშვი კვახის ფოთლებში გაახვია და თავისი რძე რომ არ ჰქონდა, პირდაპირ ძროხის ჯიქანი ატაკა პირში. ასე, ხბოსავით იზრდებოდა ბიჭი, ძროხას „დედას" ეძახდა და დედას — „ბიცოლას". მამას კი, ყველა კაცში ხედავდა, ვინც მოეწონებოდა, რადგან კონკრეტული მამის ვინაობის დასახელებისთვის დედამისსაც კარგა ხნის ფიქრი სჭირდებოდა.

ჩვენი ჟორაც გაიზარდა, ცოტათი კიდეც აღიზარდა და „რომ შეიქმნა 18 წლის, ჯარის ფორმა დაიმშვენა, შეჯდა თავის მწვანე ტანკზე, გააჭენ-გამოაჭენა..." შორეულ ციმბირში მოუწია სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, ბევრი კიდეც მოხვდა და ორი წელი ისე გაატარა, რომ კაკალი რუსული არ უსწავლია. — „**есть**"-ისა და „**никак нет!**"-ის გარდა.

სამშობლოში დაბრუნებულს, გულმა დიდი ქალაქისაკენ გაუწია. ფორმისა და ჩექმების ტარებას შეჩვეულმა, ავტოინსპექციის სამმართველოს მისამართი იკითხა და უფროსის კაბინეტის კარზე მოწიწებით დააკაკუნა. ჩინებული დახასიათების მქონე დემობილიზებული ჯარისკაცი უფროსს თვალშიც მოუვიდა, სამსახურშიც მიიღო და გამოსაცდელად ფულის საშოვარი ერთი კარგი ადგილიც ჩააბარა, სადაც ახალი დაკიდებული იყო შუქნიშანი და მძღოლებს იაღლიში ხშირად მოსდიოდათ. გადაკვრით ისიც მიანიშნა, რომ ამ სამსახურით თავიც უნდა ერჩინა, უფროსიც და „საბჭოთა ხელისუფლებაც"...

ჟორამ „გაიშნიკის" ფორმა მოირგო, კვერთხის ტრიალი დაამუღამა, სასტვენის ტონალობა „დო"-ზე გაასწორა და დანიშნულ პოსტს გამთენიისთანავე მიაშურა. საღამოს, უფროსი ბოლთას სცემდა თავის კაბინეტში და ჩაფულიანებულ ახალ თანამშრომელს ელოდა. მალე კაბინეტის კარი ამაყი ღიმილით შემკობილმა ყმაწვილკაცმა შემოაღო და უფროსს „დაკლადი" ჩააბარა.

— რა ქენი, ბიჭო? როგორაა საქმე?

— კარგად, უფროსო. სამსე მაქვს პლანშეტი, — ჩანთას ხელი დაუთათუნა ინსპექტორმა და იქიდან შევსებული, ჯარიმის ოქმები ამოიღო. — 120 ცალი ოქმია, უფროსო, ხომ ვარჩენთ ჩვენს თავსაც და საბჭოთა ხელისუფლებასაც?!

— ამ ოქმების ნაცვლად, 120 ცალი თუმნიანი უნდა მოგეტანა, შენი (დედა, გამზრდელი, ცოლი და მდედრობითი სქესის ნათესავები საფუძვლიანად მოუხსენია უფროსმა, მაგრამ რადგან ჟორას მეტი არავინ ჰყავდა, გული მხოლოდ ძროხაზე და დედაზე დასწყდა)...

— შენგან კაცი არ გამოვა! — დიაგნოზი დაუსვა უფროსმა, ფულიან პოსტს მოაშორა და ქალაქის ერთ-ერთ შემოსასვლელში დააყენა. დედის გინებით გულნატკენმა ინსპექტორმა ოქმების წერას თავი დაანება და პირდაპირ „ყაჩაღობაზე" გადავიდა. ფულიც კარგად მოაგროვა, ბინაც იყიდა და სოფლიდან „დედა" და „ბიცოლაც" ჩამოიყვანა.

ფულისწამღლეტი ინსპექტორის სახელი მთელ ქალაქს მოედო და მისი გვარი გავარდნილი ტყვიასავით ჭრიდა მძღოლებში. თუ მძღოლი დილით გიორგაძეს, რომელიმე ადგილას რეიდზე დაინახავდა, ცდილობდა, მთელი დღის განმავლობაში იმ ქუჩაზე აღარ გაევლო. ჟორამაც ჭკუა ისწავლა და დღეში 10-15-ჯერ იცვლიდა პოსტს, ხან ხეს ამოეფარებოდა, ხანაც კორპუსს და გადამეტებული სიჩქარით მომავალ მანქანას, ზედ კაპოტზე ახტებოდა. არც თხოვნა, არც მუდარა, არც ნაცნობი — ამ კაცთან არაფერი გადიოდა, ფულის გარდა.

მთელი ქალაქის მძღოლები რომ გინებით იხსენიებდნენ, ეს ამბავი დედამისის ყურამდეც მივიდა. ერთ დღესაც უთხრა:

— შვილო, დღეს დაბადების დღე მაქვს და ნურავის შეაგინებინებ ჩემს თავს.

შვილმაც გადაწყვიტა, არავინ დაეჯარიმებინა და მძღოლს, რომელსაც „პახმელია" შუბლზე ეწერა, ღიმილით უთხრა:

— მარცხი არ შეგემთხვევთ, ბატონო. თუ გნებავთ, სახლამდე მე მიგიყვანთ!..

— შენ აგაშენა ღმერთმა! — მიუგო მძღოლმა. — ა, კაცი, თორემ ვიღაც გიორგაძე ყოფილა — ფაშისტი, მე მაგის დედა...

— მაინც მაგინებ?! — გადაირია უიღბლო ინსპექტორი და ნაბახუსევი მძღოლი ცემით გამოიყვანა „პახმელიაზე". სამსახურიდან კი, რა თქმა უნდა, გამოაგდეს.

ასეთი სახელის მქონე კაცს ახალი სამსახურის პოვნა კარგა ხანს გაუჭირდა და ბოლოს, ერთ-ერთი უმნიშვნელო ორგანიზაციის დაცვის უფროსად მოეწყო. იღბალი უნდა ყველაფერს, თორემ იმ სამსახურში მოსაპარი არაფერი იყო და ვის რა უნდა მოეპარა?! მაგრამ ვიღაცას მაინც ჩაუმტვრევია ფანჯარა და 2-3 კილო სპილენძისთვის, დანადგარები დაუშლია.

— ასე ასრულებ მოვალეობას? — გაცეცხლდა დირექტორი.

— მაპატიეთ, უფროსო, მეტს აღარ ვიზამ.

— ვინ ამინაზღაურებს ზარალს? — არ ცხრებოდა დირექტორი.

— მაპატიეთ, უფროსო, მეტს აღარ ვიზამ, — იმეორებდა ქვეშევრდომი.

— ალბათ დათვერი წუხელ! —

ცოფები ყარა შეფმა.

— მაპატიეთ, მეტს აღარ ვიზამ...

— მაგრამ მაინც გაპატიებ. დღეს კარგ ხასიათზე ვარ: ამ დილით ცოლმა მაუწყა, რომ ფეხმძიმედაა...

— მაპატიეთ, მეტს აღარ ვიზამ, — იგივე ტექსტი წამოსცდა ჟორას და სამსახურს, რა თქმა უნდა, პანღურით დაემშვიდობა.

მეც მქონია იღბალიო, — გაიფიქრა ჩვენმა გმირმა, როცა ერთ გოგოს დაადგა თვალი და საპასუხო მოწონებაც დაიმსახურა. დაქორწინდა კაცი და ქერის ორმოში ჩავარდა. არც სამსახური სჭირდებოდა და არც ფულის შოვნაზე თავის შეწუხება. ერთი „რაღაც“ იყო მხოლოდ მისი საქმე და იმას კი ართმევდა თავს კაცურად(!), მაგრამ ამაშიც უიღბლო აღმოჩნდა და ერთ-ერთ სუფრაზე, რომელსაც თვითონ თამადობდა, ლექსის დასაწყისი წამოსცდა. რა ეშარებოდა? გაგრძელება მაინც არ იცოდა და რატომ დაიწყო?..

— „ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა...“ — წარმოთქვა სიძემ და ის იყო მისი უკანასკნელი დღე სიდედრის სახლში... ისევ ქუჩაში აღმოჩნდა საცოდავი და რამდენიმეთვიანი შიმშილის შემდეგ, ქალაქის თეატრში რიგით დარაჯად მოეწყო.

ერთ მშვენიერ დღეს, დირექტორმა აცნობა, რომ კონცერტს ესტრადის ცნობილი თბილისელი ვარსკვლავები გამართავდნენ და თანამშრომელთა შემოსასვლელი ისე უნდა დაეცვა, რომ მოძალებული მაყურებელი შენობაში არ შეეშვა. მწარე გაკვეთილებით ჭკუანასწავლმა ჟორამ კარი შიგნიდან ურდულით გადაკეტა და ფეხი არსად მოუცვლია. კონცერტიც დაიწყო...

ცნობილი კვარტეტი — „ოთხი გია“ სამსაათიანი პროგრამის ბოლოში იყო ჩასმული. ამიტომ ბიჭებს არ ეჩქარებოდათ. ერთ-ერთ ახლობელ მასპინძელთან ერთად რესტორანში გვარიანად მოილხინეს და თეატრის უკანა შესასვლელს მაშინ მიადგნენ, როცა კონცერტი ორსაათ-ნახევრის დაწყებული იყო.

— ვერ შეგიშვებთ, არ შეიძლება! — მკაცრად უთხრა დაცვამ.

— ჩვენ მონაწილეები ვართ, ბატონო, — გაეცინათ ბიჭებს.

— მონაწილეები თუ ხართ, კონცერტი კი მთავრდება აწი. მონაწილეები კი არა, ყაჩაღები ხართ თქვენ — დაწვავთ აქაურობას, — პოზიციებს არ თმობდა ერთგული დამცველი.

— რა ყაჩაღები, რის ყაჩაღები? კარი გაგვიღე, კაცო, სცენაზე გვაგვიანდება! — ანერვიულდნენ „გიები“.

— იყვირეთ, რამდენიც გინდათ, თქვენი გულისთვის სამსახურს ვერ დავკარგავ მე...

— გაგვიღე კარი! ჩვენ ოთხი გია ვართ, გაიგე? — შეუტია ერთ-ერთმა გიათაგანმა.

— მერე, რას მაშინებ, თუ იცი? ოთხი კი არა, ერთი თუ ჩავსტვინე, „თუთხმეტი“ გია გამოგივარდებათ ახლა და ძვლებს დაგამტვრევთ, თქვე გათახსირებულებო! — აყვირდა ჟორა.

ამ დროს, გაგიჟებული ადმინისტრატორიც მოვარდა, რომელიც „ოთხ გიას“ თავქუდმოგლეჯილი ეძებდა და როგორც იქნა, ყველაფერი გაირკვა. უიღბლო ჟორამ კი ის სამსახურიც დაკარგა...

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ვის მიუძღვნა თემურ გაგლუანმა მხ/ფ „უძინართა მზე“?

ა) აფხაზეთში დაღუპულ მეომრებს;
ბ) გარდაცვლილ ძმას;
გ) მამას.

2. რომელ პოემაზე მუშაობისას შესძახა თავისი თავით აღფრთოვანებულმა პუშკინმა — „აიდა, პუშკინ!.. აიდა, სუკინ სინ!!!“

ა) „ბაღჩისარაის შადრევანზე“;
ბ) „ბორის გოდუნოვზე“;
გ) „ევგენი ონეგინზე“.

3. კონსტანტინე გამსახურდია ამგოგდა — „ძალს სწორედ ისეთ დროს უნდა წაავლო ხელი, როცა...“

ა) უარს გეუბნება;
ბ) ჭოჭმანს მოჰყვება;
გ) სიყვარულზე გადაგიკრავს სიტყვას.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

1. ენცო ფერარი რკინეულობით მოვაჭრის შვილი იყო.
2. უსურიული ვეფხვი ყველაზე დიდია კატისებრთა ოჯახში.
3. „ველის პერანგი“ გრიგოლ რობაქიძემ გოეთეს მიუძღვნა.
4. საქორწინო მარშის ავტორი მენდელსონი უცოლოდ დაბერდა.
5. ნავთი დულს 200-300 გრადუსის ტემპერატურულ ინტერვალში.
6. ვარჯიშის დროს ერთ ადგილზე ხტომა მავნებელია გულისათვის.
7. თომას მორი და ერაზმ როტერდამელი უახლოესი მეგობრები იყვნენ.
8. „ჩვენში ყველაფერს გაპატიებენ, ნიჭს კი არა.“ — ამბობდა შალვა ნუცუბიძე.
9. „გიჟია ერთი საული და არა მთელი აული“ — ღაღადებს ადიღეური აფორიზმი.
10. გალაკტიონ ტაბიძის სახის ნიღაბი საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში ინახება.
11. მუღამი — ასეთია აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის კილოთა ზოგადი სახელწოდება.
12. შეჯიბრი მშვილდოსნობაში ევროპაში პირველად V საუკუნეში, შვეიცარიაში ეწყობოდა.
13. დღვაბა სოფელია ხობის რაიონში, დღვანა — გეგეჭკორის რაიონში, დღვანი — შუახევის რაიონში, დღნორისა — წყალტუბოს რაიონში.
14. ავტორი ნახატისა „ჰიტლერის ფანტაზიის კოსმოსური გაფრენა“ — ლადო გუდიაშვილი გახლავთ.
15. კომპოზიტორი ბრამსი ძალზე უდისციპლინო ადამიანი იყო. ერთხელ დირიჟორობისას სიგარეტსაც კი ეწეოდა.
16. მიკადო იაპონიის იმპერატორის ტიტულია და სიტყვასიტყვით „დიდებულ კარიბჭეს“ ნიშნავს.
17. ოფიციალური ცნობით სადამ ჰუსეინს ერთი ცოლი ჰყავდა. მისი ორი ქალიშვილი მის შორეულ ბიძაშვილებს ჰყავთ ცოლად.
18. ქართლის სამეფო სახლის წევრთაგან ნანა დედოფალმა პირველმა აღიარა ქრისტიანული სარწმუნოება, მას შემდეგ, რაც წმინდა ნინომ იგი უკურნებელი სენისგან იხსნა.
19. „ყველა ქართველი პოეტია, ხოლო ყველა ქართველი პოეტი — ორმაგად პოეტი“, — წერდა სომეხი პოეტი და პროზაიკოსი ოვანეს თუმანიანი.
20. ხიმკი, მოსკვა-რეკა, სხოდნია, გოროდნია, პამენკი, ლიხობორკა და ტარაკანოვკა — ყველა ეს მდინარე მოსკოვში ჩამოედინება.

ქარიაველ ბილოს 20 წლის წინ, უფრესად ეროვნულ უფრველია...

ალბათ ყველას კარგად ახსოვს, წლების წინ თბილისში ატეხილი ვნებათაღელვა და ინტერესი უცხოპლანეტელების, მფრინავი თეფშების და უცნობი ობიექტების მიმართ. იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანები ამ არსებების მიერ დატოვებულ კვალს ან ნივთებს თავიანთ გარშემო პოულობდნენ. მასობრივი აჟიოტაჟი გამოიწვია ერთმა ფაქტმა — როდესაც თითქმის მთელი თბილისი, შუაღამისას ცაზე უცნობი ობიექტის უცნაურ ციალს ადევნებდა თვალს. ხალხში ეს ანომალიური მოვლენები, შიშს ჰბადებდა, სამეცნიერო თუ სასულიერო წრეებში კი, აზრთა სხვადასხვაობა იყო გაბატონებული. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აჭრელებული იყო, როგორც თვითმხილველთა მონათხრობებით, აგრეთვე ფოტოებით, რომელზეც თეფშები, ბურთები თუ ცალთვალა და ორთითა უცხოპლანეტელები იყვნენ აღბეჭდილნი. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამ მოვლენების მიმართ უნდობლობას გამოხატავდა და ნანახს ადამიანთა ფანტაზიასა და მირაჟს მიაწერდა. ზოგიერთი ვერსიით, ეს სამხედრო საიდუმლო აპარატები იყო, რომელსაც კონკრეტული ობიექტების დასაზვერად იყენებდნენ. არავინ იცის, უცხოპლანეტელები სკეპტიკოსებს გაუნაწყენდნენ თუ ჩვენი მონოტონური ცხოვრების რიტმი უინტერესოდ ეჩვენებათ, მაგრამ ფაქტია, რომ უკვე წლებია, თავს აღარ გვახსენებენ.

ემა გელოვანი



მურმან გვენეტაძე, რომელსაც უცნაურ მოვლენასთან ჰქონდა შეხება

ამბობენ, რომ ამ სფეროში ყველაზე სარწმუნო, შესაძლოა, მფრინავების მონათხრობი იყოს: ისინი ყველაზე ახლოს იმყოფებიან უცნობ ობიექტებთან, პრაგმატიკოსები არიან და მისტიკისაკენ ნაკლებად იხრებიან.

ქართველ მფრინავებს შორისაც არის ასეთი — მურმან გვენეტაძე, რომელსაც უცნაურ მოვლენასთან ჰქონდა შეხება. რა ნახა ცაში მან ისეთი, რამაც საზოგადოების მაღალ ეშელონებში დიდი რეზონანსი გამოიწვია, ადამიანების სიცოცხლე შეიწირა?

1984 წლის 7 სექტემბერს, Ту-134А ტიპის სამგზავრო თვითმფრინავის ეკიპაჟმა, რომელიც ასრულებდა რეისს თბილისი-ტალინის მიმართულებით, 04.10 წუთზე მინსკის ზონაში უცნობი მფრინავი ობიექტი დააფიქსირა. იმავე დილით, გაზეთ „ტრუდის“ გვერდებზე დაიბეჭდა წერილი, სადაც ეკიპაჟის წევრები საკუთარი თვალით ნანახს აღწერდნენ. ამ ინფორმაციის გამჟღავნებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია საბჭოთა ხელისუფლებაში. უიღბლო ჟურნალისტს ხალხის შეშინებასა და ცრუპანიკის ატეხაში დასდეს ბრალი და სამაგალითოდ დასაჯეს, ეკიპაჟის წევრებს კი, „ნაბოდვარი“ გაუქარწყლეს. წამოვიდა კონტრარგუმენტების ზღვა. მეტეოროლოგები ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო მთვარისა და მზის თითქმის ერთ დიაგონალზე განლაგებისაგან შექმნილი ციალი. საბჭოთა კავშირის აკადემიური კომისიის წევრები იუწყებოდნენ, რომ ზუსტად ამ დროს, დედამიწიდან გაშვებული იქნა ხელოვნური თანამგზავრი, რომელმაც გამოიწვია მირაჟი. ამას ემატება მოარული ხმები იმის შესახებ, თითქოს იმ დღეს, სამხედროები აწარმოებდნენ საიდუმლო ლაზერული იარაღის გამოცდას

და ზუსტად იმ ზონაში „შემთხვევით“ აღმოჩენილი თვითმფრინავის ეკიპაჟმა ეს მოვლენა ამოუცნობ ობიექტად აღიქვა... თანდათან აჟიოტაჟი დაცხრა, ჟურნალისტებს კი, მათი კოლეგის სამგალითო დასჯის შემდეგ, სურვილი გაუქრათ ამ თემას დაჰბრუნებოდნენ. არადა, აღნიშნულ მოვლენაში იყო ერთი გარემოება, რომელიც ჩვეულებრივზე საინტერესოს ხდის მას: უცნობ მფრინავ ობიექტთან შეხება ერთს კი არა – ერთდროულად ორ თვითმფრინავს ჰქონდა. მაგრამ მეორე ეკიპაჟის ჩვენებები ფართო საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა. არადა ის, რასაც ბატონი მურმანი ჩემთან საუბარში აღწერს, არსებითად განსხვავდება ესტონელების მონათხრობისაგან – მათი ჩვენებები უფრო ზოგადი და ბუნდოვანი ხასიათისა იყო. 1984 წლის 7 სექტემბერს, ზუსტად 04.10 წუთზე, მინსკის ზონაში კიდევ ერთი, Ту-134А ტიპის თვითმფრინავი იმყოფებოდა, რომელიც ლენინგრადიდან თბილისში მოფრინავდა. მისი ეკიპაჟი საქართველოს ავიაციას ეკუთვნოდა. სწორედ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ანომალიურმა მოვლენამ ეკიპაჟის წევრების სიცოცხლე იმსხვერპლა, ჟურნალისტებმა გაბედეს და...

გაზეთ „საჰაერო ტრანსპორტის“ მომხიბვლელი კორესპონდენტი სვეტლანა ომელჩენკო ლენინგრადის საზაფხულო სასტუმროს ფოიეში იჯდა განმარტოებით და რამდენიმე დღე ელოდა ქართველი პილოტის გამოჩენას, რომელიც ერთადერთი იყო იმ ეკიპაჟის წევრებისაგან, ვინც შემდეგ ფრენას აგრძელებდა.

... რუსი კორესპონდენტისგან განსხვავებით, ნაცად ქართულ ხერხს მივმართე – სასურველი რესპონდენტის ნაცნობი მოვძებნე. პირველი, რაც ბატონმა **მურმან გვენეტაძემ** *მითხრა, ეს იყო:*

– არ მინდოდა, ეს თემა კიდევ ერთხელ ხალხის სამსჯავროზე გამომეტანა...

— მაგრამ რუსმა ჟურნალისტმა ხომ აგალაპარაკათ?!.



ნევადის შტატში ცოცხლად ჰყავდათ დატყვევებული არამიწიერი ხომალდის პილოტები და მათგან მუმიებიც კი გააკეთეს

– ... როდესაც ბიჭები სასტუმროში შევედით, ლამაზი რუსი გოგო დავინახეთ. მარტო იჯდა და გამოველაპარაკეთ, სადილად დავპატიჟეთ. სასტუმროს ადმინისტრაციიდან მოვიდა ვიღაც და გაგვაფრთხილა: მაგ გოგოსთან მასეთები არ გაგივათ – ჟურნალისტიაო... ხელი ჩავიქნიეთ და დაღლილებმა, ჩვენს ნომრებს მივაშურეთ. ჩაძინებული ვიყავი და უცებ, ვიღაც მაღვიძებს. გავახილე თვალები და ეს გოგო არ მადგას თავზე.?! – ადექი, მომიყევი, ცაში რა ნახეო... არანაირი სურვილი არ მქონდა, დაღლილს, მასთან მესაუბრა, მაგრამ არ მომეშვა. რამდენი ხანია დაგეძებ! რომ არ მენახე, ხვალ თბილისში მოვფრინავდიო... სხვა რა გზა მქონდა?!

— მაინც რა ნახეთ ასეთი?

– ვასრულებდით რეისს თბილისი-ბათუმი-კიევი-ლენინგრადის მიმართულებით და ორი დღის შემდეგ, შინ ვბრუნდებოდით. 7 სექტემბერს, აქეთ გამოვფრინდით და ხომალდის მეთაურმა, ცხონებულმა გოცირიძემ მთხოვა, რომ შემეცვალა: მე ცოტას წავუძინებო, – მითხრა. შტურვალთან, მარცხენა მხარეს ვიჯექი, მარჯვნივ – შტურმანი. ვინაიდან სავარძლები ამის საშუალებას გვაძლევს, ფეხები გავმართე და ცას შევყურებდი. იმდენად კაშკაშა იყო, რომ ამ სანახაობით მიღებული სიამოვნება დღემდე მახსოვს. ასე, ცის ყურება მიყვარდა (ახლა, უკვე ერთი წელია, რაც აღარ დავფრინავ, წლები...), – ცა ჩემი სტიქიაა და ახლო მანძილიდან მისი ყურება უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. რომელ ზონაშიც არ უნდა იმყოფებოდეს თვითმფრინავი, დედამიწაზე არსებობს შესაბამისი სადისპეტჩერო პუნქტები, რომელიც ყოველ წამს აკონტროლებს მის გადაადგილებას. დისპეტჩერმა იცის, რა სიმაღლეზე იმყოფება თვითმფრინავი, რომელ რადიუსშია და ხედავს ყველაფერს, რაც ჩვენ გარშემო მოძრაობს. ამგვარად, შტურმანი და დისპეტჩერი მუდმივ რადიოკონტაქტში იმყოფებიან. შევედით მინსკის ზონაში. დისპეტჩერმა გვაცნობა, რომ ჩვენკენ მოფრინავს შემხვედრი თვითმფრინავი – სწორედ ის Ту-134А – თბილისი-ტალინი. იმ წუთიდან შტურმანსა და დისპეტჩერს შორის კავშირი არ შეწყვეტილა, ვინაიდან შემხვედრის მოახლოებასთან ერთად შესაძლებელი იყო, რაღაც ცვლილებები შეეტანათ ჩვენი ფრენის კურსში. დისპეტჩერის შეტყობინების შემდეგ, შტურმანმა მთხოვა, მარცხნივ გამეხედა ილუმინატორში, ვინაიდან დისპეტჩერი მას რაღაც საეჭვო ობიექტზე მიანიშნებდა. მე ვერაფერი დავინახე და გადავეცით, რომ ჩვენთან ყველაფერი ჩვეულებრივადაა. მაგრამ ის გვეუბნებოდა, რომ ორი თვითმფრინავის გარდა, ლოკატორები კიდევ

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

21. მოხელეს ძველ საქართველოში, რომელიც მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდა, ქალაქებში აკრებილ ბაჟსა და სავაჭრო გადასახადს საჭურჭლის უხუცესებს აბარებდა, მაშრიბი ერქვა.

22. ეკატერინე II, ნიკოლოზ II, კრომველი, ჩინგის-ყაენი, ლენინი, მარქსი, რობესპიერი, მაკიაველი, სადამ ჰუსეინი, ჟირინოვსკი, თამარ მეფე, ჰეიდარ ალიევი, ნიკო ლეკიშვილი, ირაკლი მენაღარიშვილი, ვანო ზოდელავა, ფიქრია ჩიხრაძე, ბადრი ბიწაძე, კანტი, ფროიდი, მაგელანი, ოუმი, მორზე, კირკეგორი, არისტოტელე, მაუზერი, არქიმედე, სოკრატე, ივნე ჯავახიშვილი, შექსპირი, ბალზაკი, ომარ ხაიამი, ჯერომ ჯერომი, ბულგაკოვი, კონსტანტინე გამსახურდია, გურამ ფანჯიკიძე, ლეონარდო და ვინჩი, დიურერი, სალვადორ დალი, იაკობ ნიკოლაძე, ჩაიკოვსკი, ბრამსი, სერგეი პროკოფიევი, ლეონკოვალო, ელა ფიცჯერალდი, ბარბრა სტრეიზანდი, ჯო კოკერი, სტივ უანდერი, ბილი ჯოელი, ფილიპ კირკოროვი, მაშა რასპუტინა, მაია ჯაბუა, ნუგზარ ერგეშლიძე, ჯანეტ ჯექსონი, ჟან გაბენი, ლოურენს ოლივე, ოდრი ჰეპბერნი, ფერნანდელი, ენტონი ქუინი, ჯეკ ნიკოლსონი, ალ პაჩინო, ეტუში, დიდო აბაშიძე, იმედო კახიანი, გიორგი შენგელაია, მედეა ჩახავა, გივი ბერიკაშვილი, აკაკი ხორავა, სოფიკო ჭიაურელი, ჟანრი ლოლაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, მურთაზ ხურცილავა, კრუფი, ბექჰემი, დერიუგინი, ბულატ ოკუჯავა, ლინდა ევანგელისტა, იოანე-პავლე II, გაუტამა ბუდა, კოკა ყანდიაშვილი, გოგიჩა, რაფიელ ერისთავი, დემნა შენგელაია, ვანო სარაჯიშვილი, არჩილ მეფარიძე – ყველა აქ ჩამოთვლილი ადამიანი კუროს ზოდიაქოს ნიშნით არის დაბადებული.

23. 1976 წლის 24 ოქტომბერს აღმოჩენილ მცირე ცოიმილს (№2116) ასტრონომმა რობერტ ვესტმა მცხეთა უწოდა.

24. „რუსეთში ამჟამად არ არიან კარგი გენერლები. ერთადერთი გამონაკლისია ბაგრატიონი.“ – ეს სიტყვები ბოროდინოს ბრძოლის წინ რუსეთის მეფის ელჩს უთხრა ნაპოლეონ ბონაპარტმა.

25. „ქართველები კავკასიაში მუდამ პირველები იყვნენ თავიანთი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ბრძოლის სულისკვეთებით... თუ თვალს გადაავლებთ მსოფლიოს მეზობელ ხალხთა ურთიერთობებს, უსათუოდ დამეთანხმებით, რომ ქართველები, როგორც მეზობლები, ქვეყნად ერთ-ერთი საუკეთესონი არიან.“ – წერდა უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა.

მისი ქცევა „კატათაგვობანას“ თამაშს მოგაგონებდათ...

ერთ ობიექტს აფიქსირებდა. მოგვიანებით დისპეტჩერმა გვაცნობა, რომ ჩვენ 10.100 მეტრ სიმაღლეზე ვიმყოფებოდით, მეორე თვითმფრინავი კი 9.600 მეტრ სიმაღლეზე. შემდეგ ისევ გვაცნობა, რომ კვლავ აფიქსირებს უცნობ ობიექტს, რომელიც ამ ორ თვითმფრინავს შორის იმყოფება, ჩვენგან 30-60 კილომეტრის მოშორებით. თვითმფრინავს ვხედავდი მისთვის დამახასიათებელი ნათურებით და უკეთესი ხილვადობისათვის კაბინაში ყველა სინათლე გამოვრთე. მოგვიანებით დავინახე, თუ როგორ მოშორდა რაღაც, შემხვედრ თვითმფრინავს და წამოვიდა ჩვენკენ, ამოგვიდგა გვერდში ისე, თითქოს მოგვეწება...

— რა ფერისა და რა ფორმის იყო ობიექტი?

— თუ მიგიქცევიათ ყურადღება, ვარსკვლავ „სირიუსს“ განსხვავებული ფერი აქვს, თითქოს ეს ობიექტიც მის ფერს მოგაგონებდა. ფორმას რაც შეეხება, ცოტა ძნელია ამის თქმა, მაგრამ როდესაც ძალიან ახლოს მოვიდა, მისგან ოვალური ფორმის ნათება მოდიოდა. ეს იყო არამიწიერი, ზღაპრული ფერები. ისინი კი არ გადადიოდა ერთიმეორეში, არამედ ეხამებოდა ერთმანეთს და საოცარ სილამაზეს ქმნიდა. სასწრაფოდ გადავეცით დისპეტჩერს, რომ ჩვენც დავაფიქსირეთ ობიექტი, გავაღვიძეთ ეკიპაჟის დანარჩენი წევრები...

— მგზავრება თუ დაინახეს ეს მოვლენა?

— ღამის ოთხი საათი იყო, ამიტომ მხოლოდ მგზავრებს კი არა, ბორტგამცილებლებსაც ეძინათ. ბორტგამცილებლები გავაღვიძეთ, მაგრამ მგზავრების გაღვიძებას, გარკვეული მიზეზების გამო მოვერიდეთ. ამ მომენტისთვის კავშირზე ვიმყოფებოდით დისპეტჩერთან ჩვენც და შემხვედრი თვითმფრინავიც. დისპეტჩერი ამ ობიექტს ხან აფიქსირებდა, ხან საერთოდ ვერ ხედავდა. უცნობი საფრენი აპარატი საოცარი სისწრაფით იცვლიდა მიმართულებას, ხან შემხვედრი თვითმფრინავისაკენ „გარბოდა“, ხან ისევ ჩვენ გვიახლოვდებოდა. ზოგჯერ, გვერდით მოგვყვებოდა, შემდეგ ზემოთ აიტყორცნებოდა. ისეთივე სისწრაფით ქვემოთ დაეშვებოდა. მისი ქცევა „კატათაგვობანას“ თამაშს მოგაგონებდათ...

— თქვენ, როგორც ავიაციაში საკმაოდ ხანგრძლივი სტაჟის მქონე ადამიანი, როგორ ფიქრობთ — შესაძლებელია, ეს ობიექტი ადამიანის ხელს შეექმნა?

— ყოვლად შეუძლებელია! ის სულ რაღაც წამებში ახდენდა მანევრირებას ამხელა სიმაღლეზე. ზოგჯერ, საერთოდ ქრებოდა მხედველობის არიდან და ხან წინ ამოუდგებოდა თვითმფრინავს, ხან გვერდით, თანაც ისე ახლოს, თითქოს მიკრული იყო მასზე. ბოლოს, ტყვიასავით ავარდა ზევით და თვალის დახამხამებაში, ვარსკვლავს დაემსგავსა; ერთადერთი, რითიც მას ვასხვავებდით სხვა ვარსკვლავებისაგან, მისგან ჩვენი მიმართულებით გამოტყორცნილი სხივები იყო. ამ სხივებმა გაგვანათა ჩვენც და დედამიწამდე მიაღწია. მან თითქოს გვიჩვენა საკუთარი შესაძლებლობები და ამ სხივებით გამოგვემშვიდობა კიდეც.

— როგორც ვიცი, სწორედ ეს სხივები გახდა ეკიპაჟის წევრების დასნეულებისა და გარდაცვალების მიზეზი...

— ეს იყო ბოლო ფრენა, როგორც ჩვენი ხომალდის მეთაურისათვის, ასევე ჩემი მეგობრისათვის, რომელიც მაშინ მეორე პილოტი იყო. ჩვენ, მფრინავები, ყოველთვე გავდივართ სამედიცინო კომისიას, ამიტომ ვიცი, რომ ისინი სრულიად ჯანმრთელნი იყვნენ. ეჭვი არ მეპარება, რომ გოცირიძემ ამ ობიექტისაგან მიიღო დასხივება და სისხლის გათეთრებისგან ერთ თვეში გარდაიცვალა. მფრინავმა კაბაჩნიკოვმა, ამ მოვლენის შემდეგ, ორჯერ გადაიტანა კლინიკური სიკვდილი და მალე, „აეროფლოტიდანაც“ წავიდა და საქართველოდანაც.

ექსპერიმენტური და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტის დასკვნაში, რომელსაც პათოფიზიოლოგიის განყოფილების გამგე ცინცაძე აწერს ხელს, ნათქვამია: „კაბაჩნიკოვი უ.მ. 7.09.84 წელს ასრულებდა რეისს 7084 ლენინგრადი-ვილნიუსი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით, მეორე პილოტის რანგში. მის გვერდით იმყოფებოდა მეთაური გოცირიძე ვ.ვ. მინსკის საჰაერო ზონაში თვითმფრინავი შეხვდა უცნობ ობიექტს... თვითმფრინავი ძლიერი გამოსხივების ზონაში მოექცა, რის შედეგადაც კაბაჩნიკოვმა მიიღო სერიოზული დაზიანებები თავისა და გულის არეში, გოცირიძემ კი — ელენთის არეში. ამის შედეგად, გოცირიძეს განუვითარდა მრავალჯერადი მიელომა და განგრენა, რამაც სწრაფი სიკვდილი გამოიწვია... კაბაჩნიკოვისათვის ჩატარებული ენცეფალოგრამით გამოვლენილია გულის კუნთის გადახრები, რომელიც უნიკალურია უჩვეულობის თვალსაზრისით.“

— თქვენ თავად, ხომ არ გაგიუარესდათ ჯანმრთელობის მდგომარეობა?

— ცუდი არაფერი მიგრძნია. როგორ გადავურჩი ამ დასხივებას, თვითონაც არ ვიცი.

— ბატონო მურმან, რა შეიცვალა თქვენს ცნობიერებაში ამ მოვლენის შემდეგ?

— ასტრონომია ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ამ მოვლენის შემდეგ დავიწყე ლიტერატურის შეგროვება უცხოპლანეტელებისა და უცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ. მაგალითად, ამერიკაში, ნევადის შტატში ცოცხლად ჰყავდათ დატყვევებული არამიწიერი ხომალდის პილოტები და მათგან მუმიებიც კი გააკეთეს. ამერიკელები ათჯერ მაინც იყვნენ უკვე მთვარეზე... წლების მანძილზე, ამ თემას ტაბუ ჰქონდა დადებული, მაგრამ მოგვიანებით ლენინგრადში გაიმართა სიმპოზიუმი, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო წრეები უცნობი მფრინავი ობიექტების თემას განიხილავდნენ. ამ სიმპოზიუმზე მე, როგორც უფოს თვითმხილველი, ისე მიმიწვიეს და დაწვრილებით მოისმინეს ჩემგან ინფორმაცია 7 სექტემბრის მოვლენის შესახებ. მეცნიერებმა ჩემი მონაყოლის საფუძველზე აღნიშნეს, რომ ეს ნამდვილად არამიწიერი ობიექტი იყო და მას კეთილშობილური მიზანი ამოძრავებდა... რელიგიური თვალსაზრისით, ჩემში არაფერი შეცვლილა. მე მჯერა, რომ არსებობს უამრავი გალაქტიკა, პლანეტა, სადაც ისევე არსებობს სიცოცხლე და ცივილიზაცია, როგორც ჩვენთან და ყველას საკუთარი ღმერთი ჰყავს და თავისი რელიგიური შეხედულებები აქვს.

— ისეთი გატაცებით საუბრობთ, ხომ არ ფიქრობთ, რომ მომავალში კვლავ შეხვდებით მათ?

— ბაბუაჩემისთვის წლების წინ რომ ეთქვათ, — სანამ შენ ყანაში წახვალ და სამ რიგს გათოხნი, შენი შვილიშვილი მოსკოვში გადაფრინდება, ისადილებს და ისევ თბილისში დაბრუნდებაო, — დაიჯერებდა? ყოველდღიურად, ახალ-ახალი, უდიდესი მიღწევების შესახებ გვესმის, ურთულესი ტექნოლოგიები ვითარდება. ვინ იცის — იქნებ მალე, ადამიანები ესტუმრონ სხვა ცივილიზებულ პლანეტას?!. ■

www.shopge.com

გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი – ABTRONIC PRO – „აბტრონიკ პრო"

გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **ABTRONIC PRO** ამაგრებს მუცლის, გულმკერდის, ფეხებისა და ბეჭების კუნთებს. გარდა ამისა, იძლევა მინიმალური ძალისხმევით მაქსიმალურად გახდომის საშუალებას. გასახდომი ქამარი დამზადებულია კოსმონავტებისაგან გადმოღებული ტექნოლოგიით, რომელსაც იყენებენ ხანგრძლივი ფრენის დროს ტონუსის შესანარჩუნებლად და კუნთების გასამაგრებლად. ასევე, ეს ტექნოლოგია იძლევა ცხიმების დაწვისა და ცელულიტის დაშლის საშუალებას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე!

ელექტრომიოსტიმულაციის უპირატესობანი.

მიოსტიმულაცია:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ცხოველქმედების პროდუქტების განდევნას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.

შედეგი:

გაძლიერებული გულ-სისხლძარღვთა სისტემა, გაუმჯობესებული სისხლის მიმოქცევა და ნივთიერებათა ცვლა, შლაკების ინტენსიური გამოდევნა ორგანიზმიდან, ძლიერი და ამტანი კუნთები, მკვრივი და ელასტიკური კანი.

მუშაობის პრინციპი:

სუსტი ელექტროიმპულსების ზემოქმედებით კუნთები იკუმშება. ამგვარად, ძლიერდება მუსკულატურა, იწვება ცხიმი და იშლება ცელულიტის უჯრედები. ელექტროდები დამზადებულია ახალი დაპატენტებული ქსოვილისაგან, რომელსაც გააჩნია მაღალი ელექტროგამტარობა და მუშაობის ხანგრძლივი ვადა. შესაძლებელია იმპულსების სიხშირისა და ინტენსივობის რეგულირება, რაც იძლევა მოწყობილობის ინდივიდუალურად გამოყენების საშუალებას. ცხიმების დაწვისა და ფიგურის კორექციისათვის რეკომენდებულია სუსტი იმპულსების მაღალი სიხშირით გამოყენება, ხოლო კუნთების გასაძლიერებლად უმჯობესია გამოიყენოთ ძლიერი იმპულსები ნაკლები სიხშირით. მაღალი სიხშირის იმპულსები იწვევენ კუნთების შეკუმშვას და ქმნიან მასაჟის ეფექტს, რაც ხელს უწყობს ორგანიზმში დაგროვილი ტოქსიკური ნივთიერებების, შლაკების, ზედმეტი სითხისა და ცხიმის სწრაფ გამოდევნას. გარდა ამისა, ქამარი შეიძლება გამოყენებულ იქნას სპორტული ტრავმების რეაბილიტაციის მიზნით.

ქამარი მიოსტიმულატორი ABTRONIC PRO – ნებისმიერ დიეტაზე ბევრად უფრო ეფექტური და იოლი საშუალებაა!

ფასი: 154 ლარი

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: **www.shopge.com**

ელ-ფოსტა: **contact@shopge.com**

ტელ: (995 32) 53 74 60

R

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული სასამართლო პროცესი, თბილისის 26-კომისრის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის, იუზა კობახიძის დანაშაულებრივ საქმიანობას შეეხებოდა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დადგენილების საფუძველზე, 1981 წლის პირველ აპრილს ფუნქციონერი დახვრიტეს. უფროსი თაობის ადამიანებს კარგად ემახსოვრებათ, რესპუბლიკის მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელობის მიერ „ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლად“ გამოცხადებული, მრავალწლიანი კამპანია, რომელიც მექრთამეების წინააღმდეგ იყო მიმართული და აღნიშნული საქმეც ალბათ ამ კამპანიის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებოდა...

«შარი ეთქვას ჯაფიეზაზე

სიკვდილით მსჯავრდებულ იუზა კობახიძეს»

მაია კახიძე

რამდენჯერმე ვცადე იუზა კობახიძის ოჯახის წევრებს შევხვედროდი, მაგრამ – ამაოდ: არ სურთ საკუთარ ტკივილზე საუბარი. ბოლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივს მივაშურე და საქმის მასალებს გავეცანი. იუზა კობახიძის ორ თანამშრომელსაც მივაკვლიე, თუმცაღა, ვინაობის გამხელა არ ისურვეს. როგორც ჩანს, ტოტალიტარულმა რეჟიმმა ბევრს დააჩნია ისეთი დაღი, რომ დღესაც რაღაცის თუ ვიღაცის ეშინია... თუმცა, აღმასკომის ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა ქალბატონმა, აი, რა გვიამბო:

– ის ყველა ხელქვეითს უყვარდა, ვაფასებდით, რადგან შესანიშნავი ხელმძღვანელი და ძალიან კარგი პიროვნება იყო.

— სასამართლო პროცესს თუ ესწრებოდით?

– რა თქმა უნდა.

— რა მოხდა, რატომ დააპატიმრეს აღმასკომის თავმჯდომარე?

– ყველაფერი მოსკოვიდან დაიწყო: იქ რაღაც დანაშაულისთვის 25 წლის ბიჭი დააკავეს, გვარიც მახსოვს – ვინოგრადოვი იყო, რომელსაც ჩხრეკისას აღმოაჩნდა თბილისში ოთხოთახიანი ბინის ორდერი. მოსკოველმა გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ ბინა ყალბი საბუთებით იყო მასზე გაცემული. ვინოგრადოვი გამოტყდა, რომ ფული გადახდილი ჰქონდა ნაზიკო ერისთავისთვის *(ნაზიკო ერისთავი 26 კომისრის რაიონის აღმასკომის სასადილოს თანამშრომელი გახლდათ. – ავტ.)*. ერისთავიც დაჰკითხეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს. ამის მერე, ეს ქალბატონი ტაშკენტში გაფრინდა და იქიდან იუზას დაურეკა. მალე იუზა ბაქოში გაემგზავრა კვალიფიკაციის კურსებზე და თბილისში დაბრუნდა თუ არა, ქალაქკომში დაიბარეს. მთელი აღმასკომის თანამშრომლები იმას ვფიქრობდით, რომ აწინაურებდნენ და გულწრფელად გვიხაროდა, რადგან ბატონ იუზას ამის ღირსად ვთვლიდით. მაგრამ ქალაქკომის ბიუროს სხდომაზე მისული, ის პარტიიდან გარიცხეს...

— სასამართლო პროცესს ვესწრებოდიო, — ბრძანეთ; თქვენი აზრით, იყო თუ არა შესაძლებელი, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა არ გამოეტანათ?

– მართალი გითხრათ, სასამართლო პროცესზე არავითარი ძალდატანება არ გვიგრძნია ბატონ იუზას მიმართ. საქმის გარჩევა თითქოს ობიექტურად მიმდინარეობდა და ვფიქრობდით, რომ 13-14-წლიან პატიმრობას მიუსჯიდნენ. განაჩენმა ყველა გაგვაოგნა, ისეთ დღეში ჩავცვივდით... ჩემი აზრით, მოსამართლეებმა გაცილებით ადრე უწყოდნენ ამ განაჩენის შესახებ. ალბათ დავალებული ჰქონდათ დახვრეტის გამოტანა, რადგან აშკარად ემჩნეოდათ დიდი მღელვარებაცა და განსასჯელისადმი თანაგრძნობაც. საქმე ის არის, რომ მოსამართლემ ჯერ სხვა ბრალდებულების განაჩენი წაიკითხა, ხოლო კობახიძის განაჩენის წაკითხვა მსაჯულს დაავალა. მსაჯული, ქალი იყო, ვერც იმან წაიკითხა, რადგან – გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – ცრემლები მოერია... ვიღაცას ხომ უნდა წაეკითხა განაჩენი! ისევ მოსამართლემ გამოაცხადა: კობახიძეს სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯაო.

— როგორი რეაქცია ჰქონდა იუზა კობახიძეს?

– ბატონი იუზა ძლიერი და ამაყი პიროვნება იყო, მაგრამ განაჩენის წინ, ვერც წარმოიდგენთ – თითქოს ელვისებურად დაბერდა კაცი, ძალიან მოტეხილი ჩანდა. განაჩენი რომ წაიკითხეს, გეგონებოდათ, აღა მაჰმად ხანი ყოფილიყო. გიჟებივით მივარდნენ სალდათები, ხელები გადაუგრიხეს, სულის მოთქმა არ აცალეს, ისე გაიყვანეს დარბაზიდან. არასოდეს დამავიწყდება მისი გაფითრებული სახე...

— ცნობილია, რომ იუზა კობახიძე ედუარდ შევარდნაძის მეგობარი იყო და მაინც დახვრეტა მიუსაჯეს. ამაზე რას გვეტყვით?

– მართალია. ეს კი არა, დაპატიმრებამდე, ედუარდ შევარდნაძე პირადად შეხვდა იუზას და, როგორც ვიცი, დანაშაულის აღიარება მოსთხოვა, მაგრამ იუზამ შევარდნაძესთან საუბარში ბრალდება უარყო. ძალიან მალე, ბიუროზე ქრთამის აღებაში დაადანაშაულეს და შემდეგ, დაპატიმრეს კიდეც. ბიუროს სხდომაზე იუზა კობახიძემ, როგორც ამბობენ, სენსაციური განცხადება გააკეთა: პირდაპირ იკითხა თურმე: განა ამ დარბაზში, ჩემ გარდა, სხვა მექრთამეს ვერ ხედავთო?!. კობახიძე და შევარდნაძე მართლაც, უახლოესი მეგობრები იყვნენ და მაინც გაწირა სასიკვდილოდ. თბილისში დიდხანს ლაპარაკობდნენ, რომ შევარდნაძემ სამაგალითოდ იმიტომ დასაჯა კობახიძე, რომ ხალხისთვის ეჩვენებინა, თუ როგორი უკომპრომისო იყო მექრთამეებთან ბრძოლაში...

1979 წლის 10 ოქტომბრამდე

იუზა კობახიძე თბილისში, ცნობილი ინჟინრის ოჯახში დაიბადა. სტუდენტობის წლებში, კომკავშირულ თანამდებობაზე დანიშნეს. ჯერ ჭიათურის კომკავშირის და პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნის თანამდებობებზე მუშაობდა, შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად დააწინაურეს. 1972 წლიდან, თბილისის 26 კომისრის რაიონის აღმასკომის თავმჯ-

დომარედ მუშაობდა. დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“. 1979 წლის 10 ოქტომბერს, თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით გაათავისუფლეს თავმჯდომარის პოსტიდან და საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის მეორე ნაწილით წაუყენეს ბრალდება.

გამოძიებამ დაადგინა...

გამოძიებამ დაადგინა, რომ ის „წლების მანძილზე მუშაობდა რა 26 კომისრის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ, 1977 წლიდან დაუკავშირდა სასადილოში მომუშავე ნაზი ერისთავს, ვისი მეშვეობითაც ხვდებოდა იმ პირებს, რომელთაც ქრთამის გაღებით სურდათ საბინაო სამშენებლო კოოპერატივში შესვლა და ურიგოდ კომუნალური ბინების მიღება. გარდა ამისა, აღმასკომის თავმჯდომარე სარგებლობდა თავისი მოადგილის, გიორგი კვაჭაძის, აღმასკომის საბინაო განყოფილების გამგის, ლევან პაიკიძისა და კოოპერატიული ბინათმშენებლობის ინსპექტორის, თამარ ლეკიშვილის სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით“. მოწმეთა ჩვენებებით, არც ერთი არ ადებს ხელს პირადად იუზა კობახიძეს, ქრთამის მიმღებად ნაზი ერისთავს ასახელებენ. ერისთავმა 23 ფაქტი დაასახელა, მაგრამ კობახიძემ მხოლოდ 10 ფაქტში ცნო თავი დამნაშავედ. გამოძიებას საკუთარი ინიციატივით ჩაბარა ქრთამის სახით აღებული, 50 ათასი მანეთი.

1980 წლის 14 მარტი

საქმეში ერთი საინტერესო წერილიც აღმოვაჩინე, რომელიც 1980 წლის 14 მარტით თარიღდება. იუზა კობახიძე ციხიდან წერს მეუღლეს: „მაპატიე, რომ მოგაყენეთ ყველას ამდენი უბედურება და ტკივილი, ძალზე განვიცდი შენი და ბავშვების მდგომარეობას. ალბათ ზედმეტია ჩემგან, თქვენი გამხნევება და მაინც გთხოვ, როგორმე გაუძლო და ბავშვებსაც შეუმსუბუქო მდგომარეობა. ძიების შესახებ, ალბათ გეტყვიან, თუ როგორ მიდის, რომ მე ვაღიარე ჩემი შეცდომა და ამის შესახებ განცხადებაც დავწერე და გადავწყვიტე სავსებით სწორად, რომ დავუბრუნო ძიებას ის, რაც უკანონო გზით მაქვს მიღებული. გთხოვ, სწორად გამიგო და დაუჯერო გამომძიებელს და გადასცე ის ყველაფერი, რაც მე შესანახად გადმოგეცი...“

ჩვენებიდან

„...ჩემი მანქანის ფული და უკანონოდ მიღებული ფული ერთად შევაერთე, შევკარი და გადავეცი ჩემს მეუღლეს და ვუთხარი: ამ შეკვრაში არის ჩემი საბუთები და არ გახსნა უჩემოდ. მე შეგნებულად არ დავანაწილე ის თანხა. მისი არსებობა მეუღლესაც კი ვერ გავუმხილე...“

მართალია, იუზა კობახიძის მეუღლემ სახელმწიფოს თანხა ჩააბარა, სასამართლო კოლეგიამ მხედველობაში არ მიიღო ეს ფაქტი და არც ის, დანაშაულის ჩადენაში ბრალს მხოლოდ ნაზი ერისთავი რომ სდებდა. იუზა კობახიძის საქმე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა: თავმჯდომარე — ი. გოგილაშვილი, სახალხო მსაჯულები — ზ. ხვედელიძე და ნ. გეგუჩია.

პროკურორ ა. ბარბაქაძეს

1980 წლის 7 მარტს, იუზა კობახიძემ საქართველოს სსრ პროკურორს ა. ბარბაქაძეს მიმართა: „ჩადენილი დანაშაულის შეგნების სიმძიმე ჩემში მით უფრო მეტია, რამდენადაც ამის საფუძველს არ იძლეოდა როგორც მთელი ჩემი განვლილი ცხოვრება და მიზანი, ასევე დღევანდელი მდგომარეობა, როდესაც ჩვენი საზოგადოების ყველა სფეროში მომხდარმა გარდაქმნებმა აღმოფხვრეს ნეგატიურ მოვლენათა აღმოცენების ობიექტური პირობები. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევამ, ნებისყოფის სისუსტემ, ხელაღებით ნდობამ და ზერელობამ პიროვნებებთან ურთიერთობაში სათანადო კრიტიკული შეფასების გარეშე — საკუთარი სინდისის საწინააღმდეგო მოქმედებაში ჩამითრია. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ერისთავთან ნაცნობობა ყოველგვარი წინასწარ განზრახვისა და ანგარების გარეშე იყო, მაინც მოვხვდი მის მარწუხებში. იმის ნაცვლად, რომ თავიდანვე გამომჩინა სიფრთხილე, პრინციპულობა და აღმეკვეთა იგი, ერთგვარმა დათმობამ დანაშაულის ჩადენამდე მიმიყვანა. ვაღიარებ რა ჩემ მიერ ჩადენილ დანაშაულს, გულწრფელად ვაცხადებ, რომ როგორიც არ უნდა იყოს სასჯელის ზომა და მომეცეს მისი მოხდის საშუალება, დანაშაულის სიმძიმე სიცოცხლის ბოლომდე გამყვება. ერთადერთი, რამაც შეიძლება ნაწილობრივ მაინც შემიმსუბუქოს მდგომარეობა, ეს ის შესაძლებლობაა, თუ რამდენად ადრე დავუბრუნდები საზოგადოებას, რომ კეთილსინდისიერი, თავდადებული შრომით ნებისმიერ უბანზე ვემსახურო ჩემს ხალხს და ქვეყანას, მთელი ჩემი ცოდნა, ენერგია და გამოცდილება მთლიანად მოვახმარო მის კეთილდღეობას...“

აღმასკომის თავმჯდომარის ბოლო სიტყვა

1980 წელი, 29 ივლისი: „...გთხოვთ, სასჯელის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღოთ ჩემი გულწრფელი აღიარება, ჩემი წარსული. მე რვა წელიწადი ვიმუშავე ბოლო თანამდებობაზე, მაგრამ ამ საქმეებში არასოდეს არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია. გთხოვთ, მომისაჯოთ ისეთი სასჯელი, რომ ჩემი შრომით გამოვისყიდო ჩადენილი დანაშაული და დავუბრუნდე ჩემს ოჯახს“.

განაჩენი

„კოლეგიამ გაითვალისწინა ყოველივე ზემოაღნიშნული. იხელმძღვანელა რა საქართველოს სსრ სსსკ-ის 303-304-ე მუხლებით, დაადგინა: სამართალში მიცემული იუზა კობახიძე ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსრ სსსკ-ის 189-ე მუხლის მეორე ნაწილით და სასჯელის ზომად შეეფარდოს სიკვდილი. ქონების კონფისკაციით...“

აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარისაგან ამოღებული ფულის ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჩაირიცხა, დანარჩენი კი, ადვოკატს გადაეცა ჰონორარის სახით.

უარი ეთქვას...

სიკვდილმისჯილმა იუზა კობახიძემ თხოვნით მიმართა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, მაგრამ საქართველოს პროკურორმაც და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმაც უარი უთხრეს ამ თხოვნაზე. 1980 წლის 25 სექტემბერს, გამოვიდა დადგენილება: „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, გაითვალისწინა რა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მსჯავრდებულის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება, დაადგინა: უარი ეთქვას პატიებაზე, სიკვდილმისჯილ იუზა კობახიძეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პ. გილაშვილი.“

ნაწყვეტები გაზეთ „კომუნისტის“ სტატიებიდან

„...იუზა კობახიძე შეცდა, როცა ეგონა, არ გამწირავენო. მართლაც, ვის უნდოდა მისი გაწირვა?.. თუ ლაზიშვილები და თოდუები უბრალოდ, მსხვილი საქმოსნები იყვნენ, რომლებიც მახეში გაებნენ, იუზა კობახიძეც სახელმწიფო მასშტაბის თვალთმაქცი და ორპირი აღმოჩნდა... საზოგადოებამ უღირსი მოიკვეთა!“

„მაინც, გაწირეს თუ არა იუზა კობახიძე კანონმა და საზოგადოებამ, მსხვერპლად გაიღეს იდეისთვის? არა, კანონმა მხოლოდ თავისი სიტყვა თქვა...“

P.S. როგორც მოცემული ინფორმაციიდანაც ჩანს, ჩადენილ დანაშაულს თავად იუზა კობახიძეც არ უარყოფდა. მაგრამ ნებისმიერ ჭკუათმყოფელს დაებადება კითხვა: ნუთუ შეიძლება, გაწირულად არ ჩაითვალოს კაცი, რომელსაც ქრთამის აღებისთვის სიცოცხლე წაართვეს?!. ■

რა სფეროშიც არ უნდა მოღვაწეობდეთ, ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე, მნიშვნელოვან წარმატებებს ვერ მიაღწევთ. ადამიანთა უმრავლესობა სამართლიანად მიიჩნევს, რომ ბევრად უფრო ადვილია პროფესიონალური უნარ-ჩვევების გამომუშავება, ვიდრე ირგვლივმყოფებთან საერთო ენის გამონახვა. მიუხედავად ამ გავრცელებული შეხედულებისა, ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება სულაც არ აღმოჩნდება თქვენთვის ძნელი, თუ ქვემოთ მოყვანილ ექვს რჩევას გაითვალისწინებთ.



ადამიანებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები

დაიმახსოვრეთ რამდენიმე უმარტივესი წესი და მთელი სამყარო თქვენ ფერხთით აღმოჩნდება

1. გულწრფელი ინტერესი

ურთიერთობისას უმთავრესია დაინტერესდეთ იმ პიროვნებით, რომელიც თქვენ გვერდით იმყოფება. ამ შემთხვევაში, მოჩვენებითი ყურადღება არ გამოდგება. თქვენ უნდა ისწავლოთ სიამოვნების მიღება მოსაუბრის ლაპარაკის აღქმისას. იგი აუცილებლად იგრძნობს, რომ თქვენ მართლაც გაინტერესებთ მისი პიროვნება და აუცილებლად უფრო გულწრფელი და გულახდილი გახდება. ნუ გაირჯებით ადამიანებზე შთაბეჭდილების მოსახდენად. წინააღმდეგ შემთხვევაში, არასოდეს გეყოლებათ ნამდვილი, უანგარო მეგობრები. თუ ახალგაცნობილ ადამიანთა სიმპათიის დამსახურება გსურთ, გაისარჯეთ იმისათვის, რომ მათ რამით ასიამოვნოთ — გაუკეთოთ რაღაც, რასაც დრო, ენერგია, მზრუნველობა და უანგარობა სჭირდება.

2. ისწავლეთ მოსმენა

ტყუილად არ ამბობენ, რომ კარგ ორატორთან შედარებით, ხალხი უპირატესობას კარგ მსმენელს ანიჭებს, მაგრამ ადამიანები, რომლებიც ნამდვილი, არა მოჩვენებითი მოსმენის უნარით არიან დაჯილდოებულნი, საკმაოდ იშვიათად გვხვდება. ბევრად უფრო იშვიათად, ვიდრე დანარჩენი კარგი თვისებები და უნდა აღინიშნოს, რომ იგი საკმაოდ ძვირადაც ფასობს. თუ თქვენ გსურთ, რომ კარგი მოსაუბრე იყოთ, გახდით ყურადღებიანი მსმენელიც. მოუსმინეთ ადამიანს თავიდან ბოლომდე, ნუ გააწყვეტინებთ თხრობას მსგავსი ამბის მაგალითის მოყვანით, რომელიც თქვენც გადაგხდათ თავს. ეცადეთ, გაიზიაროთ მოსაუბრის შეხედულება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის აზრს სრულად არ ეთანხმებით. ამბის მოყოლისას დაუსვით ისეთი შეკითხვები, რომელზე პასუხის გაცემაც მას ესიამოვნება.

3. გაითვალისწინეთ, ადამიანს სიამოვნებს, როცა სახელით მიმართავენ

ადამიანისათვის, რომელ ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდეს იგი, ყველაზე სასიამოვნო და მნიშვნელოვანი საკუთარი სახელის ბგერების მოსმენაა. ხშირად და ძალდატანების გარეშე მოიხსენიეთ მოსაუბრე სახელით, ჩათვალეთ, რომ ამით თქვენ მას დახვეწილ კომპლიმენტს ეუბნებით. დარწმუნებული იყავით, რომ საპირისპირო მხარის რეაქციაც არ დააყოვნებს — იგრძნობს რა თქვენს კეთილგანწყობას მოსაუბრე, ისიც თავის მხრივ, კეთილგანწყობითვე გიპასუხებთ; არა აქვს მნიშვნელობა, საქმიანი მოლაპარაკება იქნება ეს, თუ მეგობრული კონტაქტი — ყველაფერი შესანიშნავად აეწყობა. ოღონდ, გაითვალისწინეთ, სახელის კნინობითი ფორმით მიმართვა, მიღებული არ არის.



4. ხშირად გაიღიმეთ

კარგი შთაბეჭდილების მოხდენის უმარტივესი ხერხი – ღიმილია. ნებისმიერი კატეგორიის ადამიანთან ურთიერთობა, თქვენ სიხარულს უნდა განიჭებდეთ, თუ გინდათ, რომ თქვენთან ურთიერთობა სასიხარულო იყოს საპირისპირო მხარისათვისაც.

5. ცოდნა – უდიდესი ძალაა!

წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ ხვალ საქმიან მოლაპარაკებაზე მიდიხართ, სადაც პარტნიორი ფირმის ახალ წარმომადგენელს უნდა შეხვდეთ. შეეცადეთ რაც შეიძლება მეტი რამ შეიტყოთ მის პიროვნებაზე. რა ინტერესები აქვს, რა მოსწონს და უყვარს. წინასწარ მოემზადეთ შეხვედრისთვის, რათა არა მარტო კარგად, არამედ კომპეტენტურადაც გამოიყურებოდეთ და ინფორმირებული იყოთ თქვენი პარტნიორის ინტერესების თაობაზე. როცა მასთან საუბრისას, სასხვათაშორისოდ მისთვის საინტერესო თემას შეეხებით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მოსაუბრის კეთილგანწყობას დაიმსახურებთ, რაც აუცილებლად აისახება მოლაპარაკების შედეგებზე.

6. სრული აღფრთოვანება!

მოსაუბრეში აღმოაჩინეთ რამე ისეთი, რაც თქვენს გულწრფელ აღტაცებას გამოიწვევს. ნებისმიერ ადამიანს მიაჩნია, რომ რაღაც გარკვეულ სფეროში ის საუკეთესოა. თქვენ აუცილებლად იპოვით, მოსაუბრის გულისაკენ მიმავალ სწორ გზას, თუკი აგრძნობინებთ მას, რომ რაღაცაში მის უპირატესობას აღიარებთ. ■

რამდენად კარგად ფლობთ საკუთარ თავს?

დროდადრო ადამიანს მოთმინების ფიალა ევსება და საკუთარ თავზე კონტროლს კარგავს. ქვემოთ მოცემული ტესტი გაგარკვევთ, თუ რამდენად კარგად შეგიძლიათ, საკუთარი ემოციების მოთოკვა.

1) თუ მომხმარებელი, რომელიც რიგში თქვენ წინ დგას, დიდხანს ყოვნდება დახლთან, ამ დროს თქვენ...

ა) ააჩქარებთ მას – 3;

ბ) მოთმინებით დაელოდებით მის წასვლას – 1;

გ) დუმხართ, მაგრამ შინაგანად საოცრად აღშფოთებული ხართ – 2.

2) თუ დედა, დაბადების დღეზე გაჩუქებთ ისეთ ნივთს, რომელიც არაფერში გჭირდებათ, თქვენ...

ა) მადლობას გადაუხდით, მაგრამ მოგვიანებით, საჩუქარს გააჩუქებთ – 1;

ბ) ბრაზდებით, თუმცა იხტიბარს არ იტეხთ და არ იმჩნევთ ამ გაბრაზებას – 3;

გ) საჩუქრის მიღებაზე ზრდილობიანად უარს აცხადებთ – 2.

3) თუ შეყვარებულთან თქვენი ნებისმიერი კამათი სერიოზული ჩხუბით მთავრდება, თქვენ...

ა) დაფიქრდებით იმაზე, ხელსაყრელია თუ არა მომავალში ამ ურთიერთობის გაგრძელება – 3;

ბ) იმედი გაქვთ, რომ დროთა განმავლობაში ერთმანეთს უკეთ გაუგებთ – 1;

გ) ეცდებით, რომ ყოველგვარი გაუგებრობა, მასთან მოლაპარაკების გზით გადაჭრათ – 2.

4) თუ სტუმრების მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე აღმოაჩენთ, რომ ღვეზელი დაგეწვათ, თქვენ...

ა) შეუკვეთთ პიცას ტელეფონით ან სახელდახელოდ გამოაცხობთ რამეს – 1;

ბ) ეცდებით, რომ დაწვას გადარჩენილი ღვეზლის ნაწილი მაინც გამოიყენოთ – 2;

გ) დაურეკავთ სტუმრებს და შეხვედრას გადადებთ – 3.

5) თუ მოსაცდელში ელოდებით უფროსს ან პოლიკლინიკაში ხართ, თქვენ...

ა) დროს კითხვაში კლავთ – 1;

ბ) ზიხართ და ბრაზობთ – 3;

გ) საშინელი მოუთმენლობა გიპყრობთ – 2.

6) თუ თქვენთვის, დიეტის დაწყების ნებისმიერი მცდელობა, ბოლოს, კაფეში ან რესტორანში ვიზიტით მთავრდება, თქვენ...

ა) ეცდებით, კვლავ დაიწყოთ დიეტის კურსი და სათანადო შედეგსაც მიაღწევთ – 2;

ბ) საყვედურებით აავსებთ საკუთარ თავს – 3;

გ) ყველაფერს ფილოსოფიურად მიუდგებით: ვერაფერს იზამ, ასეთი რამ ნებისმიერს შეიძლება შეემთხვეს – 1.

დაჯამეთ ქულები

6–9 ქულა: საოცარ მოთმინებას იჩენთ, როგორც საკუთარი თავის, ასევე ირგვლივმყოფების მიმართ. თქვენ აცნობიერებთ, რომ ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს და, რომ ნებისმიერს (მათ შორის თქვენც) აქვს შეცდომის უფლება. სწორედ ამიტომ, თქვენ იოლად უნდობთ შეცდომას საკუთარ თავსაც და სხვასაც. სხვათა შორის, ეს მშვენიერი თვისებაა. ერთადერთი, რაც შეიძლება გირჩიოთ, — მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ თქვენი მოთმინება სხვებმა ბოროტად არ გამოიყენონ.

10–14 ქულა: სხვებს ყველაფერს იოლად აპატიებთ. მაშინ რატომლა გიჭირთ საკუთარი თავის პატიება?! თქვენ მკაცრად განიკითხავთ თავს უმცირესი შეცდომისათვისაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ, სერიოზულ დანაშაულზე. იყავით უფრო ლმობიერი და მიმტევებელი საკუთარი თავის მიმართ, ეს დაგეხმარებათ შინაგანი ჰარმონიის მოპოვებაში.

15–18 ქულა: საბწუსაროდ, მოთმინების ფიალა საოცრად სწრაფად გევსებათ. თუ რაიმე ისე არ მიდის, როგორც დაგეგმილი გქონდათ, მომენტალურად კარგავთ მოთმინებას, ბრაზდებით და ჯავრს სხვებზე იყრით. ჩვენი რჩევაა: გაუფრთხილდით ნერვებს, შეეცადეთ შეიგნოთ, რომ უამრავი ისეთი პრობლემაა, რომელიც თავისთავად გადაიჭრება, თუკი თქვენ საკუთარი ემოციების მოთოკვას შეძლებთ. ■



რა დანიშნულება აქვს სალოცავ კუთხეს?

ეკლესიური სწავლებით, ქრისტიანს ოჯახში უნდა ჰქონდეს ხატები, პატიოსანი ჯვარი და სხვა სიწმინდეები. სასურველია, რომ შინ გამოვყოთ ადგილი, სადაც სიწმინდეებს დავაბრძანებთ — ე.ი. მოვაწყოთ სამლოცველო კუთხე, წმინდა გამოსახულებებით გამშვენებული ადგილი, სადაც დავდგებით ლოცვითი კანონის აღსრულებისას.

მორენა მერკვილაძე

სალოცავი კუთხე უნდა მოვაწყოთ აღმოსავლეთის მხარეს, მაგრამ თუ ეს ვერ ხერხდება, სალოცავი კუთხის ჩრდილოეთის ან სამხრეთის მხარეს მოწყობაც შეიძლება. ქრისტიანული წესის თანახმად, მლოცველი, პირით აღმოსავლეთისკენ უნდა დადგეს. ეს წესი მოციქულთა დროიდან მოდის: იესო ქრისტე, რომელსაც ხშირად უწოდებენ — „მზეი სიმართლისაი“ — აღმოსავლეთიდან აღმობრწყინდა. წინასწარმეტყველებში უფალი ხშირად, „აღმოსავლად“ მოიხსენიება. და რაც მთავარია, მაცხოვრის მეორედ მოსვლას აღმოსავლეთიდან ველით. აქედან გამომდინარე, ლოცვის დროს, პირით აღმოსავლეთისკენ მიბრუნება, მაცხოვრის მუდმივი მოლოდინის ნიშანია.

სამლოცველო კუთხე არ უნდა მოვაწყოთ ცოლ-ქმრის საძინებელ ოთახში, მაგრამ თუ სხვა გამოსავალი არ არის, სამლოცველო კუთხე უნდა გაიმიჯნოს ფარდით.

როგორც აღვნიშნეთ, სალოცავ კუთხეში უნდა მოვათავსოთ წმინდა ხატები, რომელთა წინ წარმოვთქვამთ ლოცვას, დავანთებთ სანთელს, ვაკმევთ საკმეველს და ვეამბორებით. ხატები აუცილებლად ნაკურთხი უნდა იყოს, რადგან კურთხევის დროს მათ სულიწმიდის მადლი გადაეცემა და წმინდა ხდება. ხატთა თაყვანისცემა მოციქულთა დროიდან მოდის და საბოლოოდ, მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრებამ დააკანონა. ეკლესიური სწავლებით, ხატი ის სარკმელია, რომლითაც მორწმუნე ზეცას უკავშირდება. იგი ღმერთთან ურთიერთობის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. სამლოცველო კუთხეში დაუშვებელია არამართლმადიდებლური ხატების მოთავსება, რადგან მათ ლოცვითი ღირებულება არ გააჩნიათ. თუ ადამიანს უჭირს იმის გარკვევა, არის თუ არა ხატი მართლმადიდებლური კანონიკით შესრულებული, ამის გარკვევაში, ნებისმიერი ღვთისმსახური დაეხმარება.

სალოცავ კუთხეში უპირველესად, უნდა ვიქონიოთ შემდეგი ხატები: მაცხოვრის, ყოვლადწმიდა სამების, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის. გარდა ამისა, სასურველია გვქონდეს: წმ. ნინოს, წმ. გიორგის და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მფარველის — წმინდა ნიკოლოზის ხატები; ასევე — ოჯახის წევრთა მფარველი წმინდანების; ანგელოზთა დასის; მფარველი ანგელოზის; წმინდა პანტელეიმონის; წმინდა იოანე ნათლისმცემლის. მორწმუნემ ყველა ხატს შესაფერისი პატივი უნდა მიაგოს. ლოცვისას წარმოვთქვათ თითოეული მათგანის ტროპარი ან უბრალოდ, ჩვენი სიტყვებით მივმართოთ. მრავალრიცხოვანი ხატის მიმართ ასეთი სისტემატური ვედრება თავდაპირველად, ადამიანს შეიძლება გაუჭირდეს, ამიტომ დასაშვებია, რომ ხატებისთვის გამოვყოთ ცალკე თარო და სალოცავ ადგილას მაშინ გამოვაბრძანოთ, როდესაც თითოეული მათგანის დღესასწაული იქნება.

ხატები შემდეგნაირად უნდა განვალაგოთ: ჯვრის ქვემოთ უნდა მოვათავსოთ მაცხოვრის ხატი, მარცხნივ — ღვთისმშობლის, მათ ქვემოთ — წმინდანების. სასურველია, დავიცვათ ზოგადი იერარქია: წმინდანის ხატი არ უნდა მოხვდეს მაცხოვრის ხატის ზემოთ. სამღვდლო კურთხევანის მიხედვით, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატების შემდეგ, დაცული უნდა იქნას ხატების განლაგების შემდეგი იერარქია: წმინდა იოანე ნათლისმცემლის; წმ. წინასწარმეტყველთა; წმ. პეტრესი, წმ. პავლესი და ათორმეტთა მოციქულთა; წმ. მღვდელმთავართა; სხვათა მოციქულთა და წმ. მოწამეთა; ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა და დედათა; წმ. უვერცხლო მკურნალთა; წმ. იოაკიმესი და წმ. ანასი.

ხატებთან ერთად სამლოცველო კუთხეში ვათავსებთ პატიოსან ჯვარს. ჯვარი არის ქრისტიანობის ერთ-ერთი უმთავრესი სიწმინდე, ხსნის სიმბოლო. ამასთანავე, ჯვარი არის ქრისტიანის იარაღი ბოროტი ძალის წინააღმდეგ. როგორც წმინდა ხატები, პატიოსანი ჯვარიც, მართლმადიდებლური კანონიკის ზუსტი დაცვითი უნდა იყოს შესრულებული, ამიტომ სასურველია, ჯვარი სპეციალურ, მართლმადიდებლურ საეკლესიო მაღაზიაში შევიძინოთ.

ხატებისა და ჯვრის გარდა, სამლოცველო კუთხეში ადგილი უნდა მივუჩინოთ შემდეგ სიწმინდეებს: ნაკურთხ წყალს, საეკლესიო სანთლებს, სეფისკვერს, არტოსს, ნაკურთხ ზეთს (სხვადასხვა წმინდა ადგილიდან). სასურველია, რომ ამ სიწმინდეებთან ერთად, სამლოცველო კუთხეში კანდელი, სასანთლე და სასაკმევლეც გვქონდეს.

სეფისკვერი — ანუ „რჩეული პური“ არის სიმბოლო ეკლესიის ერთიანობისა. სეფისკვერი და ნაკურთხი წყალი უნდა მივიღოთ უზმოზე, ლოცვის შემდეგ, რაც შეეხება არტოსს, რომელსაც ბრწყინვალე შვიდეულის შაბათს ვიღებთ ტაძარში და მთელი წლის მანძილზე ვინახავთ — ავადმყოფობის ან დიდი

სულიერი განსაცდელის ჟამს უნდა მივიღოთ; არტოსის მიღების წინ უნდა ვილოცოთ.

ლოცვის დროს, სასანთლეში ვანთებთ სანთელს, რაც ხელს უწყობს ლოცვითი განწყობის შექმნას. სანთელი ზოგადად გამოხატავს ჩვენი გულის სითბოსა და სიყვარულს ღმერთისადმი. როგორც სანთელი ანათებს, ასევე ჩვენი სულიც ანთებული უნდა იყოს ღვთის წინაშე ლოცვით, ერთგულებით და სიყვარულით.

რაც შეეხება კანდელს (სანათი, ლამპარი) — მისი ნათელი არის სიმბოლო ზეციური ნათლისა. რამდენადაც სასუფეველში მყოფი წმინდანები ზეციური ნათლით არიან მოსილნი, მათ ხატებსაც აქ, დედამიწაზე მუდამ ნივთიერი ნათელი უნდა ეფინებოდეს, როგორც ზეციური ნათლის სიმბოლო. რადგან წმინდანები ზეცაში მარადიულად ნათელში იმყოფებიან, მათი წმინდა გამოსახულებებიც უნდა განათდეს.

საკმეველი კი, რომელსაც სიწმინდეების წინაშე ვაკმევთ, ჩვენი გულმხურვალე ლოცვის სიმბოლოა, რომელიც საკმევლის კვამლივით ადის ღმერთთან (საკმეველი არის სურნელოვანი ფისი, რომელსაც ძირითადად, საკმევლის ხის ქერქისგან იღებენ; შეიცავს გუმფისს, ეთეროვან ზეთებს და სხვა; ეკლესიაში იხმარება საცეცხლურით საკმევლად). საკმეველი არის აგრეთვე ხილული ნიშანი სულიწმიდის კეთილსურნელებისა.

სალოცავ კუთხეში სიწმინდეების გარდა, უნდა მოვათავსოთ სასულიერო წიგნებიც, უპირველესად — „ლოცვების“ წიგნი, „ფსალმუნნი“, „ახალი აღთქმა“ (ქრისტიანმა ყოველდღიურად უნდა წაიკითხოს ერთი თავი მაინც „სახარებიდან“ და ერთიც — სამოციქულოდან). გარდა ამისა, უნდა ვიქონიოთ ღვთისმშობლის დაუჯდომელი, კანონები იესო ტკბილისა და მფარველი ანგელოზისადმი. ამასთანავე სასურველია სხვა პარაკლისები თუ დაუჯდომელი ლოცვები.

სალოცავი კუთხის დანიშნულებაა, ბოროტი სულებისგან დაიფაროს ოჯახი და მის მორწმუნე წევრებს ლოცვითი განწყობილება შეუქმნას.

■

თერთმეტი და და წმინდა იოსეფის ხსენების დღეს მოვლენილი პაპარა სოსო...

ჟურნალისტებს ბევრ ოჯახში გვიწევს სტუმრობა. ბუნებრივია, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან. მრავალშვილიან ოჯახებში ადრეც ვყოფილვარ, მაგრამ მიუხედავად უამრავი პრობლემისა, არსად დამხვედრია იმდენი სითბო, ნათელი სახე და იმედიანი თვალი, რამდენიც საბურთალოს რაიონში მცხოვრები, ტალიაშვილების ჭეშმარიტად ქართულ, ლამაზ და ინტელიგენტურ ოჯახში ვნახე.

შესაძლოა, ისეთი ადამიანებიც მოიძებნებიან, ვინც იტყვიან: რა დროს მრავალი შვილია, როცა საქართველოში მეორე შვილის გაჩენაც კი პრობლემად ქცეულაო?!. რა გვეთქმის? ვფიქრობ, ამ წყვილის ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, მსგავს კითხვებს თავისით გაეცემა პასუხი...

ელისო გურგენიძე

ქალბატონი გულიკო:

— 11 ქალიშვილი მყავს და ერთი ვაჟი, მაგრამ არ მინდა, იფიქროთ, რომ 12 შვილი, ბიჭის გულისთვის გავაჩინე. ყველა ნანატრი გოგონა მყავს.

— თქვენი შემხედვარე, ასეთი კითხვა არც გამჩენია... ეი. თავიდანვე გინდოდათ, რომ 12 შვილი გყოლოდათ?

ბატონი ნოდარი:

— 37 წლის ვიყავი და დაუოჯახებელი გახლდით. მე და გულიკომ შემთხვევით, საერთო მეგობრის წყალობით გავიცანით ერთმანეთი. რატომ არ მოგყავს ცოლიო? — მკითხა ჩემმა მეგობარმა. — რა ვიცი, ისეთ ქალს ვეძებ, 5-6 შვილს მაინც რომ გამიჩენს-მეთქი. — მე მინდა ბევრი შვილიო, — წამოსცდა უცებ გულიკოს. ასე მიიქცია თავიდან, ჩემი ყურადღება *(იცინის)*.

— სურვილი ერთია და ცხოვრება ადამიანს მკაცრი რეალობის წინაშე აყენებს ხოლმე. არ გაგიჭირდათ თორმეტი შვილის გაზრდა?

გულიკო:

— როცა სურვილი დიდია, რაც გინდა, იმას აუცილებლად მიაღწევ. იმდენი ძალა და ენერგია შევალიე შვილების გაზრდას, რომ მე თვითონ მიკვირს, როგორ ვდგავარ ფეხზე. ოცდარვა წელია, თითქმის არ მიძინია. მაგრამ როცა ღმერთი ბევრ შვილს გაძლევს, იმის ენერგიასაც იმეტებს, რომ ისინი გაზარდო. არ დამავიწყდება, ერთხელ, სუფრასთან ჩემ გვერდით მჯდომმა ქალმა თქვა: კარგია ბევრი შვილი, მაგრამ ხარისხიანი უნდა იყოსო... გულზე მომხვდა: შევძლებ კი, როგორც საჭიროა, შვილების ისე აღზრდას-მეთქი? — ვფიქრობდი. მე თვითონ არაფერი მიყვარს უხარისხო. მადლობა ღმერთს, არც ერთი შვილი არ გავზარდე ფუქსავატი და უზრდელი. რაც ჩემზე იყო დამოკიდებული, ყველაფერი გავაკეთე. მხოლოდ ერთზე მწყდება გული: კომფორტი ვერ შევუქმენი ჩემს შვილებს.

— მაპატიეთ, ამ კითხვას რომ გისვამთ, მაგრამ თოთხმეტსულიანი ოჯახი მატერიალურ პრობლემებს როგორ ართმევთ თავს, მით უმეტეს — დღეს

როგორ არსებობთ? არ გიჭირდათ?

— როგორ არ გვიჭირდა?! მაგრამ რაც იყო, იყო. ადრე, სახელმწიფოც გვეხმარებოდა. 1989 წელს, მეთერთმეტე შვილი რომ შემეძინა, საბჭოთა კავშირის „გმირი დედის“ წოდება მომანიჭეს. ბინა, მანქანა და ფულადი ჯილდო გადმოგვცეს. 1990 წელს, გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, „ქართველის დედის“ წოდება შემოიღეს. მაშინ მატერიალურადაც გვეხმარებოდნენ. საჭიროა, დღეს სახელმწიფომ მიიღოს კანონი, რომელიც მრავალშვილიან ოჯახებს მდგომარეობას შეუმსუბუქებს.

— დღეს როგორ ცხოვრობთ?

— 1992 წლიდან, უშუქობა, უსაჭმლობა — ერთი სიტყვით, ყოველგვარი „უ“ გამოვიარეთ. რაღა დაგიმალოთ და, ჩემს გოგონებს ხშირად, უნივერსიტეტში მისასვლელად გზის ფულიც არ ჰქონდათ... რაღა ვილაპარაკო? — საერთოდ, არც მინდა ამ თემაზე საუბარი. ჩვენს ოჯახში მატერიის კულტი არასოდეს ყოფილა. ჩემს მეუღლეს პაპები რეპრესირებული ჰყავდა და სანამ მათი რეაბილიტაცია მოხდებოდა, ერთადერთი, რითიც ცხოვრობდა, წიგნები იყო. ორივეს, ოქროს მედალზე გვაქვს სკოლა დამთავრებული. პროფესიით პედაგოგები გახლავართ. ნოდარი ფიზიკოსია, მე — მათემატიკოსი. ნოდარი პედაგოგობამდე რუსეთში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ნობელის პრემიის ლაურეატთან, აკადემიკოს ბასოვთან ერთად მუშაობდა. შემდეგ მიხვდა, რომ საქართველოს გარეშე ცხოვრებას ვერ შეძლებდა, აქ ჩამოვიდა და საქართველოში დაიწყო პედადოგიური მოღვაწეობა. შვილებიც წიგნის სიყვარულით გავზარდეთ. მაგრამ დღეს გართულდა ცხოვრება. ათასნაირი ახალ-ახალი სახელმძღვანელო გამოდის, მე კი, ნაკლებად მაქვს მათი შეძენის საშუალება.

— ამჟამად რას საქმიანობენ თქვენი შვილები?

— უფროსი — ეკა 28 წლისაა, წარჩინებით დაამთავრა სკოლაც და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიც. პროფესიით ექიმი სტომატოლოგია. თუმცა, სამუშაო ადგილის უქონლობის გამო, შინ იღებს პაციენტებს. ნინომაც „ხუთებზე“ დაამთავრა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, სპარსული ენის სპეციალისტია. სოფო ეკონომისტია და პროფესიით მუშაობს. მომდევნოები: ქეთევანი და თამარი გათხოვდნენ და დღეს, თითო შვილს ზრდიან. ოჯახის შექმნამდე, ქეთევანი მოდელად მუშაობდა აბრამ ბაზელის სამოდელო სტუდიაში. რუსუდანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტია. პატარებს ჯერჯერობით, სწავლაში ხელს ვერ ვუწყობთ. ტყუპმა — სალომემ და მარიამმა შარშან დაამთავრეს სკოლა. მარიამი დიზაინერობაზე ოცნებობს, სალომე — დიპლომატობაზე, მაგრამ ფასიანი განათლების მიღება ჩვენთვის ხელ მიუწვდომელია. უფასო სახელმწიფო სასწავლებლებში შესასვლელად კი, სპეციალური მომზადებაა საჭირო... პატარები: ელენე, მერი და სოსო მარნეულის რაიონის ქართულ სკოლაში სწავლობენ.

— მარნეულის რაიონში რატომ დადიან სასწავლებლად?

— ქვემო ქართლში მიწის ნაკვეთი გვქონდა აღებული. მარნეულში ჩემი მეუღლე სკოლის დირექტორად მუშაობდა. მე მათემატიკას ვასწავლიდი. ცხოვრება რომ გაჭირდა, მეურნეობასაც მივყავით ხელი და უმცროსი შვილებიც იქ გადავიყვანეთ სასწავლებლად. სწავლის პერიოდში, თბილისში ხშირად ვერ ჩამოვდივარ, ახლაც იმიტომ დაგხვდით აქ, რომ ბავშვებმა შემომთვალეს: მეორე კვირაა, დენი არა გვაქვს, ვიყინებითო. დამციოვდნენ შვილები. „თელასის“ ვალი გვაქვს, ვერ ვიხდით ამ ხელა თანხას.

ეკა:

— მამა კერძო ინტერესების კაცი რომ ყოფილიყო, მარტო საკუთარ თავსა და ოჯახზე რომ ეფიქრა, დღეს ასეთ დღეში ხომ არ ჩავცვივდებოდით?! მან მთელი თავისი ცხოვრება საზოგადოებრივ საქმიანობას შეალია.

— რას გულისხმობთ?

გულიკო:

— ნოდარი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, თბილისის მეხუთე სკოლაში ასწავლიდა ფიზიკას. მისი მასწავლებლობის დროს, ეს სკოლა საუკეთესოდ ითვლებოდა ფიზიკაში. მაშინდელმა განათლების მინისტრმა, თამარ ლაშქარაშვილმა დაიბარა ჩემი მეუღლე და ქართველებით მცირედ დასახლებულ რაიონებში ქართული სკოლების გახსნის საქმეში დახმარება სთხოვა. სიხარულით დათანხმდა. მეხუთე შვილზე ვიყავი ფეხმძიმედ, რომ დამტოვა და ქვემო ქართლში გაემგზავრა. მაშინ ლოზუნგი იყო ასეთი: „ფიზიკოსებო, დაეხმარეთ რაიონებს!“

— ქართული სკოლები როგორ უნდა დაეარსებინა?

— იმ პერიოდში, მესხეთ-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ძირითადად, ოთხწლედები და რვაწლედები ფუნქციონირებდა. ჩემი მეუღლე ამ სკოლებში იწყებდა მუშაობას და ქართული საშუალო სკოლების გახსნის საქმეს თაოსნობდა. ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდა. ფოკაში, გომარეთში, ტანძიასა და ფიტარეთში უშუალოდ მისი ინიციატივით ამოქმედდა ქართული სკოლები. ოცი წელი ამ საქმიანობას შეალია.

ნოდარი:

— ბოლოს, ჩემი წინაპრების სოფლებში — სიონსა და წერაქვში დავაარსე ქართული სკოლები. მასწავლებლებიც ჩავიყვანე. მიწაც ავიღე დასამუშავებლად. ქართული მეურნეობის შექმნა მინდოდა, მაგრამ ტექნიკის უქონლობის გამო ვერ შევძელი. ტექნიკის შესაძენად კრედიტის აღება მინდოდა და შუამდგომლობასაც გვიწევდნენ, მაგრამ ქუჩიდან მოსულს ჩვენ ფულს ვერ მივცემთო, — გვითხრეს. დღეს ეს ნაკვეთი ჩემს სახ-

ორივეს, ოქროს მედალზე გვაქვს სკოლა დამთავრებული. პროფესიით პედაგოგები გახლავართ

მინდა გიამბოთ, როგორ შემეძინა ნაბოლარა. მე უკვე 44 წლის გახლდით და შვილის გაჩენას აღარ ვაპირებდი.

ელზეა პრივატიზებული და სანამ შემეძლო, ვამუშავებდი. წელს კი, ჯანმრთელობამ მიმტყუნა. ახლაც, კრედიტის ასაღებად, ჯორბენაძის სახელზე მაქვს დაწერილი განცხადება, მაგრამ პასუხი ჯერ არ მიგვიღია.

— ბევრს თქვენი ასეთი პატრიოტიზმი დღეს, ალბათ უცნაურიც კი ეჩვენება...

გულიკო:

— ჩემს მეუღლეს ისეთი წინაპრები ჰყავდა, რომ შეუძლებელია, სხვანაირად მოქცეულიყო: იგი მიხეილ ჯავახიშვილის ძმის შვილიშვილია. ხსენებული სოფლები — წერაქვიცა და სიონიც ხომ, დიდი მიხეილის სოფლები გახლავთ.

— საინტერესოა, დიდი მიხეილის პატარა ნათესავები როგორ უყურებენ ცხოვრებას?

ეკა:

— მშობლებმა ასე გაგვზარდეს, შთაგვაგონეს, რომ ჩვენი პრობლემა ჩვენშია და თუ პრობლემები გვაქვს, პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა მოვთხოვოთ პასუხი. მაგრამ არ არის ასე: რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული, ყველაფერი გავაკეთეთ. სკოლაც „ხუთებზე" დავამთავრე და უნივერსიტეტიც. არც ახლა ვაკლებ მცდელობას საქმეს. რატომ უნდა ვიყოთ ვინმეს მათხოვრები, მით უმეტეს — სახელმწიფოსი?!. არ მჯერა, რომ ამბობენ: ყველაფერი, შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ბრალიაო. ეს მდგომარეობა თავისით ხომ არ შექმნილა?! მას ხომ კონკრეტული ადამიანები ქმნიან. მუშაობის დაწყება მინდა და არავინ მეკითხება, როგორი ექიმი ვარ — მთავარია, ფული გადავიხადო. ამ დღეებში, სტომატოლოგიური კლინიკები მოვიარე. მუშაობის დასაწყებად, ყველგან სხვადასხვა თანხის გადახდა მომთხოვეს: ბახტრიონზე — 3.000 დოლარი, ვაკეში — 2.000, დიდუბეში — 1.500, ისე, რომ არავის უკითხავს, ვინ ვარ და რა შემიძლია.

ძალიან კარგი სამეგობრო მყავს. ბევრ ისეთ ახალგაზრდას ვიცნობ, თავისი საქმეც რომ იცის და სურვილიც აქვს რამის კეთების. მათ არც ამ დამახინჯებულ ქვეყანაში მოსწონთ ცხოვრება. მაგრამ ჩვენი ცხოვრება ქარის წისქვილებთან ბრძოლას ხმარდება. ცუდია, მთელი ცხოვრება, სხვისი გაფუჭებული საქმე რომ უნდა ასწორო — ისე, როგორც ჩემს პრაქტიკაში ხდება: სხვის მიერ არასწორად ნამკურნალევი კბილების თავიდან მკურნალობა რომ მიწევს.

მარიამი:

— მე ეკასავით სერიზულად არ ვუყურებ ცხოვრებას, მაგრამ მინდა, რომ დიზაინერი გამოვიდე და, რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ჩემსას მივაღწევ.

— დიზაინერი მინდა გამოვიდეო, — ამბობ და საინტერესოა, გული არ გწყდებოდა ხოლმე, სკოლაში შენ და შენი დები, თქვენს თანატოლებზე ნაკლებად ჩაცმულ-დახურულები რომ დადიოდით?

ელენე:

— ჩვენ მაინც ყველაზე ლამაზები ვიყავით...

მარიამი:

— ჩვენ ჩვენით ვქსოვთ, ვკერავთ, ვქარგავთ. 14 წლისები ვიყავით, ბრიჯები რომ შემოვიდა მოდაში. ძველი ჯინსები ისე გადავაკეთეთ, ყველას, მაღაზიაში ნაყიდი ეგონა. პირადად მე, ჩემი ტყუპისცალის — სალომეს შეკერილი სამოსიც ჩამიცვამს და მისი დიზაინით შექმნილი ჩანთაც ხშირად მჭერია ხელში. ძილის წინ, ყველანი ჩვენ-ჩვენს ოცნებებს ვუზიარებთ ხოლმე ერთმანეთს. როგორც იცით, მე დიზაინერობაზე ვოცნებობ და სალომე მპირდება, რომ მომეხმარება საუკეთესო მოდელების შექმნაში.

— ქეთევანი თუ აპირებს, მრავალშვილიანი დედა გახდეს?

— იცით, ჩვენს ოჯახში ყველა შვილის დაბადება რამხელა სიხარულთან იყო დაკავშირებული?! მიუხედავად იმისა, რომ გოგონები ვიყავით, მამას უზომოდ უხაროდა ჩემი მომდევნო დების დაბადება და ჩვენთან ოჯახში ნამდვილი ზეიმი იმართებოდა. მიუხედავად ამისა, იმდენი გაჭირვება მახსოვს, ბევრ შვილს ნამდვილად არ გავაჩენ. აი, პირობები რომ იყოს...

— ქალბატონო გულიკო, ცოდვა გამხელილი ჯობს და არ გიფიქრიათ, ერთი შვილი გყოლოდათ და ისე გაგეზარდათ, რომ ამდენი გაჭირვება არ გენახათ?

— მიფიქრია...

— ალბათ ყველა ადამიანს აქვს განსაკუთრებით ბედნიერი დღეები. თქვენთვის რომელი დღე იყო ასეთი?

— ყველა დღის გათენება და დაღამება: დილა რომ გათენდებოდა და ჩემს შვილებს შევხედავდი, უკვე ბედნიერი ვიყავი, ისეთი ლამაზები არიან ყველანი. საღამოს დაძინებულებს რომ გადავხედავდი, მაშინაც ბედნიერი ვიყავი... მინდა გიამბოთ, როგორ შემეძინა ნაბოლარა. მე უკვე 44 წლის გახლდით და შვილის გაჩენას აღარ ვაპირებდი. არც ვიცოდი, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ძილში, თეთრებში შემოსილი ქალი გამომეცხადა და მითხრა: ბიჭი შეგეძინება და იოსები დაარქვიო. ზუსტად, წმიდა იოსების ხსენების დღეს შემეძინა პატარა სოსო. ალბათ ყველაფერი ღვთის ნება და წყალობაა. ■

მარიამი დიზაინერობაზე ოცნებობს (დისშვილთან ერთად)

ჯიდმანი და ჯრუსი კანში ერთმანეთს გაურბიან

საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში მიმდინარე საერთაშორისო ფესტივალის ბევრი მონაწილე მოუთმენლად ელოდა იმას, თუ როგორ შეხვდებოდნენ ერთმანეთს ნიკოლ კიდმანი და პენელოპა კრუსი, მაგრამ ერთიცა და მეორეც თურმე, ყველა ღონეს ხმარობს, რომ ეს არ მოხდეს. როგორც ჟურნალისტებმა პირველ დღესვე დაადგინეს, ტომ კრუზის ცოლყოფილი ძვირად ღირებულ ოტელში – „დიუ კაპში“ დაბინავდა, ახლანდელმა შეყვარებულმა კი, კანის გარეუბანში მდებარე ვილა დაიქირავა. ორივე მსახიობს აგრეთვე აუყვანია ხუთ-ხუთკაციანი დაცვა (ოღონდ – სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლები) და მკაცრად გაუფრთხილებია, რომ უზრუნველეყოთ მეტოქისგან სრული იზოლაცია.

აზიელებმა ვირუსისგან კინემატოგრაფისტთა დაცვა გადაწყვიტეს

წლევანდელ ფესტივალს თავისებური ბოიკოტი გამოუცხადეს აზიელმა კინემატოგრაფისტებმა. კანში მიწვეული ჩინელებიდან და ტაილანდელებიდან, ნახევარმა უარი განაცხადა ლაჟვარდოვან სანაპიროზე ჩასვლაზე. თითქმის ამდენივე სამხრეთკორეელმაც შინ დარჩენა ამჯობინა. აღსანიშნავია, რომ მსახიობებსა და რეჟისორებს ბიზნესმენებმაც მიჰბაძეს, რომლებსაც კანში დაგეგმილ კინობაზრობაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. როგორც ამბობენ, მათ თავი დაიზღვიეს იმისაგან, რომ ატიპური პნევმონიის ვირუსის უნებლიე გადამტანები გამხდარიყვნენ. თუმცა, ფესტივალის ორგანიზატორები მაინც ცდილობენ, მაქსიმალური ინფორმაცია გაავრცელონ დაავადების სიმპტომების შესახებ და ოდნავი ეჭვის შემთხვევაში, დარეკონ „ცხელი ხაზის“ ტელეფონზე.

ახალმა ფან-ფანმა მაყურებლებს იმედები გაუცრუა

კანში დიდი ინტერესით ელოდნენ ახალ ვერსიას ავანტიურულ-ისტორიული კომედიისა – „ფან-ფან ტულპანი“, რომლის ვარსკვლავები ჯინა ლოლობრიჯიდა და ლეგენდარული ჟერარ ფილიპი იყვნენ. პროდიუსერის ლიუკ ბესონისა და რეჟისორის ჟერარ კრავჩიკის მიერ გადაღებულ ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ პენელოპა კრუსი და ვენსან პერესი, მაგრამ რიმეიქმა პუბლიკაზე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ფესტივალის პირველ დღეს გამართულ პრემიერაზე მისულ მაყურებლებსა და განსაკუთრებით ჟურნალისტებს, იმის იმედიც გაუცრუვდათ, რომ პრესკონფერენციაზე, რაიმე პიკანტურს გამოსტყუებდნენ პენელოპას მისი შეყვარებულისა თუ ნიკოლ კიდმანის შესახებ.

ჟიურის წევრ ვარსკვლავს პლაჟზე მოუხდა ღამის გათევა

ჰოლივუდის ვარსკვლავს, მეგ რაიანს სათანადო პატივი მიაგეს და იმდენად კარგი საყოფაცხოვრებო პირობები შეუქმნეს, რომ ბევრის მნახველი ვარსკვლავიც კი ვერ დაიწუნებდა – მას საუცხოო აპარტამენტები გამოუყვეს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ოტელ „კორლტანში“. მაგრამ 41 წლის მსახიობ ქალს ერთ საღამოს, გულმა პლაჟისკენ გაუწია. საქმე ის გახლავთ, რომ 24 წლის წინ, სრულიად უცნობი ამერიკელი გოგონა თავის ორ მეგობართან ერთად ეწვია ლაჟვარდოვან სანაპიროს, შორიდან უცქერდა სახელგანთქმულ მსახიობებს და მხოლოდ ერთი ზურგჩანთის ამარად მყოფს, პლაჟზე მოუხდა ღამის გათევა ... ■

www.shopge.com

სიცრუის დეტექტორი TRUSTER – „ტრასტერი"

თითოეულ ჩვენთაგანს ყოველდღიურად გვატყუებენ. გვატყუებენ მეგობრები, პარტნიორები, შემთხვევითი ნაცნობები, პოლიტიკოსები და ჩვენთვის ყველაზე ახლობელი ადამიანებიც კი. ტყუილის მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს: შური, ძალაუფლების წყურვილი, შიში, სიამაყე. უკეთეს შემთხვევაში ჩვენ შეიძლება მოგვატყუონ ხუმრობის ან გათამაშების მიზნით. ნებისმიერ შემთხვევაში, არც ერთ ჩვენთაგანს არ სურს იყოს მოტყუებული, რადგან ტყუილი შეიძლება გახდეს ფინანსური დანაკარგების, ოჯახური კონფლიქტების, სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემისა თუ უბრალოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზი.

სიცრუის დეტექტორი TRUSTER შეიქმნა რამდენიმე წლის წინ ისრაელის სპეცსამსახურის - "მოსადის" შეკვეთით და მიეკუთვნებოდა გასაიდუმლოებულ ტექნოლოგიათა რიცხვს. ახლა უკვე იგი ხელმისაწვდომი და მოსახერხებელია ნებისმიერი ადამიანისათვის. დღესდღეობით იგი მსოფლიოში ერთადერთი ჯიბის სიცრუის დეტექტორია. განსხვავებით ძვირად ღირებული პოლიგრაფისაგან, რომელიც ადამიანის სხეულზე მიერთებას მოითხოვს, TRUSTER-ი შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვებისაგან შეუმჩნევლად, არ საჭიროებს მიერთებას, მოსახერხებელია სატარებლად: მისი წონაა 50 გრამი და თავისუფლად ეტევა ხელისგულზე, ბევრად იაფია კლასიკურ პოლიგრაფზე, უერთდება მობილურ ტელეფონს და შეუძლია სამეტყველო ენის მიუხედავად განსაზღვროს ტყუილი. ამასთანავე, სიცრუის დეტექტორი TRUSTER-ი ზომავს ნებისმიერი ადამიანის სტრესის დონეს, რაც საშუალებას გაძლევთ უფრო ყურადღებით ადევნოთ თვალყური თქვენს ჯანმრთელობას.

- ყოველთვის გულახდილნი არიან თქვენი მეგობრები?
- დარწმუნებული ხართ, რომ თქვენს რჩეულს უყვარხართ?
- ერთგულია თუ არა თქვენი მეუღლე?
- ხომ არ გატყუებენ თქვენი პარტნიორები და კოლეგები?

სიცრუის დეტექტორი TRUSTER-ი – ეს არის თქვენი შანსი იცხოვროთ ეჭვებისა და სტრესის გარეშე!

ფასი: 270 ლარი

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: **www.shopge.com**
ელ-ფოსტა: **contact@shopge.com**
ტელ: (995 32) 53 74 60

ამარ სტადემაირი – კრიმინალების ოჯახიდან გამოსული ვარსკვლავი

„ფინიკს სანსის“ 20 წლის ფორვარდი, ამარ სტადემაირი NBA-ს ისტორიაში ერთადერთი მოთამაშეა, რომელიც სკოლის დამთავრებისთანავე სეზონის საუკეთესო ახალბედა კალათბურთელად დაასახელეს. სხვათა შორის, გამოკითხვამდე, ამერიკაში კალათბურთის გულშემატკივართა და სპეციალისტთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ სეზონის ამ ტიტულს „ჰიუსტონის“ ჩინელი „ცენტრი“, იაო მინი იმსახურებდა, მაგრამ ხმათა უმრავლესობა მაინც სტადემაირმა მიიღო.

დოსიე:
დაბადების თარიღი: 1982 წლის 16 ნოემბერი
სიმაღლე: 208 სმ
წონა: 111 კგ
კოლეჯი: Cypress Creek (Orlando, FL)

ბოლო წელს, სკოლაში თამაშისას ამარი მატჩში საშუალოდ, 29 ქულას აგროვებდა და 15 მოხსნას ახერხებდა, რის გამოც სამართლიანად ატარებდა „მისტერ კალათბურთელის“ ტიტულს. სტადემაირის ნიჭის დასანახად სულაც არ იყო საჭირო სპეციალისტის თვალი, თუმცა დრაფტის წინ, მხოლოდ სამმა გუნდმა – „დენვერმა“, „ჰიუსტონმა“ და „ფინიკსმა“ – მიიწვია იგი ინდივიდუალურ ვარჯიშზე. საბოლოოდ კი, მაინც „ფინიკსმა“ აირჩია მეცხრე ნომრად. ამარ სტადემაირი 2002 წელს, სკოლის მოსწავლეთა შორის, ერთადერთი იყო, რომელიც NBA-ში მოხვდა. „ტყუილად ამტკიცებენ იმას, თითქოს 2002 წლის დრაფტი სუსტი იყო, – ამბობს „ფინიკს სანსის“ ახალგაზრდა ვარსკვლავი, – ბრწყინვალე სეზონი ჩაატარეს კერონ ბატლერმა „მაიამიდან“, დრიუ გუდენმა „ორლანდოდან“ და დაჯუან ვაგნერმა „კლივლენდიდან“. იგივე შეიძლება ითქვას იაო მინზე. ის ძალიან მაღალი და კარგი კოორდინაციის უნარის მქონე „ცენტრია“ და თანაც, ყოველგვარი ფინტისა და ტყორცნის არსენალსაც ფლობს. ჩემპიონატის დაწყებამდე, სკეპტიკოსების დიდი ნაწილი ირწმუნებოდა, რომ იაო NBA-ში ადგილის დამკვიდრებას ვერ შეძლებდა. ამჟამად, ამ პესიმისტების ხმაც აღარ ისმის. „მე და მინს თითქმის ერთნაირი სტატისტიკა გვაქვს, თუმცა მივიჩნევ, რომ სეზონის განმავლობაში, მე უფრო დიდი პროგრესი განვიცადე, ვიდრე მან. რაღაც მომენტში, პრესამ ერთმანეთს დაგვაპირისპირა, მაგრამ ჩვენ ხომ სხვადასხვა ამპლუის მოთამაშენი ვართ. ჩემპიონატში „ფინიკსი“ ოთხჯერ შეხვდა „ჰიუსტონს“ და ამ მატჩებში არც მე და არც იაოს, განსაკუთრებული არაფერი გაგვიკეთებია. ჩემი აზრით, ეს მატჩები ერთმანეთისგან ბევრად არ განსხვავდებოდა. როდესაც ყოველ საღამოს, კევინ გარნეტთან, ტიმ დანკანთან თუ როშიდ უოლესთან გიხდება პაექრობა, მინთან თამაში უკვე იმდენად აღარ გაშფოთებს“.

ჯერ კიდევ არავის ჰქონია NBA-ში ისეთი ფანტასტიკური დებიუტი, როგორიც ამარ სტადემაირს (13,5 ქულა და 8,8 მოხსნა საშუალოდ მატჩში), თვით კევინ გარნეტს, კობი ბრაიანტსა და ტრეისი მაკგრეიდსაც კი. მხოლოდ მოზეს მელოუნს აქვს სადებიუტო სეზონში უკეთესი სტატისტიკური მაჩვენებელი – საშუალოდ, 18,8 ქულა და 14,6 მოხსნა მატჩში.

ნიშანდობლივია, რომ სტადემაირს მეტისმეტად მძიმე ბავშვობა ჰქონდა. 12 წლის იყო „ფინიკსის“ მომავალი ვარსკვლავი, როდესაც მამა გარდაეცვალა. ამარის ძმა დღესაც ციხეში ზის გაუპატიურებისთვის. დედამ კი, ახლახან მოიხადა სასჯელი ნარკოტიკებით ვაჭრობისა და ქურდობისთვის. არ არსებობს ადგილი, რომლისთვისაც შეიძლებოდა, რომ ამარ სტადემაირს მშობლიური სახლი ეწოდებინა. NBA-ს ამომავალმა ვარსკვლავმა ექვსი სკოლა გამოიცვალა, ხოლო როდესაც დრაფტში დაასახელეს, იგი თავისი მწვრთნელის სახლში ცხოვრობდა...

2002 წლის 30 ოქტომბრიდან, ამარისთვის ახალი ცხოვრება დაიწყო. NBA-ში თავისი პირველი სეზონის მანძილზე, მან უკვე შეძლო, ღირსეული მეტოქეობა გაეწია ადმირალ დევიდ რობინსონისათვის („სან-ანტონიო“) და თვით 213 სმ სიმაღლის მაიკლ ოლოვაკანდისთან („კლიპერსი“) პაექრობისას ბურთი კალათში „ჩაეტენა“. ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო და მძლავრ ფორვარდთან, გარნეტთან ორთაბრძოლისას, 38 ქულა დააგროვა და 14 მოხსნაც განახორციელა. აი, „ბოსტონის“ საუკეთესო სნაიპერსა და 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატში აშშ-ის ნაკრების კაპიტანს, პოლ პირსს კი, ამართან დაპირისპირება ძალზედ ძვირად დაუჯდა. მან საჰაერო ორთაბრძოლისას, იატაკზე რიგიანად დაშვება ვერ მოახერხა და ორი კბილი მოსტყდა. NBA-ში ამარის პირველი გამოჩენიდან სულ რაღაც ექვსი თვე გავიდა და იგი ლიგის საუკეთესო ახალბედა კალათბურთელად დაასახელეს. „რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ჩემთვის ყველაზე რთული აღმოჩნდა პროფესიონალი კალათბურთელის ცხოვრება მოედნის მიღმა: 20 წლის ასაკში, ამდენი ბიზნეს-წინადადების მიღება მართლაც რთულია. სულ სხვა სამყაროში მოვხვდი. ამდენი არასოდეს მიმოგზაურია, ასეთი ინტენსიური ურთიერთობა არ მქონია პრესასთან და ამდენ ამბიციურ ადამიანსაც არსად გადავყრივარ. მე სწორი რჩევები და სანდო გარემოცვა მესაჭიროება. ეს ყველაფერი პირველი ნაბიჯია წარმატებისაკენ“, – ამბობს სტადემაირი, რომელმაც იანვარში, „ფინიკსისა“ და „ვაშინგტონის“ შეხვედრისას რჩევა თვით დიდებულ და განუმეორებელ მფრინავ მაიკლსაც ჰკითხა. ვიდრე მის პარტნიორს, ბურთი თამაშში გვერდითი ხაზიდან შეჰყავდა, ამარს მაიკლ ჯორდანისთვის უკითხავს: „სად შეიძლება ვეძებოთ წარმატების გასაღები?“ მაიკლ ჯორდანს კი, უპასუხია: „შენ ის უკვე

იპოვე...“

„სტადემაირს მშვენიერი მომავალი ექნება. იგი საკუთარ თავში დარწმუნებული, ახალგაზრდა კაცია. ამარი წარმოუდგენლად აგრესიულია ფარის ქვეშ პაექრობისას, როდესაც ბურთის დასაუფლებლად იბრძვის ან ტყორცნას აპირებს. თუკი იგი თავის არსენალს, ფეხებით კარგად მუშაობასაც მოუმატებს და პერიმეტრზე თამაშს გაუმჯობესებს, მართლა რეალურ ძალად გადაიქცევა“, – ეს სიტყვებიც მაიკლ ჯორდანს ეკუთვნის. სხვათა შორის, NBA-ში გამოჩენისთანავე, ამარმა არა მარტო კოლეგების, არამედ ფანების ყურადღებაც მიიპყრო. ჯერ კიდევ სეზონის წინა მატჩების მსვლელობისას, „ლეიკერსის“ ერთ-ერთ ქომაგს, რომელიც თავისი საყვარელი გუნდის სათადარიგოთა სკამის უკან მჯდარა, ამარის მისამართით ისტერიკულად წამოუყვირია: „ეს მონსტრი ვინღაა?“ მაშინ ხომ NBA-ში „ფინიკსის“ ახალგაზრდა ფორვარდს ჯერ არავინ იცნობდა. დღეს კი, მას კლუბის ისტორიაში დრაფტის საუკეთესო ნომრად მიიჩნევენ და კარლ მელოუნისა და ახალგაზრდა შონ კემპის ჰიბრიდს უწოდებენ.

შეიძლება, გავიდეს დრო და სტადემაირმა თვით „ფინიკს სანსის“ ყველა დროის საუკეთესო ფორვარდად აღიარებული ჩარლზ ბარკლიც კი დაჩრდილოს. „ორი წლის შემდეგ, დიდი და პატარა, სტადემაირზე ილაპარაკებს“, – ამბობს NBA-ს გოლიათი, შაკილ ო'ნილი. „შაკილთან შეხვედრას მოუთმენლად ველოდი. საქმე ის არის, რომ ო'ნილი ჩემი ბავშვობის კერპი იყო და დღესაც ასეთად რჩება. ამ მატჩში ჩემთვის მთავარი, 50 ქულის მოგროვება არ ყოფილა. ისიც საკმარისი იყო, რომ მასთან ერთად ვიმყოფებოდი მოედანზე და მისი მეტოქეობით სიამოვნებას ვიღებდი. ეჭვგარეშეა, რომ შაკილი ლიგის დომინანტია. მასავით ძლიერად ბურთს კალათში ვერავინ „ტენის“. მეც ვცდილობ, რომ იგივე გავიმეორო. საერთოდ, ჩვენ ერთნაირად ვთამაშობთ, ოღონდ ის ჩემზე უფრო დიდი და ძლიერია“, – ამბობს ამარი, რომელიც თავის სკოლის მწვრთნელს შეჰპირდა, რომ NBA-ში სადებიუტო სეზონში საშუალოდ, მატჩში 10 ქულას დააგროვებდა და 8 მოხსნას განახორციელებდა. „ფინიკსის“ ამომავალმა ვარსკვლავმა გეგმას გადააჭარბა კიდეც, თუმცა, მიღწეულით არ კმაყოფილდება. „აბა როგორ! მე კიდევ ბევრ რამეს უნდა მივაღწიო, – აცხადებს ამაყად სტადემაირი. – კარგია, რომ თანაკლუბელები მეხმარებიან, პროფესიონალური კალათბურთის ნიუანსებში მაცნობიერებენ. გარდა ამისა, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენი ქულა მოვაგროვე და რამდენი მოხსნა განვახორციელე, ყოველი დილის ვარჯიშის დროს, ვალდებული ვარ, მთელი გუნდისთვის ფუნთუშები მოვიტანო, ვარჯიშის შემდეგ კი, ბურთებს ვაგროვებ“.

NBA ამარ სტადემაირისათვის მართლაც, უცხო სამყარო აღმოჩნდა არა მარტო საკალათბურთო, არამედ საერთოდ, ცხოვრებისეული თვალსაზრისითაც. „ერთხელ, საჯარიმო ტყორცნის შესრულებისას, ფარის უკან, ტრიბუნის პირველ რიგში პატარა ტელევიზორი შევნიშნე, რომელშიც მე ვჩანდი – დახრილი, ბურთის სასროლად შემზადებული. ადრე, საკუთარი თავი ტელევიზორში არასოდეს მინახავს და ამან ისე დამაბნია, რომ ბურთი კალათში ვეღარ ჩავაგდე!.. თამაშის შემდეგ კი, ახალი სასწავლო კურსი დამინიშნეს, სახელწოდებით – „კონცენტრირების უნარი“. ერთხელაც, მარბერის შევჩივლე: „არ მოველოდი, თუ NBA-ში ერთმანეთს ხელებში ასე უმოწყალოდ ურტყამდნენ“. ამის გამო მას ისეთი ისტერიკული სიცილი აუტყდა, რომ შემეშინდა – ხომ არ გაგიჟდა-მეთქი?.. როდესაც სტეფანმა ცრემლები შეიმშრალა, მომაძახა: „კეთილი იყოს შენი მობრძანება NBA-ში!“ ამის შემდეგ, არავისთან არაფერზე აღარ ვწუწუნებ. მაგრამ ყველაზე მეტად ასოციაციაში მსაჯობა მაბნევს. ხანდახან, ყველაფერი ისე მიდის, როგორც მსოფლიოში საუკეთესო ლიგას შეეფერება. ზოგჯერ კი, ისეთი რაღაცებისთვის ვიღებ ჯარიმებს, რომ თავადაც არ მჯერა. პარტნიორები მიმტკიცებენ – მსაჯებში კარგი რეპუტაცია შენ თვითონ უნდა დაიმკვიდროო. სხვათა შორის, ჩემმა თანაკლუბელებმა ყველა არბიტრის სახელი იციან და ისიც შესწავლილი აქვთ, თუ რომელი მათგანი რაზე ხუჭავს თვალს და რისთვის სჯის მოთამაშეებს. პირადად ჩემთვის, ჯერჯერობით ყველა მსაჯი ერთსა და იმავე – ზოლიან პერანგში გამოწყობილი კაცია...“ – დასძენს ამარი და მიუხედავად ყველა ამ სირთულისა, მაინც ბედნიერია იმით, რომ NBA-ში თამაშობს: „ჯერ კიდევ სეზონის წინ, იმდენი რამ ვისწავლე, რამდენიც ჩემს განვლილ საკალათბურთო ცხოვრებაში არ მისწავლია. კოლეჯის, NBA-სთან შედარებაც არ შეიძლება. ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი ბიჭი მდგარა კოლეჯსა და NBA-ს შორის არჩევანის წინაშე და ბოლო მომენტში შემკრთალა. არ ვიცი – შეიძლება, გადააფიქრებინეს კიდეც... კარგი რჩევა ყოველთვის სასარგებლოა, მაგრამ თუ დიდი წარმატების მიღწევა გსურს, საკუთარ თავს უნდა მიენდო“. ■



დასაწყისი იხ. „გზა“ №13-20

დაგვიანებული ჩეისი მისყოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

მომავალი ჟურნალისტი დეა ავალიანი საკმაოდ რთულ სიტუაციაშია ჩავარდნილი: მამამ მიატოვა, ძმა მკვლელობის ბრალდებით ციხეში მოხვდა, დედამ კი ამდენ უბედურებას ვეღარ გაუძლო და ლოგინად ჩავარდა.

ბედის ანაბარად დარჩენილ დეას არც პირად ცხოვრებაში უმართლებს. მართალია, ის, ერთდროულად სამ მამაკაცს მოსწონს, მაგრამ სამივე, მხოლოდ პრობლემებს უმატებს. მათგან ყველაზე საშიში, მაინც კანონიერი ქურდი გიგოლაა, რომელსაც ციხეში ძმის სანახავად მისული დეა შემთხვევით გაიცნობს. გიგოლა მომხიბვლელი ქალიშვილის, ხელში ჩაგდების გეგმას შეიმუშავებს: ციხეში დეას ძმას — თემოს პატრონობს, გარეთ კი დეას დედის — ელენეს მკურნალობაზე ზრუნავს: ჯერ მათ ფულს აძლევს, შემდეგ ცნობილ ექიმს, პროფესორ ინწკირველსაც მიუყვანს. დეა ხვდება, რომ გიგოლა მას ნელ-ნელა თავბრუს ახვევს, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა მაინც უჭირს.

დეა იმასაც გრძნობს, რომ მისი გული უკვე სულ სხვა მამაკაცს, ასევე შემთხვევით გაცნობილ გურამს ეკუთვნის. ქალიშვილი გურამსაც თავიდანვე გულში ჩაუვარდება, მაგრამ დეასთან შეხვედრისას, ის უკვე ხელმოცარული ბიზნესმენია და მეორე დღეს, კარგა ხნით მიდის საზღვარგარეთ...

თანაკურსელი კახა, რომელსაც დეა ლამის ბავშვობიდან უყვარს, სკანდალურად ცნობილი პარლამენტარის, გიზო ჯღარკავას ერთადერთი შვილია. გაზულუქებული კახა ერთი მარტივი დევიზით ცხოვრობს: „მომწონს? — ე.ი. ჩემი უნდა გახდეს!..“ ამ დევიზს კახა დეაზეც ისევე ავრცელებს, როგორც ვთქვათ, თემოს კლასელის — გიორგი აბრამიძის, ტყავის ქურთუკზე. სწორედ ქურთუკის გამო ბიჭებს შორის მომხდარ შელაპარაკებას, დეა შემთხვევით შეესწრება. მეორე დღეს, კახა დანით კლავს გიორგის... მომხდარით შეძრწუნებული დეა გამომძიებელს, კახას საწინააღმდეგო ჩვენებას აძლევს, რითიც მაშინვე მამამისს გადაიკიდებს. გიზო ჯღარკავა ჯერ ავალიანების მოქრთამვას ცდილობს, შემდეგ კი მუქარაზეც გადადის. ამას, შემთხვევით, გიგოლაც შეიტყობს და ისევ სათავისოდ გამოიყენებს. დეას დასანახად, ის სასტიკად გაუსწორდება გიზოს, ზურგს უკან კი, ავალიანების ოჯახის „ზომიერად“ დაშინებას ავალებს. გიზოს, გიგოლას დიდი ვალი მართებს და ამიტომ, უარს ვერაფერზე ეუბნება. თუმცა, დეასთან კამათში მაინც გადაამლაშებს, რასაც ელენეს ჯანმრთელობის საბოლოოდ გაუარესება მოჰყვება...

გიგოლა ამის შემდეგაც, კეთილშობილი რაინდის როლის თამაშს განაგრძობს. იმასაც კი მოახერხებს, რომ თემო ცოტა ხნით ციხიდან გამოაპაროს და სულთმობრძავი დედის სანახავად მიიყვანოს. დეა მომხდარით საბოლოოდ შეძრწუნდება, ხოლო თემო გიგოლათი იმდენადაც კი აღფრთოვანდება, რომ დას ვერდიქტს გამოუტანს: ციხიდან შენი მიხედვა გამიჭირდება, ამიტომ შენი თავი გიგოლას ჩავაბარე და ყველაფერი უნდა დაუჯეროო. თემოს გადაწყვეტილებით აღშფოთებული დეა სამზარეულოში შეიკეტება, საიდანაც იარაღის გასროლის ხმა გამოიყვანს.

სროლის ხმაზე სამზარეულოდან გამოვარდნილი დეა უცნაური სურათის მოწმე გახდა: მაგიდასთან მდგარ გიგოლას ხელში პისტოლეტი ეჭირა, რომელსაც ჯერ კიდევ ბოლი ასდიოდა. გიგოლას ზურგს ამოფარებულ თემოს, შიშთან ერთად, სახეზე აშკარა გაოცებაც შეჰყინვოდა. სავარძელში მჯდარი, მიტკალივით გაფითრებული ირაკლი კი, ქანდაკებასავით გაშეშებულიყო. სამივე მამაკაცი მაგიდას მიშტერებოდა, სადაც სულ ცოტა ხნის წინ მდგარი, ყვავილებით სავსე ლარნაკი ნამსხვრევებად ქცეულიყო, ვარდები დახოცილი ჩიტებივით ეყარა, წყალი კი, დაბლა წურწურით ჩამოდიოდა.

— რა მოხდა? — იკითხა გაოცებულმა დეამ.

— დეა, არ შეშინდე, რა... — სასწრაფოდ დისკენ გაექანა თემო.

— უკვე შევშინდი, — შეაჩერა დეამ თემო, — ამიტომ, იქნებ, ახლა ჩემს კითხვაზეც მიპასუხოთ: რა სროლა აგიტყდათ? სახლია ეს თუ რა არის?!.

— კარგი ერთი, რა, — ხმაში გაღიზიანება დაეტყო თემოს, — ნუ შეყარე ქვეყანა! იარაღი, შემთხვევით გამივარდა.

— შე-ენ? — გაუკვირდა დეას და თან, გიგოლას უნდობლად გახედა.

— ჰო, მე... რა გაგიკვირდა?..

— რაღაც არ მახსოვს, სროლა გცოდნოდა... თუ ციხეში გაიარე სპეციალური მომზადება?

— ნუ იკბინები! — შეუღრინა თემომ დას და ის იყო, კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, რომ გიგოლამ აღარ აცალა:

— დეა, მე გიხდი ბოდიშს... ყველაფერი ჩემი ბრალია... აღარ მახსოვდა, რომ იარაღს ტყვია პირში ჰქონდა მიცემული... თემომ კი ისე, გასართობად, ვაზას დაუმიზნა და...

— ვერაფერს იტყვი... — მხრები გაკვირვებით აიჩეჩა დეამ. — გასართობად საუცხოო დრო შეგირჩევიათ... ახლა სამიზნეს აღარ იკითხავ?!. ბატონო ირაკლი, — მიუბრუნდა ის შემდეგ პროფესორს, მაგრამ იმავწუთს, შემოსასვლელ კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა.

კაკუნის ხმაზე, თემო მაშინვე სამზარეულოში გავარდა და კარი შიგნიდან გადაკეტა. გიგოლამ იარაღი ჯერ ჯიბისკენ გააქანა, მაგრამ უცბად, იარაკლის

პორტფელი დაინახა, სასწრაფოდ გახსნა, პისტოლეტს შიგ ჩაუძახა და შემდეგ დეას მიუბრუნდა:

— მიდი ერთი, ნახე, ვინ არის...

კაკუნი გამეორდა და კარს იქით ქალის შეშფოთებული ხმაც მოისმა:

— დეა, შვილო, მე ვარ... ტასო დეიდა...

— მეზობელია... რა ვქნა? — ჩურჩულით ჰკითხა დეამ გიგოლას.

— ახლავე! — ხელი მბრძანებლურად აღმართა გიგოლამ; შემდეგ ვარდებს, მინის ნამსხვრევებიანად, მაგიდიდან ერთი ხელის მოსმით იატაკზე გადმოუძახა, მაგიდა კი, ქურთუკის სახელოთი გულმოდგინედ გადაწმინდა.

— ახლავე გაუღე... — უთხრა მან შემდეგ დეას. — თუ გკითხავს, რა მოხდაო, ყვავილების ვაზა გაგვიტყდა-თქო, უთხარი...

დეა კართან მივიდა და ხელის კანკალით გამოაღო. ზღურბლზე სანდომიანი, ხანში შესული ქალი გამოჩნდა.

— დეა, შვილო, ხომ მშვიდობაა? — დაიწყო მან. — ის იყო, მივწექი, რომ სროლის ხმამ ისევ ფეხზე წამომაგდო... წეღან, სიბნელეში ვერ გავარჩიე, თქვენთან ვინ მოვიდა. ჰოდა, ისიც კი ვიფიქრე, ქურდები ხომ არ შეუცვივდნენ-მეთქი... ხომ იცი, რა საშინელ დროში ვცხოვრობთ... ვეღარავის ენდობი...

— არა, ტასო დეიდა, ნამდვილად არავინ შემომვარდნია, — მოჩვენებითი სიმშვიდით უპასუხა დეამ. — შინ მობრძანდით, რა კარში დგახართ?..

შეფიქრიანებულმა ქალმა კარის ზღურბლს მცირეოდენი ყოყმანის შემდეგღა გადააბიჯა. დეა მას სასტუმრო ოთახში შეუძღვა და უცბად, გაოცებული შედგა: მკლავებდაკაპიწებული გიგოლა მაგიდის გვერდით, იატაკზე ჩაცუცქულიყო, ვარდებს მინის ნამსხვრევებს ფაქიზად აცილებდა და მაგიდაზე ფრთხილად აწყობდა. ქალების დანახვისთანავე კი, მკვირცხლად წამოდგა და დეას მოუბოდიშა:

— ბოდიშს გიხდი, ჩემო დეა, ძალიან მოუქნელი ვინმე ვარ. ვაზა ხელიდან ისე უცბად გამისხლტა, რომ ვეღარაფერი მოვახერხე... თან, რა ხმა ჰქონდა?! — თითქოს, რაღაც აფეთქდაო...

— ეტყობა, მეც მაგის ხმა გავიგონე და ძილ-ბურანში სროლად მომეჩვენა, — გიგოლას ნათქვამი სასწრაფოდ აიტაცა ტასომ და თან, ჯერ მამაკაცები შეათვალიერა გულმოდგინედ, შემდეგ დეას მიუბრუნდა და თვალებით ჰკითხა: ესენი ვინღა არიანო?

— ტასო დეიდა, — მაშინვე დაიწყო დეამ, — გაიცანით: ეს ბატონი გიგოლაა, თემოს მეგობარი, ეს კი — პროფესორი ირაკლი ინწკირველი... დედას ახალი მკურნალი ექიმი...

— ძალიან სასიამოვნოა... — თავისთვის ჩაილაპარაკა ტასომ, გიგოლას და ირაკლის თავი შორიდან დაუკრა და ისევ დეას მიუბრუნდა: — ელენე რას შვრება?.. ორი დღე აქ არ ვიყავი და ვეღარ შემოვუარე...

— ძალიან სუსტად არის, — ამოიოხრა დეამ. — დღეს კი, ისე შემაშინა, რომ... ბატონმა ირაკლიმ მდგომარეობიდან ძლივს გამოიყვანა...

— რას მეუბნები?! — შეიცხადა ტასომ. — მოხდა რამე? ხომ არაფერზე ინერვიულა?

— ეჰ, ტასო დეიდა, დედაჩემს სანერვიულოს რა გამოულევს?! — სიტყვა ბანზე აუგდო დეამ.

— მაგას მაინც ზედმეტი მოსდის ხოლმე... — აქოთქოთდა ტასო. — ყველაფერი გულთან მიაქვს... ასეც კი არ შეიძლება... შევალ ერთი, დავხედავ...

ამ სიტყვების შემდეგ, ტასო საძინებელში ისე მკვირცხლად შევიდა, რომ დეამ მისი შეჩერება ვეღარ მოასწრო, თუმცა, უკანაც სწრაფად გამობრუნდა:

— ჩასძინებია, — უთხრა მან დეას. — აღარ შევაწუხებ... ისევ ხვალ შემოვუვლი... შენ ხომ არაფერი გჭირდება? მითხარი, არ მოგერიდოს...

— არა, ტასო დეიდა, ამ შუაღამისას რა უნდა მჭირდებოდეს?! — მხრები აიჩეჩა დეამ.

— რა ვიცი, აბა... იქნებ, სტუმრებისთვის ხილი მაინც შემომეტანა... სოფლიდან წამოვიღე...

— ნუ წუხდებით, ქალბატონო, ჩვენ წუთი წუთზე უნდა გავიქცეთ, — საუბარში ჩაერია გიგოლა და ირაკლის გადახედა, რომელიც ფეხზე ისე სწრაფად წამოხტა, თითქოს, მართლა გასაქცევად ემზადებაო.

— კარგი, თავს აღარ შეგაწყენთ, — როგორც იქნა, წასვლა გადაწყვიტა ტასომ და გიგოლას და ირაკლის კიდევ ერთხელ, ეჭვის თვალით გადახედა, თუმცა, თქმით აღარაფერი უთქვამს.

დეამ მეზობელი გააცილა და მაშინვე უკან შემობრუნდა. ამასობაში, სამზარეულოს კარიც ფრთხილად გაიღო და თემო გამოვიდა:

— მადლობა ღმერთს, წასვლა მოიფიქრა... — აბურტყუნდა ის მაშინვე. — მაინც, რა „კოშმარი“ ქალია...

— ცნობისთვის... — თვალი თვალში გაუყარა თემოს დეამ. — ეგ „კოშმარი“ ქალი მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც შენ ციხეში ხარ, დედაშენს ბავშვივით უვლის...

— აღარ ჩაირთო, რა... — ორივე ხელი ასწია თემომ. — ახლავე წავალ და დაგასვენებ...

— კარგს იზამ, თორემ, მართლა ძალიან დავიღალე, — მაინც არ დაინდო დეამ ძმა, შემდეგ ზურგიც აქცია და ოთახიდან დემონსტრაციულად გავიდა...

დეა სასტუმრო ოთახში მხოლოდ მას შემდეგ შემობრუნდა, როცა ეზოდან ნელ-ნელა გასული მანქანის ხმა გაიგონა. ოთახში მარტო დარჩენილი ირაკლი სავარძელში ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა.

— ბატონო ირაკლი, თქვენ მაინც მითხარით სიმართლე, რა მოხდა? ვინ, ვის და რატომ ესროლა? — ჰკითხა მას დეამ.

ირაკლიმ ერთი ღრმად ამოიოხრა და პასუხი მხოლოდ ამის შემდეგღა გასცა:

— ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როგორც გითხრეს... არავის არავისთვის არ უსვრია... თუმცა, ეგ არ არის მთავარი...

— აბა, რა? — დაინტერესდა დეა.

— ის, რომ ორივენი — შენი ძმაცა და გიგოლაც, როგორც ნარკომანები იტყვიან ხოლმე, განგრეულ კაიფში იყვნენ...

— კაიფში?

— ჰო, კაიფში... რა? შენ ვერ შეატყვე?

— თემოს — კი... ჩემი ძმა ციხეში მოხვედრამდეც ყლაპავდა რაღაც „ტაბლეტებს“... ერთი-ორჯერ, მე და დედამ შეკეთებული პაპიროსებიც ვუპოვეთ, მაგრამ გიგოლა?..

— რა გიგოლა?

— რა და... ამხელა კაცი და „პლანით“ კაიფი?..

— „პლანი“ რომ იყოს, რაღა უჭირს... ეგენი უარესი რამით ერთობიან...

— უარესით?.. — შიშით თვალები გაუფართოვდა დეას. — იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ...

— დიახ, სწორედ იმის თქმა მინდა, — ბეცი თვალები დამნაშავესავით შეანათა ირაკლიმ დეას. — არ გიფიქრია, გიგოლას და მე რა გვაკავშირებს?

— როგორ არ მიფიქრია, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგენდი, რომ...

— ჩემი ბრალია... ყველაფერი ჩემი ბრალია... ერთხელ გამაბრიყვა. უფრო სწორად, თავი შემაცოდა, პირდაპირ კლინიკაში მომადგა: „ლომკა“ მაქვს და ცოტა წამალს თუ არ მომცემ, ნამდვილად მოკვდებიო... მას შემდეგ ვეღარაფრით მოვიცილე...

— მაშინ, გამოდის, რომ ციხეშიც თქვენი

დახმარებით შეაქვს ნარკოტიკები...

— ეგრე გამოდის... — თავი უმწეოდ ჩაქინდრა ირაკლიმ.

— კი, მაგრამ არ შეგიძლიათ, რომ...

— არ შემიძლია, — გააწყვეტინა ირაკლიმ. — გიგოლა პოლიციასთანაც შეკრულია. საკმარისია, ხმა ამოვიღო, რომ შარშანდელი თოვლივით გამაქრობენ. ანდა, უკეთეს შემთხვევაში, „წამლის ბარიგის“ იარლიყს მომაწებებენ და ციხეში ამომალპობენ...

— აბა, რა უნდა ქნათ? — შეწუხდა დეა.

— არაფერი... უფრო სწორად, რასაც მიბრძანებენ, ის... — ამოიოხრა ირაკლიმ და ფეხზე წამოდგა: — შევალ ერთი, ავადმყოფს დავხედავ...

ირაკლის, დეაც ფეხდაფეხ მიჰყვა, მაგრამ მან შეაჩერა:

— შენ ჯერ ცოტა წყალი შემითბე, შეიძლება, დამჭირდეს. კარგი?

— კარგი, — უპასუხა დეამ, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, სამზარეულოში გავიდა და ქურაზე წყლით სავსე ჩაიდანი შემოდგა. შემდეგ ცოცხი და აქანდაზი მოიმარჯვა, ისევ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა და იატაკზე მიმოფანტული ნამსხვრევების მოგროვება დაიწყო. უცბად კარზე კაკუნი გაისმა. დეა შემოსასვლელ კართან მივიდა და ხმის კანკალით იკითხა:

— ვინ არის?

— გიგოლა, — მოისმა კარს იქიდან ყრუ ხმა.

ამის გაგონებაზე, დეამ ცოცხი და აქანდაზი იატაკზე დაყარა, კარი ხმაურით გამოაღო და გაშეშდა: ზღურბლზე მდგარ გიგოლას ხელში წითელი ვარდებით სავსე, უზარმაზარი ბროლის ლარნაკი ეჭირა.

— შეიძლება? — იკითხა მან.

— მობრძანდით, — განზე გადგა დეა და გიგოლას გზა დაუთმო.

სასტუმრო ოთახში შესულმა გიგოლამ, ლარნაკი მაგიდაზე საგრძნობლად ფრთხილად დადგა და შვებით ამოისუნთქა:

— ესეც ასე...

— კი, მაგრამ... — გაოცება ვეღარაფრით დამალა დეამ. — ამ შუაღამისას ან ვარდები სადღა იშოვეთ, ან ეს ლარნაკი?

— ყველაფერი მონდომების საქმეა, ჩემო დეა, — უპასუხა გიგოლამ. — ცოტა მონდომება და ბევრი ფული... პირადად მე, მიზნის მისაღწევად, მეტი ნამდვილად არაფერი მჭირდება...

— ჰმ... — იქედნურად გაეღიმა დეას.

— რა გაცინებს? — დაინტერესდა გიგოლა.

— მამაჩემის სიტყვები გამახსენდა...

— ასეთი მაინც რა სიტყვებია?

— თქვენისთანა „მონდომებულებზე“ ამბობდა: „ავრორას“ მაგათთვის უსვრიაო...

— золотые слова! — ტაში შემოჰკრა გიგოლამ. — თან, იცი, ჩემი „ავრორა“ რა ხშირ-ხშირად ისვრის ხოლმე?..

— მაშინ, მართლა ბედი გქონიათ...

— კი... ბედს ნამდვილად არ ვუჩივი... განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შენ შეგხვდი... — თვალი თვალში გაუყარა გიგოლამ დეას.

— რას მეუბნებით?

— რაც გესმის, — გააწყვეტინა გიგოლამ. — და თუ ჭკუით მოიქცევი, ნამდვილად არ ინანებ.

— მართლა? მაგრამ ერთხელაც რომ ჭკუა შემომაკლდეს, მერე? — არაფრით ცხრებოდა ენამწარობის ხასიათზე დამდგარი დეა.

— მაგასაც გაპატიებ. აბა, უჭკუოს, ჭკუას როგორღა მოგკითხავ?!. — გაეღიმა გიგოლას და შემდეგ, მაგიდაზე მდგარი ლარნაკი შეათვალიერა:

— ისე, ვარდები წეღანდელზე უკეთესი მოგართვი... ჰა, რას იტყვი?..

— კი... ვარდები ნამდვილად უკეთესია... — დაეთანხმა დეა, შემდეგ ხელი ისევ ცოცხს წამოავლო და ნამსხვრევების მოგროვება განაგრძო.

გიგოლა კი სავარძელში მოკალათდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, სიგარეტი გააბოლა და ოთახი მოათვალიერა:

— მართლა, ირაკლი რა იქნა? ხომ არ წავიდა? — იკითხა მან უცბად.

— არა. დედასთანაა შესული: დავხედავ, როგორ არისო...

— ა-ა?.. — დამცინავად გაეღიმა გიგოლას. — მე კიდევ ვიფიქრე, ერთმა გასროლამ ისე შეაშინა, თაგვივით გაიპარამეთქი...

დეამ გიგოლას ბრაზიანად გადახედა, მაგრამ ხმა მაინც აღარ ამოუღია. სიტუაციის შემდგომ გამწვავებას, გიგოლამაც დუმილი ამჯობინა.

— აუ-უ, სულ გამოვშტერდი! — უცბად თავში ხელი შემოიკრა დეამ. — ქურაზე წყალი დავდგი და სულ დამავიწყდა! — და სასწრაფოდ სამზარეულოში გავარდა. გიგოლა კი, ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ცოტა ხანში, საძინებლიდან ირაკლიმ გამოიხედა.

— რა კარგია, რომ მობრუნდი, — უთხრა მან გიგოლას ჩურჩულით. — საქმე ძალიან ცუდადაა... რამენაირად მოახერხე და ეგ გოგო აქ ცოტა ხნით მაინც არ შემოუშვა...

— რა მოხდა?.. ხომ არ?.. — კითხვა ვეღარ დაამთავრა გიგოლამ.

— ჰო... სამწუხაროდ... — დამნაშავესავით წაიჩურჩულა ირაკლიმ და ისევ საძინებელში შებრუნდა.

ამასობაში, დეამ სამზარეულოდან თბილი წყლით სავსე ჩაიდნით ხელში შემოვიდა და ის იყო, საძინებელში უნდა შეეტანა, რომ გიგოლა კარში ჩაუდგა და ჩაიდანი თითქმის ძალით ჩამოართვა:

— ირაკლიმ მითხრა, ცოტა ხანს ნუ შემოხვალთო...

— კი, მაგრამ თბილი წყალი რომ სჭირდება? — უკან მაინც არ დაიხია დეამ.

— როცა დამჭირდება, დაგიძახებთო...

— კარგი, მაშინ ისევ სამზარეულოში გავიტან, ასე ხომ არ გეჭირებათ... — ჩაიდანი უკან გამოართვა დეამ და ოთახიდან გავიდა.

გიგოლა კი ისევ სავარძელში ჩაეფლო და სიგარეტს მოუკიდა. უცბად, საძინებლის კარი ნელ-ნელა გაიღო და იქიდან მხრებჩამოყრილი ირაკლი გამოვიდა.

— მოკვდა? — პირდაპირ ჰკითხა გიგოლამ.

— მოკვდა. — მაგიდასთან მდგარი სკამი ხმაურით გამოსწია ირაკლიმ და ის იყო, უნდა დამჯდარიყო, რომ ვარდებიანი ლარნაკი დაინახა და გაშეშდა:

— მეჩვენება თუ ეს ახალი ყვავილებია?

— ახალია, ახალი, არ გეჩვენება.. — დაამშვიდა ის გიგოლამ. — წეღან მოვიტანე, მაგრამ რა დროს ყვავილებია?!. შენ ის მითხარი, დეას რა ვუყოთ, დედის სიკვდილი როგორ გავაგებინოთ?

— არ ვიცი... ნამდვილად არ ვიცი... — თავი ხელებში ჩარგო ირაკლიმ. — მარტო იმით შემიძლია დავამშვიდო, რომ ოდნავაც არ უწვალია. ისე მშვიდად დალია სული, თითქოს, უბრალოდ, დაიძინაო... თუმცა, დეასთვის, ეს ალბათ ბევრი ვერაფერი შეღავათი იქნება... უდედობისთვის ჯერაც პატარა და საკმაოდ გამოუცდელიცაა...

— არც იმდენად, თქვენ რომ გგონიათ, — გაისმა უცბად დეას არაბუნებრივად ცივი ხმა, რომელმაც ორივე მამაკაცი ფეხზე წამოაგდო.

— დეა, შვილო, ჯერ არ შეხვიდე, — საძინებლის კარში ჩადგა ირაკლი. — იქნებ, ჯერ მეზობლის ქალებისთვის დაგვეძახა...

— არა. ჩემს მკვდარ დედას მე თვითონ უნდა მივხედო, — ისევ ცივად მიუგო დეამ, პროფესორი გვერდზე მსუბუქად გასწია და სანამ ირაკლი კიდევ რაიმეს თქმას მოასწრებდა, საძინებელში შევიდა...

ხუთი დღის მანძილზე, სანამ ელენე შინ ესვენა, დეას თვალზე ცრემლი არავის დაუნახავს. პანაშვიდზე მოსული ნათესავები თუ ნაცნობ-მეგობრები მის უცნაურად მშვიდ სახეს გვარიანად შეშფოთებულები აკვირდებოდნენ და შემდეგ, ერთმანეთში შეთქმულებივით ჩურჩულებდნენ. მაგრამ დეა არც მათ ჩურჩულს და არც თავად მათ არად აგდებდა, კედელზე ერთ წერტილს მიშტერებოდა და სკამზე რიტმულად ირწეოდა. მხოლოდ ერთხელ, როცა ოთახში ლონდა შემოქაქანდა, დეამ კედელს თვალი მოაშორა და ელენეს გულზე დაკონებულ ლონდას გაოცებული დააშტერდა.

— ელიჩკა დეიდა, ეს რა გიქნია?!. — ზლუქუნებდა ლონდა. — ხომ შემპირდი, თავს გავუფრთხილდებიო!.. ეგ არის, ქალო, შენი პირობა?!. — ამ სიტყვების შემდეგ, ლონდამ კედელთან ატუზულ პატარა გოგონას დაუქნია ხელი და როგორც კი ბავშვი მიუახლოვდა, ისევ მოთქმა განაგრძო: — აი, ელიჩკა დეიდა, ჩემი ქეთუშა... რომ მეჩიჩინებოდი, ჩამოიყვანე, შვილი დედასთან უნდა იყოსო! — აჰა, ხომ ჩამოვიყვანე!.. ახლა რაღა ვქნა?.. ვინღა მასწავლის, რა ვუყო, როგორ გავზარდო?!.

როცა ლონდამ, ბოლოს და ბოლოს, მოთქმა და ვაი-ვიში დაასრულა, დეამ მას და მის შვილსაც თვალი ერთხელ კიდევ გულგრილად შეავლო და ისევ კედელს მიაშტერდა.

პანაშვიდებზე ორჯერ, გიგოლაც გამოჩნდა და დეა განზე გაიხმო: თუ გინდა, გვიან, ხალხი რომ გაიკრიფება, თემოს მოვიყვანო, — შესთავაზა, მაგრამ ორჯერვე უარი მიიღო.

— არ არის საჭირო, — ცივად პასუხობდა დეა. — თემო მაინც იყოს იმით ბედნიერი, რომ დედა ყოველთვის ცოცხალი ემახსოვრება...

დეამ იცოდა, რომ დაკრძალვის ხარჯებზეც მთლიანად გიგოლა ზრუნავდა, თუმცა კი, სასტიკად უარობდა: ჩემი ფული არ გეგონოს, „აბშიაკის“ ფულია... ციხეში სხვანაირი მხარში დგომა იციანო... — საწყალი დედაჩემი, ალბათ საფლავში ამობრუნდებაო, — გული უკვდებოდა დეას, მაგრამ უკვე არაფრის შეცვლა აღარ შეეძლო.

ქელეხი სასაფლაოს გვერდით, ახალგახსნილ რესტორანში გადაიხადეს. სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდაო, — ხშირ-ხშირად იხსენებდა ხოლმე მოგვიანებით ლონდა. დეას კი, მხოლოდ ის დაამახსოვრდა, რომ სამ ოფიციანტ ქალს, რომელიც ქათქათა თეთრ დარბაზში გაშლილ სამ სუფრას მოჩვენებითი მწუხარებით ემსახურებოდა, მკერდზე მიკრულ პატარა ფირნიშებზე სახელები ეწერა: ტანია... სვეტა... ელენე... ბოლო სახელის ამოკითხვისას, დეას ჯერ ცრემლები წამოუვიდა ღაპაღუპით, შემდეგ კი, გულიც ისე ამოუჯდა, რომ სუფრასთან მოკალათებული ნათესავები, რომლებიც უკვე, ვალმოხდილის გულმოდგინებით, ორივე ყბით ილუკმებოდნენ, კიდევ ერთხელ და უკვე საფუძვლიანადაც გააოგნა.

— არა, ეს გოგო ნამდვილად აღარ არის სრულ ჭკუაზე... — თავისთვის ჩაიჩურჩულა ვიღაცამ და შემდეგ, დროებით შეწყვეტილი დანა-ჩანგლის ხმაურიცა და პირის გულმოდგინე წკლაპუნიც უფრო მეტი ენერგიულობით განახლდა...

გასვენებიდან შინ მობრუნებულ დეას სასტუმრო ოთახში, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ბოლო ხუთი დღის მანძილზე ელენე ესვენა, პატარა სუფრა დახვდა გაშლილი. სუფრას მეზობელი ქალები ესხდნენ, რომლებსაც ტასო უმასპინძლდებოდა. დეას შეშლილი სახის დანახვაზე სუფრის წევრებმა სასწრაფოდ ხმა გაიკმინდეს და მას მიაშტერდნენ.

— მოდი, შვილო, უხსენე დედაშენს სული... ხომ იცი, წესია ასეთი... — დაიწყო შემდეგ ტასომ, ჭიქაში ღვინო დაუსხა და დეას გაუწოდა.

მაგრამ დეამ სუფრას ერთი გულგრილად გადახედა, საძინებელში გავიდა, კარი ხმაურით მიხურა და ელენეს დაცარიელებულ ლოგინზე გაუხდელად მიეგდო...

გვიან ღამით, მხარზე ვიღაცის ხელის შეხებამ გააღვიძა. დამფრთხალი დეა მაშინვე ლოგინზე წამოჯდა.

— დეიკო, არ შეგეშინდეს, ლონდა ვარ, — დამშვიდება დაუწყო მას საწოლთან ჩამომჯდარმა, ცრემლმორეულმა ლონდამ, რომელსაც შვილიც ტკიპასავით მიჰკვროდა.

დეა გონს მალევე მოეგო, ისევ საწოლზე მიესვენა და ლონდას მშვიდად უთხრა:

— მართალი იყავი, დედაჩემს რომ დასტირიდი, ნახე, რა კარგი შვილი მყავსო... მართლა ლამაზი გოგონა გყოლია... მგონი, შენ უნდა გგავდეს, ხომ?

— არა, მამამისის ალი-კვალია, ამოწყდეს მაგათი ჯიში და ჯილაგი! ჩემი შვილის გარდა, რა თქმა უნდა, — დედაბერივით დაიწყევლა ლონდამ და თან, შეშინებულმა გადახედა დეას, რომელსაც ლონდას მზერა არ გამოჰპარვია:

— რა შეშინებული მიყურებ? შენც ხომ არ დაიჯერე, რომ მართლა გავრეკე?

— არ-რ-ა, დეიკო, აბა რას ამბობ... — აბლუკუნდა დაბნეული ლონდა, — უბრალოდ...

— უბრალოდ, რასაც მე ვაკეთებდი, დამწუხრებული ჭირისუფლის საქციელში არაფრით ჯდებოდა, ხომ?

— მე არ ვიცი, მაგრამ სხვები კი ამბობდნენ... — კიდევ უფრო დაიბნა ლონდა.

— მაინც, ვინ სხვები?

— რა ვიცი, აბა... უმეტესობა ამ დღეებში პირველად ვნახე...

— და ალბათ უკანასკნელადაც... — ისევ მშვიდად მიუგო დეამ, შემდეგ ლოგინიდან წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა: — ალბათ, ყველა წავიდა, ხომ?..

— კი, რახანია... — უპასუხა ლონდამ.

— ძალიანაც კარგი... — წამოდი ახლა და დედაჩემს სული მართლა ვუხსენოთ...

ამ სიტყვების შემდეგ, დეამ საძინებლის კარი ენერგიულად გამოაღო, მაგრამ ზღურბლზევე შედგა: სასტუმრო ოთახში, დეასგან ზურგშექცევით, ცარიელ სუფრას ვიღაც თავჩაღუნული მამაკაცი ეჯდა. ხმაურზე მან მოიხედა და დეამ მამამისი — სულხან ავალიანი ძლივსღა იცნო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

18 წლის ასაკში კეტრინ ნოელ ჰოლმსი, ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობი გოგონა გახლდათ. იმხანად ის ოჰაიოს შტატის მშობლიურ ქალაქ ტოლედოში ნოტრ-დამის აკადემიაში სწავლობდა. ესწრებოდა ლექციებს, აკადემიასთან არსებული თეატრის სცენაზე გამოდიოდა და ჩვეულებრივი სტუდენტური ცხოვრებით ცხოვრობდა. ასე გრძელდებოდა 1996 წლის ზაფხულამდე, ვიდრე ერთმა გამოცდილმა მენეჯერმა არ შეამჩნია გოგონას არაორდინარული გარეგნობა, აქტიორული ნიჭი და მას ჰოლივუდში გამგზავრება არ ურჩია. გამოცდილ მენეჯერს გუმანმა არ უმტყუნა — 21 წლის ასაკისთვის კეიტი ჰოლმსმა უდიდესი პოპულარობა მოიპოვა.

„კეიტი ჰოლმსმა თავად არც კი უწყის, თუ რაოდენ მშვენიერია“

აღმასვლა

ჰოლივუდში ჩასვლისთანავე კეიტის ბედმა გაუღიმა — პირველივე სინჯების შემდეგ, მან მიიღო როლი „ყინულოვან შტორმში“. ამ ფილმმა ორი სერიოზული ჯილდოს მოპოვება შეძლო — ჯერ იყო და „კანის ფესტივალზე“ საუკეთესო სცენარისათვის დააჯილდოეს, შემდეგ კი, კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო — „ოსკარიც“ მიანიჭეს. ასე რომ, კეიტის დებიუტი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ამაზე გოგონა ვერც კი იოცნებებდა. კარიერის დასაწყისშივე ჰოლმსის სახელი „ყინულოვან შტორმში“ მთავარი როლის შემსრულებლების — კევინ კლაინისა და სიგურნი უივერის სახელების გვერდით აღმოჩნდა.

მოგვიანებით, პროდიუსერმა და სცენარისტმა, „ტრილერების პროფესორად“ წოდებულმა კევინ უილიამსონმა (იგი მუშაობდა ისეთ ცნობილ ფილმებზე, როგორიცაა: „ყვირილი“, „ყვირილი-2“, „ფაკულტეტი“) ტოლედოს აკადემიის თეატრის სცენაზე განხორციელებული ჰოლმსის ნამუშევრების ნახვის სურვილი გამოთქვა. კეიტიმ უჩვენა მას ვიდეოჩანაწერები და როგორც ამბობენ, იმ დღიდან საფუძველი ჩაეყარა ჰოლმსისა და უილიამსონის შემოქმედებით კავშირს.

თავდაპირველად, მის შემოქმედებაში იყო „დოუსონის უბე“ (1998), სერიალი, რომელმაც მსახიობს უდიდესი სიყვარული და პოპულარობა მოუტანა. ამ სერიალს მილიონობით ამერიკელი მაყურებელი ჰყავდა და სულ მალე, მსახიობმა არა მარტო პუბლიკის, არამედ კრიტიკის აღიარებაც მოიპოვა. იქიდან მოყოლებული, ჰოლმსს სერიალის პარალელურად უამრავ ფილმში იწვევენ.

„დაუდგრომელში“ (1998) მსახიობმა მეორეხარისხოვანი კი არა, მესამე თუ მეოთხეხარისხოვანი როლი შეასრულა, მიუხედავად ამისა, თავისი პირველი კინოჯილდო — MTV Movie Awards — სწორედ ამ სურათში მოიპოვა (ეს გახლავთ ჯილდო, რომელსაც ყოველწლიურად ანიჭებენ ჰოლივუდის აღმოჩენას — ყველაზე იმედის მომცემ ახალგაზრდა მსახიობს). კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ეს მხოლოდ წარმატებული კარიერის დასაწყისი იყო და გოგონა შორს წავიდოდა. მათი სიტყვები გამართლდა — ცნობილი ჟურნალები ერთმანეთს ეცილებიან მისი ფოტოსურათების გარეკანზე დაბეჭდვის უფლებას. 180 სმ-ის სიმაღლის ახალგაზრდა წაბლისფერთმიანი ვარსკვლავი, თავისი მომაჯადოებელი თაფლისფერი თვალებითა და საოცრად სექსუალური გარეგნობით, განურჩევლად ყველას ატყვევებს. ჯეიმს ვან დერ ბიკი წერდა: „კეიტი ჰოლმსი საოცრად სასიამოვნო და სადა ადამიანია. ვფიქრობ, თავად არც კი უწყის, თუ რაოდენ მშვენიერია“.

მსახიობი არაერთ გახმაურებულ პროექტში მონაწილეობდა. 1999 წელს ის გადაიღეს კომედიაში — „ექსტაზი“. ამას მოჰყვა შავი კომედია — „მისის ტინგლის სწავლება“, რომელშიც კევინ უილიამსონის სარეჟისორო დებიუტი შედგა. ფილმში კეიტიმ ერთ-ერთი სტუდენტი გოგონას როლი შეასრულა, რომელიც მეგობრებთან ერთად გადაწყვეტს, რომ იმ ქვეყნად გაისტუმროს მასწავლებელი, რომელიც მათ სისხლს უშრობს. 2000 წელს გადაღებულ „გენიოსებში“ კეიტის პარტნიორები იყვნენ მაიკლ დუგლასი და რობერტ დაუნი-უმცრო-

სი. ამას მოჰყვა ტრილერი „საჩუქარი“ (2000). კინოკომპანია „კოლამბიას“ მიერ გადაღებულ ტრილერში – „მიტოვებული“ (2002), რომლის რეჟისორი და სცენარისტი სტივენ გეკჰანი გახლდათ, მსახიობმა ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა. მისი ბოლო ნამუშევარი გახლავთ დრამატული ტრილერი – „სატელეფონო ჯიხური“ (2003).

სენტიმენტალური ინტელექტუალი

კეტრინ ნოელ ჰოლმსი 1978 წლის 18 დეკემბერს დაიბადა. ოჯახში ის მეხუთე, ყველაზე უმცროსი შვილი გახლდათ. მამა (იურისტი) და დედა (დიასახლისი), სულაც არ გამოირჩეოდნენ აქტიორული ტალანტით. ასე რომ, კეიტი ჰოლმსის შემთხვევაში შთამომავლობით სამსახიობო ნიჭზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. კეიტი ბავშვობიდან გამოირჩეოდა წიგნების სიყვარულით, ოღონდ ერთი უცნაურობა ახასიათებდა: ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ, ამა თუ იმ გმირის ადგილის დაკავების დაუძლეველი სურვილი უჩნდებოდა. ყოველივე ამას, სრულიად ორგანულად ერწყმოდა გოგონას სხვა გატაცებები – ცეკვა, კინო და მუსიკა. კეიტის საოცრად დახვეწილი გემოვნება აქვს; მას არ ხიბლავს თვალში საცემი, ხელოვნურად შეთითხნილი რაღაცები, პირიქით, ჭკვიანური და მგრძნობიარე ხელოვნება იტაცებს. მისი საყვარელი მსახიობია ტომ ჰენკსი; საყვარელი მსახიობი ქალი – მეგ რაიანი (მასთან ერთად, ჯოდი ფოსტერი); საყვარელი ფილმი – „საუკეთესო მეგობრის ქორწილი“; საყვარელი რეჟისორი კი – ვუდი ალენი. მუსიკალურ ასპარეზზე ყველაზე მეტად ფრენკ სინატრასა და სარა მაკლაჰენის სიმღერა მოსწონს. თანამედროვე მომღერლებს შორის კი, ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალური შემსრულებლის ნატალი მერჩანტის შემოქმედება იტაცებს.



კულინარიული გემოვნებითა და ჭამის სიყვარულით დიდად არ გამოირჩევა – ძალიან უყვარს ბატიბუტი, ყველანაირი ბურგერი და კრემიანი ნამცხვრები (წონის შენარჩუნების მიზნით, ძირითადად, დიეტურ ღვეზელს გეახლებათ).

აი, სასიყვარულო ასპარეზზე კი, როგორც ჩანს, უპირატესობას საკუთარ კოლეგებს ანიჭებს. თავისი ხანმოკლე კინოკარიერის მანძილზე მას ურთიერთობა ჰქონდა მსახიობ ჯოშუა ჯექსონთან (ყოველივე „ყინულოვან შტორმში“ ერთობლივი გადაღებებისას დაიწყო) და კევინ ისტლენდთან. ჯექსონი კეიტის შესახებ ამბობდა: „თქვენ შეგიძლიათ, მის ფოტოსურათს სრულ სიბნელეში დახედოთ, მაგრამ მის მშვენიერებას წყვდიადშიაც კი იგრძნობთ!“ სხვათა შორის, ჰოლმსმა ისიც მშვენივრად უწყის, რომ მისმა სიყვარულმა მოსვენება დაუკარგა ჰოლივუდის კიდევ ერთ ამომავალ ვარსკვლავს – ტობი მაგირს. თავად კეიტი კი, კარგა ხანია ერთ ყმაწვილზე ოცნებობს. მისი სახელია... ლეონარდო დი კაპრიო. მსახიობს კინოასპარეზზეც აქვს ერთი ოცნება, რომელიც მან ასე ჩამოაყალიბა: „მსურს, ვითამაშო ამაღლებული, რომანტიკული როლი, სადაც მკვეთრად ხატოვანი შეფერილობის კოსტიუმებში ვიქნები გამოწყობილი. ეს კაბები კი, ჭეშმარიტად სექსუალური უნდა იყოს“. თაყვანისმცემლებისადმი ჰოლმსს საკმაოდ უჩვეულო დამოკიდებულება აქვს: „მსიამოვნებს, როცა 13 წლის ბავშვები ჩემით აღფრთოვანებულნი არიან. მიმაჩნია, რომ ეს სრულიად ჩვეულებრივი რამაა, მაგრამ ჩემთვის უსიამოვნოა, როცა 19-20 წლის ახალგაზრდა გოგონები და ბიჭები ექსტაზში ვარდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ ეკრანზე მომკრეს თვალი. მინდა ვთქვა, რომ მე სრულიად ნორმალური, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. მე ვიქნები თქვენი მეგობარი და თქვენც გამიწიეთ მეგობრობა“.

თავისი საოცრად ეფექტური გარეგნობის მიუხედავად, მსახიობი ვერ იტანს, როცა მისივე თანატოლები მისგან კერპს ქმნიან, რადგან მიიჩნევს, რომ ყოველ მათგანს აქვს შანსი, თავადაც გახდეს პოპულარული, მაგრამ კერპების გარეშე მოსაწყენია ცხოვრება. სწორედ ამიტომ, აქვე მოვიყვანთ კევინ უილიამსის სიტყვებს – ადამიანისას, რომელიც ყველაზე კარგად იცნობს კეიტი ჰოლმსს: „მასთან ერთი შეხვედრაც საკმარისია, რომ მისით მთელი ცხოვრების მანძილზე მოჯადოებული დარჩეთ. კეიტი უიშვიათესი განძია, ბედის ნამდვილი საჩუქარი. ის გონებამახვილი, ოხუნჯი, მორცხვი, მომხიბლავი, შმაგი, გულღია, მოუხელთებელი, ბრძენი, უმანკო, სასაცილო, გრაციოზულია... ეპითეტებით მისი შემკობა უსასრულოდ შეიძლება“. როგორც ხედავთ, კევინ უილიამსს მის დასახასიათებლად სიტყვებიც კი არ ჰყოფნის.

■

ვის რეჭეჭი წარბები შლება

წარბის ფორმის შეცვლამ შეიძლება, სახის მთელი კონსტრუქცია დაარღვიოს

ნანა ქიბიშაური

ქალები გარეგნობაზე უხსოვარი დროიდან რომ ზრუნავდნენ, ამას გამყინვარების პერიოდის გამოქვაბულებში ნაპოვნი, ტუჩის საცხის ფანქრები და წამწამებისა თუ წარბების შესაღები ჩხირებიც მოწმობს. პირველყოფილი ადამიანები სახეს პრიმიტიული საღებავებით იღებავდნენ — ფერადი თიხით, ნახშირით, ბალახებისა და ფოთლების წვენით. ეპოქათა ცვლილების შესაბამისად იცვლებოდა ესთეტიკური იდეალებიც. ძველ საბერძნეთში ლამაზად მიაჩნდიათ ქალი, რომელსაც მაღალი შუბლი ჰქონდა. ეგვიპტელები თვალებს შავი ფხვნილით იღებავდნენ, წარბების ფორმას მურით იცვლიდნენ; ზედა ქუთუთოებზე კი, წვრილად დაფხვნილ მალაქიტს ისვამდნენ. აღმოჩენილია პარფიუმერიული ფაბრიკის ნარჩენები, რომელიც ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას ეკუთვნოდა. მათ შორის იყო ნივთები სხვადასხვა კოსმეტიკური პროცედურისთვის — მაგალითად, ოქროს პინცეტები, რომელსაც, ცხადია, წარბების ამოსაქნელად იყენებდნენ. ზოგადად კოსმეტიკის ისტორიის, კონკრეტულად კი — წარბების ფორმის მეშვეობით სახის კორექციის შესახებ გვესაუბრება ვიზაჟისტი-კოსმეტოლოგი ლიდია პაშტაშვილი.

— ქალბატონო ლიდია, იქნებ, კოსმეტიკის ისტორიიდან, ეპოქების მიხედვით, მოკლედ ჩამოვაყალიბოთ უმთავრესი მომენტები, შემდეგ კი, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ წარბებისა და იმ ფორმების შესახებ, რომელიც დღეს არის მოდაში...

— იბნ-სინამ თითქმის ათასი წლის წინ დაწერა წიგნი — „საექიმო მეცნიერების კანონები“, სადაც კოსმეტიკას საკმაოდ დიდი ყურადღება დაუთმო. მან შეიმუშავა 500-მდე რეცეპტი, რომელიც კოსმეტიკაში დღემდე გამოიყენება. რომის იმპერიაში კოსმეტიკური საშუალებებისათვის საკმაოდ სოლიდური თანხები იხარჯებოდა. რომაელებს ემსახურებოდნენ სპეციალურად მომზადებული მონა-კოსმეტოლოგები. ისინი აკეთებდნენ მასაჟს, წმენდნენ სახეს, სპეციალური საშუალებებით ბანდნენ თმას და აძლევდენ წარბებს განსაკუთრებულ ფორმას. რომაელები ხელებზე, სახესა და მხრებზე იზელდნენ მათეთრებელს, ღაწვებს იფაკლავდნენ ჟანგმიწით, წარბებს და წამწამებს კი მუსით იღებავდნენ.

აღორძინების ეპოქაში, იტალიელმა ბერნა ფერენდულამ შექმნა სპეციალური „ტრაქტატი ქალების მშვენიერებაზე“. ის წერდა: „შუბლის სიგრძე უნდა იყოს ორჯერ მეტი, ვიდრე სიმაღლე, გლუვი კანითა და არცთუ ისე ვიწრო საფეთქლით. წარბები უნდა იყოს შავი, სავერდისებური, შუაში უფრო ხშირი, ქუთუთოები ღია ფერის, წამწამები — არცთუ ისე შავი ფერის“. XVII საუკუნეში მოდაში პუდრი შემოვიდა. მას ისვამდნენ სახეზე კვერცხის ცილაში არეულს და რაც უფრო სქელი იყო მასა, მით უკეთესი იყო ნიღაბი. ინგლისის დედოფალი ელისაბედ I ასეთ ნიღაბზე ზემოდან იხატავდა წარბებს და სისხლძარღვებს. XVIII საუკუნეში „მოდერნისტები“ ატარებდნენ დასაკრავ (მისაწებებელ) წარბებს, რომელიც დიდგვაროვანი ქალბატონის თმისგან იყო გაკეთებული. XX საუკუნემ მოიტანა სახის მაკიაჟი, რომელსაც მანდილოსნებს ცნობილი ჰოლივუდელი ვარსკვლავები ჰკარნახობდნენ: 30-იან წლებში ბრწყინავდა გრეტა გარბო და შესაბამისად, ფერმკრთალ სახეზე წითე-

ზედმეტად ამოქნილი წარბი, რომელიც წვრილი ხაზივით გასდევს თვალს, არ არის სასურველი

არ შეიძლება წარბზე თმის საღებავის გამოყენება, რადგან ეს იწვევს წარბის გაჭაღარავებას

ლი პომადა და წვრილი წარბები შემოვიდა მოდაში. შემდეგ, მერილინ მონროს მორკალული და ოდნავ კუთხოვანი წარბების ეპოქა დაიწყო. წარბების ფორმები კატალოგშიც მსახიობების სახელებით შევიდა: „ელიზაბეტ ტეილორი“, „ოდრი ჰეპბერნი“; სამკუთხედი, მოკლე, ატეხილი – სწორედ ასეთი ფორმის წარბია დღეს ყველაზე მოდური. სქელი, სწორი წარბი „კლეოპატრას“ სახელით არის კოსმეტიკის ისტორიაში შესული; ოვალური, რბილი, წვრილი ხაზი – მელიცა კორიუსის პატივსაცემად, „დიდი ვალსის“ სახელს ატარებს. დღეს ასევე ოდნავ პიკანტური, მაგრამ მოდურია სწორი, ბოლოებში ოდნავ აწეული წარბი – ისეთი, როგორიც მადონას აქვს.

— როგორც ვიცი, წარბის ფორმა უნდა შევარჩიოთ სახის ოვალის მიხედვით. ხშირ შემთხვევაში, მოდის მიხედვით წარბის ფორმის შეცვლამ შეიძლება, სახის მთელი კონსტრუქცია დაარღვიოს.

– გეთანხმებით, ეს ძალზედ რთული და გემოვნებით შესასრულებელი სამუშაოა. სანამ პინცეტს მოვკიდებთ ხელს, უნდა ვიცოდეთ, როგორი ფორმა იქნება ჩვენი სახისთვის ეფექტური. წვრილი წარბი უხდება ვიწრო სახეს, რომელსაც პატარა და რბილი ნაკვთები აქვს. სქელი წარბი კი, უხეშ ნაკვთებს აწონასწორებს. დღეს, საკმაოდ გავრცელებულია წარბის ფერის შეცვლაც. ესეც ფაქიზი სამუშაოა და საკმაოდ სარისკო პროცედურად ითვლება. თუ წარბი თხელია, მისი თვალში საცემად შეღებვა არ არის ესთეტიკური. იმის მიხედვით, თუ როგორ არის წარბი განფენილი, თვალის ფორმაც კი იცვლება. ერთმანეთთან მიახლოებული წარბები თვალსაც ახლო-ახლო „ჩამჯდარს“ აჩენს. კლასიკური ფორმის, რკალისებური წარბი, ნებისმიერი ფორმის სახეს უხდება, რადგან ის არ არღვევს კლასიკურ პროპორციას. სწორი წარბი ანიჭებს სახეს ოდნავ დაბნეულ იერს.

გრძელი, ბოლოებში ქვემოთ დაწეული წარბი სახის ქვედა ნაწილს აფართოებს და სასურველია, ასეთი ფორმის წარბი გრძელი ან სამკუთხედი სახის ფორმის ქალბატონებმა შეარჩიონ. ზემოთ აწეული, არცთუ ისე გრძელი წარბი სახეს ვიწროდ აჩენს. სათავეში მსხვილი წარბი, რომელსაც ბოლო მკვეთრად უვიწროვდება, სახეს მოწყენილ იერს ანიჭებს. მათ, ვისაც მრგვალი სახე აქვს, საერთოდ უნდა თქვან უარი სწორ ხაზებზე და აქედან გამომდინარე, მათთვის არც ჰორიზონტალური წარბია რეკომენდებული. მათ, ვისაც კვადრატული სახის ფორმა აქვს, გრძელი წარბები არ მოუხდებათ; გრძელ სახეს ჰორიზონტალურ, თითქმის სწორ წარბებს ვურჩევდი.

— რა უნდა იცოდნენ მათ, ვინც პინცეტით შეიარაღებული მიდის სარკესთან? ბევრი ქალბატონისთვის ეს ისეთი მარტივი პროცედურაა, რომ არ მიაჩნია საჭიროდ ვიზაჟისტის შეწუხება.

– პირველ რიგში, უნდა იცოდნენ, რომ აუცილებელია სპირტით, როგორც პინცეტის, ასევე ქუთუთოს არის დამუშავება. შემდეგ იმ ადგილებში, საიდანაც წარბის ამოღებას აპირებენ (ეს ადგილი თეთრი ფანქრით უნდა მოიხაზოს) უნდა წაისვან დამარბილებელი საცხი. წარბი უნდა ამოქაჩონ ღერის მიმართულებით, მუშაობა კი აუცილებლად – შიგნითა კუთხიდან უნდა დაიწყონ. ზემოდან რაც შეიძლება ცოტა თმა უნდა ამოვიღოთ, რათა შუბლის არეზე არსებული, თითქმის შეუმჩნეული ღინღლი, მუქი შავი ბეწვით არ შეიცვალოს. წარბს ძალიან უყვარს ვარცხნა, საამისოდ არსებობს სპეციალური ჯაგრისები; მას უხდება აბუსალათინის ზეთი და ხარისხიანი საღებავები. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წარბზე თმის საღებავის გამოყენება, რადგან ეს იწვევს წარბის გაჭაღარავებას. საგანგებოდ წარბების შესაღებად 15 ფერია შექმნილი, თუმცა, მათი შერჩევის დროს, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ძალიან ბევრს ჰგონია, რომ დღეს, წვრილი წარბებია მოდაში. ზედმეტად ამოქნილი წარბი, რომელიც წვრილი ხაზივით გასდევს თვალს, არ არის სასურველი, რადგან წარბს, სილამაზესთან ერთად, თავისი ბიოლოგიური ფუნქციაც აკისრია – ის იცავს თვალს ოფლისა და უცხო ნაწლაკებისაგან.

— თუმცა, იყო დრო, როდესაც ქალები მთლიანად იპუტავდნენ და შემდეგ, სურმით ისატავდნენ სასურველი ფორმის წარბს. მონა ლიზას სერთოდ არ ჰქონია წარბები.

– კი, იყო ასეთი პერიოდი. ესეც ამტკიცებს იმას, რომ ქალები გაბედული ექსპერიმენტატორები იყვნენ და ასეთებადვე რჩებიან. ქართველ გოგონებს ძალიან ლამაზი თვალები აქვთ. მსხვილი წარბები კი, ჩრდილავს მათ თვალებს. ამიტომ ვურჩევდი: ნუ შეუშინდებიან ექსპერიმენტებს, მაგრამ საკუთარი გადაწყვეტილება წარბების ფორმის შეცვლის შესახებ, თეორიულად მაინც შეათანხმონ გამოცდილ ვიზაჟისტთან და გაითვალისწინონ მისი რჩევა. ■



ჰიბრიდული Toyota Prius მაღე გაიაფდება

კორპორაცია Toyota ერთ-ერთი პირველია მსოფლიოს იმ ავტომწარმოებლებს შორის, რომლებიც პრინციპულად ახალი ძრავების შემუშავებას მისდევენ. წყალბადთან დაკავშირებული ინტერესის ექსპერიმენტებთან ერთად მისი ინჟინრების განსაკუთრებულ ობიექტს ელექტროამძრავი წარმოადგენს. თუმცა, ჯერჯერობით ვერ ხერხდება ამ ტიპის სრულყოფილი ავტომობილის შექმნა, რომელიც სისწრაფით, დინამიკითა და კილომეტრაჟით არ ჩამოუვარდება ტრადიციულ მანქანებს. ალბათ ამიტომაც, პერსპექტიულ მიმართულებადაა მიჩნეული ე.წ. ჰიბრიდული ძრავა – ელექტროაგრეგატისა და ტრადიციული, შიგაწვის ძრავას კომბინაცია. ასეთი აგრეგატით აღჭურვილი მანქანა – Toyota Prius – უკვე რამდენიმე წელია არსებობს. აპრილის დამლევს ნიუ-იორკში მოწყობილ ავტოსალონზე იაპონელებმა მისი ახალი მოდელი წარმოადგინეს. დიზაინის თვალსაზრისით, ის არაფრით ჩამოუვარდება თავის ბენზინისძრავიან „თანამოძმეებს“. რაც შეეხება კომბინირებულ აგრეგატს – 50 კილოვატი სიმძლავრის ელექტროძრავასა და ბენზინის ძრავას ჯამური სიმძლავრე 82 კილოვატს აღწევს; მანქანა 100 კმ/სთ სიჩქარეს სულ 10,5 წმ-ში ავითარებს, საწვავის ხარჯი კი, 3 ლ-ს შეადგენს. ექსპერტთა თქმით, ეს საუცხოო მაჩვენებელია 4,45 მ სიგრძის ავტომანქანისთვის. მაგალითისთვის დავძენთ, რომ წინა მოდელი ყოველ 100 კმ-ზე 5,9 ლ ბენზინს ხარჯავდა. თუმცა, ძველი Prius-ის მთავარ ნაკლს მაინც მისი სიძვირე წარმოადგენდა – ის 22.700 ევრო ღირდა, რაც გამორიცხავდა მის მასობრივ რეალიზაციას. როგორც „ტოიოტას“ მესვეურები ირწმუნებიან, ახალი ვერსია გაცილებით იაფი იქნება. ■

ამერიკისთვის განკუთვნილი Nissan-ი

Nissan Titan Crew Cab

Nissan Pathfinder Armada

ამ ცოტა ხნის წინ, ნიუ-იორკის ავტოსალონზე იაპონური კომპანია რამდენიმე სიახლით წარდგა დამთვალიერებელთა წინაშე. მათგან ორი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. Nissan Titan Crew Cab – კომფორტული სატვირთო-სამგზავრო პიკაპია, რომელსაც საკმაოდ ვრცელი, ღია პლატფორმა აქვს. ეს მოდელი საგანგებოდ ჩრდილოამერიკული ბაზრისთვის იქმნებოდა, რადგან იქ ამ კლასის მანქანებს დიდი გასავალი აქვს. პიკაპს ქალაქ კანტონში (მისისიპის შტატი) მდებარე ქარხანაში გამოუშვებენ. კომპანიამ მის საწარმოებლად 1,43 მლრდ დოლარის კაპიტალდაბანდება გაიღო. ავტომობილი 8-ცილინდრიანი, 300 ცხ.ძ-იანი, 5,6 ლ მოცულობის ძრავათია აღჭურვილი. მის კონსტრუქციაში გამოყენებულია უახლესი ტექნოლოგიები, ზოგიერთი კვანძი კი დამზადებულია ალუმინისგან, რამაც საგრძნობლად შეამცირა აგრეგატის წონა. პიკაპი 5-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი, მას თან დართული აქვს ელექტრონული კონტროლი – ატრიბუტი, რომელიც განსაკუთრებით უყვართ ამერიკელებს. კომფორტულ სალონში დამონტაჟებულია უსაფრთხოების გვერდითი – და ფრონტალური ბალიშები, სტერეოსისტემა, DVD-იანი საკრავი 7-დუმიანი ეკრანით.

იაპონელ ავტომწარმოებელთა მეორე სიახლეს წარმოადგენს ყველგანმავალი Nissan Pathfinder Armada, რომლის ძრავასაც იგივე ტექნიკური მახასიათებლები აქვს: 8 ცილინდრი, 300 ცხ.ძ., 5,6 ლ სამუშაო მოცულობა. Pathfinder Armada – სოლიდური გაბარიტებისა და ვრცელი, მოსახერხებელი სალონის მქონე მანქანაა. სავარძლების სამი რიგი 7 მგზავრის (მძღოლის ჩათვლით) გადაყვანის საშუალებას იძლევა. რაც მთავარია, ეს ყველაზე მძლავრი ყველგანმავალია „ნისანის“ სამოდელო რიგში.

ახალი მოდელების ფასები ჯერჯერობით არ გამოცხადებულა, თუმცა უკვე ცნობილია, რომ სავაჭრო ქსელში ისინი წლის დამლევს გამოჩნდება. ბუნებრივია, პირველად, პიკაპსაც და ყველგანმავალსაც სარეალიზაციოდ ჩრდილოეთ ამერიკის დილერები მიიღებენ. ■

გვინეტ პელტროუს სინდისი ქენჯნის

ვარსკვლავი იმდენად განიცდის მამის – რეჟისორ ბრიუს პელტროუს სიკვდილს, რომელიც გულის შეტევის შედეგად შარშან ოქტომბერში, რომში გარდაიცვალა, რომ ბევრ წინადადებაზე ამბობს უარს. ამ ცოტა ხნის წინ, გვინეტმა უარი თქვა როლზე ფილმში „ბედნიერი დასასრული“, ცოტა ხანში კი, კომედიის – „ჰაკაბი მიყვარს“ – ჯგუფის საწარმოო გეგმები დაარღვია, რადგან თავიდან როლზე თანხმობა ჰქონდა მიცემული. მას შემდეგ, რაც შემოდგომაზე პელტროუ უბრალოდ იძულებული იყო, დაემთავრებინა მუშაობა ფილმში „ტედი და სილვია“, ის გადასაღებ მოედანზე აღარ გამოჩენილა. მსახიობის ერთ-ერთმა უახლოესმა მეგობარმა ვებსაიტზე „ეს ლონდონია“ – ასეთი ცნობა გაავრცელა: „გვინეტი აღმერთებდა მამას და ახლა, დამნაშავედ გრძნობს თავს იმის გამო, რომ მის გადასარჩენად ვერ იღონა ყველაფერი, რაც შეეძლო...“ ■

ლაუდია შიფერი ავარიაში მოყვა

სუპერმოდელი და მისი შვილი კასპერი Range Rover-ის მარკის ავტომანქანით მოძრაობდნენ, რომელსაც შიფერის ასისტენტი მართავდა. მოულოდნელად, ჯიპი, Citroen-ის მარკის მინივენს შეეჯახა. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მინივენი 180 გრადუსით შემობრუნდა, ჯიპმა კი, ბორდიურის ღობე გაიტანა. ბედად, არავინ დაშავებულა. კლაუდია კასპერით ხელში მანქანიდან გამოვარდა, ტაქსი დაიჭირა და ბავშვი საავადმყოფოში გააქანა. ■

მერაია ქერი ახალ ტრაგედიას განიცდის

ბოლო დროს, მომღერალი თითქოს ცხოვრობს დევიზით – არც ერთი წელი სულიერი ტრავმის გარეშე! ამჯერად, მისი გაცდის მიზეზად, ყოფილი ბოი-ფრენდი ემინემი ქცეულა, რომელსაც გადაუწყვეტია, თავის ახლა სიმღერაში ასახოს მათი რომანი, თანაც მუსიკას, „სამხილიც“ დაურთოს – მისი ტელეფონის ავტომოპასუხეზე დაფიქსირებული, მერაიას ხმის ჩანაწერები. ეს ემინემის თავისებური პასუხი იქნება, მათი ურთიერთობების შესახებ თავად მერაიას გულახდილობაზე, რომელიც მან თავისი ახალი ალბომის – Charmbracelet-ის ჩაწერისას გამოიჩინა. ემინემის დანაპირებს ისიც დაერთო, რომ მერაიას სხვა ექსბოი-ფრენდს – ლუის მიგელს, რომელსაც ასევე დაუწყია მუსიკოსობა, განუცხადებია: ცოტა ხანში, საზოგადოებას ვარსკვლავის დეპრესიის, თვითმკვლელობის მცდელობისა და კლინიკაში მკურნალობის ამბავს დაწვრილებით მოვუყვებიო. როგორც მაშინ ამბობდნენ, ყველა ეს უბედურება მერაია ქერის სწორედ ლუის მიგელთან განშორების გამო მოუვიდაო... ■

ჯეი ლო აფლეკისგან გირთან წავიდა

ჯენიფერ ლოპესისა და ბენ აფლეკის საქორწინო გეგმები კიდევ ერთხელ დაირღვა – ამჯერად, ჯეი ლოს ახალ ფილმში – „ვიცეკვოთ“ – მიღებული როლის გამო, სადაც მისი პარტნიორი, რიჩარდ გირი იქნება. ერთ-ერთი მისი მეგობრის მიერ ინტერნეტით გავრცელებული ცნობის თანახმად, ქორწილი მოახლოებული ზაფხულისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ გადაღებების მჭიდრო გრაფიკი ამას შეუძლებელს ხდის. ბენ აფლეკმა თავის მხრივ, ახალი ჭორების საბაბი მისცა მასმედიას. მრავალწლიანი თანამშრომლობის შემდეგ, მან დაითხოვა თავისი პრესაგენტი დევიდ პოლიკი და ის, პოლიტიკური ორიენტაციის ჯენ სანშაინით შეცვალა, რამაც პოლიტიკაში თავად მსახიობის შესაძლო მოსვლის თაობაზე აალაპარაკა ხალხი. ■

შიშველი ემანუელი და პენსიონერთა „მტერი“ პრემიერ-მინისტრი

სულ 2 დღე აღმოჩნდა საკმარისი, რომ ჟურნალის ნახევარმილიონიანი ტირაჟი დახლებიდან გამქრალიყო და ამის მიზეზად, მსახიობ ემანუელ ბეარის შიშველ გამოსახულებას მიიჩნევენ, რომელიც ნომრის გარეკანს ამშვენებდა. ბეარი ზღვის ფონზე, პროფილშია გადაღებული და მხოლოდ შიშველ ზურგს, უკანალსა და მკერდის ნაწილს აჩენს, მაგრამ მკითხველთა მასისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა... საინტერესოა, რომ მსახიობის ფოტოსურათი, რომელსაც ფრანგი მამაკაცების დიდი მოწონება ხვდა წილად, შემდგომ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის – ჟან-პიერ რაფარენის კარიკატურაში გამოიყენეს. საქმე ის გახლავთ, რომ მას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ საპენსიო რეფორმის დამუხრუჭების გამო. კარიკატურაზე პრემიერი სასერფინგო ფიცარზე დააყენეს, წყალზე მოტივტივე, სწორედ ბეარისგამოსახულებიან ჟურნალს გადაახტუნეს და მისი სახელით ასეთი რეპლიკა წააწერეს: „გირჩევთ, საკუთარ თავზე თვითონ იზრუნოთ – მე საამისოდ არ მცხელა“. ■

ტაისონი მრიცვია!.. მაგრამ ქვეყნად მასზე უფრო დიდი მრიცვემიც არსებობენ

აშშ-ში ჩატარდა გამოკითხვა „ქვეყნის ყველაზე მთავარი ბრიყვის“ გამოსავლენად, რომელიც ყოველწლიურად ტარდება. ცხადია, ამ გამოკითხვისას ძალიან ხშირად მაიკ ტაისონის სახელი ფიგურირებდა, თუმცა ყურიკვნეტია მოკრივემ მხოლოდ საპატიო მეორე ადგილი დაიკავა. ამერიკელებმა მას ყველა ცოდვა გაუხსენეს: ინციდენტი, როდესაც „რკინის მაიკმა“ ჰოლიფილდს ყური მოაჭამა და შემდეგ რინგზე გადმოაფურთხა; როდესაც მოულოდნელად კუბელ ჟურნალისტს დაესხა თავს და ღრმა

ნოკაუტში გაგზავნა; როდესაც აწონის დროს ლენოქს ლუისთან ჩხუბი წამოიწყო... რომ აღარაფერი ვთქვათ სექსუალური ხასიათის სკანდალებზე. ტაისონის ბრიყვად დასახელების კიდევ ერთ მთავარ მიზეზად მოკრივის მიერ სახეზე გაკეთებული ახალი სვირინგი იქცა. მაიკი შეიძლებოდა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პირველ ადგილზეც გასულიყო, რომ არა პოპის მეფე მაიკლ ჯექსონი, რომლის ცხოვრების შესახებ, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, სკანდალური დოკუმენტური ფილმი გადაიღეს. სწორედ ამ ფილმის შემდეგ მიხვდნენ ამერიკელები იმას, თუ ვინ ყოფილა მათ სამშობლოში ყველაზე „ბრიყვი ადამიანი“. ■

„ფორმულა–1“–ის ტრასებზე დედიშობილა ლამაზმანები გამოჩნდნენ

ამჟამად რთული პერიოდი უდგას „ფორმულა-1“-ის რბოლებს, თუმცა ავტოსპორტის მესვეურები ენერგიას არ იშურებენ, რათა ფინანსური კრიზისი დაძლიონ და პუბლიკის ყურადღება მიიპყრონ. მაგალითად, ამას წინათ, „სამეფო რბოლების“ ბოსებმა ეშმაკური და დამაინტრიგებელი ნაბიჯი გადადგეს. მხატვარმა სარა ჯეინმა დახატა თავისი ავტოპორტრეტი, რომლითაც იგი მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატისადმი ნამდვილი მამაკაცების ყურადღების მიპყრობას ცდილობს. სურათზე სარა ტრასაზე „ფორმულა-1“-ის ბოლიდით ქროლვის დროს არის აღბეჭდილი. სარას მხოლოდ მაქსიმალურად ღია საცურაო კოსტიუმი „უფარავს“ მშვენიერი სხეულის პიკანტურ ადგილებს. თუმცა ამ სურათში ყველაზე დამაინტრიგებელი ის გახლდათ, რომ მომხიბვლელ მრბოლელს ჰაერის ნაკადისაგან თვით მეტისმეტად ეროტიკული ქვედა საცვალიც შემოძარცული აქვს. ჯეინის ავტოპორტრეტმა დიდი მოწონება დაიმსახურა „ფორმულა-1“-ის წრეებში, ამასთან ნახატის ავტორი თავად დაესწრო თავისი ნამუშევრის პრეზენტაციას, რითიც იმისი საშუალება მისცა მიწვეულ სტუმრებს, რომ ნახატი ორიგინალისათვის შეედარებინათ. სხვათა შორის, თითქმის ყველამ მაღალი შეფასება მისცა სარა ჯეინისა და „ფორმულა-1“-ის მესვეურთა მიერ „სამეფო რბოლების“ პოპულარიზაციისათვის გადადგმულ ორიგინალურ ნაბიჯს. სურათის პრეზენტაციაზე მისულმა სტუმრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ დიდი სიჩქარის ასე სექსუალურად ასახვა, სურათზე ჯერ არც ერთ ფერმწერს არ განუხორციელებია. ისე კი, უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს, თითქმის დედიშობილა ლამაზმანები „სამეფო რბოლების“ ეტაპების ხშირი სტუმრები არიან. სწორედ ასე იყო ამას წინათაც, ბარსელონის გრან-პრიზე. „ისინი ყველგან იყვნენ, თვით იმ ადგილებშიც, სადაც უცხო პირთა ყოფნა აკრძალულია, – განაცხადა გრან-პრიში მონაწილე ერთ-ერთმა პილოტმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, – თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, თუ როგორ გვიშლის ხელს რბოლისას ნახევრად შიშველი ლამაზმანების ყურება. ეს უკვე რბოლები კი არა, ნამდვილი ნუდისტური პლაჟია!..“ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ უცნობ მრბოლელს, მით უმეტეს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერმა, კიმი რაიკონენმა ვერ შეძლო, სასურველი შედეგით დაესრულებინა ერთ-ერთი წრე. იქნებ სწორედ იმის გამოც, რომ შიშველი ქალების ცქერამ მას თავგზა აუბნია?.. ■

ლენოქსმა მაიკსა და დონ კინგს შეუფია

WBC-ს ვერსიით, სუპერმძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონმა, ლენოქს ლუისმა სასამართლოში უჩივლა მაიკ ტაისონსა და დონ კინგს. სარჩელის თანხა 385 მილიონ დოლარს შეადგენს. ლუისმა უკვე ყველა დოკუმენტი წარადგინა ნიუ-იორკის სასამართლოში. სარჩელის შინაარსი კი, იმაში მდგომარეობს, რომ დონ კინგი ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევდა მაიკ ტაისონის მიერ იმ შეთანხმების ხელმოწერას, რომლის თანახმადაც, ეს უკანასკნელი ლენოქსს უნდა შეხვედროდა რინგზე. ლუისი კინგს იმაშიც ადანაშაულებს, რომ ცნობილმა პრომოუთერმა 2002 წელს, ტაისონს განმეორებითი მატჩის ჩატარების უფლება არ მისცა. ლენოქსის მტკიცებულების თანახმად, კინგი ტაისონის ერთ-ერთ მეგობარს მოკვლით ემუქრებოდა. სარჩელის განხილვა მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყება. ■

ნედვედი ბრიყვთათვის განკუთვნილი პრიზით დაჯილდოეს

ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ ის, თუ რატომ ვერ მიიღებს მონაწილეობას ჩეხი ნახევარმცველი, პაველ ნედვედი ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში, რომელშიც მანჩესტერის „ოლდ ტრაფორდზე“ ერთმანეთს „იუვენტუსი“ და „მილანი“ შეხვდებიან. „იუვე“–„რეალის“ ნახევარფინალური მატჩის მიწურულს ნედვედმა ყოველგვარი საჭიროების გარეშე დაარღვია თამაშის წესი, რისთვისაც მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ფინალში თამაშის უფლება დაკარგა. შეხვედრის შემდეგ კი, იგი ცრემლებს ვერ იკავებდა ამის გამო, თუმცა ჩეხ ვარსკვლავს ყველა როდი ამშვიდებდა. მაგალითად, ერთ-ერთი იტალიური ტელევიზიის მესვეურებმა გადაწყვიტეს, პაველი სპეციალური პრიზით, „ოქროს ტაპირით“ დაეჯილდოებინათ. ეს პრიზი წარმოადგენს ქანდაკებას მეტისმეტად შეუხედავი ცხოველისას, რომელიც ჭიანჭველებით იკვებება. „ოქროს ტაპირით“ იმ ადამიანებს აჯილდოებენ, რომლებმაც წინდაუხედავი ქმედებით, საკუთარი თავი დააზარალეს. სხვათა შორის, ნედვედმა ამ პრიზის მიღებაზე თანხმობა განაცხადა და ისიც დასძინა, რომ „ოქროს ტაპირს“ თავის შვილებს უსაჩუქრებს. შეგახსენებთ, რომ პაველის მსგავს მდგომარეობაში რამდენიმე წლის წინ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი როი კინი აღმოჩნდა, როდესაც ტურინის „იუვენტუსთან“ მიღებული ყვითელი ბარათისათვის ბარსელონაში გამართული ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის მიღმა დარჩა. იმ შეხვედრაში „ნოუ კამპზე“ ინგლისელებმა „ბავარიასთან“ დაძაბულ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს (2:1).

ბატისტუტა კატარში ითამაშებს

გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, მომავალ საფეხბურთო სეზონს გაბრიელ ბატისტუტა კატარის კლუბ „ალ-არაბიში“ გაატარებს. კონტრაქტის ღირებულებისა და მილანური კლუბის კომპენსაციის შესახებ, ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. სავარაუდოდ, ბატიგოლი კატარში ერთ წელიწადს დაყოფს. როგორც ჩანს, არგენტინელ ვარსკვლავს ინგლისის პრემიერ-ლიგის დალაშქვრის ამბიცია უკვე გაუნელდა (არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ბატისტუტას შეძენის სურვილი რამდენიმე ინგლისურმა კლუბმა გამოთქვა). კატარში კი, თეთრ-ცისფერმაისურიანთა ცოცხალ ლეგენდას მოუთმენლად ელიან. ამ ქვეყანაში უკვე თამაშობენ ცნობილი გერმანელი ფეხბურთელები მარიო ბასლერი და შტეფან ეფენბერგი. თანაც, ეს უკანასკნელი სწორედ „ალ-არაბის“ ღირსებას იცავს.

ვიერამ „მანჩესტერელთა“ ბურთაობა საპყრობად მონათლა

ლონდონის „არსენალის“ კაპიტანმა, პატრიკ ვიეირამ არაეთიკურად მოიხსენია ინგლისის წლევანდელი ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“. მან ალექს ფერგიუსონის გუნდს არც მეტი, არც ნაკლები – „ნაგავი“ უწოდა, ხოლო თავად „მანჩესტერელთა“ თამაში პრიმიტიულად და ბრიყვულად მონათლა. „ვერ გამიგია, ადამიანს როგორ უნდა მოსწონდეს „მანჩესტერის“ თამაში. ეს ხომ ფეხბურთი არ არის, არამედ რაღაც პრიმიტივიზმი და საპყრობაა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბურთაობა ბევრჯერ მინახავს ტელევიზორში და ამან კიდევ უფრო გაამყარა ჩემი შეხედულება: ეს გუნდი ნაგავია და სხვა არაფერი. მათი ჩემპიონობა კი მხოლოდ მოვლენათა შემთხვევითი დამთხვევის წყალობაა. ინგლისის საუკეთესო გუნდი იყო და არის „არსენალი“. ჩვენ არ გაგვიმართლა – ტრავმების, დასანანი შეცდომების გამო, რაც საკმაოდ ხშირად ხდებოდა. აი, ამ ყველაფერმა ხელი შეგვიშალა პრემიერ-ლიგაში გამარჯვებაში. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ სეზონში ყველაფერი რიგზე იქნება და ჩვენს კუთვნილ პირველ ადგილს დავიბრუნებთ“, – განაცხადა „მეთოფეთა“ კაპიტანმა. აღსანიშნავია ისიც, რომ ვიეირას გამონათქვამი ერთგვარი პასუხი იყო ალექს ფერგიუსონის მიერ შარშან „არსენალის“ მისამართით ნათქვამი სიტყვებისათვის. მაშინ შოტლანდიელმა ფეხბურთის სპეციალისტმა „არსენალს“ პრემიერ-ლიგის ისტორიაში ყველაზე სუსტი ჩემპიონი უწოდა.

ბექჰემი „ოლდ ტრაფორდზე“ დარჩება

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველის, დევიდ ბექჰემის მამამ განაცხადა, რომ მისი ვაჟიშვილი „ოლდ ტრაფორდს“ არ დატოვებს. „დევიდი „მანჩესტერ იუნაიტედში“ დარჩება, თუკი ამისი სურვილი ექნება კლუბის ხელმძღვანელობას. მას ეს გუნდი უყვარს და არსად წასვლა არ სურს“, – აღნიშნა ტედ ბექჰემმა, რომელმაც დევიდის „მანჩესტერიდან“ „რეალში“ გადასვლასთან დაკავშირებით გავრცელებულ ხმებს „წმინდა წყლის ფანტაზია“ და „დიდი ხუმრობა“ უწოდა.

ხონელი სანო 50%-ით «გერმანელი» დარჩა

მუსიკოს მერაბ სანოძეს ინტერვიუსთვის „სანო სტუდიაში“ ვესტუმრე. როდესაც კითხვის დასმა დავაპირე და მივმართე — ბატონო მერაბ-მეთქი, — უცებ გამაწყვეტინა და მითხრა: მოდი, ახლა, ამ ბატონოს მოეშვი და პირდაპირ სანო დამიძახეო... სანოს მშობლები კარგად მღეროდნენ და მასთანაც მუსიკა ბავშვობიდან მოვიდა. „ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც სულ ქეიფი, ტაშიტუში და სიმღერა იყო. მუსიკის სიყვარული ალბათ აქედან გამომყვა“, — ამბობს სანო, რომელიც წარმოშობით ხონელია და უკვე 26 წელია, თბილისში ცხოვრობს, როგორც თვითონ ამბობს „გე-პე-ი“-ს აღზრდილი მშენებელი-ინჟინერია. მაგრამ პროფესიით არასდროს უმუშავია და მისი ერთადერთი მცდელობაც — მამის დაკვეთით, სოფელში, საპირფარეშოს აშენებისა — მარცხით დამთავრდა. ერთი კედელი დამრეცი გამოვიდა და ჩამოინგრა. მაშინ უთქვამს მისთვის მამას: ჯობია, წახვიდე და ისევ მუსიკას მიხედო...

ნათია თენიეშვილი

— თუ მუსიკა ბავშვობიდანვე გიტაცებდათ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რატომ ჩააბარეთ?

— მაშინ მოდა იყო ისეთი, რომ სადმე აუცილებლად უნდა ჩაგებარებინა... ფიზიკა-მათემატიკა კარგად ვიცოდი, ექიმობა მე არ მინდოდა, მუსიკალური განათლება მაშინ არ მქონდა და ჩავბარე „გე-პე-ი“-ში. იქ ოლიმპიადები იმართებოდა, მივიღე მონაწილეობა და დამინახეს. ეს რა ნიჭიერი ბიჭიაო! — თქვეს და „გე-პე-ი“-ს თეატრში მიმიღეს. ძლიერი თეატრი იყო მაშინ „მოდი ნახე“. ერთი, რუსთაველის თეატრი დადიოდა საზღვარგარეთ და მეორე — ჩვენ. სამ-სამჯერ ვიყავით ამერიკაში, იაპონიაში, ინგლისში, ჩინეთში. გერმანია, შეიძლება ითქვას, „შევჭამეთ“. დავდგით რეზო გაბრიაძის „უცხო ჩიტი“, ლაშა თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მიმინოს“ და ა.შ.

— თქვენ ვის როლს ასრულებდით?

— ლაშა თაბუკაშვილის პიესაში ცალთვალა ბაზიერი ვიყავი. მამაჩემი — ოთარ სანოძე პატიოსანი, მოქეიფე, გლეხი კაცი იყო. ჩამოიყვანა ხონიდან თავისი ძმაკაცები სპექტაკლზე — ჩემი შვილი სცენაზე გამოდისო. ბაზიერს ვთამაშობდი. წელს ზემოთ შიშველი ვიყავი და დიდი საყურეები მეკეთა. სცენაზე სულ 15 წუთი ვიდექი. გამოვდიოდი, შევეკამათებოდი მთავარ ბაზიერს და ის მკლავდა — სულ ეს იყო, მაგრამ რა მენაღვლებოდა? დავდიოდი საზღვარგარეთ და კარგად ვიყავი... მოკლედ, მნახეს მამაჩემმა და მისმა მეგობრებმა სცენაზე შიშველი და საყურეებით. დამთავრდა სპექტაკლი, ატყდა ტაში და დიდი აჟიოტაჟი და როცა მამაჩემის სანახავად გამოვედი, ოთხ ძმაკაცთან ერთად იდგა გაბრაზებული და გამოვედი თუ არა მომახალა: სახლში აღარ ჩამოხვიდეო... მერე, რა თქმა უნდა, გაუარა ამ გაბრაზებამ და დამარიგა: რაც შენ გინდა, ის გააკეთე, ოღონდ, ცუდ საქმეს ნუ ჩაიდენო. დღემდე, მართლაც, იმას ვაკეთებ, რაც მომწონს და მიყვარს.

— როგორც მახსოვს, თქვენ ერთ-ერთი პირველი „პა-სეანსელიც“ იყავით?

— „პა-სეანსის“ თავიდათავი მამუკა ღლონტი იყო. თავიდანვე მასთან ვიყავით: მე, კიჭა და ჯაბა. მერე შემოგვემატა ალეკო თეთრაშვილი, რომელიც მართლაც, „პა-სეანსის“ სახე გახდა, სიმაღლით და ცხვირით. ჩვენ ყველანი „მოდი ნახედან“ წავედით ტელევიზიაში. იმ პერიოდში, ერთი-ორჯერ მოვხვდი ქუჩაში მაშინ, როცა „პა-სეანსი“ გადიოდა ეთერში. იწყებაო! — დაიყვირებდა ვიღაცა და დიდიან-პატარიანად ყველა შინისკენ გარბოდა. მაშინ სიცილი ენატრებოდა ხალხს. ძალიან რთულია ეკრანიდან მაყურებლის გაცინება. ჩვენ ეს შევძელით. ახლა რა ხდება, არ ვიცი. მე ვფიქრობ, ახლა აღარც არის „პა-სეანსი“.

მისი ერთადერთი მცდელობაც — მამის დაკვეთით, სოფელში, საპირფარეშოს აშენებისა — მარცხით დამთავრდა

— როგორც ვიცი, დაახლოებით ექვსი წელი გერმანიაში საქმიანობდით, რას აკეთებდით იქ?

— „პა-სეანსში“, მისი დაარსებიდან ოთხი წლის მანძილზე ვიყავი. მერე მუსიკამ გადამძალა და გერმანიაში წავედი. 1992-დან 1998 წლის ბოლომდე იქ ვიცხოვრე. ვმუშაობდი ჯგუფ „ადიოში“. ამასთან ერთად, სხვადასხვა გერმანელ, ამერიკელ და ფრანგ მუსიკოსებთან ერ-

ჩავედი, მეგონა, გერმანია გაგიჟდებოდა: აუ, რა მუსიკოსი ჩამოვიდაო?!.

თად გამოვდიოდი კონცერტებზე. გერმანიაში ყოველ წელს ტარდება გამოფენა – „მუსიკალური მესა“, სადაც წარმოდგენილია ყველა ის მუსიკალური ინსტრუმენტი, რაც კი არსებობს მსოფლიოში. იქ, ტინა ტერნერიდან დაწყებული, ყველა დიდი მუსიკოსი ჩადის. მე წილად მხვდა ბედნიერება, ერთ-ერთი ფირმის სახელით გამოვსულიყავი. ეწყობოდა შოუ, სადაც წარმოვადგენდი იმას, თუ რა შესაძლებლობა აქვს ამა თუ იმ ინსტრუმენტს... მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ჩამოვედი იმიტომ, რომ მივხვდი – იქ არ არის ჩემი ადგილი. ქართველი მუსიკოსები არავისზე ნაკლებნი არ არიან, არც ვოკალით, არც შესრულების მანერით, ტექნიკით თუ სხვა თვისებებით. თუ მოინდომეს, მსოფლიო დონესაც მიაღწევენ. ამიტომ ჩამოვედი, ჩამოვიტანე, იმ დროისთვის ახალი ციფრული ხმის ჩამწერი სტუდია და ვთქვი: რაღა სხვაგან ვაკეთო? ჩემს ქალაქში გავაკეთებ რამეს-მეთქი!..

— არასდროს გინანიათ, რომ დაბრუნდით?

– არასდროს. ხალხს ჰგონია – თუ საზღვარგარეთ ცხოვრობ, ე.ი. კარგად ხარ. ეგრე არ არის. პირველი ცხრა თვე, მე და ჩემმა მეუღლემ ძალიან ვიწვალეთ. ჩავედი, მეგონა, გერმანია გაგიჟდებოდა: აუ, რა მუსიკოსი ჩამოვიდაო?!. უცებ, ჯვალოს ტომარა გადამაფარეს თავზე. ჩავჯექი და ვიმეცადინე. ბედიც მქონდა, იმიტომ, რომ ძალიან დიდ მუსიკოსთან – ფრედი სანტიაგოსთან მოვხვდი. ხუთი გაკვეთილი ჩამიტარა, მერე მითხრა: შენ მეტი აღარ გჭირდებაო, – და საკუთარ კონცერტებზე მატარებდა.

— ქართველი კაცი როგორ შეეგუეთ გერმანულ პუნქტუალობას და წესრიგს?

– სადაც წახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო – ნათქვამია. არ გამიჭირდა იმიტომ, რომ მამაჩემი სულ მასწავლიდა: თუ რამეს ხელს მოჰკიდებ, უნდა გააკეთო, თუ არა და თავი გაანებოო. საშინლად პუნქტუალური გავხდი იქ. აი, აქ რომ ჩამოვედი, მაშინ კი გამიჭირდა... გერმანიიდან მანქანით წამოვედი და მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვფლობ საჭეს, ბათუმში რომ შემოვედი, მანქანა გავაჩერე და ვფიქრობდი: ნეტავ, აქ სიარულს თუ შევძლებ-მეთქი?!. იქ შუქნიშანს უნდა უყურო და იარო, აქ კი, მძღოლს უნდა უყურო თვალებში და იფიქრო: ნეტავ, ახლა რას მოიმოქმედებსო... უკვე მეც მივეჩვიე ამას, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მოძრაობის წესებს მაინც არ ვარღვევ. 50 პროცენტით მაინც „გერმანელი“ ვარ ალბათ.

— როგორც ვიცი, კლუბ „16 რაუნდში“ სიახლეებია. უფრო კონკრეტულად რა ხდება, ხომ ვერ გვეტყვით?

– მალე გაიხსნება განახლებული „16 რაუნდი“. მენეჯმენტს, ერთ სარეკლამო სააგენტოსთან ერთად, მე ვუძღვები. გადაიხურა ყველა რაუნდი და სცენაც – მოძრავი სახურავით. შარშანწინ როცა ეს საქმე დავიწყეთ, საკლუბო მუშაობა არ იყო გავრცელებული თბილისში. მერე უკვე ყველამ მიჰყო ხელი მომღერლების მიწვევას კლუბებში. ახლა სხვანაირი პროგრამის მომზადება გვინდა – სანახაობა უფრო, სპექტაკლივით იქნება დადგმული. თუმცა, მალე გაიხსნება და მაყურებელი თვითონ ნახავს.

— თქვენ კლუბშიც დაგიკრავთ და მომღერლის ამა თუ იმ სოლო კონცერტშიც მიგიღიათ მონაწილეობა. ყველაზე საინტერესო პროექტი ამ უკანასკნელ პერიოდში, რომელი იყო?

– მერაბ სეფაშვილი ჩემი მეგობარია. ის იყო ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც ადრე მიმუშავია. მის სოლო კონცერტზე შედგა ჩვენი პარტნიორობა და ფანტასტიკური გამოვიდა. ასეთი ცოცხალი კონცერტი ჯერჯერობით, ჩემს მეხსიერებაში ქართველ მომღერალს არ ჩაუტარებია. როცა დავჭირდები, მერაბს ყოველთვის გვერდით დავუდგები. როცა საქართველოში ჩამოვედი, არ ვუკრავდი. ჩემი ძველი მეგობრები რომ ჩამოდიოდნენ ჩემთან გერმანიაში, იმათთან ვუკრავდი ხოლმე წელიწადში ორჯერ. მერე გადავწყვიტე: მეც ხომ შემიძლია რაღაცის გაკეთება-მეთქი, – და დავიწყე დაკვრა. მე მაინც ხალხური მუსიკისკენ მივდივარ, ვატრიალებ აქეთ-იქით და გამოდის რაღაცა, მაგრამ აქ ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო: ხალხური მუსიკა, იმდენად სავსეა, რომ ნოტის ჩასაგდები ადგილი არსადაა, დიდი მოწიწებით უნდა მოექცე და არ უნდა გააუბრალოო. ახლა ვამზადებ პროექტს, სადაც მე თვითონ დავუკრავ და ვიმღერებ. მეგობრებიც დამეხმარებიან. ალბათ მოვასწრებ დეკემბრისთვის, თუ არა და, მომავალი წლის გაზაფხულისთვის გადავიტან. ეს ისეთი პროექტი არ არის, რომ უბრალოდ წახვიდე, მინიდისკი ჩართო და რაღაც საშინლად, უაზრო პანტომიმით გამოხვიდე, არც ერთ კონცერტზე, რომელიც აქ ტარდება, მსახიობისაგან არანაირი ენერგია არ მოდის, მანჭვა-გრეხის გარდა. ეს საშინელებაა.

— სამაგიეროდ, ძალიან დიდი ენერგია მოდის თქვენგან, როცა უკრავთ და ძალიან დაღლილიც ჩანხართ ხოლმე...

– მართალია, ვიღლები. მაგრამ ახლა მაქვს დრო და ახლა უნდა დავიღალო. ჩემი მეუღლეც მეუბნება ხოლმე: ვაიმე, რას ჰგავხარ, რა დაღლილი ხარო?! – მე ვეუბნები: კეთილშობილად დაღლილი ვარ-მეთქი. ეს კარგი დაღლაა...

— ცოტა რამ თქვენი მეუღლის შესახებაც გვითხარით.

– ოჯახი მაქვს ძალიან თბილი და ტკბილი. მეუღლეს – ლიკა ტაბატაძეს – ჩემს პატარა, კოხტა ჭუკას ვეძახი. ისიც მუსიკოსია. წელს, ჩვენი ერთად ცხოვრების 10 წელი შესრულდება. გვყავს ორი შვილი. უფროსი – ოთო პირველ კლასშია, ნატუკა 5 წლის არის. გენებმა ეტყობა, თავისი ქნა და მუსიკალური ნიჭი

მე ახლა ისე ვიღლები ხოლმე, როგორც მაშინ, როცა სტუდენტობის დროს მამაჩემს ყანის თოხნაში ვეხმარებოდი. მუსიკის კეთება ფიზიკურ სამუშაოს შევადარე

ორივეს აქვს. ამასთან ერთად, ოთო ძალიან კარგად ხატავს, ნატუკა კი უკვე თავისუფლად კითხულობს. როგორც ვთქვი, ძალიან ტკბილი ოჯახი მაქვს, რომელსაც არასდროს არაფერში გავცვლი...

— სანო, თქვენს სტუდიაში რა ხდება ახლა?

— ამჟამად, „არტ-იმედის" დაკვეთით დათო გომართელის ოთხი სიმღერის ჩაწერა მიმდინარეობს. აგრეთვე, ანსამბლი „უნივერსიტეტი" მუშაობს ალბომზე. ჩვენი საკუთარი პროექტებია: ნეკა სებისკვერაძის, ელგა ფორჩხიძის და ალეკო ბერძენიშვილის სიმღერები. ეს უკანასკნელი, ნამდვილი ბომბი იქნება. ვუჩვენებ ხალხს, როგორ უნდა სიმღერა. ძალიან მაგრად მღერის ეს ბიჭი, იმდენად კარგად მღერის, რომ უკვე „საშინელებას" ვუწოდებ...

— როგორ ფიქრობთ, — რატომ არ უნდა ქართველი შემსრულებლების უმრავლესობას, ცოცხალი, ინსტრუმენტული მუსიკის თანხლებით სიმღერა და რატომ ურჩევნიათ კომპიუტერული მუსიკა?

— ბევრისგან მსმენია — საქართველოში აპარატურა არ არისო. საქართველოში საკმარისზე მეტი აპარატურა და სტუდიაა. ხალხი მიეჩვია კომპიუტერულ მუსიკას. არანჟირებების 99%-ს ისე აკეთებენ, რომ ამის გადატანა სინამდვილეში და ცოცხლად შესრულება შეუძლებელია. პერკუსია საღებავია, რომლითაც კომპოზიციას ხვეწენ. პერკუსიონისტი ამისთვის უამრავ ინსტრუმენტს იყენებს. დღეს ისეთ არანჟირებებს აკეთებენ, რომ მის გასაცოცხლებლად, 10 პერკუსიონისტი და 10 გიტარისტია საჭირო. ხალხიც მიეჩვია კომპიუტერულად დამუშავებულ ბგერებს... მაგარი მაშინ ხარ, როცა უბრალო ბგერიდან შენ თვითონ შექმნი ახალ ბგერას და მიიტან მაყურებლამდე. ასე რომ, ყველანაირი საშუალება არსებობს, უბრალოდ არ იციან, როგორ გამოიყენონ... მე ახლა ისე ვიღლები ხოლმე, როგორც მაშინ, როცა სტუდენტობის დროს მამაჩემს ყანის თოხნაში ვეხმარებოდი. მუსიკის კეთება ფიზიკურ სამუშაოს შევადარე. არ არის ცოცხალი მუსიკა ადვილი გასაკეთებელი — ამას ძალიან ბევრი შრომა სჭირდება.

მიუხედავად ამისა, სანო ქმნის ცოცხალ მუსიკას და როგორც უკვე ითქვა, „კეთილშობილად იღლება". ამასთან ერთად, ის ხშირად დადის გერმანიაში და სტუდენტებს ლექციებს უკითხავს რიტმიკის საკითხებზე. ასე ცხოვრობს პროფესიით მშენებელი-ინჟინერი, მსახიობი, მუსიკოსი, სტუდიის მეპატრონე და მუსიკალური პროდიუსერი — მერაბ სანოძე — ივივე სანო. ■

Sexvedra `seiSenis~ biWebTan

„DJ ბუკლეს" (ჟურნალი „რეიტინგი") მორიგი სტუმარი, ჯგუფი „სეიშენი" იყო. შეხვედრაზე საკმაოდ ბევრმა თაყვანისმცემელმა მოიყარა თავი და თავიანთი კერპი ჯგუფის წევრებს უამრავ შეკითხვას უსვამდნენ. მომღერლები ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ და ყველა შეკითხვას გულწრფელად პასუხობდნენ. ჯგუფი ოთხი წევრისგან შედგება: ლევანი, ლაშა, ჯიმი და ზაზა.

— როგორ შეიქმნა ჯგუფი „სეიშენი"?

ლევანი:

— ჯგუფი ექვსი წლის წინ ჩამოყალიბდა. მაშინ ძალიან პატარები ვიყავით. თავიდან ყველა, სოლოს ვმღეროდით. ქუთაისში კოტე მალანიას ხელმძღვანელობით იყო საბავშვო სტუდია და ყველანი იქ ვსწავლობდით. ჩვენს ხელმძღვანელს, ირმა მალანიას ყოველთვის დიდი სურვილი ჰქონდა, ჯგუფი ჰყოლოდა. ამიტომ პატარაობიდანვე შემოგვთავაზა მისი ჩამოყალიბება.

ლაშა:

— თავიდან ჯაზს ვმღეროდით. ახლა „სეიშენი" მხოლოდ ერთ ჩარჩოში არ ჯდება, ვცდილობთ, ყველა ჟანრში მოვსინჯოთ ჩვენი ძალები. შემდეგ შეიძლება, რაღაც ისეთი მოვძებნოთ, რაც ახალი იქნება.

— თქვენი აზრით, რამდენად გემოვნებიანია თქვენი მუსიკა?

— ეს ხალხმა უნდა შეაფასოს.

ზაზა:

— რაც მზია ღამბაშიძესთან ერთად დავიწყეთ მუშაობა, სიმღერა — „გადარეული" გამოვიდა და გაჰიტდა — ეი. გემოვნებიანია. ამ სიმღერაში კომერციული მომენტიცაა ჩადებული. ის გათვლილია იმაზეც, რომ სერიოზულმა მსმენელმა მოისმინოს და თქვას: აი, ბიჭები მართლა მღერიანო. ხშირად გვეკითხებიან ხოლმე, — ჯგუფის სოლისტი რომელიაო? ჩვენ ოთხივენი, სოლისტები ვართ, ერთი კონკრეტული ლიდერი არ გვყავს.

— ქუთაისელები ხართ და თბილისში მოღვაწეობთ. ამის გამო რაიმე დაბრკოლება ხომ არ გიგრძნიათ?

ჯიმი:

— არანაირი დაბრკოლება არ ყოფილა. წარმოშობას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, რომ ქართველები ვართ.

— რა მუსიკალური განათლება გაქვთ?

ლაშა:

— მხოლოდ მე მაქვს მუსიკალური შვიდწლედი დამთავრებული.

ზაზა:

— ხელოვნების სკოლა დავამთავრე ფოლკლორის განხრით. ბავშვობიდან ხალხურ სიმღერებს ვმღერი. სახელმწიფო ანსამბლ „ბაგრატშიც" ვმღეროდი. ჩვენ გვყავს ხელმძღვანელი — მზია ღამბაშიძე, რომელსაც მუსიკალური აქვს დამთავრებული და ეს ჩვენთვის საკმარისია.

ლევანი:

— რაც მთავარია, ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი პრაქტიკა. რა საჭიროა, ზოგიერთებივით კონსერვატორია მქონდეს დამთავრებული, სახლში დიპლომი მედოს და ვერაფერში ვიყენებდე?!

— ამჟამად თუ სწავლობთ სადმე?

ზაზა:

— ოთხივენი, უნივერსიტეტში ტელეკინორეჟისურის ფაკულტეტის I კურსზე ვსწავლობთ. შარშან, რაღაც კონცერტში ვმონაწილეობდით, სადაც „წყნეთელი ბიჭი" ვიმღერეთ. ამ სიმღერას უნივერსიტეტის რექტორატში დიდი მოწონება ხვდა წილად. მზიასთან უნივერსიტეტის ერთ-ერთი წარმომადგენელი მოვიდა და უთხრა: შემიძლია, ბიჭები უნივერსიტეტში მოვაწყოო. წელს შეგვხვდნენ, ცოცხლად მოგვისმინეს. შემდეგ გვკითხეს: რომელი სპეციალობა გინდათო? ტელეკინოსარეჟისორო ავირჩიეთ. ძალიან გვეხმარებიან უნივერსიტეტის წარმომადგენლები, კლიპი დაგვიფინანსეს.

— ფონოგრამაზე რა აზრის ხართ?

ზაზა:

— საქართველოში ისეთი აპარატურა არ არსებობს, რომ ჯგუფმა გამართულად იმღეროს. ვთქვათ, მღერით „ძინუსზე", სხვა იმღერებს „პლუსზე" და ხალხი იტყვის: ამან უფრო კარგად იმღერაო. ერთხელ, ბორჯომში „ძინუსზე" ვმღეროდით. უცებ, ვიღაც სადენს წამოედო და აპარატურა გაგვეთიშა...

შეხვედრის ბოლოს, ჯგუფის წევრებმა ყველაზე აქტიურ თაყვანისმცემელს — ნინოს საჩუქრად ღვთისმშობლის ხატი გადასცეს. შემდეგ შეასრულეს სიმღერა — „წყნეთელი ბიჭი" და საუკეთესო სურვილებით დაგვემშვიდობნენ.

„DJ ბუკლეს" და მოდების სახლ DK-ის მომდევნო სტუმარი ეკა კვალიაშვილი იქნება.

ნათია ქივიძე

გრძნობათა ორგანოები

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

როგორ ვხედავთ, როგორ გვესმის, როგორ ვგრძნობთ

ერთი ადამიანი სატურნის რგოლსაც კი ხედავს, მეორეს კი ნებისმიერი საგანი ცხვირთან მიაქვს. როგორია სინამდვილეში ჩვენი გრძნობათა ორგანოების შესაძლებლობების ზღვარი?

ზღვარი აქვს ნებისმიერ სისტემას, როგორც ხელოვნურს, ისე ბიოლოგიურს. სხვა საქმეა, თუ სად მდებარეობს საზღვარი, რომლის იქით გასვლა შეუძლებელია.

რამდენ ფერს აღიქვამს ადამიანის თვალი

მხედველობის სიმახვილე განისაზღვრება მანძილით ორ მეზობელ მხედველობის უჯრედს (ფოტორეცეპტორს) შორის. ეს უჯრედებია კოლბები, რომელიც ბადურას ცენტრში მდებარეობს. თვალი ნორმალური მხედველობის სიმახვილით ორ წერტილს ერთმანეთისაგან არჩევს, თუ ისინი ერთი წუთის ტოლი კუთხით არის დაშორებული. როცა საგნის ზომა ამ კუთხეზე ნაკლებია, თვალს აღარ შეუძლია განსაზღვროს, უახლოვდება ობიექტი თუ შორდება. ერთი შეხედვით, სწორედ ესაა მხედველობის ზღვარი, თუმცა გამოცდილ მფრინავებს შეუძლიათ განასხვაონ სულ 10 წამის ტოლი კუთხის ზომის მქონე საგნის მოახლოება ან დაშორება.

ასეთი ზემახვილი მხედველობა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ბადურას ფოტორეცეპტორთა დიდი რაოდენობით. ალბათ არსებობს კიდევ რაღაც მექანიზმები, რომელიც დაკავშირებულია თვალის მოძრაობასთან და ტვინის მხედველობის ცენტრთან. მხედველობის სიმახვილის ჩვეულებრივი ზღვარი, შეიძლება, ვარჯიშით გადაილახოს.

ადამიანები განსხვავდებიან ფერების აღქმის უნარითაც. ცნობილია, რომ ქალები გაცილებით უკეთ განასხვავებენ და ასახელებენ ფერებს – ეს თანდაყოლილი თავისებურებაცაა და ბავშვობიდან გავარჯიშებული მხედველობის შედეგიც: გოგონებს უფრო ხშირად უწევთ ფერების შერჩევა სხვადასხვა ხელსაქმის დროს.

ადამიანთა უმრავლესობა ხილული ფერის დიაპაზონიდან 67-100 ტონს არჩევს, მაგრამ არსებობენ ერთეულები, რომელთა ფერების პალიტრა 3-ჯერ უფრო მდიდარია – ისინი 300 ტონს ასხვავებენ.

„წვეულების ეფექტი"

ცნობილია შემთხვევები, როცა ადამიანები აღიქვამდნენ 1-2 ჰც სიმაღლის ბგერას. ეს არის ტონის დაახლოებით 1/16. ასეთი აბსოლუტური სმენის მქონენი, ბედნიერი გამონაკლისები არიან, მაგრამ ვარჯიშით ჩვეულებრივ ყურსაც შეუძლია მსგავსი შედეგების მიღწევა.

უკიდურესი საჭიროების დროს, ბევრ ადამიანს სმენის „ჭერი" დროებით მკვეთრად ეზრდება – საზღვარგარეთულ ლიტერატურაში ამას „წვეულების ეფექტი" ეწოდება. წარმოიდგინეთ დიდი დარბაზი, წვეულება... ყველა საუბრობს, მოშორებით, კუთხეში კი, რომელიღაც წყვილი განცალკევებულა. მათი საუბარი თქვენ ძალიან გაინტერესებთ. თითქოს მათი მოსმენა არარეალურია და ფიზიკური ხელსაწყოებიც იმავეს ადასტურებს, მაგრამ უეცრად, ყური იწყებს იმის აღქმას, რასაც იმ კუთხეში ლაპარაკობენ. ვარაუდობენ, რომ აღნიშნული ეფექტის მიღების საშუალებას იძლევა ტვინის სტრუქტურები, რომელიც გამახვილებული ყურადღებით სტიმულირდება.

სითბური მასაჟის ეფექტი

კიდევ ერთი ფენომენი: კანის თერმორეცეპტორთა მაღალი მგრძნობელობა.

ზოგი ადამიანი ტემპერატურის 0,2 გრადუსით ცვლილებასაც კი აღიქვამს. არიან ისეთებიც, რომელთაც შინაგანი ძალების დაძაბვით ხელების გაცხელება შეუძლიათ რამდენიმე გრადუსით (სწორედ ამ ეფექტებზეა დამყარებული უკონტაქტო სამკურნალო მასაჟი და დიაგნოსტიკა). დიაგნოსტიკის დროს, ექსტრასენსი სხეულის გასწვრივ ამოძრავებს ხელს ისე, რომ არ ეხება მას. ყველა ორგანოს აქვს თავისი პროექცია კანზე და ხელებით დაფიქსირებული ნებისმიერი ტემპერატურული სხვაობა, იწვევს ეჭვს, რომ კარგად ვერ მუშაობს გული, თირკმლები, ღვიძლი... ხელებით უკონტაქტო მკურნალობის დროს კი, მიიღწევა სითბური მასაჟის ეფექტი. ასე რომ, როგორც ხედავთ, აქ არანაირი სასწაული არ არის. ხდება მხოლოდ ადამიანის შესაძლებლობათა რეალიზაცია. ■

ცოტა რამ ალერგიის შესახებ

● ალერგიული შეტევა შესაძლოა განვითარდეს... საფოსტო მარკების დაწებების შემდეგაც. საქმე ისაა, რომ მარკის უკანა მხარეს წასმული წებო, რომელსაც ენით ასველებენ ხოლმე, თევზის ძვლისგანაა დამზადებული.

● გაუგებარია, მაგრამ ფაქტია, რომ ალერგიული რეაქცია არაქისსა და თევზზე უფრო დიდხანს გრძელდება, ვიდრე ძროხის რძესა და კვერცხზე.

● ძველებურ ელექტროჩაიდანში ადუღებულმა წყალმა შეიძლება კანის გაღიზიანება გამოიწვიოს. ამაში დამნაშავე, გამაცხელებელი ელემენტების მომფენი ნიკელის ნაწილაკებია. ნიკელზე ალერგია შეიძლება, ასაკთან ერთად განვითარდეს და ძირითადად, ქალებში გვხვდება. ალერგია ნიკელზე სხვადასხვაგვარია: ზოგს იგი უვითარდება ლითონთან ხანმოკლე კონტაქტის შემდეგაც კი, ხოლო ზოგს მხოლოდ მასთან მრავაწლიანი „თანამეგობრობის" შემდგომ.

● წვიმიანი ზაფხული ბედნიერებაა ალერგიით დაავადებულთათვის: წვეთები მიწაზე აფენს მტვერს და ამგვარად, მცირდება ალერგიული რეაქციის განვითარების რისკი. მშრალი, ცხელი და ქარიანი ამინდი, პირიქით – პოლინოზის გამწვავების წინაპირობაა. ■

თქვენი პატარა

ცელქობს თუ ავადაა?

ზოგჯერ ხდება, რომ ბავშვს ესაუბრები, ის კი თან გისმენს და თან გამუდმებით თვალებს ახამხამებს, სახეს მანჭავს ან მხარს ათამაშებს. „შეწყვიტე ცელქობა!“ – უყვირის მშობელი, მაგრამ თუ კარგად დაუკვირდებით, მისი მოძრაობები უცნაური და აკვიატებულია – თითქოს ბავშვი ამას უნებლიეთ აკეთებს. რა არის ეს?

ეს ნერვული ტოკვა ანუ ე.წ. ტიკია, რომელიც კუნთების უნებლიე, სწრაფი კლონური შეკუმშვით ხასიათდება და გარეგნულად ძალიან ჰგავს მიზანდასახულ მოძრაობას.

ტოკვა განსაკუთრებით, 5-11 წლის ასაკის ბავშვებს სჩვევიათ. ბიჭებში ის 4-ჯერ უფრო ხშირია, ვიდრე გოგონებში.

ის არასოდეს აწუხებს ბავშვს ძილში, სამაგიეროდ, ძლიერდება მღელვარების, ნერვული აღგზნების დროს. ტოკვა გავლენას არ ახდენს ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე, ჩვეულებრივ პირობებში ნაკლებად შესამჩნევია.

ამ მოშლილობას სხვადასხვა მიზეზი იწვევს და ამიტომ მისი პროგნოზი და მკურნალობაც სხვადასხვაგვარია. ფსიქიატრები მათ ორ ძირითად ტიპად ყოფენ:

● ნევროზული (ახალი კლასიფიკაციის მიხედვით – ტრანზიტორული, გარდამავალი).

● ნევროზისმაგვარი (ქრონიკული).

ტოკვა და შიში

შესაძლოა, თქვენი აბსოლუტურად ჯანმრთელი, მშვიდი ბავშვი შეაშინა ძაღლმა, ეზოში თამაშის დროს ან მკაცრმა მასწავლებელმა, რომელმაც მთელი კლასის წინაშე დატუქსა იგი და ბავშვს დაეწყო თვალის ან სახის კუნთების თრთოლა. ეს ნევროზული ტოკვაა. ის შიშის, სტრესის, გადაძაბვის შედეგად ვითარდება და რამდენიმე კვირის მკურნალობის შემდეგ უკვალოდ გაივლის.

რა მოეთხოვება ასეთ დროს მშობელს?

● ბავშვი ექიმს უნდა აჩვენოს.

● სახლში მშვიდი გარემო უნდა შეუქმნას.

● არ დატვირთოს ბავშვი ზედმეტი მეცადინეობით.

● თუ ტოკვა სასკოლო კონფლიქტმა გამოიწვია, უნდა მოელაპარაკოს მასწავლებელს და შეეცადოს მის მოგვარებას.

ასეთი ტიპის აკვიატებული მდგომარეობები შედარებით იშვიათია, ისინი ყველა სახის ტოკვის 10%-ს შეადგენს.

მიზეზი და საბაბი

სულ სხვა საქმეა უცნაური ჩახველება: შესაძლოა, ვერც მიხვდეთ, რომ ეს ტოკვაა. ასეთი ნევროზისმაგვარი, ქრონიკული აკვიატებული მდგომარეობები საკმაოდ ხშირად, შემთხვევათა 90%-ში გვხვდება. მათი მიზეზი ბავშვის ნერვული სისტემის სისუსტეა, რომელიც შეიძლება განვითარდეს იმ შემთხვევაში, თუ დედას მძიმე ორსულობა ან გართულებული მშობიარობა ჰქონდა. ზოგჯერ ამის მიზეზია ახალშობილის პირველ თვეებში გადატანილი დაავადებები, რომელიც ცვლის ნერვული სისტემის რეაქციულობას.

ასეთ ნიადაგზე, ნებისმიერმა მიზეზმა (უბრალო გაცივებამ ან გადაღლამაც კი) შეიძლება მისცეს ბიძგი ნევროზისმაგვარი ტოკვის განვითარებას.

ხშირად იგი რეალური მოვლენით იწყება: მაგალითად, ბავშვს თვალში წამწამი ჩაუვარდება და იწყებს თვალის ხამხამს. წამწამს ამოუღებთ, მას აღარაფერი უშლის, მაგრამ თვალის ხამხამი გადაეზრდება აკვიატებულ უკონტროლო მოქმედებაში. ანდა, ბავშვს ჰქონდა ბრონქიტი, დაავადების გადატანიდან უკვე ორი თვე გავიდა, სისხლის ანალიზიც კარგი აქვს, მაგრამ ხველა მაინც უგრძელდება.

ბავშვი ხვდება, რომ ტიკები უჩვეულო, ავადმყოფური მოძრაობებია. მას რცხვენია კიდეც, ხალხში ყოფნისას, ცდილობს, დაფაროს ეს, რისთვისაც დიდი შინაგანი გადაძაბვა სჭირდება და ეს ძალიან ღლის პატარას. ტოკვის გაკონტროლების მცდელობა იმით მთავრდება, რომ იგი კიდევ უფრო ძლიერდება.

ნევროზის მსგავსი ტოკვის მკურნალობის პროცესი ხანგრძლივი და რთულია. ტოკვა ხან გაივლის, ხან ისევ ჩნდება. ზოგჯერ მას სეზონური ხასიათი აქვს.

როგორ ვუმკურნალოთ

თუ ეჭვი გაგიჩნდათ, რომ თქვენს შვილს ტიკები აქვს, აუცილებლად გაასინჯეთ იგი ფსიქონევროლოგს, რათა დარწმუნდეთ, რომ მას მხოლოდ ნერვული სისტემის სისუსტე აქვს და არა სერიოზული სულიერი დაავადების სიმპტომები. ექიმი ამის შესახებ იმსჯელებს სხვა ნიშნებზე დაკვირვების შემდეგ. ნევროზისმაგვარ ტოკვას ხშირად თან ახლავს ადვილად დაღლა, გაღიზიანებადობა, ცრემლიანობა, უხასიათობა, ცუდი ძილი...

როცა დიაგნოზი გაირკვევა, ექიმი იწყებს მკურნალობას, რომელიც მოიცავს ფიზიოპროცედურებს: წიწვის აბაზანებს, დამამშვიდებელ ჩაის, ელექტროფორეზს ბრომით და ა.შ. ეს ყველაფერი ადუნებს ნერვულ სისტემას. სასარგებლოა საყელოს ზონის მასაჟი, რაც აუმჯობესებს ტვინის სისხლმომარაგებას. კარგია ძილის წინ თაფლიანი რძის დალევა. ასეთი მარტივი საშუალებებითაც კი, ბევრის მიღწევა შეიძლება. სასარგებლოა აგრეთვე ფსიქოთერაპია, პრეპარატებიდან – ვიტამინები, ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედი და ტვინის კვების გამაუმჯობესებელი წამლები, საძილე საშუალებები.

მშობლებს ვურჩევთ:

● ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ სუსტი ნერვული სისტემის მქონე ბავშვმა ყოველთვის კარგად გამოიძინოს.

● დასვენების დღეებში, მას დამზოგავი რეჟიმი და სრულფასოვანი დასვენება ესაჭიროება.

● განსაკუთრებულად გაუფრთხილდით მის ნერვულ სისტემას ავადმყოფობის შემდეგ: უბრალო გაცივებაც კი ასუსტებს მას, ავადმყოფობიდან კიდევ 2 კვირის განმავლობაში.

● ნუ ტუქსავთ ბავშვს ტიკების გამო. რაც მეტს ელაპარაკებით მასზე პატარას, მით უფრო ცუდად გრძნობს იგი თავს. ბავშვი ისედაც ხვდება, რომ რაღაც ისე არ არის და თქვენგან ელის დახმარებას. ■

რეკორდები

შესაძლებლობის ზღვარზე

ყველაზე სწრაფი გამოთვლა შეძლო ინდოელმა მ. ჰარი პრასადმა: მან 1 წუთსა და 3,8 წამში ზუსტად გამოთვალა გონებაში კვადრატული ფესვი 732915-დან. რეკორდი დაფიქსირდა ინდოეთის სამეცნიერო ინსტიტუტში.

ყველაზე უცნაური დიეტა

დაფიქსირდა იტალიელ მიშელ ლოტიტოსთან: იგი 1959 წლიდან ჭამს ლითონსა და შუშას. გასტროენტეროლოგები მის მიერ დღეში 900 გ რკინის შეჭმის უნარს უნიკალურს უწოდებენ. სამაგიეროდ, მიშელი ვერ იტანს ბანანებსა და შემწვარ კვერცხს.

ყველაზე ხანგრძლივად უსაკვებოდ

გაძლო ამერიკელმა ელენ ჯონსონმა, რომელიც ექსპერიმენტის დასაწყისში იწონიდა 143 კგ-ს. 17 კვირის განმავლობაში მის „საკვებს“ შეადგენდა დღეში 3 ლ წყალი, ხოლო კვირაში 2-ჯერ უკეთებდნენ ვიტამინების ინიექციას. პაციენტის წონა შემცირდა 81 კგ-მდე. იგი თავს მშვენივრად გრძნობდა. ჩვეულებრივ, ადამიანს უსაკვებოდ დაახლოებით ერთი თვე შეუძლია გაძლოს.

ყველაზე დიდხანს უჰაეროდ

გაძლო კალიფორნიელმა რობერტ ფოსტერმა, რომელმაც წყალქვეშ 13 წუთი და 42.5 წამი გაატარა. წყალში ჩასვლამდე, იგი ნახევარი საათი სუნთქავდა ჟანგბადს. საშუალოდ, ადამიანს 4 წუთამდე შეუძლია გაძლოს უჰაეროდ.

ყველაზე დიდხანს არ უძინია

ამერიკელ მორინ უესტონს პიტერბოროდან. მან ძილის გარეშე გაატარა 18 დღე-ღამე და 17 საათი. მორინი სიფხიზლის ჟამს საქანაო სავარძელში ივჯდა. ექსპერიმენტის ბოლოს, მას ჰალუცინაციები დაეწყო, თუმცა სხვა უარყოფითი შედეგები არ აღნიშნულა.

ყველაზე ჯარგი მხედველობა

აღმოაჩნდა 52 წლის ვერონიკა სეიდერს გერმანიიდან: მისი მხედველობის სიმახვილე 20-ჯერ(!) აღემატება საშუალო მაჩვენებელს. იგი ადამიანებს 1,6 კმ-ზე დიდ მანძილზე ცნობს და მიკროჩანაწერებს აკეთებს ხელსაწყოების გარეშე.

ყველაზე ჯარგი მეხსიერება

გამოავლინა ბირმელმა ბხანდანტა ვისიჩარამ, რომელმაც 1974 წლის მაისში, ზეპირად წაიკითხა ბუდისტური კანონიკური ტექსტის 16 ათასი გვერდი. 26 წლის ჩინელ გუ იანლინს კი, 15 ათასი ტელეფონის ნომერი ახსოვს.

არ განძრეულა

20 საათის, 11 წუთისა და 34 წამის განმავლობაში, პორტუგალიელი ანტონიუ გომეშ სანტუში. ამისთვის მან „ადამიანი-ძეგლის“ მეტსახელი მიიღო. ■

ინტერნეტი ალკოჰოლიზმს უწყობს ხელს

საიტების მიუწვდომლობითა და კავშირის დამყარებისას არსებული ხარვეზებით გამოწვეულ სტრესს ინტერნეტის მომხმარებელთა დიდი ნაწილი თურმე ალკოჰოლის მეშვეობით ებრძვის. ამას მოწმობს ცნობილი ბიზნესჯგუფის – Barclays-ის დაკვეთით ჩატარებული გამოკვლევა, რომელიც კომპანიამ NOP Omnibus განახორციელა. გამოკითხვისას გაირკვა, რომ 15 წლისა და უფროსი ასაკის ინტერნეტ-მომხმარებელთა 61% ქსელით სარგებლობისას, ხშირად განიცდის დიდ აღელვებას, რომლის მიზეზი უმეტესად, საიტის ჩატვირთვის ხანგრძლივობა და ე.წ. შეცდომა 404-ია (ასე უწოდებენ ქსელის პასუხს: „მოთხოვნილი გვერდი არ არსებობს“). მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ყველაზე გავრცელებული რეაქცია ასეთ შემთხვევაში, ინტერნეტიდან გამოსვლა და ალკოჰოლური სასმლის მიღებაა (გამოკითხულთა 3/4). მეორე, ასევე გავრცელებული რეაქცია, კომპიუტერის მისამართით წარმოთქმული გინებაა (გამოკითხულთა 40%-ზე მეტი). ზოგიერთი მომხმარებელი, როცა სასურველ გვერდს ვერ ხსნის, ახლობლებს ან შინაურ ცხოველებს ლანძღავს და მუშტებს უშენს კომპიუტერს... აღსანიშნავია ისიც, რომ მამაკაცები, ქალებზე ხშირად ვარდებიან ისტერიკაში (შესაბამისად, 62% და 59%). ■

ხან ვარდისფერი, ხანაც – ცისფერი...

ყველამ კარგად იცის, თუ ადამიანის განწყობისათვის – ე.ი. საერთოდ, ჯანმრთელობისთვისაც, რამდენად მნიშვნელოვანია იმ გარემოს ფორმა თუ ფერი, რომელშიც ის ტრიალებს და მით უმეტეს – მუდმივად ცხოვრობს. ალბათ სწორედ ამის გამო, ინგლისელმა კესიან იანგმა გადაწყვიტა, თავის ვრცელ და ისედაც კარგად მოწყობილ სახლში ისეთი სისტემა დაემონტაჟებინა, რომელიც ფერადი განათების ფართო არჩევანისა და შეცვლის საშუალებას მისცემდა. გადაწყვიტა და შეასრულა კიდეც. ახლა დღისით, იანგის სახლში თეთრი ტონები ჭარბობს, მაგრამ მზის ჩასვლისთანავე, თითოეული ოთახის ფერთა გამა თანდათან იცვლება, რაც, ბუნებრივია, გარემოსაც ცვლის და მასთან ერთად – სახლის ბინადართა გუნება-განწყობასაც. განათების უნიკალური სისტემა თავად იანგმა ჩაიფიქრა, მისი განხორციელება კი, ლონდონის საკონსტრუქტორო ბიუროს – Michael Tomkin Architects-ს ანდო. ეს სიამოვნება საბოლოოდ, 900.000 გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 1,7 მლნ დოლარი) დაჯდა. სამაგიეროდ ახლა, 32 წლის გამომგონებელს იმის გარანტია აქვს, რომ მუდამ კარგ გუნებაზე იქნება და ჯანმრთელობასაც დიდხანს შეინარჩუნებს. ■

ჯაჭოჩვენილი ადამიანების ხუმრობები

***

კარდინალმა სერვინომ შეურაცხყოფა მიაყენა მიქელანჯელოს და გენიოსმა მხატვარმა ის ჯოჯოხეთში, ცოდვილთა შორის აღბეჭდა თავის ტილოზე – „განკითხვის დღე". კარდინალმა მიქელანჯელოს, პაპ ლეო მეათესთან უჩივლა. „სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარებით, – უპასუხა პაპმა. – მას რომ განსაწმენდელში მოეთავსებინეთ, იქიდან გამოგიყვანდით, მაგრამ მიქელანჯელომ ქვესკნელში მიგიჩინათ ადგილი, ის კი მე არ მემორჩილება..."

***

საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV ცდილობდა, არაფერში ჩამორჩენოდა მოდას და ამიტომ, ლექსების წერასაც მიჰყო ხელი. თავისი შემოქმედების შეფასების უფლება მან მხოლოდ პოეტ ნიკოლა ბუალოს მისცა. ერთხელ, გვირგვინოსნის შემოქმედებითი ნაყოფის მოსმენის შემდეგ, მას ნერვებმა უმტყუნა: „თქვენს უდიდებულესობას ყველაფერი ხელეწიფება – აი, ინებეთ ცუდი ლექსების დაწერა და ეს საქმეც ბრწყინვალედ გამოგივიდათ!"

***

ბერნარდ შოუს არ უყვარდა, როცა სუფრას მუსიკა ახლდა თან. ერთ-ერთ ასეთ წვეულებაზე პაუზის დროს, მან ორკესტრის დირიჟორს მიმართა:

– გეთაყვა, დამდეთ პატივი და შემისრულეთ ერთი თხოვნა.

წარჩინებულთა შეკვეთებს მიჩვეულმა მუსიკოსმა იფიქრა – დიდი მწერალი, რაღაც ნაწარმოების შესრულებას მთხოვსო, – და უმალ მზადყოფნა გამოხატა:

– რასაკვირველია, მისტერ შოუ!

მწერალმა თავაზიანი ღიმილით მიუგო:

– სანამ სადილობას დავამთავრებ, ერთი პარტია ბრიჯი ითამაშეთ...

***

ერთხელ, გამოჩენილი გერმანელი მიკრობიოლოგის კაბინეტში მისი თანაშემწე შევიდა და დაინახა, რომ მეცნიერი დაჟინებით აკვირდებოდა კოლბას, რომელშიც რაღაც დუღდა. ასისტენტის დანახვისთანავე, კოხმა თავი ასწია და უთხრა:

– აბა, გამოიცანი, რა არის მოთავსებული ამ კოლბაში?

ახალგაზრდა კაცმა, მისთვის ცნობილი ყველა მიკრობი ჩამოთვალა, მაგრამ მეცნიერი უარის ნიშნად იქნევდა თავს. ბოლოს და ბოლოს, მას შეებრალა თავისი შეგირდი და რომ იტყვიან, კარტი გახსნა:

– ამ კოლბაში... სოსისი იხარშება: ჩემი ცოლი ავად გახდა, მსახურს კი, ესოდენ საპასუხისმგებლო საქმე ვერ ვანდე...

***

ამერიკის ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში ყოფნისას, ალბერტ აინშტაინი ლექციის წასაკითხად მიემგზავრებოდა. უცებ მეცნიერს გაახსენდა, რომ მის პირად მძღოლს, რომელიც არაერთ ლექციას დასწრებია, ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა და ჰკითხა:

– კარგად თუ გახსოვს ჩემი ბოლო ლექცია?

– რასაკვირველია, სერ! – მტკიცედ უპასუხა მძღოლმა.

– მოდი, ცოტა წავიოხუნჯოთ: მე შენს ქურთუკს ჩავიცვამ და დარბაზში დავჯდები, შენ კი... აინშტაინი იქნები...

ასეც მოიქცნენ. ლექციის დასასრულს, წამოდგა ადგილობრივი სკოლის ხანდაზმული მასწავლებელი და შეკითხვა დაუსვა ლექტორს. როგორც ჩანს, მძღოლი არა მარტო საუცხოო მეხსიერებით გამოირჩეოდა, არამედ გონებამახვილი კაციც იყო. მან დარბაზში მჯდომი მეცნიერისკენ გაიშვირა ხელი და ღიმილით თქვა:

– ეს შეკითხვა იმდენად მარტივია, რომ მასზე ჩემი მძღოლიც კი გაგცემთ პასუხს.

***

სახელგანთქმულ ექიმთან, ბოტკინთან საკონსულტაციოდ ძუნწი ვაჭარი მივიდა. მან იცოდა, რომ პირველი ვიზიტი 25 რუბლი ღირდა, მეორე კი – 10 და გადაწყვიტა, ეეშმაკა:

– ძვირფასო ექიმო, აი, ისევ თქვენთან ვარ! რას მეტყვით ამჯერად?

მაგრამ ექიმი კარგი მეხსიერებით გამოირჩეოდა, მყისვე მიხვდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე და მშვიდად მიუგო:

– ახალს არაფერს – გააგრძელეთ ის მკურნალობა, რომელიც პირველი ვიზიტის დროს დაგინიშნეთ... ■

ანეკდოტები

***

– ექიმო, უკვე 80 წლის გავხდი, მაგრამ ისევ გოგონებს დავდევ.

– მერე რა გაწუხებთ? – ეს ხომ მშვენიერია!

– კი, მაგრამ აღარ მახსოვს, რისთვის...

***

გამოცდაზე პროფესორი ეკითხება სტუდენტს:

– დავუშვათ, ასეთი არჩევანის წინაშე დგახართ – ფულით სავსე ტომარა ან ბრწყინვალე ტვინი; რომელს ამოირჩევდით?

– ფულს.

– მე კი – ჭკუას და იცით, რატომ?

– რასაკვირველია, ვიცი: იმიტომ, რომ ადამიანი ყოველთვის იმას ირჩევს, რაც აკლია.

***

უგონოდ მთვრალი კაცი ფორთხვით გამოვიდა ბარიდან და ძლივ-ძლივობით მიაღწია სახლამდე, შეიპარა ბინაში და ჩუმად – ისე, რომ ცოლს არ გაეგო – ჩაწვა ლოგინში. დილით, მოულოდნელად ქალის კივილმა გააღვიძა:

– ლოთო! ისევ დათვერი უგონოდ?!

– საიდან გაიგე? – იკითხა გაოცებულმა ქმარმა.

– ბარიდან დარეკეს: დაგავიწყდა, რომ სახეიბრო ეტლი იქ დატოვე?!.

***

ხალხით სავსე რესტორანში ტელეფონის ზარი გაისმა. ოფიციანტმა ყურმილი აიღო.

– თუ შეიძლება, მიიღეთ მაგიდის შეკვეთა.

დაქანცული ოფიციანტი ბრაზიანად პასუხობს:

– უკვე მერამდენე ხართ, ვისაც ვეუბნები – ჩვენთან ავეჯი არ იყიდება. ■



როცა ყველა ბილეთი გაყიდულია
ფრანგული მომხიბვლელობა
რ. ჩხიკვაძის პერსონაჟი ბრეხტის პიესიდან
„დედოფალი მრგო“ (ფრანგი მსახიობი)
თამაში კამათლებით
დედააზრი, რაობა
... პუარო
მსოფლიო ჩემპიონი „ფორმულა I“
NBA-ს ბოლო 3 წლ. ჩემპ. ლოს-ჯულესიდან
სპორტის ჯამბრუბელი
ზვიად წოდელბა
გეომეტრიული ფიგურა
...-სკალა
ბილიარდის ჯოხი
ეპისკოპოსის სამკერდე ნიშანი
ფრანგი მსახიობი ჩ. ჩაპლინის წინამორბედი
შიიზმის მიმდევარი
ქართველი თვითნასწავლი მხატვარი
ისტორიული ოლქი მოლდავეთში
გერმანელი მწერალი
ყვავილი
რომაელი კონსული, დიქტატორი
30 ვერცხლს დახარბებული
რუსული ხალხური სიმებიანი საკრავი
დარეჯანის საყვარელი კერძი
დამხმარე თეორემა
რბილი ტყავი
საჭადრაკო ფიგურა
სიმინდის ხმელი ფოთლები
სანოტო ნიშანი
რომანის დიდი განყოფილება
... ფრეინდლიხი
პატივაყრილი სამურაი
ეკლესიის მსახური
შუააზიური რძის პროდუქტი
მარინადში ჩადებული სამწვადე ხორცი
პრესტიჟული სანთებელა (არა „ZIPPO“)
იაპონური ფირმა
კომში
ამერიკელი კალათბურთელი
კომპოზიტ., ესპანური მუსიკის „ბუკვრული“
ისტორიული ოლქი ინდოეთში
ხვიარა მცენარე
ჩიტის „სატუსაღო“
ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ



25-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ბ; 3-ბ.

კვირის (26 მაისი – 1 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი

მარგალიტი – 22/V-21/VI

კვირის შუა პერიოდში, ოფიციალურ დოკუმენტებზე მუშაობა მოგიწევთ. ადვილად ააწყობთ ურთიერთობას ნებისმიერი ოფიციალური ინსტანციის წარმომადგენელთან. საერთოდ, ეს კვირა ხელსაყრელია ნებისმიერი გარიგებისთვის. უქმეებში, ყველა საქმე გადადეთ და კარგად დაისვენეთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

განსაკუთრებული კონტაქტი გექნებათ ბავშვებთან და საერთოდ, თქვენზე უმცროს ადამიანებთან. თქვენ მათ იდეალურ ჭკუის დამრიგებლად, ბრძენ მრჩევლად და იშვიათ პედაგოგად მოევლინებით. აი, ტექნიკასთან შეხება კი, კარგს არაფერს გიქადით.

ლომი – 23/VII-23/VIII

კვირის დასაწყისში, დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, რათა შეინარჩუნოთ პროფესიული სტატუსი და ავტორიტეტი. ბოლოს, წარმატებას მიაღწევთ, თუმცა, ეს ძალიან დაგღლით. თანაც, გარშემომყოფთ, თქვენი მიღწევებით აღფრთოვანებას მოსთხოვთ, რამაც შეიძლება, თქვენდამი ირონიული დამოკიდებულება გამოიწვიოს.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ამ კვირის დასაწყისში აზარტული თამაშის დროს და ავანტიურისტული ნაბიჯების გადადგმისას გაგიღიმებთ ბედი, მაგრამ ძალიანაც ნუ გათამამდებით და ნუ დაგავიწყდებათ, რომ ზომიერება აუცილებელია. კვირის დამლევისთვის, ძალიან საჭირო და სასიამოვნო ადამიანს გაიცნობთ.

სასწორი – 24/IX-23/X

რაღაც ახალი საქმე გაგიტაცებთ, თანაც იმდენად, რომ უარს იტყვით მეგობრებთან დროის ტარებასა და საოჯახო მოვალეობებზეც კი. ფრთხილად იყავით – შეიძლება, უსიამოვნებას გადაეყაროთ. უქმე დღეებში, საინტერესო მოგზაურობის შანსი გაგიჩნდებათ.

დრიანკალი – 24/X-22/XI

სიტყვა „პედანტურობა“ თქვენში უსიამოვნო ასოციაციებს იწვევს, მაგრამ რას იზამთ? – სწორედ ეს თვისება გაგიწევთ კარგ სამსახურს გადამწყვეტ მომენტში. ყურადღების მოდუნების ან არაორგანიზებულობის შემთხვევაში, უფროსობის რისხვა დაგატყდებათ თავს ან ოჯახში შეგხვდებათ უსიამოვნება.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

შეიძლება, ურთიერთობა გაგირთულდეთ უახლოეს ადამიანთან. თუმცა, ზედმეტი შეშფოთების საფუძველი არა გაქვთ: საკმარისია, მეტი დრო გაატაროთ ერთად და პრობლემა სწრაფად მოგვარდება. მთავარია, საკუთარ თავში დაძლიოთ უმიზეზო ეჭვიანობა და ყველაფერი რიგზე იქნება.

თხის რქა – 22/XII-20/I

შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ სამსახურში ვიღაც ინტრიგების ქსელს ხლართავს, რომელშიც თქვენც ისე გაბმულხართ, რომ ამას ვერც მიმხვდარხართ. ეცადეთ, მშვიდად, უხმაუროდ გაარკვიოთ ყველაფერი ამ ინტრიგაში მონაწილე ყველა მოქმედ პირთან.

მერწყული – 21/I-19/II

ამ კვირაში, უამრავი რამ შეიძლება იპოვოთ: ნივთები, რომელიც დაკარგული გეგონათ, უცბად გამოჩნდება, ან ასევე უეცრად გამოგეცხადებიან ადამიანები, რომლებთანაც თითქოს, აღარ უნდა გქონოდათ შეხება. სამსახურშიც, ძველი, დაუმთავრებელი საქმეების მოგვარება მოგიწევთ.

თევზები – 20/II-20/III

ყურადღებით შეისწავლეთ ნებისმიერი ახალი ინფორმაცია, ნაკლებად დაუჯერეთ სიტყვებს და უფრო ხშირად გადაამოწმეთ ხოლმე ყველა ცნობა, რადგან შეიძლება, მოგატყუონ და სერიოზულ შეცდომაში შეგიყვანონ. ეცადეთ, ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრები, კვირის ბოლოსთვის გადადოთ.

ვერძი – 21/III-20/IV

თუ ფული რაღაც სარისკო პროექტში გაქვთ ჩადებული ან ნაკლებად სანდო ადამიანებს ასესხეთ, ეცადეთ, მალე დაიბრუნოთ. ეს კვირა ახალი კონტრაქტებისა და გარიგებებისთვის ხელსაყრელი არ არის და საერთოდ, უმჯობესია, ამ კვირაში, უმეტესად ახლობელ ადამიანებს ეკონტაქტოთ.

კურო – 21/IV-21/V

თვის ბოლოსთვის, ჩემოდანი ჩაალაგეთ: რამდენიმე მოგზაურობა მოგიწევთ, მათ შორის – ამ კვირაშიც. მაგრამ თქვენს ქალაქში ყოფნის დროსაც, ბევრი ახალი ნაცნობობა გელით, კვირის დამლევისთვის კი, რომანტიკული თავგადასავლისთვის უნდა იყოთ მზად.

ბოდიშ ეფანეგისან წვერისან ეკეკვეფეგ

ქალებს თურმე ორგვარი დამოკიდებულება ჰქონიათ წვერის მიმართ: ერთი მხრივ, წვეროსანი, უფრო სოლიდურად გამოიყურება და სწორედ ისეთი მამაკაცის შთაბეჭდილებას ქმნის, რომელსაც ქალთან ურთიერთობისას, პირველობა სჩვევია; მეორე მხრივ კი... წვერი იჩხვლიტება, ე.ი. შეიძლება ქალს კანი გაუღიზიანოს...

ბრიტანელმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს, ბოლოს და ბოლოს, გაერკვიათ – რატომ უშვებენ მამაკაცები წვერს და როგორ მოქმედებს ეს მათ იმიჯზე. ამ მიზნით, მათ გადაფურცლეს სხვადასხვა პერიოდის ილუსტრირებული ჟურნალები და ამოიწერეს ის წლები, რომელიც წვეროსანთა ფოტოსურათების სიუხვით გამოირჩეოდა. შემდეგ, ეს მონაცემები მეორე სტატისტიკას შეადარეს, კერძოდ: რამდენად ბევრი იყო იმ წლებში, მარტოხელა მამაკაცი და ქალი. გაირკვა, რომ მამაკაცების დეფიციტის პერიოდში, წვერს გაცილებით მეტი გასავალი აქვს, მაშინ კი, როცა ძლიერი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა იზრდება, წვერი ნაკლები მოწონებით სარგებლობს ქალებში. მეცნიერები ამას დაახლოებით ასე ხსნიან: როცა მამაკაცების სიუხვეა, ქალები, მათ შორის საუკეთესოს ირჩევენ – ე.ი. სანიმუშოდ დაბანილ-დავარცხნილსა და გაპარსულს; აი, მამაკაცთა დეფიციტის პირობებში კი, დასწრებაზე არიან... ■

ხართ თუ არა კომუნიკაბელური?

1) ნერვიულობთ თუ არა მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრის წინ?

ა) დიახ – 2;

ბ) ხანდახან – გააჩნია, რამდენად მნიშვნელოვანია – 1;

გ) არასოდეს – 0.

2) გიჭირთ თუ არა დიდი აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლა?

ა) დიახ – 2;

ბ) ძალიან ბევრი ადამიანის წინაშე გიჭირთ – 1;

გ) თავისუფლად გრძნობთ თავს – 0.

3) გჩვევიათ თუ არა ბოლო მომენტამდე ექიმთან ვიზიტის გადადება?

ა) დიახ, მუდამ ასე იქცევით – 2;

ბ) გააჩნია, რა მიზნით მიდიხართ ექიმთან – 1;

გ) არა, ექიმთან მაშინვე მიდიხართ, როგორც კი ამის საჭიროება დგება – 0.

4) გიყვართ თუ თუ არა მეგობარ-ახლობლების წრეში თქვენი თავგადასავლების და განცდების განხილვა?

ა) დიახ, სიამოვნებით – 0;

ბ) ძალიან იშვიათად – 1;

გ) არასოდეს – 2.

5) ღიზიანდებით თუ არა, როცა ქუჩაში უცნობი ადამიანი, დროს ან მისამართს გეკითხებათ?

ა) დიახ – 2;

ბ) როცა სადმე გეჩქარებათ – 1;

გ) არასოდეს – 0.

6) შეგიძლია თუ არა შეახსენოთ მეგობარს მცირე ვალის დაბრუნება, რომელიც რამდენიმე თვის წინ გესესხათ?

ა) ამას ვერ შეძლებთ – 2;

ბ) გააჩნია თანხას – 1;

გ) აუცილებლად შეახსენებთ – 0.

7) როგორ მოიქცევით, თუ კაფეში ყოფნისას აშკარად უხარისხო კერძს მოგართმევენ?

ა) ხმას არ ამოიღებთ – 2;

ბ) ოფიციანტს უსაყვედურებთ – 1;

გ) მაშინვე ადმინისტრატორს დაუძახებთ და კერძის შეცვლას მოითხოვთ – 0.

8) შეგიძლიათ თუ არა, სრულიად უცნობ ადამიანთან წამოიწყოთ საუბარი?

ა) დიახ – 0;

ბ) თუ ამის აუცილებლობაა – 1;

გ) საუბარს თქვენ პირველი ვერ დაიწყებთ – 2.

9) შეგიძლიათ თუ არა ჩაერიოთ ქუჩაში ატეხილ ჩხუბში და სხვებთან ერთად გაარჩიოთ მტყუანმართალი?

ა) დიახ, მუდამ ასე იქცევით – 0;

ბ) გააჩნია ჩხუბის მასშტაბს – 1;

გ) არავითარ შემთხვევაში არ ჩაერევით – 2.

10) შეგიძლიათ თუ არა გაიზიაროთ და დაეთანხმოთ სხვის შეხედულებებს ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის შესახებ?

ა) დიახ – რათა მოსაუბრეს ასიამოვნოთ – 0;

ბ) მაშინ დაეთანხმებით, თუ მისი აზრი თქვენთვის მისაღები მოგეჩვენებათ – 1;

გ) ბოლომდე დაიცავთ საკუთარ შეხედულებას – 2.

11) წარმოიდგინეთ, რომ ტრანსპორტში ორი ადამიანი საუბრობს და იმ საკითხის შესახებ გამოთქვამენ მცდარ აზრს, რაშიც თქვენ კარგად ერკვევით; ჩაერთვებით თუ არა მათ საუბარში?

ა) დიახ, აუცილებლად – 0;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი თქვენთვის ძალიან მტკივნეულია – 1;

გ) არავითარ შემთხვევაში – 2.

12) ღიზიანდებით თუ არა, როცა მეგობრები ან კოლეგები რაღაც საკითხის გადაწყვეტაში დახმარებას გთხოვენ?

ა) დიახ, ეს ძალიან გაღიზიანებთ – 2;

ბ) ღიზიანდებით, ოღონდ ძალიან იშვიათად – 1;

გ) მშვიდად ეხმარებით – 0.

დაანჯამეთ ქულები

0-7 ქულა: იმდენად კომუნიკაბელური ხართ, რომ ეს ხანდახან, ავადმყოფობას ემსგავსება. გიყვართ ბევრი ლაპარაკი, სხვის საქმეში ჩარევა და ისეთი დეტალების განხილვა, რაც თქვენ არ გეხებათ. ისე კი, ყოველთვის ყველა საქმის კურსში ხართ, ხშირად დადიხართ სტუმრად და თავს ყველგან შინაურულად გრძნობთ. ამ თვალსაზრისით, თქვენი კომუნიკაბელობა მისასალმებელია. ამავე დროს, ხშირად ვარდებით კონფლიქტურ სიტუაციაში და ურიგო არ იქნება, თუ თქვენ ცოტა თავშეკავებული და მომთმენი გახდებით. ამდენმა სტრესმა შეიძლება, თქვენს ჯანმრთელობასაც ავნოს.

8-16 ქულა: შეიძლება ითქვას, რომ ნორმალური ადამიანი ხართ, სიამოვნებით უსმენთ კარგ მოსაუბრეს, შეგიძლიათ დაიცვათ საკუთარი აზრი მაშინ, როცა გრძნობთ, რომ სიმართლე თქვენს მხარეზეა. ამავე დროს, ხმაურიან წვეულებებს და ხალხმრავალ ადგილებს ერიდებით. ექსტრავაგანტურობა და ზედმეტი ლაქლაქი, თქვენში გაღიზიანებას იწვევს.

17-24 ქულა: კომუნიკაბელური ადამიანი ნამდვილად არ ხართ და ამას ყველაზე მეტად თქვენვე განიცდით. გიჭირთ იმ საქმის განხორციელება, რაშიც, თქვენ გარდა, კიდევ სხვები არიან ჩართულნი. გიყვართ მარტოობა, ამიტომაც ბევრი მეგობარი არ გყავთ. გიჭირთ სამსახურის გამოცვლა, რადგან უცნობ ადამიანებთან კონტაქტის დამყარება გაშინებთ. სცადეთ, ნაკლებად გულჩათხრობილი იყოთ და მეტად კომუნიკაბელური გახდეთ.

ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲞᲐᲢᲐᲰᲫᲐᲚᲛᲐ ᲜᲔᲤᲔ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲣᲨᲕᲐ

სწორედ ამით გაითქვა სახელი 21 წლის ინდოელმა სტუდენტმა ნიშა შარმამ, რომელსაც ახლა, ხელსაყრელი კომერციული და პოლიტიკური შეთავაზებებითაც კი მიმართავენ. შეუღლების ცერემონია უკვე დაწყებული იყო, როდესაც ნეფემ პატარძლის მამას ახალი დამატებითი მზითვი – 25 ათასი დოლარი მოსთხოვა, ეს კი აკრძალულია ქვეყანაში მოქმედი კანონით, სადაც გარიგებები მზითვის თაობაზე წინასწარ იდება. პატარძალმა ცერემონიის შეწყვეტა მოითხოვა, პოლიციაში დარეკა და თავისი 25 წლის ექსსაქმრო დააპატიმრებინა. მისმა საქციელმა აღფრთოვანება გამოიწვია საზოგადოების დიდ ნაწილში. „ამ გოგონამ დასაბამი მისცა ზნეობრივ რევოლუციას ჩვენს ქვეყანაში!“ – განაცხადა ქალთა უფლებების დაცვის კომიტეტის წარმომადგენელმა.

ქალებთან, როგორც მუქთა შემოსავლის წყაროსთან, მოპყრობა ინდოეთში მართლაც, ფართოდაა გავრცელებული. ამას საშინელი სტატისტიკაც მოწმობს: 2001 წელს, 7 ათასამდე ქალიშვილი იმის გამო მოკლეს, რომ მათმა ოჯახებმა ვერ შეძლეს ან უბრალოდ, უარი განაცხადებს დამატებითი მზითვის გაღებაზე.

ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲣᲮᲣᲪᲡᲛᲐ ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲛᲐ ᲛᲔ-8 ᲐᲗᲔᲣᲚᲨᲘ ᲨᲔᲐᲑᲘᲯᲐ

ამ დღეებში მას 71 წელი შეუსრულდა. მამრი მაიმუნი ჩიტა სწორედ დღეგრძელობის წყალობით გახდა საქვეყნოდ ცნობილი და გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა. საინტერესოა, რომ ის ტარზანზე გადაღებულ 13 ფილმსა და კიდევ რამდენიმე სურათში მონაწილეობდა. ხანდაზმულობის მიუხედავად, ჩიტა საუცხოო ჯანმრთელობითა და კარგი მადითაც გამოირჩევა. ■

ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲚᲣᲓᲘ

ბრიტანეთის სუპერმარკეტებში მალე გამოჩნდება ლუდი, რომელსაც სიმაგრით მსოფლიოში ვერც ერთი სხვა სახეობა ვერ შეედრება. ექსპერტები ამბობენ, რომ მისი ზედმეტი მიღება შეიძლება, სავალალოდ დამთავრდეს. ლუდს ჰქვია Dogfish Head World-wide Stout, მასში ალკოჰოლის შემცველობა 23%-ს აღწევს, რაც 5-ჯერ აღემატება ნებისმიერი სხვა ლუდის ამ მაჩვენებელს. Dogfish-ის აშშ-ში აწარმოებენ და მას „ექსტრიმ-ლუდს“ ეძახიან. ინგლისში ახალი სასმელი Safeway-ს ქსელის სუპერმარკეტებში 0,33 ლიანი ბოთლი 6 გირვანქა სტერლინგად (10 დოლარი) გაიყიდება. გაზეთ Sun-ის მიმომხილველი წერს: „ამ ლუდის ზედმეტი დოზით მიღების შემთხვევაში, უგონოდ მთვრალი კი არა – უგონოდ მკვდარი იქნებით...“ ■

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲚᲘᲐ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲨᲔᲓᲔᲕᲩᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ

სწორედ ასე მოიხსენიებენ ვენეციას, რომელსაც გადაუდებლად სჭირდება შველა. ამ დღეებში, იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ თავისი ავტოგრაფი აღბეჭდა 1300 მ სიგრძის კაშხლის ერთ – 10-ტონიან ნაწილზე, რომელიც ვენეციის ლაგუნის ერთ-ერთ შესართავთან აიგება. ლაპარაკია მასშტაბურ პროექტზე, რომელზეც ბევრი ვენეციელი 37 წლის მანძილზე ოცნებობდა – ე.ი. იმ დროიდან, როდესაც 1966 წლის წყალდიდობისას ამ ლაგუნაში კრიტიკულ ზღვრამდე აიწია წყლის დონემ, უამრავი ისტორიული შენობა დაზიანდა და ხელოვნების ნიმუში განადგურდა. პროექტის განსახორციელებლად, შეიქმნა სპეციალური კონსორციუმი, რომელშიც იტალიის უმსხვილესი სამშენებლო ფირმები გაერთიანდნენ. ინფრასტრუქტურების მინისტრმა ლუნარდიმ განაცხადა, რომ პროექტი 2010 წელს უნდა დასრულდეს; მისი სავარაუდო ღირებულება 4.1 მლრდ ევროს შეადგენს. ■

ᲰᲝᲜᲯᲝᲜᲒᲔᲚᲛᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ 25 ᲢᲝᲜᲐ ᲜᲐᲒᲐᲕᲘ ᲓᲐᲐᲒᲠᲝᲕᲐ

ჰონკონგის სანიტარული სამსახური აგერ უკვე სამი კვირაა, ნაგვის იმ გროვების გატანითაა დაკავებული, რომელიც ხანდაზმულმა ქალმა თავის 4 ბინაში დააგროვა. კვებისა და გარემოს ჰიგიენის სამინისტროს თანამშრომლები უკვე 25 ტონა ნარჩენებს გაუმკლავდნენ, მაგრამ საქმეს ბოლო არ უჩანს. „ვშიშობ, კიდევ ერთ კვირას მაინც მოვუნდებით იმას, რომ საქმე დავასრულოთ“, – განუცხადა სამინისტროს წარმომადგენელმა გაოცებულ ჟურნალისტებს. ორი ბინა და სახურავზე აგებული კიდევ ორი სათავსი ქალს, მწყობრიდან გამოსული საყოფაცხოვრებო ტექნიკით, ძველი ავეჯით, გაზეთების დასტებითა და სხვა, სრულიად უსარგებლო ნივთებით ჰქონდა გავსებული. პენსიონერი ვერაფრით ხსნის ამ უცნაური „კოლექციის“ შენახვის ამბავს. ნაგვის გროვების ამბავი სანიტარულმა სამსახურმა მაშინ შეიტყო, როცა ატიპური პნევმონიის აფეთქების გამო ქვეყანაში საყოველთაო სანიტარულ-ჰიგიენური კამპანია დაიწყო. ■

ფოტოკუთხეები



ილარიონ

ულიანოვი